შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„თეგეტა მოტორსი“
(საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205)

ობლიგაციების წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი

წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს მისი წარდგენის თარიღისთვის არსებული ინფორმაციის ან სავარაუდო ინფორმაციის საფუძველზე ობლიგაციების შეთავაზების პირობებს.

აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება 3,500,000 (სამი მილიონ ხუთასი ათას) ევრომდე ჯამური ნომინალური ღირებულების, ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის (შემდგომში - „კუპონი“ ან „პროცენტი“ ან „საპროცენტო სარგებელი“) და „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლებების სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული, ობლიგაციების (შემდგომში „ობლიგაციები“) შეთავაზების პირობები. საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება არაუგვიანეს 30 აპრილს.

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „თეგეტა მოტორსის“ („**ემიტენტი**“, “**კომპანია**“) სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თეგეტა მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205) **მისამართი:** საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 129 **ელ.ფოსტა:** ir@tegetamotors.ge **ვებ-გვერდი**: www.tegeta.ge **ტელეფონი**: (+995 32) 224 44 44
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961) **მისამართი:** მარჯანიშვილის ქ. N7, 0102, თბილისი **ელ-ფოსტა**: info@tbccapital.ge **ვებ-გვერდი**: www.tbccapital.ge **ტელ:** (+995 32) 227 27 97
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი **მისამართი:** 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 **ელფოსტა:** info@nbg.gov.ge **ვებგვერდი:** www.nbg.gov.ge **ტელ:** (995 32) 240 6406 **ფაქსი:** (995 32) 240 6577
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	3 აპრილი, 2026 წელი.

პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

ხელმოწერილია შპს *„თეგეტა მოტორსის“* სახელით

ხელმომწერი:

სახელი: ეკატერინე ქავთარაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიწდობილი პირი

ხელმოწერა:

თარიღი: 22.04.2026

ხელმომწერი:

სახელი: ეკატერინე ქავთარაძე

თანამდებობა: მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი

ხელმოწერა:

თარიღი: 22.04.2026

ხელმოწერილია შპს *„თიბისი კაპიტალის“* სახელით:

ხელმომწერი:

სახელი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 22.04.2026

ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციის ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი (კუპონი)	ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, და შეადგენს წლიურად [6.25%-6.50%]
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე (თუ არ განხორციელდა ობლიგაციების ვადამდელი დაფარვა ან შესყიდვა და გაუქმება „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 1.6.3 პუნქტის შესაბამისად). პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე (Actual/365 (Fixed)). ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ორჯერ, საორიენტაციოდ 4 მაისს და 4 ნოემბერს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2026 წლის 4 ნოემბერს.
„ობლიგაციის“ ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ევროში.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	„ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.
გამოსყიდვის ოფცია (Call Option)	ობლიგაციებს გააჩნიათ გამოსყიდვის ოფცია (Call Option) „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ 1.6.3. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა (დ) პუნქტის შესაბამისად.
ემიტენტის/ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	„ემიტენტს“ მინიჭებული აქვს შემდეგი რეიტინგი: • Scope Ratings – BB- / უარყოფითი საკრედიტო პერსპექტივით
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2028 წლის 4 მაისს. .
ცენტრალური დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400). საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 71,

	ოფისი N 7, სართული 7, ბლოკი 10; ტელ: (995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: **info@gcsd.ge**
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „თბილისის საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. “ემიტენტი” აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულების პირობებს. თბილისის საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: TSE | Listing Rules
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაცია წარმოადგენს „კომპანიის“ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებებს. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.
დივიდენდის გაცემის პოლიტიკა	დივიდენდის გაცემის პოლიტიკა აღწერილია პროსპექტის ქვეთავში „დივიდენდების პოლიტიკა“.

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	3,500,000 (სამი მილიონ ხუთასი ათას) ევრომდე ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის საორიენტაციო ვადით 2028 წლის 4 მაისი.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) ევრო
ობლიგაციების რაოდენობა	3,500 (სამი ათას ხუთას) ცალამდე
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	3,500,000 (სამი მილიონ ხუთასი ათას) ევრომდე
ობლიგაციების გამოშვების ფასი	ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%
ობლიგაციის გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება საორიენტაციოდ 2026 წლის 4 მაისს.
ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები	ემისია ავტორიზებული იქნა 2026 წლის 23 მარტს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომისა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებით
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი.
შეთავაზების პერიოდი	დროის მონაკვეთი „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, ამავე პროსპექტის და რელევანტური „წინასწარი შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის გამოქვეყნებიდან „შეთავაზების დასრულებამდე“, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება თარიღი, როდესაც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება;

	გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთვევაში) გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2028 წლის 4 მაისს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ევროში.
ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევაში	„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ გადახდისუუნარობის/ გაკოტრების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელები წარმოადგენენ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს. ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რიგითობა შემდეგია: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები; დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები;

	ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ კატეგორიას მიეკუთვნება „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის ქვეთავში „ობლიგაციების გამოშვების პირობები - გადახდისუუნარობის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში“.
კალკულაციისა და გადახდის აგენტი	შპს „თიბისი კაპიტალი“
დეფოლტი	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე მოთხოვნები გამოაცხადოს ვადამოსულად და მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა: (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეპუნქტი - 1.6.6, „დეფოლტი“).
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა სახსრები სრულად მოხმარდება პროცენტიანი ვალდებულებების ნაწილობრივ რეფინანსირებას.დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“).
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრული განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება გამოშვებული ჯამური ნომინალური ღირებულების 98%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო

	სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.
ობლიგაციების მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია-მოვალეობები და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების და სხვა საკომისიო ხარჯები	განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების [1.5]%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია „განთავსების აგენტთან“ („განთავსების აგენტი“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტს“ კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

თეგეტა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„თეგეტა მოტორსი“

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 202177205)

არასუბორდინირებული, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიის მულტისავალუტო პროგრამის პროსპექტი

60,000,000 (სამოცი მილიონი) დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების არასუბორდინირებული, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონური ობლიგაციები, გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ემისიით. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება იქნება 1,000 (ათასი) ერთეული შესაბამის ვალუტაში; შესაბამისი ემიისიის ვალუტა დაზუსტდება მისი „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ საშუალებით და შესაძლოა იყოს ერთ-ერთი შემდეგთაგანი: ლარი, ევრო, ან აშშ დოლარი.
ფასი გამოშვების დროს შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს (ას პროცენტს). „ობლიგაციების“ გამოშვების დეტალური პირობები, როგორიცაა ჯამური მოცულობა, დენომინაცია, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“. ობლიგაციების ემისია მოხდება ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონურ ობლიგაციებად. ობლიგაციების გამოშვების დეტალური პირობები, როგორიცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, დენომინაცია, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და შესაბამისი ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; ვადიანობა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 3 თვიანი; 2) 6 თვიანი; 3) 1 წლიანი; 4) 2 წლიანი; 5) 3 წლიანი; 6) 4 წლიანი; 7) 5 წლიანი.
ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

შპს “თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში **„კომპანია“, “თეგეტა“** ან **„ემიტენტი“**) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. „კომპანიის“ ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას), წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში

შესულია „კომპანიისთვის“ ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რომელიც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან/და აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი:

შპს „თეგეტა მოტორსი“ (ს/ნ: 202177205)

<u>პასუხისმგებელი პირის განცხადება:</u>

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *“ემისიის პროსპექტით წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე“.*

ხელმოწერილია შპს „თეგეტა მოტორსის“ სახელით:

ხელმომწერი

სახელი: ეკატერინე ქავთარაძე

თანამდებობა: მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი

ხელმოწერა:

თარიღი: 30 მარტი, 2026

ხელმომწერი:

სახელი: თემურ კოხოძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 30 მარტი, 2026

ხელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ხელმომწერი

სახელი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 30 მარტი, 2026

<u>მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:</u>

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში **„პროსპექტი“**) და, შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით), ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი 0114, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: https://nbg.gov.ge/

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან/და აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, გადახდის და კალკულაციის აგენტი, ცენტრალური დეპოზიტარი (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“ ან „დეპოზიტარი“), კომპანიის სხვა მრჩევლები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელნი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით წინამდებარე პროსპექტში გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე პროსპექტში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩევლები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან პროსპექტში მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით. მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების და კალკულაციის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ის არ წარმოადგენს არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევს არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავის კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განთავსებისა და გადახდისა და კალკულაციის აგენტი არ არის ვალდებული გაუწიოს ვინმეს, გარდა „კომპანიისა“, მომსახურება ან მისცეს რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით (ა) რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან (ბ) რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *“როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მათთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს გახდიდა. ზემოთ აღწერილის მიუხედავად, „ემიტენტი“ არ იღებს ვალდებულებას მესამის მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და მისი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების სიზუსტეზე.“*

ინვესტორის დადასტურება: „პროსპექტი“ ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს განთავსების აგენტს: შპს „თიბისი კაპიტალს“ (ს/ნ 204929961), მისამართი: საქართველო, თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. 7; ტელ.: (+995 32) 277-27-97; ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge (შემდგომში – **„განთავსების აგენტი**“) და (ii) „ემიტენტს“ - შპს „თეგეტა მოტორსს“, რომ ინვესტორი (ა) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S” რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ბ) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, და (გ) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, „კომპანია“, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მასთან აფილირებული პირი არ იქნება რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი (i) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან (ii) სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით განპირობებული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს.

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე „კომპანიის“ ოპერაციებში არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი

Ekaterine Mikabadze 01017014956
Digitally signed by Ekaterine Mikabadze
Date: 2026.04.03 15:46:24

3 აპრილი, 2026 წელი.

სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა 8

შესავალი 8

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ 11

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 18

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები 19

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი 23

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ 25

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება 28

სარეგისტრაციო დოკუმენტი 30

ძირითადი საქმიანობა 33

სეზონურობა 43

კომპანიის ძლიერი მხარეები 44

სტრატეგია და ამოცანები 44

ინვესტიციები 46

ორგანიზაციული სტრუქტურა 47

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები და ტექნოლოგიები 49

ბიზნესის პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები 50

გაყიდვები და მარკეტინგი 52

„კომპანიისთვის“ მნიშვნელოვანი კონტრაქტები 52

სასამართლო დავები 53

ინდუსტრიის მიმოხილვა 57

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა 68

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 75

კაპიტალი და დივიდენდები 84

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 87

კაპიტალიზაცია და დავალიანება 94

რისკის ფაქტორები 112

1. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის; . 112

2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონიმიკისათვის 113

3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის 113

2. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის; . 114

2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონიმიკისათვის 124

2.1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა: 124

2.2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები: 129

2.3. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები: 131

2.4. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები: 134

3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის 136

მარეგულირებელი გარემო 142

დამფუძნებლები, მმართველი ორგანო და მენეჯმენტი 152

კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა 152

საერთო კრება 153

სამეთვალყურეო საბჭო 154

ხელმძღვანელი ორგანო 159

აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტი 163

თანამშრომლები 164

ანაზღაურება და ბენეფიტები 164

ინტერესთა კონფლიქტზე განაცხადი 164

საჩივრის შესახებ განცხადება 164

კორპორატიული მმართველობა 165

დივიდენდების პოლიტიკა 165

დაკავშირებული მხარის გარიგებები 166

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა 174

ობლიგაციების გამოშვების პირობები 185

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში 223

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „თეგეტა მოტორსის“ არასუბორდინირებული, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თეგეტა მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202177205) **მისამართი:** საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 129 **ელ.ფოსტა:** ir@tegetamotors.ge **ვებ-გვერდი:** www.tegeta.ge **ტელეფონი:** (+995 32) 224 44 44
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია/განმცხადებელი პირი:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961) **მისამართი:** მარჯანიშვილის ქ. N7, 0102, თბილისი **ელ. ფოსტა**: info@tbccapital.ge **ვებგვერდი**: https://www.tbccapital.ge/ **ტელ**: (+995 32) 227 27 33
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი **მისამართი:** 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 **ტელ:** (+995 32) 240 64 06 **ფაქსი:** (+995 32) 240 65 77 **ელფოსტა:** info@nbg.gov.ge **ვებ-გვერდი:** www.nbg.gov.ge
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	3 აპრილი, 2026 წელი.
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

„ემიტენტს“ შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის რომელიმე ნაწილი შეცდომაში შემყვანია, არაზუსტია ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან არ იძლევა ისეთ ძირითად ინფორმაციას, რაც უნდა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

„ობლიგაციებში“ ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს „ობლიგაციებს", მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის დაბრუნება და დარიცხული პროცენტის გადახდა დამოკიდებული იქნება „ემიტენტის“ გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში

წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას გარემოების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტი“ მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული „ობლიგაციების“ გაყიდვა, ან „ობლიგაციების“ ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც „კომპანია“ და არც განთავსების აგენტი არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან რაიმე გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ „ობლიგაციებში“ ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული „ობლიგაციების“ რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩევლებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება

„ობლიგაციების“ ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს „კომპანიასთან“, „ობლიგაციებთან“, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“.

ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება „ობლიგაციების“, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
ii. გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (ქართული ლარი ან აშშ დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;
iv. შეეძლოს „ობლიგაციების“ შეთავაზების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
v. გააჩნდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს ემიტენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

„ემიტენტი“ არის **შპს „თეგეტა მოტორსი“** (შემდგომში **„კომპანია“, „თეგეტა“ ან „ემიტენტი“**).
მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129.
რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო.
მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.
დაარსების თარიღი: 2001 წელი.

„ემიტენტი“, შპს „თეგეტა მოტორსი“ 2001 წელს, ორი კომპანიის - შპს „ავტოექსპორტისა“ და „თეგეტა მოტორსის“ ბაზაზე შეიქმნა. დღეს „კომპანია“ აერთიანებს 31 ფილიალსა და 2,900-ზე მეტ დასაქმებულ ადამიანს. იგი ემსახურება 500,000-ზე მეტ აქტიურ კლიენტს, 1,500-მდე საჯარო ორგანიზაციას, 60,000-ზე მეტ კორპორაციულ კლიენტსა და 7,000-ზე მეტ საბითუმო სავაჭრო პარტნიორს.

თეგეტა ჰოლდინგი საქმიანობის 30 წლიანი გამოცდილებით და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი ღირებულებების და სწორი საავტომობილო ტენდენციების დამკვიდრებაში.

„კომპანია“ დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში საავტომობილო პროდუქტებისა და მომსახურების დარგში ლიდერია. „კომპანია“, მის შვილობილებთან ერთად, წარმოადგენს უნივერსალურ კომპანიას, რომელიც მოღვაწეობს სატვირთო და მსუბუქი ავტომობილებს, სასოფლო, სამშენებლო და სამრეწველო დანიშნულების ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, საპოხი მასალებით, საბურავით ვაჭრობისა და ტექნიკური მომსახურების სფეროში. „კომპანია“ სახელმწიფო, კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის ავტო-პროდუქტებისა და სერვისის ფართო სპექტრს.

შპს „თეგეტა მოტორსი“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რომელიც დაყოფილია შემდეგ ოთხ ძირითად დივიზიად:

- **რითეილის დივიზია**
- **ფინანსური დივიზია**
- **მსუბუქი ავტომობილების დივიზია**
- **სპეციალური დანიშნულების, სატვირთო, კომერციული ტექნიკისა და ავტობუსების დივიზია**

„კომპანია“ ახორციელებს ავტომობილის ნაწილებისა და აქსესუარების ადგილობრივი რეალიზაციას სახელმწიფო, კორპორატიულ, საბითუმო და საცალო არხებში. აღნიშნული მოიცავს ავტოსაბურავებს, ავტონაწილებს, აკუმულატორებს, საცხებ-საპოხ მასალებს, დანადგარებს ა.შ, მსუბუქი ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასთან ერთად.

ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

1996	• შპს „ავტოექსპორტის“ დაარსება
1998	• „კომპანია“ გახდა საბურავების გლობალური ბრენდის - ბრიჯსტოუნის, ექსკლუზიური წარმომადგენელი
2001	• „კომპანია“ „თეგეტა მოტორსის“ სახელით იწყებს ოპერირებას ბაზარზე
2001-2017	• კომპანია ზრდის ფილიალების ქსელს და აგრძელებს წარმომადგენლობების გაფართოებას • „კომპანია“ აგრძელებს წარმომადგნენლობების გაფართოებას.
2019	• „ემიტენტს“ მიენიჭა "BB-" საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-სგან • სადებიუტო, 30 მილიონი ლარის ობლიგაციების განთავსება
2020-2024	• „კომპანია“ წარმატებით ინარჩუნებს BB- რეიტინგს Scope Ratings-სგან. • „კომპანიამ“ 2020-2024 წლებში, 14 საჯარო ემისიით წარმატებით გამოუშვა ჯამურად 400 მილიონი ლარის ექვივალენტამდე ობლიგაციები. • „კომპანია“ კვლავ აგრძელებს ფილიალებს გახსნასა და წარმომადგენლობების გაფართოებას.
2025	• გეზის რეგიონული ჰაბის და მრავალფუნქციური სერვის ცენტრის გახსნა. • „Lamborghini“ შოურუმი ოფიციალურად გაიხსნა თბილისში. • „თეგეტა“ და შვილობილები იღებენ პრესტიჟულ ჯილდოებს, მათ შორის: BARTA, Excellence Club, Kaizen Global Award, Going Beyond და სხვა ჯილდოები. • „თეგეტამ“ კორპორატიულ ფორუმზე წარადგინა ახალი ბიზნეს ხაზი „Tegeta Business“. • „კომპანიამ“ წარმატებით გამოუშვა 20 მილიონი დოლარის მოცულობის საჯარო ობლიგაციები. • „კომპანიამ 25 მილიონი ევროს საკრედიტო რესურსზე გააფორმა ხელშეკრულება EBRD-თან პირდაპირი სასესხო ვალდებულების ფორმით, რომელსაც ეტაპობრივად აითვისებს. სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს გეზის პროექტისთვის აღებული სესხების რეფინანსირება და ამავე პროექტის დასრულებისთვის საჭირო კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. • „კომპანიამ“ წარმატებით გამოუშვა 260 მილიონი ლარის მდგრადობასთან დაკავშირებული საჯარო ობლიგაციები.

„კომპანიის“ განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტი - „მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღები“

კომპანიის სტრატეგია

„კომპანია“ მიზნად ისახავს, გააგრძელოს ბოლო წლების წარმატებული საქმიანობა და შესაბამისად, შეიმუშავა გარკვეული სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემდგომ ზრდას. „თეგეტას“ ძირითადი სტრატეგიული მიზნები მომავალი წლებისთვის მოიცავს:

- გაიმყაროს პოზიციები ბაზარზე და რეალიზაციის ზრდასთან ერთად გაზარდოს ბაზრის წილი
- შეთავაზებული პროდუქციის დივერსიფიკაცია
- ფილიალების ქსელის გაფართოება საქართველოს მასშტაბით და საერთაშორისო ბაზარზე წარმომადგენლობის გაძლიერება

- ახალი ბაზრების ათვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ

ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება

„კომპანიის“ განვითარებისათვის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება, კერძოდ სასაწყობე და საოპერაციო ობიექტების მშენებლობა. განვითარების სტრატეგიის მიხედვით „კომპანია“ დამატებით განიხილავს სასესხო და/ან სააქციო კაპიტალის ბაზარზე გასვლას და სამომავლო პროექტების დასაფინანსებლად კაპიტალის მოზიდვას. „კომპანია“ განვითარებისათვის მიზნად ისახავს დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსის მოძიებას, მათ შორის მიზნად ისახავს მსხვილ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ფონდებთან აქტიურ თანამშრომლობას. მოზიდული კაპიტალი „კომპანიას“ საშუალებას მისცემს შეამციროს სასესხო ვალდებულების ტვირთი და დააფინანსოს სამომავლო პროექტები.
ინფრასტრქტუტურის განვითარება 2025 და 2026 წლებშიც კვლავ ჯგუფის პრიორიტეტს წარმოადგენს. 2026 წელს დასრულდება ერთ-ერთი გამორჩეული პროექტი, რომელიც მოემსახურება სატვირთო, მძიმე და მსუბუქი ავტომობილების სერვისს. აღნიშნული პროექტის მშენებლობა მიმდინარეობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან თბილისის შემოვლით გზაზე, კერძოდ, გეზის ტერიტორიაზე,გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ჯამური ფართობით 39,668 კვ.მ.
გარდა მასშტაბური სერვისცენტრებისა, ჯგუფის გეგმაშია საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალების ქსელის გაფართოებას. ახალი სერვისცენტრების კონცეფციის მთავარი იდეა არის მოქნილობის მაქსიმალური გაზრდა.

საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე აქციების გამოშვება

შპს „თეგეტა მოტორსის“ გრძელვადიანი სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე გასვლა და აქციების გამოშვება, რაც არამარტო „კომპანიისთვის“, არამედ ქვეყნისა და ინდუსტრიისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ეკონომიკური განვითარებისათვის.

კომპანიის საოპერაციო გარემოს მოკლე მიმოხილვა

საავტომობილო პარკი

საქართველოს საავტომობილო პარკი სტაბილური ზრდის ტემპით ხასიათდება. 2025 წლის ივნისის მონაცემებით, საავტომობილო პარკი 1.9 მილიონ რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებას მოიცავდა, წლიური ზრდის ტემპით 7.2%. 2019-დან 2025 წლამდე საავტომობილო პარკის სტრუქტურა ძირითადად უცვლელი დარჩა. ყველაზე დიდი წილს, 82.1% მსუბუქი ავტომობილები შეადგენდა, რასაც მოყვება სატვირთო მანქანები (6.6%) და სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური ტექნიკა (2.9%). დარჩენილი ნაწილი სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებისგან შედგება, რომლებიც მთლიანი საავტომობილო პარკის უმნიშვნელო წილს შეადგენენ.

ინფრასტრუქტურული პროექტები

კორპორაციული გაყიდვების არხი „კომპანიის“ გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მაგალითისათვის მოიცავს სხვადასხვა სექტორში მომუშავე კომპანიებს და არ არის შეზღუდული: გზების და ჰესების მშენებლობა, სამთო სამომპოვებლო სამუშაოები, სამშენებლო მასალების, რკინის და მეტალის წარმოება. აღნიშნულ კომპანიებთან თეგეტა მოტორსს აქვს გრძელვადიანი კონტრაქტები რის ფარგლ ებშიც „კომპანია“ ახორციელებს მძიმე ტექნიკის და დაკავშირებული მომსახურებების და პროდუქტის მიწოდებას სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მომუშავე კლიენტებისთვის. სახელმწიფოს სტრატეგიის შესაბამისად აღნიშნულ პროექტებზე

გამოყოფილია რამდენიმე ასეული მილიონი, რაც თავის მხრივ აძლევს „კომპანიას“ საშუალებას გაზარდოს გაყიდვები კორპორაციულ არხში. სამოქმედო სტრატეგიის მიხედვით უახლოეს 1-4 წლიან პერიოდში დაგეგმილია და მიმდინარეობს რამდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრიორიტეტებად განსაზღვრული აქვს ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისა და მზარდი დინამიკის უზრუნველყოფისთვის რამდენიმე პრიორიტეტი: გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია, სკოლების რეაბილიტაცია, რეგიონალური განვითარება და წყალმომარაგება.

ცენტრალური ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კაპიტალური დანახარჯები ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა. მოსალოდნელია, რომ გაზრდილი დანახარჯები შენარჩუნდება და სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, 2026 წელს ხარჯები 3.9 მილიარდ ლარს მიაღწევს. სახელმწიფო ბიუჯეტი 2027-29 წლების კაპიტალური ხარჯების მერყეობასაჩვენებს, რადგან შემდგომში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხები ჯერ არ არის განსაზღვრული. მოსალოდნელია, რომ შემდგომში ხარჯები თანდათან გაიზრდება ახალი პროექტებისთვის ხარჯების განაწილების შესაბამისად.

სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური დანახარჯები ინფრასტრუქტურულ პროექტებზესაქართველოში, მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რეგიონალური და საერთაშორისო გზები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეგიდით, საავტომობილო გზების დეპარტამენტს ევალება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების განხორციელება და მშენებლობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე.

2025 წლის ბიუჯეტში შეტანილი საგზაო პროექტების სია, რომლებზეც 2025-28 წლების პერიოდისთვის გამოყოფილი ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია:

- **საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია** - პროექტის მიზანია არსებულ საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვებისა და მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სახიდე გადასასვლელების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. პროექტი სრულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 2025-28 წლებში 2.7 მლრდ ლარს შეადგენს.

- **სენაკი-ფოთი-სარფის გზა** - ბათუმი (ჭოროხი) - სარფის მონაკვეთზე 4კმ-იანი საავტომობილო გზის და 7 კმ-იანი გვირაბის მშენებლობით გაუმჯობესდება საავტომობილო გზაზე ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება. შედეგად, მივიღებთ საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის გაზრდილ კონკურენტუნარიანობას სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში და ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფას. სამშენებლო სამუშაოები 2025 წელს დაიწყება აზიის განვითარების ბანკის დახმარებით (ADB) და პროექტის ჯამური ღირებულება 2025-28 წლებში 0.6 მლრდ ლარს შეადგენს.

- **თბილისი-წითელი ხიდის გზა** - აშენებული 32 კმ-იანი საავტომობილო გზით, გაუმჯობესდება ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, შემცირდება მგზავრობის დრო და ა.შ. რის შედეგადაც გაიზრდება საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობა სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში და უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობას. სამშენებლო სამუშაოები ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) დახმარებით მიმდინარეობს და 2025-28 წლებში პროექტი 0.5 მლრდ ლარით დაფინანსდება.

შედარებით მცირე ზომის დაგეგმილი საგზაო პროექტებია:

- ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა და მოდერნიზაცია (EIB)
- მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის, ქვემეთი-კობის მონაკვეთზე გზის და გვირაბის მშენებლობა (ADB, EBRD)
- სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის 0-50 კმ მონაკვეთის მოდერნიზაცია და მშენებლობა (EIB, EU)
- მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზაზე ხანდო-ფასანაურის და არშა-სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთების მშენებლობა
- თბილის-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა (WB)
- ხულო-ზარზმას მონაკვეთის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია ბაღვაში (ანგისა)-ახალციხის გზაზე (ქუვეითის ფონდი)
- თბილის-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია და მშენებლობა (EIB, WB)
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესება (ზემო ოსიაური-რიკოტი) (EIB, WB)
- სახელმწიფო მნიშვნელობის გზაზე ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია (ADB)
- ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი-არგვეთის მონაკვეთის რეკონსტრუქცია და მშენებლობა
- თბილის-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჯინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა
- მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა (ADB)

ემიტენტის პარტნიორები

„კომპანიის“ დამფუძნებლების სტრუქტურა:



პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის, ემიტენტის 98.78%-ის წილის მფლობელი არის შპს „თი ჯი ემ ჯგუფი“ (ს/ნ: 405347058), ხოლო დარჩენილ 1.22%-ის წილს ფლობს ბატონი თემურ კოხოძე (პ/ნ: 42001000456).

თავის მხრივ, პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ მესაკუთრეები არიან თემურ კოხოძე (პ/ნ: 42001000456) – 92.1%, მარინე მუმლაძე (პ/ნ: 01006011335) – 3.95% და გიორგი მშვილდაძე (პ/ნ: 01006011532) – 3.95%.

„კომპანიის“ ამჟამინდელი ორგანიზაციული სტრუქტურა:

„თეგეტა მოტორსი“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რომელიც დაყოფილია ოთხ ძირითად დივიზიად, რომლებიც თავიანთი მხრივ ოპერირებენ 38 100% შვილობილი და 12 ნაწილობრივ მფლობელობაში არსებული კომპანიების საშუალებით.

„კომპანიის“ ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტი - ორგანიზაციული სტრუქტურა.“

ემიტენტის მენეჯმენტი და ჯგუფის ძირითადი მმართველი გუნდი

ქალბატონი ეკატერინე ქავთარაძე – მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი; რითეილის მთავარი ოფიცრის მოვალეობის შემსრულებელი.

ბატონი ნიკოლოზ ხიდურელი - მთავარი ფინანსური ოფიცერი

ბატონი პეტრე წაქაძე - მსუბუქი ავტომობილების მთავარი ოფიცერი

გიორგი ბერიძე- სპეციალური დანიშნულების, სატვირთო, კომერციული ტექნიკისა და ავტობუსების მთავარი ოფიცერი

ქალბატონი რუსუდან სანიკიძე - კორპორატიული სერვისების მთავარი ოფიცერი

ქალბატონი ირინა ქიტიაშვილი - მთავარი საოპერაციო ოფიცერი

ემიტენტის კორპორატიული მართვის წყობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტის ქვეგანყოფილება „დამფუძნებლები, მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მომდევნო ცხრილში შეჯამებულია ძირითადი ფინანსური ინდიკატორები „კომპანიის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშებიდან, რომელიც ეფუძნება აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს (2024 და 2023 წლებისათვის) და შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს (2025 და 2024 წლების ნახევარწლიური რეპორტებისთვის). აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს, IFRS) შესაბამისად. 2024 და 2023 წლებისათვის მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის არამოდიფიცირებული. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და დამატებითი დეტალები შესაბამისად მითითებულია თანდართულ ანგარიშგებაში. ემისიის პროსპექტში გამჟღავნებული ფინანსური ანგარიშგებების მომზდების პერიოდში კომპანიის ფინანსური აუდიტორია შპს დელოიტი და ტუში (ს.ნ: 204422240).

პროსპექტში აღწერილი ინფორმაციის გარდა, 2025 წლის 30 ივნისის შემდეგ და პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს „ემიტენტის“ გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ - *„საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“*

„ემიტენტის“ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2025 HY	2024 HY	2024	2023
ათასი ქართული ლარი	არააუდიტი-რებული	არააუდიტი-რებული	აუდიტი-რებული	აუდიტი-რებული
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	800,005	636,610	1,635,684	1,378,159
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(654,843)	(509,369)	(1,308,261)	(1,081,579)
საერთო მოგება	**145,162**	**127,241**	**327,423**	**296,580**
საოპერაციო ხარჯები	(88,021)	(84,570)	(186,430)	(157,679)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	**57,141**	**42,671**	**140,993**	**138,901**
ფინანსური და სხვა ხარჯები	(39,333)	(32,543)	(53,165)	-
მოგება დაბეგვრამდე	**17,808**	**10,128**	**87,828**	**81,128**
მოგების გადასახადის ხარჯი	(41)	-	(86)	(104)
წლის მოგება	**17,767**	**10,128**	**87,742**	**81,024**
უცხოური ოპერაციების კონვერტაციისას გაცვლითი სხვაობები	(28)	-	(417)	(94)
მთლიანი სრული შემოსავალი	**17,739**	**10,128**	**87,325**	**80,930**

„ემიტენტის“ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება:

	2025 წლის 30 ივნისი (პრო-ფორმა)**	2025 წლის 30 ივნისი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ათასი ლარი	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
სულ გრძელვადიანი აქტივები	522,004	482,004	479,429	394,269
სულ მიმდინარე აქტივები	623,812	623,812	701,001	564,576
სულ აქტივები	**1,145,816**	**1,105,816**	**1,180,430**	**958,845**
სულ კაპიტალი	**271,505**	**271,505**	**272,584**	**224,548**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	430,827	170,827	177,445	346,982
სულ მიმდინარე ვალდებულებები	443,948	663,948	730,783	386,986
სულ ვალდებულებები	**874,775**	**834,775**	**908,228**	**733,968**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**1,145,816**	**1,105,816**	**1,180,430**	**958,845**

**„მეწარმეთა შესახებ“ საქართველო კანონის მიხედვით, კომპანიას არ აქვს შექმნილი „საწესდებო კაპიტალი“, რომელიც აღნიშნულ კანონში განმარტებული „განთავსებული კაპიტალის“ ექვივალენტური ტერმინია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი, საწესდებო კაპიტალის მუხლში მითითებული თანხა წარმოადგენს „დამატებით შენატანს კაპიტალში“ და იგი შესაბამისად არ ასრულებს დამცავი მექანიზმის ან/და ბუფერის როლს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველო კანონის 145-ე მუხლის ფარგლებში დივიდენდის გაცემასთან და კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის” ქვეთავი, რისკი 1.17.*

***პრო-ფორმა კოეფიციენტი მოიცავს 2025 წლის დეკემბერში გამოშვებულ 260,000 ათასი ლარის მდგრადობასთან დაკავშირებულ ობლიგაციების ეფექტს (ISIN: GE 2700605282), რის მიზნობრიობასაც წარმოადგენს 220,000 ათასი ლარის პროცენტიანი ვალდებულებების რეფინანსირება და 40,0000 ათასი ლარის კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. მოცემული პროსპექტის ფარგლებში გამოსაშვებ ობლიგაციებს, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის კოეფიციენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან მოზიდული სახსრები სრულად ხმარდება პროცენტიანი ვალდებულებების ნაწილობრივ რეფინანსირებას.*

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

„ემიტენტი“ თვლის, რომ შემდეგი ინდიკატორები ინვესტორებს აწვდის სასარგებლო ინფორმაციას და ინვესტორები შეძლებენ „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების, ასევე მისი აქტივების ხარისხისა და ბიზნესის ძირითადი ასპექტების შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ „ემიტენტის“ მიერ კოეფიციენტების დათვლის მეთოდოლოგია შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომპანიების მიერ მსგავსი ინდიკატორების გამოყენებისა და კალკულაციისგან.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები	2025 HY (LTM) Pro-Forma*	2025 HY (LTM)	2024	2023

სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	2.2	2.1	2.0	1.9
სესხების EBITDA-სთან შეფარდება	3.3	3.1	3.3	2.6
წმინდა სესხების EBITDA-სთან შეფარდება	3.2	2.9	3.0	2.4
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	2.6	2.6	2.5	2.5
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.5	0.5	0.5	0.4

მომგებიანობის კოეფიციენტები	**2025 HY (LTM) Pro-Forma***	**2025 HY (LTM)**	**2024**	**2023**
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	8.6%	8.8%	8.3%	9.2%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	38.8%	38.8%	36.5%	41.0%
ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი	23.5%	29.3%	28.4%	27.8%
საერთო მოგების მარჟა	19.2%	19.2%	20.0%	21.5%
საოპერაციო მოგების მარჟა	8.6%	8.6%	8.6%	10.1%
წმინდა მოგების მარჟა	5.3%	5.3%	5.3%	5.9%

ლიკვიდურობის კოეფიციენტები	**2025 HY (LTM) Pro-Forma***	**2025 HY (LTM)**	**2024**	**2023**
ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	0.1	0.1	0.2	0.1
ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	0.3	0.2	0.3	0.3
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	6.8	6.8	7.1	8.9
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	1.4	0.9	1.0	1.4
საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი	26.0%	20.8%	20.1%	15.4%
სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR)	2.6	2.6	2.4	2.5

საოპერაციო კოეფიციენტები	**2025 HY (LTM) Pro-Forma***	**2025 HY (LTM)**	**2024**	**2023**
ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი	5.6	5.9	6.4	6.6
მარაგების ბრუნვის დღეები	99.3	99.3	92.8	108.1
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები	19.9	19.9	32.0	18.3
სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები	50.8	50.8	56.9	62.6
ფულის ამოღების ციკლი	68.4	68.4	67.9	63.8

ობლიგაციების კოვენანტი	**2025 HY (LTM) Pro-Forma***	**2025 HY (LTM)**	**2024**	**2023**
წმინდა ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან*	3.09	2.87	2.89	2.32
DSCR - ვალის მომსახურების კოეფიციენტი***	2.35	2.35	2.67	3.05

**პრო-ფორმა კოეფიციენტი მოიცავს 2025 წლის დეკემბერში გამოშვებულ 260,000 ათასი ლარის მდგრადობასთან დაკავშირებულ ობლიგაციების ეფექტს (ISIN: GE 2700605282), რის მიზნობრიობასაც წარმოადგენს 220,000 ათასი ლარის პროცენტიანი ვალდებულებების რეფინანსირება და 40,0000 ათასი ლარის კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. მოცემული პროსპექტის ფარგლებში გამოსაშვებ ობლიგაციებს, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის კოეფიციენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან მოზიდული სახსრები სრულად ხმარდება პროცენტიანი ვალდებულებების ნაწილობრივ რეფინანსირებას.*

ზოგადი შენიშვნები:
პროფორმა კოეფიციენტები ასახავს ობლიგაციების გამოშვების გავლენას „ჯგუფის“ დავალიანებაზე და შესაბამის ფინანსურ კოეფიციენტებზე.

„კომპანია“ გეგმავს, რომ „ობლიგაციების“ განთავსებიდან მიღებული ფულადი სახსრები სრულად გამოიყენოს პროცენტიანი ვალდებულებების ნაწილობრივი რეფინანსირებისთვის.

შესადარისობისა და სისწორისთვის, 2025 წლის 6 თვის კოეფიციენტები დათვლილია LTM (ივნისის მდგომარეობით უკანასკნელი 12 თვის) მონაცემებით. თუმცა, გარკვეული მომგებიანობის კოეფიციენტების კალკულაცია ასევე შესაძლებელია 6 თვის მდგომარეობით. 6 თვის მდგომარეობით გამოთვლილი ზოგიერთი მაჩვენებელი ჩამორჩება LTM მონაცემებს, რაც ნაწილობრივ გამომდინარეობს კომპანიის გაფართოვების შემდგომ საოპერაციო ხარჯების ნორმალიზებით. 2025 წლის 6 თვის საოპერაციო შედეგებისა თუ მომგებიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტი - საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

EBITDA - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას დამატებული ცვეთისა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი.

EBIT - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება

***წმინდა ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან** - წარმოადგენს ობლიგაციების ფინანსურს კოვენანტს, იხილეთ ობლიგაციების გამოშვების პირობების პუნქტი - 1.2 „ვალდებულებები“

****პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი**** - წარმოადგენს ობლიგაციების ფინანსურს კოვენანტს, იხილეთ ობლიგაციების გამოშვების პირობების პუნქტი - 1.2 „ვალდებულებები“

*****DSCR - ვალის მომსახურების კოეფიციენტი***** - წარმოადგენს ობლიგაციების ფინანსურს კოვენანტს, იხილეთ ობლიგაციების გამოშვების პირობების პუნქტი - 1.2 „ვალდებულებები“

ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

ა) **ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტების განმარტება:**

სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრების, ობლიგაციების, საიჯარო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ კაპიტალზე;

სესხების EBITDA-სთან შეფარდება: პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრების, ობლიგაციების, საიჯარო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების ჯამი გაყოფილი EBITDA-ზე (2024 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA);

წმინდა სესხების EBITDA-სთან შეფარდება: პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრების, ობლიგაციების, საიჯარო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების ჯამს გამოკლებული ფულადი სახსრები (*შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულადი სახსრების გამოკლებით*) გაყოფილი EBITDA-ზე;

კოეფიციენტების დათვლის მიზნებისთვის, ნასესხები სახსრები არ მოიცავს ფულით უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR): პერიოდის EBIT / (ნასესხები სახსრებისა და ობლიგაციების საპროცენტო ხარჯი + საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი + კაპიტალიზირებული პროცენტი + საპროცენტო ხარჯი სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBIT და საპროცენტო ხარჯი);

მთლიანი ვალის კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრების, ობლიგაციების, საიჯარო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ მთლიან აქტივებზე;

ბ) მომგებიანობის კოეფიციენტების განმარტება:

უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე: პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო აქტივებზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის მთლიანი სრული შემოსავალი);

უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე: პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო კაპიტალზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის მთლიანი სრული შემოსავალი);

ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი: პერიოდის EBIT (საოპერაციო მოგება) გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებული საშუალო ჯამური აქტივებისა და საშუალო მოკლევადიანი ვალდებულებების სხვაობაზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBIT);

საერთო მოგების მარჟა: საერთო მოგება გაყოფილი შემოსავალზე მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (2025 HY შემთხვევაში აღებული ბოლო 12 თვის საერთო მოგება და შემოსავალი);

საოპერაციო მოგების მარჟა (EBIT მარჟა): EBIT (საოპერაციო მოგება) გაყოფილი შემოსავალზე მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (2025 HY შემთხვევაში აღებული ბოლო 12 თვის EBIT და შემოსავალი);

მთლიანი სრული შემოსავლის მარჟა: პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გაყოფილი შემოსავალზე მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (2025 HY შემთხვევაში აღებული ბოლო 12 თვის მთლიანი სრული შემოსავალი და შემოსავალი);

დივიდენდის შემოსავლიანობის კოეფიციენტი: პერიოდის განმავლობაში გადახდილი დივიდენდი გაყოფილი წლის საშუალო კაპიტალზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის განმავლობაში გადახდილი დივიდენდი).

გ) ლიკვიდურობის კოეფიციენტების განმარტება:

ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები: პერიოდის ბოლოს არსებული ფული და ბანკში არსებული ნაშთები (შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულადი სახსრების გამოკლებით) და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ჯამი გაყოფილი მთლიან აქტივებზე;

ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები: პერიოდის ბოლოს არსებული ფული და ბანკში არსებული ნაშთები (შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულადი სახსრების გამოკლებით) და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ჯამი გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე;

საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი: ბოლო 12 თვის გაყიდვები გაყოფილი პერიოდის საშუალო მოკლევადიან აქტივებს (სასაქონლო მარაგებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გადახდილ ავანსებს) - მოკლევადიანი ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, სახელშეკრულებო ვალდებულებები);

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული მოკლევადიანი აქტივები (შეზღუდული ფულის გამოკლებით) გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.

საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი: პერიოდის წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო მოკლევადიან ვალდებულებებზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან).

სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) - პერიოდის EBITDA / (ანუიტეტური სესხის/გარანტიის/იჯარის ძირი თანხა და პროცენტი + კუპონი) (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA და ძირი თანხა + საპროცენტო ხარჯი);

დ) საოპერაციო კოეფიციენტების განმარტება:

ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი: პერიოდის შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო ძირითად საშუალებებზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის შემოსავალი);

მარაგების ბრუნვის დღეები: უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაყოფილი გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365-ზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება);

სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები: უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები გაყოფილი შემოსავალზე მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან და გამრავლებული 365-ზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის შემოსავალი);

სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები: უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები გაყოფილი გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365-ზე (2025 HY შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება);

ფულის ამოღების ციკლი: მარაგების ბრუნვის დღეებს დამატებული სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები და გამოკლებული სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგების სააგენტო. კომპანიის საკრედიტო რეიტინგის დინამიკა წლების განმავლობაში მოცემულია ცხრილში:

რეიტინგის მინიჭების თარიღი	22 მარტი 2019	17 ნოემბერი 2020	4 ნოემბერი 2021	5 ოქტომბერი 2022	4 ოქტომბერი 2023	17 სექტემბერი 2024	17 ივლისი 2025
მინიჭებული რეიტინგი	BB-/Stable	BB-/Stable	BB-/Stable	BB-/Negative	BB-/Stable	BB-/Negative	BB-/Negative

შპს "თეგეტა მოტორსის" Scope Ratings-მა 2025 წლის 17 ივლისს განუახლა რეიტინგი, რომელიც BB-/Negative - კატეგორიით განისაზღვრა. საკრედიტო რეიტინგის უახლესი მონაცემები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://scoperatings.com/

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

- „კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე;
- „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე;
- „კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა;
- ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“;
- კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან. ასევე, ემიტენტი დაექვემდებარა სამართალწარმოებას საგადასახადო ორგანოს მხრიდან;
- თუკი ემიტენტმა ვერ მოახერხა სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალიზაცია, ან/და ობლიგაციების სრულად განთავსება, ან საბანკო თუ სხვა დაფინანსების მოპოვება, კომპანიას შესაძლოა შეექმნას ლიკვიდობის პრობლემა;
- კაპიტალის ბაზრის მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე, კომპანიას შეიძლება შეექმნას ლიკვიდობის პრობლემა;
- კომპანიის განთავსებული კაპიტალი წესდების შესაბამისად არ არის განსაზღვრული, შესაბამისად მასზე არ გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, მათ შორის, დივიდენდის განაწილებასთან და კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით;

- ვინაიდან კომპანია მეტწილად საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;
- „კომპანიის“ ან შესაბამისი გარანტორების გადახდისუუნარობის შემთხვევაში „ობლიგაციები“ ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად;
- შესაძლებელია მოხდეს „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა;
- „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი;
- საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს;
- პროსპექტში ნაჩვენები გარკვეული პერიოდების განმავლობაში „ემიტენტის“ ფინანსური კოეფიციენტების ნაწილი არ აკმაყოფილებს სესხებზე ფინანსური კოვენანტების შესაბამის ნიშნულებს. „ემიტენტმა“ შესაძლოა ვერ შეძლოს აღნიშნული კოეფიციენტების გაუმჯობესება კოვენანტში მითითებულ თარიღზე და დაერღვეს გარკვეული კოვენანტები და ვერ შეძლოს დასტურის წერილის მიღება შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტებისგან;
- სოლიდარულ თავდებობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და „ობლიგაციების“ გადაცემასთან დაკავშირებული რისკები.

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვის ნაწილში გამჟღავნებული რისკ ფაქტორები მოიცავს მხოლოდ ემიტენტისთვის მნიშვნელოვნად მატერიალურ რისკებს და არ ასახავს სრულ ინფორმაციას ინდუსტრიასა და ეკონომიკასთან, ემიტენტის საქმიანობასთან და შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ რისკებზე. სრული ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტი, „რისკის ფაქტორების“ ქვეთავი.“

“ემიტენტის” აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები:

„ემიტენტის“ 2023 და 2024 ფინანსური წლების აუდიტორი: შპს „დელოიტი და ტუში“, ს/ნ: 204422240, მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #70, ტელ: (+995 32) 2 24 45 66, ვებ-გვერდი:www.deloitte.com/ge/ka

შეთავაზებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები/მხარეები:

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10.

სარეიტინგო კომპანია: Scope Ratings

კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961), მისამართი: მარჯანიშვილის ქ. 7, 0102, თბილისი, ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge, ვებგვერდი: www.tbccapital.ge/, ტელეფონი: (+995 32) 227 27 33;. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, განთავსების აგენტი შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ ისინი დაეხმარებიან „ობლიგაციების“ განთავსებაში, არაგარანტირებული (Best Effort) საფუძვლით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება „ემიტენტის“ მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი

ემიტენტი და განთავსების აგენტი, ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია „განთავსების აგენტთან“ („განთავსების აგენტი“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტს“ კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება

ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, ემიტენტის ხელმძღვანელობა, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან აქციონერი არ აპირებენ შეთავაზებაში მონაწილეობას და ფასიანი ქაღალდების შეძენას. ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია ისეთი პირის შესახებ, რომელმაც წინასწარ გამოთქვა სურვილი შეეძინა შეთავაზების 5%-ზე მეტი.

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს ობლიგაციების გამოშვებას, რომელთა ნომინალური ღირებულება იქნება 60,000,000 დოლარამდე ან მისი ექვივალენტი ევროში ან ლარში, საიდანაც მიღებული წმინდა სახსრები შეადგენს მოზიდული სახსრების არანაკლებ 98%-ს.

„კომპანია“ გეგმავს „ობლიგაციების“ განთავსებიდან მიღებული სრული თანხის გამოყენებას პროცენტიანი ვალდებულებების ნაწილობრივი რეფინანსირებისთვის.

რეფინანსირების შედეგად, „კომპანია“ ვარაუდობს საპროცენტო ხარჯების მცირე ცვლილებებს. ეს გამოწვეულია ობლიგაციების კუპონის განაკვეთსა და რეფინანსირებული ვალდებულებების განაკვეთებს შორის პოტენციური განსხვავებებით. თუმცა, ზუსტი ზემოქმედების შეფასება ამ პროსპექტის თარიღის მდგომარეობით შეუძლებელია.

რეფინანსირების შედეგად, „კომპანია“ ვარაუდობს სავალუტო პოზიციების მცირე ცვლილებებს. ეს გამოწვეულია ობლიგაციების ვალუტისა და რეფინანსირებული ვალდებულებების ვალუტას შორის პოტენციური განსხვავებებით. თუმცა, ზუსტი ზემოქმედების შეფასება ამ პროსპექტის თარიღის მდგომარეობით შეუძლებელია.

„ემიტენტი“ რეფინანსირებას გაუკეთებს კონკრეტულ ვალდებულებებს „ობლიგაციების“ გამოშვების საბოლოო პირობების შესაბამისად. თუ „კომპანიას“ ექნება დეტალური ინფორმაცია რეფინანსირებული ვალდებულებების შესახებ ობლიგაციების გამოშვების შემდეგ, ის გაამჟღავნებს ამ ინფორმაციას კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, ასეთი შეფასება შეუძლებელია „პროსპექტის“ მომზადების თარიღისთვის.

„ობლიგაციების“პირობებია:

მოცულობა - 60,000,000 დოლარამდე ან მისი ექვივალენტი ევროსა და ლარში; ნომინალი - დოლარი, ევრო ან ლარი;

თითოეული ემისიისთვის ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს (ასი პროცენტი); ობლიგაციების გამოშვების დეტალური პირობები, როგორიცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, დენომინაცია, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და შესაბამისი ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; ვადიანობა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთიმოცემულთაგან: 1) 3 თვე; 2) 6 თვე; 3) 1 წელი; 4) 2 წელი; 5) 3 წელი; 6) 4 წელი; 7) 5 წელი;

სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი

შპს „თეგეტა მოტორსი“ (ს/ნ: 202177205)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: „სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *“როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მათთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს გახდიდა.“*

„ემიტენტის“ 2024 და 2023 ფინანსური წლების აუდიტორი: შპს “დელოიტი და ტუში“, ს/ნ: 204422240, მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #70, ტელ: (+995 32) 224 45 66, ვებ-გვერდი: www.deloitte.com/ge/ka

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა „კომპანიის“ ფინანსური აუდიტორის ცვლილება.
შეთავაზებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები/მხარეები:

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400), მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი, ტელ.: +995 32 250 02 11. ვებ-გვერდი: gcsd.ge

„ემიტენტის“ კალკულაციისა და განთავსების აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961), მისამართი: მარჯანიშვილის ქ. 7, 0102, თბილისი, ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge, ვებგვერდი: www.tbccapital.ge/, ტელეფონი: (+995 32) 227 27 33;. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა..

მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, განთავსების აგენტი შეუთანხმდნენ „კომპანიას“, რომ ისინი დაეხმარებიან „ობლიგაციების“ განთავსებაში, არაგარანტირებული (Best Effort) საფუძვლით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგების სააგენტო. კომპანიის საკრედიტო რეიტინგის დინამიკა წლების განმავლობაში მოცემულია ცხრილში:

რეიტინგის მინიჭების თარიღი	22 მარტი 2019	17 ნოემბერი 2020	4 ნოემბერი 2021	5 ოქტომბერი 2022	4 ოქტომბერი 2023	17 სექტემბერი 2024	17 ივლისი 2025

მინიჭებული რეიტინგი	BB-/Stable	BB-/Stable	BB-/Stable	BB-/Negative	BB-/Stable	BB-/Negative	BB-/Negative

შპს "თეგეტა მოტორსის" Scope Ratings-მა 2025 წლის 17 ივლისს განუახლა რეიტინგი, რომელიც BB-/Negative - კატეგორიით განისაზღვრა. საკრედიტო რეიტინგის უახლესი მონაცემები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://scoperatings.com/

შპს "თეგეტა მოტორსისთვის" რეიტინგის მინიჭების რაციონალი შემდეგია:

- ბიზნეს რისკის პროფილს მხარს უჭერს საქართველოში ბაზრის მაღალი წილი და მაღალი მომგებიანობა.
- „თეგეტას" მაღალი მარაგების შენარჩუნების სტრატეგიამ მას სწრაფი მიწოდების სერვისის მიწოდების კონკურენტული უპირატესობა მისცა. კომპანიის სტრატეგიულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მის 23 ძირითად მომწოდებლებთან, მათ შორის Toyota-სთან, Volvo-სთან, Porsche-სთან, Man-თან და JCB-სთან მჭიდრო ურთიერთობამ მას რეგიონში ბაზრის წილი შეუნარჩუნა. „თეგეტა" მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემოსავალი 119%-ით გაიზარდა, რაც საქართველოში ხელსაყრელი ეკონომიკური ტენდენციისა და ახალი ბრენდებისა და მეზობელი ქვეყნების უწყვეტი გაფართოების წყალობით მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ 2025 წელს 1,942 მილიონი ლარის შემოსავლით (611 მილიონი ევრო, 18.7%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით), „თეგეტა" დიდია საქართველოში, საერთაშორისო კონკურენტებთან შედარებით ის მცირე საცალო ვაჭრობის კომპანიაა.
- დივერსიფიკაცია ბიზნეს რისკის პროფილის ყველაზე სუსტი ელემენტია. ემიტენტის მიერ საქართველოსა და კავკასიის რეგიონებზე მუდმივი ფოკუსირება ზღუდავს მაკროეკონომიკური რისკის შემცირების შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროდუქტი ციკლურ საავტომობილო კატეგორიაში ხვდება, Scope აღნიშნავს, რომ ჯგუფი ნაწილობრივ ამცირებს შემოსავლების ციკლურობას. ეს განპირობებულია მუნიციპალიტეტებთან და კორპორაციებთან საავტომობილო პარკის ისტორიულად მაღალი რაოდენობის გარიგებებით, ასევე შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილით (31% 2024 წელს) საავტომობილო ნაწილებიდან და მომსახურებიდან.
- მომგებიანობა "თეგეტას" ბიზნეს რისკის პროფილის შეფასების მთავარი ძლიერი მხარეა. Scope-ის მიერ კორექტირებული EBITDA მარჟებით*, რომელიც 2018-2024 წლებში საშუალოდ 10%-ს შეადგენს, "ემიტენტს", როგორც წესი, უფრო მაღალი მომგებიანობა აქვს, ვიდრე მის კონკურენტებს. 2023 წლის 11.7%-დან 2024 წელს 10.9%-მდე მცირედი შემცირების შემდეგ, Scope ვარაუდობს, რომ EBITDA მარჟა კიდევ უფრო შემცირდება დაახლოებით 9.6%-მდე და შემდეგ ამ დონეზე დარჩება მთელი პროგნოზირებული პერიოდის განმავლობაში, რაც განპირობებულია გაყიდვების უფრო მაღალი ღირებულებით.
- EBITDA-ს უწყვეტი ზრდა ისტორიულად ხელს უწყობდა ფინანსური რისკის პროფილს და ნაწილობრივ აკომპენსირებს ვალით დაფინანსებულ შესყიდვებსა და მაღალ კაპიტალურ დანახარჯებს.
- Scope-ის პროექტების ბერკეტი, რომელიც იზომება debt/EBITDA-ს მიხედვით, მომდევნო სამი წლის განმავლობაში 3x-დან 3.5x-მდე მერყეობს. მიუხედავად იმისა, რომ ვალი 2025 წელს ოდნავ მაღალი იქნება (გეზის პროექტისთვის ახალი სესხის და ვადაგასული ობლიგაციების რეფინანსირების გამო), საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში EBITDA-ს ზრდა ამ ზრდას კომპენსირებას მოახდენს.
- პროცენტის დაფარვა, სავარაუდოდ, 2025 წელს ოდნავ შემცირდება, რაც შეზღუდული იქნება ახალი ვალის გამოშვებით, მაგრამ ის დაახლოებით 3x-ის დონეზე უნდა დარჩეს, ხოლო ვალის ღირებულება, სავარაუდოდ, სტაბილური დარჩება. Scope ვარაუდობს, რომ EBITDA-ს თანმიმდევრული ზრდა ემიტენტს საშუალებას მისცემს, შეინარჩუნოს ვალის დაცვა ადეკვატური, რაც საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დაფინანსების მისაღებად მარჟებს დატოვებს.
- Scope Ratings კომპანიის ლიკვიდურობის პოზიციას არასაკმარისად მიიჩნევს 2025 წელს ვალის ვადის სრულად დასაფარად, რაც გულისხმობს რეფინანსირების მუდმივ საჭიროებას. სარეიტინგო სააგენტო ასევე ხაზს უსვამს,

რომ მოკლევადიან ორწლიან ობლიგაციებზე დამოკიდებულება შესაძლოა არ წარმოადგენდეს მდგრადი გრძელვადიანი დაფინანსების სტრატეგიას.

ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო რეიტინგის ამაღლება:

- დაფინანსების სტრუქტურის ცვლილება ვალის დაფარვის პროფილის გაუმჯობესებითა და ნასესხები სახსრების ვადიანობის განაწილებით (სესხის უფრო ხანგრძლივი ვადით), რითაც უზრუნველყოფილი იქნება მდგრადი ლიკვიდურობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო რეიტინგის დაქვეითება:

- დაფინანსების სტრუქტურის გაუმჯობესების შეუძლებლობა.

კომპანიის მიმოხილვა

„ემიტენტი“ არის **შპს „თეგეტა მოტორსი“**.
მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129.
რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო.
მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.
დაარსების თარიღი: 2001 წელი.

„თეგეტა მოტორსი“ დაარსდა 2001 წელს და შეიქმნა ორი კომპანიის, შპს „ავტოექსპორტისა“ და „თეგეტა მოტორსის“ ბაზაზე. შპს „ავტოექსპორტი“ დაარსდა 1996 წელს. მისი დამფუძნებლები იყვნენ თემურ კოხოძე (60%) და ნანა რუსიშვილი (40%). „კომპანია“ შვიდი წელი ახდენდა სატვირთო და მსუბუქი მანქანების საბურავების იმპორტს. პროდუქციის მოწოდება ხორციელდებოდა რუსეთიდან, უკრაინიდან და იაპონიიდან. „კომპანია“ ყოველ წელს ზრდიდა საბურავების ასორტიმენტს და პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, რის შედეგადაც დაიწყო მრავალწლიანი გაფართოვების პროცესი.

დღეს „კომპანიაში“ დასაქმებულია 2,900 ადამიანზე მეტი. იგი ემსახურება 500, 000-ზე მეტ აქტიურ კლიენტს, 1,500-მდე საჯარო ორგანიზაციას, 60,000-ზე მეტ კორპორაციულ კლიენტს და 7,000-ზე მეტ საბითუმო სავაჭრო პარტნიორს, გამოირჩევა დახვეწილი სავაჭრო ინფრასტრუქტურით და აერთიანებს 31 ფილიალს, რომლებიც თბილისში და საქართველოს დიდ ქალაქებში მდებარეობს. დიღმის სერვის ცენტრი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ კომპლექსს, საერთო ფართით 26,607 კვ.მ, რომელიც თავის თავში აერთიანებს სასაწყობო, სავაჭრო, მომსახურების და საოფისე ფართებს.

“თეგეტა მოტორსი“ კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტოტექმომსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს, რაც მოიცავს თითქმის ყველა მსუბუქი და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის: ავტობუსების, სამშენებლო და სპეცტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო და მიწისმთხრელი ტექნიკის დიაგნოსტირებას და შეკეთებას სპეციალური, ავტორიზებული პროგრამების მეშვეობით. „კომპანია“ მომხმარებელს სთავაზობს 150,000-მდე სახეობის უნიკალურ პროდუქციას, მათ შორს პარტნიორობს და საქართველოში ჩამოყავს მსოფლიოს წამყვანი ბრენდები, მაგალითისათვის ესენია და არაა შეზღუდული:

საქმიანობის 30 წლის განმავლობაში „თეგეტა“ გარდაიქმნა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშედ ავტომობილებით, მძიმე ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობისა და ავტო მომსახურების ინდუსტრიაში. აღსანიშნავია, რომ „თეგეტა მოტორსის“ შემოსავლები რიგით მეორე მოთამაშეს მნიშვნელოვნად აღემატება.

შპს „თეგეტა მოტორსი“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რომელიც დაყოფილია ოთხ ძირითად დივიზიად:

- **რითეილის დივიზია**
- **ფინანსური დივიზია**

- **მსუბუქი ავტომობილების დივიზია**
- **სპეციალური დანიშნულების, სატვირთო, კომერციული ტექნიკისა და ავტობუსების დივიზია**

უმაღლესი დონის სერვისმა დფა საერთაშორისო სტანდარტების სერვის-ცენტრებმა განაპირობა ის, რომ „თეგეტა მოტორსს", პირველად საქართველოში, ავტომობილების გაყიდვისა და მომსახურების სფეროში აღებული აქვს ISO-ს სერტიფიკატი, კერძოდ, კომპანიამ პირველად 2007 წელს გაიარა ISO 9001:2000-ის გარე აუდიტი და მიიღო შესაბამისი სერტიფიცირება, 2016 წელს კომპანია გადავიდა სტანდარტის ახალ ვერსიაზე ISO 9001:2015-ზე და აიღო განახლებული სერთიფიკატი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კუთხით. 2018 წელს კომპანიამ წარმატებით გაიარა ISO 14001:2015-ისა და OHSAS 18001:2007-ის აუდიტები და მიიღო გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სერტიფიცირება. 2020 წლის ბოლოს კომპანიამ გადაწყვიტა გადასულიყო სტანდარტის ახალ ვერსიაზე და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მიიღო ხელახალი სერტიფიცირება - ISO 45001:2018.

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა" ISO-ს სერტიფიცირება, პირველად, 2012 წელს მიიღო ხარისხის მართვის მიმართულებით (ISO 9001:2008) - შემდეგ გადავიდა ISO 9001:2015-ზე. 2019 წელს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა" წარმატებით გაიარა ISO 14001:2015-ის აუდიტი და მიიღო სერტიფიკატი გარემოს დაცვის მიმართულებით; მომდინარე წელს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა" წარმატებით გაიარა C ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარე საკონტროლო აუდიტი და მიიღო სერთიფიკატი, რომ კომპანია აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის სსტ ისო/იეკ 1702:2012/2013-ის მოთხოვნებს და შეუძლია განახორციელოს C ტიპის ინსპექტირება. თითოეული კომპანია სერტიფიკატის მოპოვებიდან დღემდე, ყოველწლიურად გადის გარე საკონტროლო აუდიტს სერტიფიკატის შენარჩუნების მიზნით, ხოლო ყოველ მესამე წელს - ხელახალი სერტიფიცირების მიზნით.

„თეგეტა მოტორსი" პროსპექტის თარიღისთვის მდგომარეობით ოპერირებდა შემდეგი შვილობილი კომპანიების მეშვეობით:

- *შპს* **თეგეტა თრაქ ენდ ბას** - სხვადასხვა სახის სატვირთო ავტომობილების და ავტობუსების იმპორტი, რეალიზაცია. MAN-ის და მრავალი სხვა მძიმე ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი და პარტნიორი საქართველოში;
- *შპს* **თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ** – სამშენებლო, აგრარული, საგზაო და სხვადასხვა სპეც-ტექნიკის იმპორტი, რეალიზაცია. JCB-ის ოფიციალური დილერი საქართველოში;
- *შპს* **თეგეტა პრემიუმ ვიიქელს** – მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რეალიზება და მომსახურება. „პორშეს", „მაზდას", „ბენტლისა" და „ლამბორჯინის" ბრენდების ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში;
- *შპს* **ტოიოტა ცენტრი თეგეტა** – იაპონური ბრენდის Toyota-ს ოფიციალური დილერი და ავტორიზებული სერვის ცენტრი საქართველოში;
- *შპს* **თი-ბი-ეი თეგეტა**– იაპონური ბრენდის Toyota-ს ოფიციალურ დილერი და ავტორიზებული სერვის ცენტრი ბათუმში;
- *შპს* **სკანდინავიან ავტო თეგეტა** – მსუბუქი ავტომობილების რეალიზება და მომსახურება, „ვოლვოს" ოფიციალური დილერი საქართველოში;
- *შპს* **თეგეტა პრაიმ პროდაქტს** – ბრიჯსტოუნის საბურავებისა და მოტულის ბრენდის საპოხი მასალების იმპორტიორი კომპანია;
- *შპს* **თეგეტა ავტომოტივ იმპორტი** – თეგეტა მოტორსის პორტფელში არსებული მიმართულების იმპორტიორი, კერძოდ საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების, ბატარეების, ავტოფარეხების მოწყობილობების და ა.შ;
- *შპს* **თეგეტა ინდასტრი** – წარმოადგენს მზარდ კომპანიას ინდუსტრიულ სფეროში, მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს როგორც მობილური, ასევე სტაციონალური ქვის სამტვრევი ხაზის და ბეტონის მწარმოებელი დანადგარების იმპორტსა და მონტაჟს;

- *შპს* **თეგეტა დისტრიბუცია** – უზრუნველყოფს იმპორტირებული პროდუქციის დისტრიბუციას ქვეყნის მასშტაბით;
- *შპს* **თეგეტა რითეილი** – უზრუნველყოფს იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა არხების მეშვეობით. ასევე აწარმოებს მსუბუქი ავტომობილებისა და მძიმე ტექნიკის რემონტსა და სერვისს საქართველოს მასშტაბით;
- *შპს* **თეგეტა აკადემია** - სასწავლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო სფეროსთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებს. მიღებული აქვს ავტორიზებული პროფესიული კოლეჯის სტატუსი;
- *შპს* **თეგეტა ქომერშელ ვიიქლს**-რენოს ბრენდის ოფიციალური იმპორტიორი;
- *შპს* **ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია** -პორტფელი სრულად მოიცავს სამშენებლო, საკარიერო, საპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო ტექნიკას; შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯიას მფლობელობაშია Construction Machinery Armenia LLC.
- *შპს* **თეგეტა ლიზინგი** - კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ფინანსურ ლიზინგის სერვისს;;
- *შპს* **თეგეტა კაპიტალი** - უზრუნველყოფს საავტომობილო სფეროში ოპერირებადი ინოვაციური ბიზნესების საკონსულტაციო მომსახურებას;
- ***Tegeta Motors Ukraine LLC***- კომპანიის წარმომადგენლობა უკრაინაში;
- ***Tegeta Motors Baku LLC*** - კომპანიის წარმომადგენლობა აზერბაიჯანში, კომპანია ***Aztech and Tegeta Motors LLC*** – ის 99%-იანი წილის მფლობელი (1% წილის მფლობელია შპს „თეგეტა მოტორსი“), რომელიც ოპერირებს სათადარიგო ნაწილების საცალო გაყიდვების მიმართულებით;
- ***Tegeta Motors Central Asia LLC***- კომპანიის წარმომადგენლობა უზბეკეთში;
- *შპს* **ავტო გალერი** - ახალი და მეორადი ავტომობილების იმპორტი და რეალიზაცია, მის მფლობელობაშია *შპს* **თეგეტა ქარ რენთი** - ავტომობილების გაქირავების კომპანია, რომელიც ოპერირებს საერთაშორისო ბრენდის Europcar-ის ფრანჩიზის ფარგლებში და ორიენტირებულიაროგორც საცალო, ისე კორპორატიულ სეგმენტზე დღიური და გრძელვადიანი იჯარის მიმართულებით; შპს თეგეტა ქარ რენთის მფლობელობაშია Car Rent Armenia LLC.
- *შპს* **თეგეტა ინთერნეიშენალ** - არააქტიური კომპანია. მის მფლობელობაშია *შპს* **თეგეტა ფლიტ სოლუშენს** - რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ნებისმიერი სახის სამშენებლო და სპეც ტექნიკის იჯარას გამოცდილი ოპერატორებით, როგორც დღიური ასევე გრძელვადიანი საჭიროებისთვის;
- *შპს* **თეგეტა თაიარ იმპორტს** - უზრუნველყოფს საბურავების იმპორტსა და რეალიზაციას;
- *შპს* **კავკასუს ავტომოტივი** - Volvo-ს, Zeekr-ისა და Geely-ის ბრენდების ავტომობილების ავტორიზებული იმპორტიორი საქართველოში;
- *შპს* **თეგეტა რეალ ისთეით** - არააქტიური საქმიანობა;
- *შპს* **თეგეტა ლოჯისტიკი** - ტვირთის ტრანსპორტირების სერვისი;
- *შპს* **კავკასუს მეშინერი**- Hyundai-ს სამშენებლო და სამრეწველო ტექნიკის ავტორიზებული დილიერი
- *შპს* ***თეგეტა ენერჯი*** - არააქტიური საქმიანობა;
- *შპს* ***ბეილიმ ჰოლდინგს*** – *მის მფლობელობაშია შპს ,,ჯიპიეს ჯორჯია“, რომელიც ოპერირებს GPS მოწყობილობების, საწვავისა და საწვავის სენსორების რეალიზაციის, მონტაჟისა და მონიტორინგის მომსახურების სექტორებში.*
- *შპს* ***I GPS ოპერატორი*** - *საქმიანობს და ოპერირებს GPS მოწყობილობების, საწვავისა და საწვავის სენსორების რეალიზაციის, მონტაჟისა და მონიტორინგის მომსახურების სექტორებში.*
- ***Tegeta Motors Kazakhstan LLC*** - კომპანიის წარმომადგენლობა ყაზახეთში; არააქტიური კომპანია
- ***Tegeta Motors Bishkek LLC*** - კომპანიის წარმომადგენლობა ყირგიზეთში; არააქტიური კომპანია
- ***Tegeta Motors Dushanbe LLC*** - კომპანიის წარმომადგენლობა ტაჯიკეთი; არააქტიური კომპანია
- ***Tegeta Motors USA LLC*** - კომპანიის წარმომადგენლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში; არააქტიური კომპანია

ჩამოთვლილი კომპანიები „ემიტენტთან“ ერთად მოხსენიებული, როგორც „**ჯგუფი**“.

კომპანიას განვითარებული აქვს სხვადასხვა უნიკალური და ინოვაციური პროდუქტები, რომლებიც მას ეხმარება საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში. ასეთებია:

1. *„ჩემი ავტომობილის ისტორია“*

ჩემი ავტომობილის ისტორია არის ონლაინ მომსახურება, რომელთაც მომხმარებლებს საშუალება აქვთ, იხილონ საკუთარი დანახარჯები და დანაზოგები, განხორციელებული მომსახურებებისა თუ შენაძენების ხარჯთაღრიცხვა და მათი ანალიზი სხვადასხვა ჭრილში, ონლაინ რეჟიმში აკონტროლონ საკუთარი ავტომობილის ისტორია, მიიღონ აუცილებელი შეხსენებები და რეკომენდაციები ავტომობილის მოვლასთან დაკავშირებით. www.mycarhistory.ge–ზე მომხმარებლების მიერ „თეგეტა მოტორსში“ განხორციელებული ყოველი ოპერაცია ავტომატურად ვებ-პლატფორმაზე ინახება. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და მომხმარებელს მასზე წვდომა აქვს მხოლოდ ავტორიზაციის გავლის შემდეგ, პირადი მონაცემების შეყვანის საფუძველზე. აღნიშნულ სერვისს არ აქვს ანალოგი ქვეყნის მასშტაბით.

2. ონლაინ რეზერვაცია

ონლაინ რეზერვაცია წარმოადგენს წინასწარი ჩაწერის სერვისს, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დაჯავშნოს ვიზიტი სწრაფი სერვისის, ან სერვისების, მისაღებად „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ფილიალში. მომხმარებელს რამდენიმე წუთში შეუძლია სახლიდან გაუსვლელად ჩაეწეროს მისთვის სასურველ დროს და თავი აარიდოს შესაძლო ლოდინის პროცესს, დაზოგოს დრო და სწრაფად მიიღოს სასურველი სერვისი:

- ძრავის ზეთის შეცვლა;
- ძრავის ზეთის ფილტრის შეცვლა;
- ძრავის ჰაერის ფილტრის შეცვლა;
- საწვავის ფილტრის შეცვლა;
- სალონის ფილტრის შეცვლა;
- საბურავის დაშლა-აწყობა;
- თვლების შეყრა;
- აკუმულატორის შეცვლა;
- საბურავის ბალანსირება;
- ალუმინის დისკების გასწორება;
- ავტომატურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა;
- სავალი ნაწილის შემოწმება.

3. *თეგეტა ქარდი*

“თეგეტა ქარდი” (Classic, Silver, Gold,Platinum) არის ავტომფლობელთათვის განკუთვნილი ლოიალობის ბარათი. ბარათის მფლობელი სარგებლობს „ჩემი ავტომობილის ისტორიის“ ონლაინ მომსახურებით. ნებისმიერი პროდუქტის/მომსახურების შეძენისას „თეგეტა ქარდზე“ აკუმულირდება ქულები, მათი გამოყენება სპეციალურ აქციებში მონაწილეობისას არის შესაძლებელი.

“თეგეტა მოტორსის” ცენტრებში ნებისმიერი შენაძენი პროდუქტსა თუ სერვისზე მომხმარებლის მიერ ისახება “თეგეტა ქარდზე”. ბარათზე ქულების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებისას, მფლობელები მონაწილეობას იღებენ “თეგეტა მოტორსის” სპეციალურ აქციებში, გამოცხადებულ გათამაშებებსა და სხვა ტიპის კომერციულ შეთავაზებებში.

4. *თეგეტა კომფორტი*

„თეგეტა მოტორსი“ მომხმარებელს ავტომობილის შეკეთებას სერვისცენტრში მისვლის გარეშე სთავაზობს. „თეგეტა კომფორტი“ არის მომსახურება საქმიანი ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ დრო თავად მიიყვანონ ავტომობილი

სერვისცენტრში. „თეგეტა მოტორსის“ პერსონალური მენეჯერი მიაკითხავს ავტომობილს მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე და თავად უზრუნველყოფს მის სერვის ცენტრში გადაყვანას და შეკეთებას. პერსონალური მენეჯერი მიდის მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე, იბარებს ავტომობილს, რომელზეც მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას „კომპანია“ და უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებას „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ფილიალში. აღსანიშნავია, რომ ავტომობილი ტრანსპორტირების დროს დაზღვეულია.

5. ავტოსერვისის ტექნიკური პროექტები

„თეგეტა მოტორსი“ მეწარმეებს, რომელთა ბიზნეს გეგმა დაკავშირებულია საავტომობილო სფეროსთან და ავტოტექმომსახურებასთან, ტექნიკურ–საკონსულტაციო დახმარებას სთავაზობს. ავტოსერვისის ბიზნესის დაწყების ან გაფართოების მსურველებს კომპანია სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას:

- ტექნიკური პროექტის შექმნა;
- სამშენებლო პროექტის შექმნა;
- არქიტექტორული გადაწყვეტილებები;
- იურიდიული საკითხების მოგვარება;
- ობიექტის აშენება;
- მოწყობილობა-დანადგარების შერჩევა, მიწოდება, მონტაჟი;
- სარეალიზაციო პროდუქციით მომარაგება;
- დახმარება კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში

6. ონლაინ მაღაზია

„თეგეტამ“ მრავალფუნქციური პორტალი „shop.tegetamotors“ შეიმუშავა, რომლის მიზანია, მომხმარებელს მაქსიმალურად გაუმარტივოს საავტომობილო პროდუქტებისა თუ აქსესუარების მოძიება-შეძენის პროცესი და სწრაფადვე მიაწოდოს მისთვის სასურველ ლოკაციაზე. თეგეტას ონლაინ მაღაზიაში განთავსებულია 20 ათასზე მეტი დასახელების პროდუქცია შემდეგი კატეგორიებიდან:

- საბურავები;
- ნაწილები;
- აკუმულატორები;
- ზეთები-სითხეები;
- დანადგარები;
- აქსესუარები.

მოქნილი და მრავალფუნქციური ვებგვერდი shop.tegetamotors.ge შემდეგ ბენეფიტებს სთავაზობს მომხმარებლებს:

- ადგილზე მიტანის სერვისი;
- მარტივი გადახდა, როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით;
- 300-ზე მეტი საერთაშორისო ბრენდის პროდუქცია;
- დახმარება ონლაინ რეჟიმში;
- მორგებული და სპეციალური შეთავაზებები.

გაყიდვების არხები

თეგეტა მოტორს ჯგუფი ბაზარს უკავშირდება გაყიდვების 4 რეალიზაციის არხით და სეგმენტირებულია შემდეგნაირად: 1) საცალო ვაჭრობა, 2. კორპორატიული კლიენტები, 3. სახელმწიფო ორგანიზაციები; 4. საბითუმო ვაჭრობა.

საცალო ვაჭრობა

ჯგუფს ჰყავს 500,000-ზე მეტი აქტიური კლიენტი, აქედან 103,000 ამავდროულად ერთგულების ბარათის მფლობელიცაა.

კორპორატიული კლიენტები

„თეგეტა მოტორსი“ ემსახურება 60,000-ზე მეტ კორპორატიულ კლიენტს საქართველოში არსებული ყველა ბიზნეს სექტორიდან. კორპორაციული გაყიდვების არხი „ჯგუფის“ გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მოიცავს შემდეგ სექტორში მომუშავე კომპანიებს: გზების და ჰესების მშენებლობა, სამთო-სამომპოვებლო სამუშაოები, სამშენებლო მასალების, რკინის და მეტალის წარმოება.

სახელმწიფო ორგანიზაციები

„თეგეტა მოტორსი“ ემსახურება 1,500-მდე საჯარო ორგანიზაციას, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს მომავალში სახელმწიფო სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდის შესაბამისად გაიზარდოს ბიზნეს მიმართულების მოცულობა.

საბითუმო ვაჭრობა

თეგეტა მოტორსი აქტიურად მოქმედებს საბითუმო გაყიდვების სფეროში. კომპანიას ჰყავს 4,000-ზე მეტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის მასშტაბით. 2018 წელს „თეგეტა მოტორსმა“ შექმნა საბითუმო პორტალი, რის საშუალებითაც სავაჭრო პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ სასურველი პროდუქტი ოფისიდან გაუსვლელად, ონლაინ შეკვეთების საშუალებით.

მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღები

1996 წელს - დაფუძნდა შპს “ავტოექსპორტი”.
1998 წელს - „კომპანია“ გახდა საბურავების გლობალური ბრენდის ბრიჯსტოუნის ექსკლუზიური წარმომადგენელი.
2001 წელს - „კომპანია“ „თეგეტა მოტორსის“ სახელით იკავებს პოზიციებს ბაზარზე.
2003 წელს - „თეგეტა მოტორსმა“ გახსნა თანამედროვე დანადგარებით და ევროპული სტანდარტებით დაკომპლექტებული პირველი სერვისი. ასევე 2003 წელს „თეგეტა მოტორსი“ გახდა სათადარიგო ნაწილების მწარმოებელი გიგანტი ZF-ის წარმომადგენელი.
2001-2009 - გაიხსნა „თეგეტა მოტორსის“ შემდეგი 4 ფილიალი-ცენტრალური ფილიალი, წითელქუდას ფილიალი დიღმის მასივში, პეპელა 1 ფილიალი კახეთის გზატკეცილზე. გლდანის ფილიალი, გორის ფილიალი.
2005 წელს - დაარსდა „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანია შპს “თეგეტა თრაქ & ბას”, რომელიც წარმოადგენს უმსხვილესი გერმანული მანქანათმშენებელი კონცერნის “MAN Nutzfahrzeuge AG”-ის ოფიციალურ პარტნიორს საქართველოში. სპეციალიზირდება სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების რეალიზაციისა და რეალიზაციის შემდგომი საგარანტიო მომსახურების სფეროში.
2006 წელს - „თეგეტა მოტორსი“ Shell-ის საცხებ-საპოხი მასალების ექსკლუზიური წარმომადგენელი გახდა.
2007 წელს - EBRD-სთან თანამშრომლობით გახსნა ცენტრალური ფილიალი - კავკასიაში ყველაზე დიდი ავტოსერვისი.
2007 წელს - დაარსდა „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანია შპს „თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენთ“, რომელიც წარმოადგენს ბრიტანული კომპანია “JCB”-ის ოფიციალურ პარტნიორს საქართველოში. სპეციალიზირდება საგზაო, სამშენებლო და სხვადასხვა სპეც-ტექნიკის რეალიზაციასა და რეალიზაციის შემდგომი საგარანტიო მომსახურების სფეროში.
2008 წელს - „თეგეტა მოტორსმა“ დაიწყო აუდიტორული კომპანიების დიდ ოთხეულთან თანამშრომლობა.
2009 წელს - „თეგეტაში“ დაინერგა SAP-ი, ასევე ამ წელს „თეგეტა“ გახდა Bosch-ის წარმომადგენელი.
2009 წელს - გაიხსნა ქუთაისის ფილიალი.

2010 წელს - გაიხსნა ბელიაშვილის ფილიალი.
2010 წელს - გაიხსნა ვაკის ფილიალი რომელიც წარმოადგენს Bosch-ის ავტორიზებულ სერვის ცენტრს ე.წ. “Bosch Car Service”.
2010 წელს - დაარსდა „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანია შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“ – „პორშეს“ და „მაზდას“ ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში.
2011 წელს - გაიხსნა ახალი სერვის ცენტრები ფოთსა და ბათუმში. ფოთის სერვის ცენტრი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო სერვის ცენტრს არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, რომელიც მდებარეობს საქართველოს მთავარ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.
2011 წელს - „თეგეტა მოტორსმა“ გახსნა „პორშე ცენტრი თბილისი“
2012 წელს - „თეგეტა მოტორსმა“ ქართულ ბაზარზე შემოიყვანა იაპონური ბრენდი „მაზდა“.
2012 წელს - გაიხსნა ქუთაისის მეორე უფრო დიდი მასშტაბის ფილიალი
2012 წელს - „კომპანია“ Groupauto International-ის ოფიციალური წევრი გახდა, რაც საერთაშორისო საავტომობილო ბაზარზე სათადარიგო ნაწილების განაწილებისა და მომსახურების ქსელს წარმოადგენს. გაწევრიანებით „კომპანიამ“ ავტო-სათადარიგო ნაწილების მიმართულებით ოპტიმალური გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და სამომავლო გამოწვევებისათვის საიმედოდ აღიჭურვა.
2013 წელს - „თეგეტა მოტორსის“ ახალი მულტიბრენდული დიზელის სერვის ცენტრის მშენებლობა, რომელსაც ანალოგი არ აქვს ამიერკავკასიის ბაზარზე. სერვის ცენტრი სპეციალურად დიზელზე მომუშავე ავტომობილებისთვისაა განკუთვნილი, როგორც მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებისთვის, ასევე სპეც-ტექნიკისთვის.
2013 წელს - „თეგეტა მოტორსის“ მეხუთე შვილობილი კომპანია შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ დაარსდა - ტოიოტას ახალი სერვისცენტრი საქართველოში. 2013 წელს „თეგეტა მოტორსსა“ და „ტოიოტა კავკასიას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება შედგა, ხოლო 2014 წელს „კომპანიამ“ „ტოიოტა კავკასიისგან“ ტოიოტას დილერისა და ავტორიზებული სერვისცენტრის სტატუსი მიიღო.
2015 წელს - რუხის ფილიალი აფხაზეთის საზღვართან, რომელიც ემსახურება ადგილობრივ მომხმარებლებს და სთავაზობს მსუბუქი ავტომობილების სწრაფ სერვისს
2016 წელს - განახლებულდა ბათუმისა და ქუთაისის ნიკეას ფილიალები
2017 წელს - გაიხსნა ახალი ფილიალები ახალქალაქში, მარნეულსა და თელავში; .
2017 წელს - გაიხსნა „თეგეტა აკადემიის“ თბილისის სასწავლო ცენტრი.
2017 წელს - აზერბაიჯანელ პარტნიორებთან ერთად დაარსდა ერთობლივი საწარმო ბაქოში-აზტეხ თეგეტა მოტორსი.
2017 წელს - „თეგეტამ“ ითანამშრომლა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და მიიღო სიღრმისეული რეკომენდაციები კორპორაციული მართვის კუთხით.
2019 წელს - შპს „თეგეტა მოტორსმა“ მიიღო Scope Ratings-ისგან BB- საკრედიტო რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით და განათავსა საჯარო ფასიანი ქაღალდები 30 მილიონი ლარის ოდენობით
2019 წელს - დაარსდა შპს სკანდინავიან ავტო თეგეტა - ვოლვოს ბრენდის ოფიციალური დილერი საქართველოში;
2020 წელს - შპს „თეგეტა მოტორსი“ გადავიდა კორპორატიული მართვის ახალ მოდელზე.
2020 წელს - დაფუძნდა ახალი შვილობილი კომპანიები
2020 წელს - დაიწყო თეგეტა მოტორსის სასაქონლო ბრენდის საერთაშორისო გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
2020 წელს - მიუხედავად პანდემიის გავრცელებით გამოწვეული საკანონმდებლო შეზღუდვებისა და მთელი რიგი დაბრკოლებებისა, კომპანიის ბიზნესის განვითარების პროცესი არ შეფერხებულა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი რომ ევროპული სარეიტინგო კომპანია Scope-ის 2020 წლის 9 თვის შეფასებით, „თეგეტა მოტორსმა“ შეინარჩუნა რეიტინგი, რომელიც BB- კატეგორიითა და სტაბილური ხედვით (Outlook Stable) შეფასდა.
2021 წელს - გაიხსნა გეზის ფილიალი, დაარსდა შპს თეგეტა ქომერშალ ვიიქლს, შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია, შპს თეგეტა კაპიტალი
2021 წელს - ნოემბერში განახლდა Scope-ის რეიტინგი , რომელიც უცვლელად BB- კატეგორიით და სტაბილური ხედვით (Outlook Stable) შეფასდა.

2022 წელს - სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილ საწარმოებს შეემატა შპს თეგეტა რეალ ისთეით, შპს თეგეტა თაიარ იმპორტს, შპს ინტერავტო თრეიდინგი, შპს თეგეტა კაპიტალი, შპს თეგეტა ეფრუვდ, შპს კავკასუს ავტომოტივი
2022 წელს - „პორშე ცენტრი თბილისის“ განახლებული კონცეპტუალური შოურუმი ოფიციალურად გაიხსნა
2022 წელს - კომპანიამ გაასხვისა ტრანზაქციის თარიღისათვის 100%-იანი შვილობილი კომპანიის შპს „თეგეტა ეფრუვდის“ 35% წილი პარტნიორ ორგანიზაციაზე, რომელიც ახორციელებს მის მენეჯმენტსა და მხარდაჭერას.
2022 წელს- 16 დეკემბერს საჯარო შეთავაზების გზით განათავსა 150,000,000 ლარის (ISIN: GE 2700604236) სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციები.
2023 წელს - დაფუძნდა ახალი შვილობილი კომპანიები

- *Tegeta Motors Kazakhstan LLC*
- *Tegeta Motors Bishkek LLC*
- *Tegeta Motors Dushanbe LLC*

2023 წელს- კომპანიამ საჯარო შეთავაზების გზით გამოუშვა ფასიანი ქაღალდები 20,000,000 დოლარის (ISIN: GE2700604335), 5,000,000 ევროს (ISIN: GE 2700604327), 4,000,000 ევროსა (ISIN: GE 2700604566) და 20,000,000 ლარის (ISIN: GE GE 2700604590) საჯარო შეთავაზების გზით. შეიმუშავა მწვანე ჩარჩო და გამოუშვა საქართველოში პირველი ლარში დენომინირებული მწვანე ობლიგაციები, რომლის ოდენობამაც 20,000,000 ლარი (ISIN: GE2700604376) შეადგინა. ობლიგაციის სტრატეგიული ინვესტორი იყო ერთ-ერთიუდიდესი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია ADB - აზიის განვითარების ბანკი. აღსანიშნავია, რომ ემისიის შედეგად მობილიზებული სახსრები მოხმარდება მსუბუქი, სამგზავრო და სხვა ტიპის ელექტრიფიცირებული ტრანსპორტის იმპორტსა და რეალიზაციას; ასევე ქვეყნის მასშტაბით ელექტრო მანქანების 70 დასატენი სადგურის მოწყობას.
2024 წლის იანვარში - „თეგეტა მოტორსი“ Motul-ის ოფიციალური წარმომადგენელი გახდა აზერბაიჯანში.
2024 წელს - ოფიციალურად გაიხსნა „ტოიოტა ცენტრი თეგეტას“ განახლებული შოურუმი.
2024 წელს - MAN Truck and Bus-ის საერთაშორისო კონფერენციაზე გერმანული ბრენდის 45 იმპორტიორსშორის გამოარჩიეს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“ და საუკეთესო მარკეტინგული აქტივობებისთვის დააჯილდოვეს.
2024 წელს - ჰოლდინგმა საქართველოს ბაზარზე ახალი მიმართულება - „თეგეტა აგრი“ წარადგინა.
2024 წელს - ჰოლდინგი საქართველოში Geely Holding-ის და ბრენდის, ZEEKR-ის ოფიციალური წარმომადგენელი გახდა.
2024 წელს - „თეგეტა ჰოლდინგი“ Meliora 2024-ის გამარჯვებული კატეგორიაში „მწვანე ინიციატივა“ უკვე მეორედ გახდა.
2024 წელს - ჰოლდინგმა თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი N152-ში ახალი შოურუმი გახსნა, სადაც სამი ბრენდი, Geely Sakartvelo, Mazda Center Tegeta და Auto Gallery განთავსდა.
2024 წელს - ქუთაისის აეროპორტის სტუმრები Europcar-ისა და Goldcar-ის მომსახურებით ისარგებლებენ. Europcar Georgia „თეგეტა ჰოლდინგში“ შემავალი კომპანიაა, რომელიც უკვე ორი საერთაშორისო ბრენდის Europcar-სა და GoldCar-ის ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში.
2024 წელს - „თეგეტამ“ 2024 წლის 8 აპრილს ეროვნული ბანკის საშუალებით დაამტკიცა 30,000,000 ევრომდე ჯამური ნომინალური ღირებულების ობლიგაციების მულტისავალუტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2024 წლის 2 მაისს, 19 ივლისსა და 20 დეკემბერს შესაბამისად 10,000,000 ევროს, (GE 2700604699) 5,000,000 აშშ დოლარისა (GE 2700604780) და 5,000,000 აშშ დოლარის (GE 2700604996) მოცულობების ობლიგაციები გამოუშვა.
2024 წელს - „თეგეტამ“ 2023 წლის დეკემბერში დამტკიცებული 20,000,000 ევროს ექვივალენტი ობლიგაციების მულტისავალუტო პროგრამის ფარგლებში, 28 ივნისს ორი დამოუკიდებელი ემისიით ჯამში 8,300,000 აშშ დოლარის მოცულობის ობლიგაციები (GE 2700604707 და GE 2700604715) სრულად განათავსა. კომპანიამ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2 აგვისტოს დამატებით სრულად განათავსა 15,000,000 ლარის ობლიგაციები (GE 2700604830) და პროგრამა წარმატებით ჩახურა.
2024 წელს - „თეგეტამ“ 2024 წლის 3 ივლისს 2023 წელს დამტკიცებული 30,000,000 ლარამდე ობლიგაციების პროსპექტის ფარგლებში ბოლო ტრანში, 10,000,000 ლარის მოცულობის ობლიგაციების (GE 2700604756) სრულად განათავსა და აღნიშნული პროგრამა წარმატებით ჩახურა.

2024 წელს - "თეგეტა ჰოლდინგთან" პარტნიორობით თბილისში Bentley-ის წარმომადგენლობა გაიხსნა;

2024 წელს - „თეგეტამ“ გააფართოვა თანამშრომლობა ისტორიულ პარტნიორთან Bridgestone-თან და მისი წარმომადგენელი უკვე კავკასიის რეგიონის მასშტაბით გახდა. „თეგეტა“ საბურავების მწარმოებელ გლობალურ ბრენდს სომხეთსა და აზერბაიჯანში წარადგენს.
2025 წელს - „თეგეტამ“ გეზის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, რომელიც თბილისის შემოვლითი გზის 36-ე კმ-ზე მდებარეობს, მასშტაბური რეგიონული ჰაბი და მრავალფუნქციური სერვის ცენტრი გახსნა. გერმანულმა საავტომობილო კომპანია MAN-მა კომპლექსს უმაღლესი A კატეგორიის სერტიფიკატი მიანიჭა. სამხრეთ კავკასიაში პირველად, სატვირთო მანქანების, კომერციული მანქანების და ავტობუსების მომსახურება ერთ სივრცეში არის შეთავაზებული. MAN-ის სტანდარტებით აშენებული ჰაბი ოთხ ჰექტარზე მეტ ფართობს მოიცავს და ასევე უზრუნველყოფს სატვირთო მანქანებისთვის მაღალი სტანდარტის შეღებვის, კორპუსის და გამაგრილებელი სისტემის მომსახურებას.

2025 წელს - „თეგეტას“ მრავალფუნქციურმა კომპლექსმა კორპორატიული მდგრადობის ჯილდო მიიღო.

2025 წელს - „თეგეტამ“ მიიღო BARTA-ს ჯილდო საუკეთესო მდგრადი განვითარების ანგარიშისთვის.

2025 წელს - ჯგუფმა ოფიციალურად წარადგინა “Bridgestone”-ის ბრენდი აზერბაიჯანში.

2025 წელს - „Volvo Car Caucasus“-მა ზედიზედ მესამე წელს მოიგო Excellence Club-ის ჯილდო.

2025 წელს - „Toyota Center Tegeta“-მ მიიღო Kaizen Global Award.

2025 წელს - „Toyota Center Tegeta“-მ მიიღო პრესტიჟული Toyota Ichiban 2025 და Going Beyond ჯილდოები.

2025 წელს - „Lamborghini“ შოურუმი ოფიციალურად გაიხსნა თბილისში, რითაც იტალიური სუპერმანქანების ბრენდი საქართველოში წარადგინეს.

2025 წელს - „თეგეტამ“ კორპორატიულ ფორუმზე წარადგინა ახალი ბიზნეს ხაზი „Tegeta Business“. ინიციატივა კორპორატიული კლიენტებისთვის პერსონალიზებულ გადაწყვეტილებებს სთავაზობს, მათ შორის ექსკლუზიურ ფასებს, სრულ ტექნიკურ მომსახურებას და ინტეგრირებულ საავტომობილო პარკის მართვას, რაც მიზნად ისახავს ლოჯისტიკის, მშენებლობის და სხვა სექტორებისთვის, რომლებიც საჭიროებენ საიმედო საავტომობილო პარკის მართვას, უფრო მოქნილი, სწრაფი და ეფექტური მომსახურების მიწოდებას.

2025 წელს - „თეგეტამ“ 2025 წლის 8 აპრილს, 2024 წლის ამავე თარიღში დამტკიცებული 30,000,000 ევრომდე ობლიგაციების პროსპექტის ფარგლებში ბოლო ტრანში, 10,000,000 დოლარის მოცულობის ობლიგაციების (GE 2700605043) განათავსა და აღნიშნული პროგრამა წარმატებით ჩახურა.

2025 წელს - 2025 წლის 4 აპრილს დამტკიცებული 50,000,000 დოლარის ექვივალენტამდე პროგრამის ფარგლებში, კომპანიამ 28 აპრილს გამოუშვა 10,000,000 დოლარის მოცულობის ობლიგაციები (GE 2700605068).

2025 წელს - „კომპანიამ“ 25 მილიონი ევროს საკრედიტო რესურსზე გააფორმა ხელშეკრულება EBRD-თან პირდაპირი სასესხო ვალდებულების ფორმით, რომელსაც ეტაპობრივად აითვისებს. სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს გეზის პროექტისთვის აღებული სესხების რეფინანსირება და ამავე პროექტის დასრულებისთვის საჭირო კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება.

2025 წელს - 2025 წლის 16 დეკემბერს კომპანიამ გამოუშვა 260,000,000 ლარის მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციები (GE 2700605282)

2023-2025 წლებში გამოშვებული ობლიგაციების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ ქვეთავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“

კომპანიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები

ბოლო წლების განმავლობაში „კომპანიამ“ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი:

1. **ფილიალები** - საქართველოს მასშტაბით გაიხსნა 6 ახალი ფილიალი: ბათუმში, რუხში, ქუთაისში, გეზში, თბილისსა და ახალქალაქში. ასევე ქალაქ ბათუმში აშენდა უპრეცედენტო მასშტაბის მულტიბრენდული მეხუთე კატეგორიის ფილიალი, რომელიც მოემსახურება როგორც მსუბუქ და სატვირთო, ისე სპეც. ტექნიკას. პროექტის ფარგლებში ბათუმში პირველად გაიხსნა ტექნიკური მომზადების ცენტრი - თეგეტა აკადემია რომელიც დაინტერესებულ პირებს აძლევს საშუალებას მიიღონ საავტომობილო სფეროში თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.
2. **Tax free პროექტი** - 2017 წელს „თეგეტამ“ დანერგა უნიკალური პროექტი არარეზიდენტი /სატრანზიტო მომხმარებლებისთვის, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს შეუძლია დაამონტაჟოს საბურავი და დაიბრუნოს დღგ-ს თანხა საზღვარზე. საბურავს ეკვრება სპეციალური სტიკერი TAX FREE, რომელსაც მებაჟე ასკანერებს და მომხმარებელი ქართული საბაჟოს გადაკვეთისას იბრუნებს დღგ-ს თანხას. პროექტის შედეგი იყო გაზრდილი გაყიდვები.
3. **საკრედიტო რეიტინგი** - თეგეტა გახლავთ პირველი კომპანია ავტოინდუსტრიის სფეროდან კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში, რომელმაც შეძლო Scope-ის რეიტინგის მოპოვება.
4. **კორპორატიული მმართველობა** - „თეგეტამ“ ითანამშრომლა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და მიიღო სიღრმისეული რეკომენდაციები კორპორაციული მართვის კუთხით. IFC-ს რეკომენდაციებისა და მოდელური დოკუმენტაციის შესაბამისად, დამუშავდა კომპანიის წესდება და სხვა კორპორატიული დოკუმენტები - სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, აუდიტის კომიტეტის სამუშაო ინსტრუქცია, გადაიხედა შვილობილი კომპანიების წესდებები, დამუშავდა დირექტორებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დრაფტები, შეიქმნა კორპორატიული მდივნის პოზიცია, გაიწერა მისი კომპეტენციის სფერო, აგრეთვე, კორპორატიული მართვის მიმართულებით ნებისმიერი ინიციატივა ფასდება და მტკიცდება IFC-სგან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამ დროისთვის მენეჯმენტის განცხადებით, „თეგეტა მოტორსში“ განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს შვილობილი კომპანიების კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.
5. **თეგეტა აკადემიის ავტორიზაცია** - „კომპანია“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კადრების განვითარებას და მათ შესაბამისი ცოდნით აღჭურვას. „კომპანიამ“ 2013 წელს ჩამოაყალიბა „თეგეტა აკადემია“, რომელიც ემსახურება კადრების პროფესიულ განვითარებას თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების მეშვეობით. „კომპანია“ წელიწადში 80-ზე მეტ ტრეინინგს ატარებს თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ბათუმში, რაშიც მხარდაჭერას მისი გლობალური პარტნიორები უწევენ. კომპანიაში წელიწადში დაახლოებით 700 სამსახურის მაძიებლის განაცხადი შემოდის გაყიდვების კონსულტანტების, მექანიკოსების და ა.შ. პოზიციებზე. აკადემიის სასწავლო პროგრამა შედგენილია ევროპაში აპრობირებული დუალური განათლების მოდელის მიხედვით და გულისხმობს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. 2019 წლის დასაწყისში თეგეტა აკადემიას მიენიჭა სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული კოლეჯის სტატუსი.

   აღსანიშნავია, რომ თეგეტა მოტორს ჯგუფის სერვისის თანამშრომლები ყოველწლიურად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს ისეთ უცხოელ პარტნიორებთან, როგორებიცაა: MAN, ZF, BOSCH, SCHAEFFLER, SHELL, DENSO, FEBI, MOTUL, VARTA და სხვა. აღნიშნული სერვისცენტრები დაკომპლექტებულია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით.
6. **მენეჯმენტის სისტემები** - 2019 წელს შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ დანერგა და წარმატებით გაიარა ISO 14001:2015-ის აუდიტი და მიიღო სერტიფიკატი გარემოს დაცვის მიმართულებით. 2020 წლის ბოლოს შპს „თეგეტა მოტორსმა“ გადაწყვიტა გადასულიყო სტანდარტის ახალ ვერსიაზე და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მიიღო ხელახალი სერტიფიცირება - ISO 45001:2018.

   2021 წელს შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ წარმატებით გაიარა C ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარე საკონტროლო აუდიტი და მიიღო სერთიფიკატი, რომ კომპანია აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის სსტ ისო/იეკ 1702:2012/2013-ის მოთხოვნებს და შეუძლია განახორციელოს c ტიპის ინსპექტირება;

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“ ერთადერთი კომპანია საქართველოში, რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს ზემოაღნიშნული საქმიანობა საქართველოს მასშტაბით;

7. **მობილური აპლიკაცია** - თეგეტას აპლიკაცია შეიქმნა ყველა უახლესი სტანდარტის გათვალისწინებით იმისთვის, რომ მომხმარებელმა მარტივი რეგისტრაციით მიიღოს წვდომა თეგეტას ყველა სერვისზე. აპლიკაცია არის ცენტრალიზებული პლატფორმა, სადაც თეგეტას ყველა ციფრული სერვისი და ინფორმაცია ერთად არის თავმოყრილი. მობილური აპლიკაციის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია თეგეტას სერვის ცენტრში წინასწარი რეზერვაციის გავლა, აქციების და ფასდაკლებების მონიტორინგი, სასურველი ფილიალის მოძებნა და მიმართულების მიღება, ავტომობილების დამატება და მიღებული სერვისების ისტორიის შენახვა. აღსანიშნავია აპლიკაციაში მომხმარებლის პირადი გვერდის არსებობაც, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი დარეგისტრირებული ვიზიტორი მის მიერ თეგეტაში განხორციელებული ყველა ტრანზაქციის, მიღებული ფასდაკლების და თეგეტა ქარდზე დაგროვილი ქულების შესახებ იღებს დეტალურ ინფორმაციას. სამომავლო გეგმები ითვალისწინებს აპლიკაციაში ინოვაციური პროდუქტების დამატებას, როგორიცაა მაგალითად ონლაინ მაღაზიის და თეგეტა კომფორტის ინტეგრაცია.
8. **ეჯაილ ტრანსფორმაცია** - 2020 წელს ჯგუფმა დაიწყო გადაწყობა ეჯაილ საოპერაციო მოდელზე, რაც გულისხმობდა კომპანიის სტრუქტურის სრულ ცვლილებას. ეჯაილ მოდელში დეპარტამენტების ფუნქციონალური დაყოფის ნაცვლად, სურვილისამებრ ექმნება კონკრეტული მიზნის გარშემო გაერთიანებული გუნდები, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, დაკომპლექტებულია განსხვავებული კომპეტენციის მქონე ადამიანებით. კომპანიის მოცემულ სტრუქტურაზე გადასვლა ბიზნესის პროცესების ოპტიმიზაციისა და საოპერაციო ეფექტურობის ამაღლების საწინდარია. ისტორიულად თეგეტას ბიზნეს მოდელი ეფუძნება იდეას მოემსახუროს ყველა ტიპის მომხმარებელს, განურჩევლად ავტომობილის ბრენდისა, მოდელის ან წლოვანებისა. შესაბამისად, აღნიშნული მოდელი მოითხოვს რამდენიმე მიმართულების ერთდროულ მართვას, ხოლო თავის მხრივ, მიმართულებები აერთიანებს სხვადასხვა ბრენდებსა და გაყიდვების არხებს, რაც ერთობლიობაში წარმოქმნის კომპლექსურ ორგანიზაციულ სტრუქტურას. ამასთანავე, წლების განმავლობაში ბაზარზე წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა კომპანიის მასშტაბების ზრდა, რაც თავისთავად წარმოშობს რისკებს, რომ ცენტრალიზებული ორგანიზაციული მართვის პირობებში რიგი პროცესების ეფექტურობამ და ეფექტიანობის ხარისხმა შეიძლება დაიწიოს. სწორედ ასეთი შედეგების თავიდან ასაცილებლად მოახდინა კომპანიამ ეჯაილ ტრანსფორმაცია.

სეზონურობა

კომპანიის სეზონურობა ბაზრის ტენდენციების შესაბამისია და ბიზნესისთვის გარკვეულწილად დამახასიათებელია. უფრო კონკრეტულად, დატვირთულობა წლის მეორე ნახევარში იზრდება, რაც განპირობებულია ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და გარკვეულ პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნით. ახალი ავტომობილის გაყიდვების თვალსაზრისით ყველაზე აქტიური პერიოდი მეოთხე კვარტალია. სეზონურობა ასევე მკვეთრად გამოიხატება ზამთარში საბურავების გაზრდილ გაყიდვებში.

2020 წლის მეოთხე კვარტალიდან 2024 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით რეალიზებული პროდუქციის შესაბამის წელთან განაწილება შემდეგნაირია:

(%, პროცენტი)	IV კვ 2020 წელი	IV კვ 2021 წელი	IV კვ 2022 წელი	IV კვ 2023 წელი	IV კვ 2024
ავტომობილები	29%	29%	33%	29%	33%
მ.შ. ახალი ავტომობილები	28%	30%	32%	29%	33%
მ.შ. მეორადი ავტომობილები	34%	23%	35%	34%	27%
საცალო პროდუქცია	28%	31%	33%	26%	28%

მ.შ. საბურავები	28%	35%	36%	25%	28%

კომპანიის ძლიერი მხარეები

- **თეგეტა მოტორსის, როგორც ბრენდის, მაღალი რეპუტაცია**
- **საერთაშორისო ბაზარზე რესპექტაბელური პარტნიორი მომწოდებელი კომპანიები**

კომპანიას კომერციული კონტრაქტები გაფორმებული აქვს დაახლოებით 300 მომწოდებელთან. „თეგეტა მოტორსი“ არის GROUPAUTO INTERNATIONAL-ის ოფიციალური წევრი და საქართველოს ბაზარზე ექსკლუზიურად შემოყავს და ყიდის ისეთ ბრენდებს, როგორებიცაა : Bridgetone, Michelin, Continental, Pirelli, Riken, Westlake, Varta, სხვები.

კომპანია ახორციელებს ისეთი ცნობილი მანქანის ბრენდების გაყიდვას, როგორებიცაა Toyota, Porsche, MAN, Mazda, Volvo, JCB, Bentley და სხვები. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: *„ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები“*

- **კომპანია ფლობს საერთაშორისო სტანდარტების მქონე სერვისცენტრებს**

თეგეტა მოტორსი, ოპერირების 30 წლიანი ისტორიის მანძილზე, გამოირჩევა მაღალი სტანდარტების მქონე სერვის ცენტრებით. კომპანია ამის უზრუნველყოფას ახერხებს როგორც სერვის ცენტრის თანამშრომლების გადამზადებით, ისე შესაბამისი ტექნიკით აღჭურვით.

- **კომპანიას აქვს გამართული მიწოდების ჯაჭვი**

თეგეტა მოტორსის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია მანქანების იმპორტირება და შემდგომში გაყიდვა. იმისთვის, რომ აღნიშნული პროცესის ლოგისტიკური ნაწილი უფრო მეტად ყოფილიყო გამართული და სწრაფი, თეგეტა ჰოლდინგმა ჩამოაყალიბა შვილობილი კომპანიები, რომლებიც ორიენტირებულები არიან კონკრეტული ტიპის პროდუქტის იმპორტსა და რეალიზაციაზე. მაგალითად, შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“ ახორციელებს სხვადასხვა სახის სატვირთო ავტომობილებისა და ავტობუსების იმპორტი და რეალიზაცია. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ - *„ძირითადი საქმიანობა“ და „ორგანიზაციული სტრუქტურა“.*

სტრატეგია და ამოცანები

„კომპანია“ მიზნად ისახავს, გააგრძელოს ბოლო წლების წარმატებული საქმიანობა და შესაბამისად, შეიმუშავა გარკვეული სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემდგომ ზრდას. „თეგეტა მოტორსის“ ძირითადი სტრატეგიული მიზნები მომავალი წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

- **კომპანიის პოზიციის გამყარება ბაზარზე და ბაზრის წილის ზრდა ყველა მიმართულებით;**
- **პროდუქციის დივერსიფიკაცია ბაზარზე მოსალოდნელი რყევების თავიდან ასაცილებლად;**
- **ფილიალების ქსელის გაფართოება საქართველოს მასშტაბით;**
- **ახალი ბაზრების ათვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ პარტნიორებთან ერთად**
- **საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე აქციების გამოშვება**

თეგეტა მოტორსის გრძელვადიანი სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე გასვლა და აქციების გამოშვება, რაც არამარტო კომპანიისთვის, არამედ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

- **მაღალი სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობის შენარჩუნება**

„თეგეტა მოტორსი“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში. კომპანია მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი ღირებულებების და სწორი საავტომობილო ტენდენციების დამკვიდრებაში. მაგალითისთვის, ნერგავს ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკას გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად, ასევე საქმიანობაში იყენებს ეკო-სატვირთოებს კომპანიის ტერიტორიაზე, რაც გარემოს ნაკლებად აყენებს ზიანს. აღსანიშნავია, რომ „თეგეტამ“ მომხმარებლების სახელზე დარგო 1,000 ძირი მუხა აჯამეთის დაცულ ტერიტორიაზე. ამას გარდა, გარემოზე ზრუნვის ფარგლებში კომპანიამ ქაღალდი SMS-ით ჩაანაცვლა, რითიც მკვეთრად შეამცირა ფურცლის გამოყენება.

ქცევის შეცვლასთან ერთად, „კომპანიამ“ აიღო პასუხისმგებლობა, რომ აამაღლებს ცნობიერებას „მწვანე“ მიმართულებით და ხელს შეუწყობს ქალთა გაძლიერებას. ამ უკანასკნელის შედეგია სატვირთო ავტომობილის პირველი მექანიკოსი ქალების ყოლა ქართულ რეალობაში, რომელთა ისტორიებიც ფართოდ გავრცელდა მასობრივი კომუნიკაციის ყველა პლატფორმაზე, მათ შორის სოციალურ ქსელებში.

თეგეტა მოტორსი, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების (UN Global Compact) საქართველოს ქსელის წევრია, საგანმანათლებლო, შემეცნებით პროექტებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უჭერს მხარს. „თეგეტამ“ წელს თავის თავზე აიღო სარაგბო კლუბი ,,სოხუმი“-ს სპონსორობა, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს აერთიანებს.

- **გარემოსდაცვითი ზედამხედველობა**

2025 წლის ინიციატივებს შორისაა:

- კამპანია „არ გადაყარო, ჩააბარე“ - რომლის ფარგლებშიც, მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საავტომობილო ნარჩენები: საბურავები, აკუმულატორები და ზეთები, თეგეტა მოტორსში განთავსებულ სპეციალურ ინსტალაციასთან ჩებარებინათ. მონაწილეებს წახალისების მიზნით სიმბოლური საჩუქრებიც გადაეცათ. კამპანია რამდენიმე ეტაპად ჩატარდა:
  - ნარჩენების გადამუშვების საერთაშორისო დღესთან დაკავშრებით, 18-23 მარტს, "თეგეტა მოტორსის" ცენტრალური ფილიალის ტერიტორიაზე, მოქალაქეებს შეეძლოთ საავტომობილო ნარჩენების ჩაბარება სპეციალური შეთავაზებებისა და სიმბოლური საჩქრების სანაცვლოდ; ჩაბარდა 114 საბურავი და 150კგ. აკუმულატორი"
  - დედამიწის დღე 2025"-ის ფარგლებში, 22-25 აპრილს კომპანიის ელექტრომობილი თბილისის უბნებში გადაადგილდებოდა და საავტომობილო ნარჩენებს იბარებდა
  - გარემოს დაცვის საერთაშორისო დღის ფარგლებში, 5-8 ივნისს, "თეგეტა მოტორსის" ქუთაისის ფილიალში, სიმბოლური საჩუქრებისა და სპეციალური შეთავაზებების სანაცვლოდ, მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ საავტომობილო ნარჩენები ჩაებარებინათ. მეორადი საბურავი - 46 ცალი; მეორადი ზეთი - 520 ლიტრი; მეორადი აკუმულატორები - 136.4 კგ.)
- რუსთავის ჭალის ტყის აღდგენა - 2000 ნერგის დარგვა და 200 მოხალისის ჩართულობა, მათ შორის თეგეტას თანამშრომლების;
- თანამშრომლობა მაკულიტერატურასთან და მეორადი ქაღალდის გადამუშავება მწვანე ყუთების საშუალებით. 2024 წელს მაგალითად, 180%-ით გაიზარდა მეორადი ქაღალდის შეგროვება თეგეტას მასშტაბით და გადასამუშავებლად გაგზავნა და ამ გზით მოჭრისგან 145 ხე გადარჩა;
- კომპანიამ გამოსცა "ეკორჩევების" კრებული, სადაც ერთიანდება 20 ეკორჩევა აერთიანებდა წყლის და ენერგიის მენეჯმენტისა და ნარჩენების მართვის საკითხებზე. პრეზენტაციები ჩატარდა 15 სკოლაში;
- დაბა ბაკურიანის მეორადი საბურავებისგან სრულად დასუფთავება - შეგროვდა და გადასამუშავებლად გაიგზავნა 30 000-მდე მეორადი საბურავი;
- მსგავსი დასუფთავების მასშტაბური აქცია, გიორგი წმინდას დასახლებაში - სადაც კომპანიამ გადასამუშავებლად შეაგროვა 2000-მდე საბურავი;

ინვესტიციები

2021-2025 წლების განმავლობაში „კომპანიამ“ განახორციელა შემდეგი მატერიალური ინვესტიციები:

- ახალი ფილიალების გახსნა და არსებულის მოდერნიზაცია - გაყიდვებისა და დაფარვის არეალის ზრდის მიზნით „კომპანია“ მუდმივად ხსნის ახალ ფილიალებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და ქალაქში და მოდერნიზაციას უწევს არსებულებს. ახალი ფილიალის გახსნისას „კომპანია“ ახორციელებს შესაბამის ინვესტიციებს უძრავ ქონებაში, დანადგარებსა და პროგრამულ უზრუნველყოფაში;
- 2022 წლის ოქტომბერში იფიციალურად გაიხსნა განახლებული პორშეს ცენტრი და შოურუმი ბრენდის უახლესი სამოდელო რიგის სრული სპექტრის გაზრდილი რაოდენობის დემონსტრაციისათვის;
- ინვესტიცია IT სისტემებში - პროგრამული უზრუნველყოფის განახლების მიზნით „კომპანია“ რეგულარულად ახორციელებს ინვესტიციას IT სისტემებში (ონლაინ მაღაზია, რიგების მართვის სისტემა, mycarhistory აპლიკაცია, საბითუმო კლიენტების პლატფორმა და სხვა)
- 2022 წლის ივნის-ივლისში „კომპანიამ“ შეიძინა შპს „ავტო გალერის“ 90%-იანი წილი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა ბრენდის მეორადი და ახალი ავტომობილებით საცალო ვაჭრობა. საწარმოთა გაერთიანების უპირველესი მიზეზი იყო ავტომობილებსა და მასთან დაკავშირებული სერვისების ჯგუფის საოპერაციო სეგმენტის შემდგომი გაფართოება და მოსალოდნელი სინერგიით სარგებლობა შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის ოპერაციების გაერთიანებიდან
- 2022 წლის ივნის-ივლისში „კომპანიამ“ შეიძინა შპს „ინტერავტო თრეიდინგის“ 100%-იანი წილი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მძიმე ტექნიკის გაქირავება. საწარმოთა გაერთიანების უპირველესი მიზეზი იყო ჯგუფის ავტომობილებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების საოპერაციო სეგმენტის შემდგომი გაფართოება და მოსალოდნელი სინერგიით სარგებლობა შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის ოპერაციების გაერთიანებიდან.
- 2022 წლის ივნის-ივლისში „კომპანიამ“ შეიძინა შპს „კავკასუს ავტომოტივის“ 100%-იანი წილი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ვოლვოს ბრენდის ავტომობილებით საცალო ვაჭრობა და მათი მომსახურება. საწარმოთა გაერთიანების უპირველესი მიზეზი იყო ჯგუფის ავტომობილებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების საოპერაციო სეგმენტის შემდგომი გაფართოება და მოსალოდნელი სინერგიით სარგებლობა შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის ოპერაციების გაერთიანებიდან.
- 2022 წლის ივნის-ივლისში „კომპანიამ“ შეიძინა შპს „აზტეხ თეგეტა მოტორსის“ 50%-იანი წილი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სათადარიგო ნაწილებით საცალო ვაჭრობა. საწარმოთა გაერთიანების უპირველესი მიზეზი იყო ჯგუფის ავტომობილებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების საოპერაციო სეგმენტის შემდგომი გაფართოება და მოსალოდნელი სინერგიით სარგებლობა შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის ოპერაციების გაერთიანებიდან.
- 2023 წელს „კომპანია“ განაგრძნობს მშენებლობას სერვის ცენტრების და საავტომობილო შოურუმების განახლების მიზნით. 2023 წლის ნოემბერში ექსპლუატაციაში შევიდა ვოლვოს ბრენდის შოურუმი, ხოლო 2023 წლის დეკემბერში დასრულდა უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სერვის ცენტრის მშენებლობა.
- 2024 და 2025 წლებისმატერიალური ინვესტიციები მოიცავს: გეზის ტერიტორიაზე ახალი ფილიალის მშენებლობას; თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი N152-ში ახალ შოურუმს, რომელშიც წარმოდგენილია Geely Sakartvelo-ს, Mazda Center Tegeta-სა და Auto Gallery-ს პროდუქცია; ვაკის ფილიალში არსებული კაფეს მშენებლობასა და ქუთაისის რეგიონალური საწყობის მშენებლობის დასრულებას.
- 2022 წლის ივნის-ივლისში „კომპანიამ“ შეიძინა შპს „აზტეხ თეგეტა მოტორსის“ 50%-იანი წილი. ხოლო 2025 წლის დეკემბერში დამატებით 50%. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სათადარიგო ნაწილებით საცალო ვაჭრობა. საწარმოთა გაერთიანების უპირველესი მიზეზი იყო ჯგუფის ავტომობილებისა და მასთან

დაკავშირებული სერვისების საოპერაციო სეგმენტის შემდგომი გაფართოება და მოსალოდნელი სინერგიით სარგებლობა შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის ოპერაციების გაერთიანებიდან.

- ფლიტის მართვის მენეჯმენტის მიმართულების განვითარებისთვის, „კომპანიამ“ 2025 წელს განახორციელა 18 მლნ ლარის ინვესტიცია შპს „I GPS ოპერატორის“ (ს/ნ: 404920289) და შპს „ბეილიშ ჰოლდინგს“ (ს/ნ: 402064494) (შესაბამისად, შპს „ბეილიშ ჰოლდინგს“-ის 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიის - შპს „ჯიპიეს ჯორჯიას“ (ს/ნ: 404400206) საკონტროლო პაკეტის შეძენის მიზნით. აღნიშნული კომპანია ოპერირებს GPS მოწყობილობების, საწვავისა და საწვავის სენსორების რეალიზაციის, მონტაჟისა და მონიტორინგის მომსახურების სექტორებში. „კომპანიამ“ აღნიშნული ტრანზაქცია დააფინანსა საკუთარი სახსრებითა და საბანკო სესხით.

კომპანია“ აქტიურად ახდენს ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირებას, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში, როგორც მატერიალური ინვესტიციები. კომპანია, ასევე, ახორციელებს სხვა მცირე ზომის ინვესტიციებს, რაც მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ასევე - არამატერიალური აქტივების შეძენას, რაც წარმოდგენილია როგორც სხვა ინვესტიციები:

(ათასი ლარი)	2021	2022	2023	2024	2024 6 თვე	2025 6 თვე
მატერიალური ინვესტიციები	29,122	22,760	57,525	73,303	27,107	28,990
სხვა ინვესტიციები	-	38,989	37,529	35,926	16,900	22,214
	29,122	**61,749**	**95,054**	**109,229**	**44,007**	**51,204**

წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

სამომავლო პროექტები

კომპანია მიმდინარედ ახორციელებს კაპიტალური პროექტების მშენებლობებს, რომელთა ფარგლებში დაგეგმილია სერვისცენტრების გაფართოება და განახლება, ასევე ახალი სერვის ცენტრების მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია.

2025 წელს ერთ-ერთი მთავარი პროექტი გეზის რაიონში სატვირთო მანქანების მომსახურების ცენტრი იქნება, რომლის მშენებლობაც უკვე დაწყებულია. ეს რეგიონული ცენტრი გააერთიანებს ტერმინალს, საბაჟო საწყობს და კომპანიის მიერ შეთავაზებული მომსახურების სრულ სპექტრს. 2025 წელს კომპანია ასევე აგეგმარებს პორშეს მეორე შოურუმს მშენებლობა საქართველოში, რომელის გახსნაც ბათუმში იგეგმება. შოურუმის სამშენებლო სამუშაოები 2026 წლიდან დაიწყება.

ორგანიზაციული სტრუქტურა

პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის, სრული ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე*:



*დიაგრამაზე წარმოდგენილი კომპანიები წარმოადგენენ ემიტენტის 100% შვილობილ კომპანიებს

კომპანიის ნაწილობრივი მფლობელობის საკუთრებაში არსებული კომპანიის ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ცხრილში:

N	დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი	რეგისტრაციის ქვეყანა	საქმიანობის ქვეყანა	პარტნიორები	სტატუსი
1	შპს თეგეტა ეფრუვდ	405522411	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა მოტორსი - 65%	აქტიური
2	შპს მესხეთი რეალ ისთეით	224079333	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა მოტორსი - 34%	აქტიური
3	შპს დი ეს დი თეგეტა	200254321	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა მოტორსი - 25%	აქტიური
4	შპს რეკსოლ	416387920	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა მოტორსი - 50%	აქტიური
5	შპს ელექტრონული გარაჟი	405525285	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა კაპიტალი - 4%	აქტიური
6	შპს არ დრაივინგ	405532062	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა კაპიტალი - 5%	აქტიური
7	შპს თიფაქ	400331609	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა კაპიტალი - 5%	აქტიური
8	შპს დრონი ინდასტრის	406365936	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა კაპიტალი - 5%	აქტიური
9	შპს ქართუნ ინქ.	405527247	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა კაპიტალი - 15%	აქტიური
10	შპს თეიქმი	433652898	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა კაპიტალი - 3%	აქტიური
11	შპს სად მოვიდე	405523544	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა კაპიტალი - 15%	აქტიური

12	შპს ჯეოპროტექტორი	202463173	საქართველო	საქართველო	შპს თეგეტა მოტორსი - 60%	არააქტიური

2025 წლის 2 ოქტომბერს დასრულდა არააქტიური შვილობილი კომპანიის, შპს „აგროსერვისის“ (ს/ნ: 401968411) ლიკვიდაცია. ამავდროულად, პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, შპს „ჯეოპროტექტორს“ შეჩერებული აქვს ოპერაციები და ლიკვიდაციის პროცესშია. „კომპანია“ არ არის არსებითად დამოკიდებული შპს „ჯეოპროტექტორსა“ და შპს „აგროსერვისზე“ და მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული კომპანიების საქმიანობის შეჩერება არსებით გავლენას არ იქონიებს „ემიტენტის“ საქმიანობასა და გადახდისუნარიანობაზე, ვინაიდან წლების მანძილზე კომპანიები არ იყო აქტიური.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, ასევე „კომპანიის“ ხუთი შვილობილი/დაკავშირებული კომპანიის მიერ დაფუძნებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თეგეტა გრინ პლანეტ“ (ს/ნ: 405523161), ისინი ამ იურიდიული პირის მმართველი ორგანოს - დამფუძნებელი საბჭოს წევრთა 100%-ს შეადგენენ.

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები და ტექნოლოგიები

- სასაქონლო მარაგების რესურსები-სასაქონლო მარაგები წარმოადგენს სავაჭრო კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს აქტივს. მარაგების ოპტიმიზაციაისა და მართვის მიმართულებით კომპანიაში ჩამოყალიბებულია სპეციალური ჯგუფი შესყიდვებსა და პროდუქტის მართვის დეპარტამენტში, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში თვალს ადევნებს და ზრუნავს სასაქონლო მარაგების ჯანსაღი დონეზე შენარჩუნებაზე. სასაქონლო მარაგების მართვაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პროდუქციის ფასს და მისი მოწოდების ვადას. ამ რისკის შესამცირებლად კომპანიას აქვს დივერსიფიცირებული პორტფელი, რაც აძლევს საშუალებას ეფექტურად მართოს გლობალურ საავტომობილო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები და მისთვის ხელსაყრელად გამოიყენოს ეს უკანასკნელი.

- **ადამიანური რესურსი** - კომპანიაში დასაქმებულია 2,900 თანამშრომელზე მეტი. გამომდინარე ბიზნეს სექტორიდან, კომპანიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება კვალიფიციური პერსონალი, ვინაიდან ბაზარზე არ არის შესაბამისი საგანმანათლებლო ინსტიტუტი, რომელიც კომპანიას მისცემს საშუალებას სწრაფად მოძებნოს შესაბამისი ტექნიკური განათლების თანამშრომელი, სწორედ ამიტომ „კომპანიამ“ 2013 წელს ჩამოაყალიბა „თეგეტა აკადემია“, რომელიც ემსახურება კადრების პროფესიულ განვითარებას თეორიული და პრაქტიკული ტრეინინგების მეშვეობით.

- **ტექნოლოგიური რესურსები**
  - **მყარი რესურსები** - კომპანია კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის ავტო-პროდუქტებისა და სერვისის ფართო სპექტრს, რაც მოითხოვს მაღალი სტანდარტის დანადგარების და აღჭურვილობის რესურსებს. „კომპანია“ იყენებს თანამედროვე აღჭურვილობას და დანადგარებს ისეთი მომწოდებლებისგან, როგორებიცაა Bosch, Nusbaum, Teco, Hunter, Hofmann, Heshbon და სხვა. თანამედროვე დანადგარები პასუხობენ უახლესი ხარისხის ტექნოლოგიურ და უსაფრთხოების სტანდარტებს და შესაბამისად „კომპანია“ მომხმარებელს სთავაზობს საუკეთესო ხარისხის მომსახურებას.

  - **ინტელექტუალური რესურსები** - კომპანია აქტიურად ვითარდება საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით და მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა ონლაინ მომსახურებასა და აპლიკაციას. აღნიშნული პროექტები ხორციელდება თეგეტა მოტორსის შიდა რესურსებით. კომპანიაში სრულ განაკვეთზე დასაქმებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების დეველოპერთა და ანალიტიკოსთა გუნდი, რაც

საშუალებას აძლევს კომპანიას დაზოგოს მნიშვნელოვანი თანხები აღნიშნულ პროექტებზე და მაქსიმალურად მოკლე ვადაში შეასრულოს ბიზნესის მოთხოვნები.

- **ფინანსური რესურსი** - აღნიშნული რესურსი გამოიყენება კომპანიის მიერ არჩეული სტრატეგიის და ზემოთჩამოთვლილი სხვა რესურსების მხარდასაჭერად, შესაბამისად არის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი კომპანიის ბიზნეს რესურსებში. თეგეტა მოტორსი ფინანსური რესურსების კუთხით იყენებს როგორც გაუნაწილებელ მოგებას ასევე პარტნიორი ბანკის საკრედიტო რესურსს. უმეტეს შემთხვევაში კომპანიის სამუშაო კაპიტალის ფინანსირება ხდება კომპანიის სახსრებით, ხოლო მსხვილი კაპიტალური დანახარჯები ინფრასტრუქტურულ და საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტებზე მოზიდული საბანკო კრედიტით.

„კომპანია“ იყენებს ბიზნესის მართვისა და ბიზნეს პროცესების ადმინისტრირების ავტომატიზებული თანამედროვე პროგრამა ,,SAP"-ს, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია, მათ შორის:

- **მაღალი დონის ურთიერთინტეგრაცია მოდულებს შორის -** ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი SAP-ის პროგრამისთვის არის მაღალი დონის ურთიერთინტეგრირება მოდულებს შორის. ერთი კონკრეტული ტრანზაქციის გატარებისას შედეგები ავტომატურად აისახება ყველა გააქტიურებულ მოდულში და არ საჭიროებს რაიმე სახის დამატებით ოპერაციებს ან დამატებით ქვეპროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით მონაცემების სინქრონიზაციისთვის.
- **მონაცემების სიზუსტე და საიმედოობა -** მაღალი დონის ინტეგრაცია უზრუნველყოფს, რომ მონაცემები ნებისმიერ მოდულში არის იდენტური და ზუსტი. ამავდროულად ამ მოდულების ურთიერთდამოკიდებულება უზრუნველყოფს იმას, რომ მომხმარებელმა პროგრამაში შეიყვანოს ის მინიმალური და სწორი მონაცემები, რის საფუძველზეც „კომპანია“ იღებს მაქსიმალურად ზუსტ ინფორმაციას.
- **ინფორმაციის ოპერატიულობა -** კომპანიის მასშტაბების მიუხედავად მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს-პროცესის ყველა შესაბამის რგოლს ჰქონდეს ოპერატიული ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე. ნებისმიერ თანამშრომელს მისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს ონლაინ ინფორმაცია კომპანიაში არსებულ სიტუაციაზე (დარჩენილი მარაგები, ფასების ავტომატური ცვლილება, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები, ბიუჯეტის კონტროლი და ა.შ.).
- **პროცესების კონტროლი და ავტორიზაციის დონეები -** პროგრამა იძლევა საშუალებას რომ პროცესების ავტორიზაციის მეშვეობით მოხდეს ეფექტური კონტროლის გატარება.
- **ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უფლებების გამიჯვნა -** კომპანიის ზრდასთან ერთად მატულობს კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის ალბათობა და რისკები. მომხმარებლების უფლებების მართვის მოქნილი მეთოდები (ე.წ. „იუზერმენეჯმენტი“) საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს თითოეული მომხმარებლის კომპეტენციის ფარგლები.

ბიზნესის პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები

„კომპანიის“ ხარისხის მენეჯმენტის სისტემა შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 მოთხოვნების და ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით. ბიზნეს-პროცესების ადმინისტრირების ოპტიმიზაციის, კომპანიის მუშაობის მართვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, „თეგეტა მოტორსმა" საქართველოში ბიზნეს-პროცესების მთლიანი ციკლის ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად პირველმა დანერგა თანამედროვე ბიზნესის მართვის ინტეგრირებული სისტემა ,,SAP".

უმაღლესი დონის სერვისმა და საერთაშორისო სტანდარტების სერვის-ცენტრებმა განაპირობა ის, რომ „თეგეტა მოტორსს", პირველად საქართველოში, ავტომობილების გაყიდვისა და მომსახურების სფეროში ISO 9001 სტანდარტის საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა.

ორგანიზაციამ განსაზღვრა ყველა შიდა და გარე საკითხი, რომელიც შეესაბამება მის მიზანს და სტრატეგიას და განაპირობებს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დადგენილი შედეგის მიღების შესაძლებლობას. ორგანიზაციამ ჩაატარა შიდა და გარე საკითხების შესახებ ინფორმაციის მონიტორინგი და ანალიზი.

- **გარე** - იგულისხმება ისეთი საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს სამართლებრივი, ტექნოლოგიური, კონკურენტული, საბაზრო, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური გარემოს მიმართ საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონალური, თუ ადგილობრივი მოთხოვნებიდან.
- **შიდა** - იგულისხმება ისეთი საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს ღირებულებების, კულტურის, ცოდნის, ფუნქციონირების მიმართ ორგანიზაციის მოთხოვნებიდან.

ორგანიზაციამ შეიმუშავა, განახორციელა, შეინარჩუნა და მუდმივად აუმჯობესებს ხარისხის მართვის სისტემას საჭირო პროცესებით და მათი ურთიერთქმედებით წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

ორგანიზაციამ განსაზღვრა ხარისხის მართვის სისტემისათვის საჭირო პროცესები და მათი გამოყენება მთელ ორგანიზაციაში:

- ამ პროცესებისთვის საჭირო შემავალი მონაცემები და მოსალოდნელი შედეგები;
- ამ პროცესების თანმიმდევრობა და ურთიერთქმედება;
- პროცესების ეფექტური ფუნქციონირების და კონტროლის უზრუნველყოფისათვის საჭირო (მათ შორის, მონიტორინგის, გაზომვის და შესაბამისი შესრულების ინდიკატორების) კრიტერიუმები და მეთოდები;
- საჭირო რესურსები ამ პროცესებისათვის და უზრუნველყო მათი ხელმისაწვდომობა;

ორგანიზაციამ:
- დანიშნა ამ პროცესების პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირები;
- გააანალიზა ეს პროცესები და განახორციელა ამ პროცესებისთვის დაგეგმილი შედეგების მისაღწევად საჭირო ცვლილებები;
- გააუმჯობესა პროცესები და ხარისხის მენეჯმენტის სისტემა;

საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციაპროცესების განხორციელების ხელშეწყობისათვის აწარმოებს ინფორმაციის დოკუმენტირებას, ინახავს დოკუმენტირებულ ინფორმაციას ნდობის მოსაპოვებლად, რომ პროცესები მიმდინარეობს გეგმის შესაბამისად.

ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები

„კომპანიის“ კლიენტების პორტფელი დივერსიფიცირებულია და შესაბამისად არცერთი მომხმარებლის წილი არ აღემატება მთლიანი გაყიდვების 10%-ს. მომწოდებლებს შორის მხოლოდ Toyota-ს ბრენდის წილი აღემატება შესყიდვების 10%-ს. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში Toyota-ს წილი შესყიდვებში მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	2024	2023	2022	2021	2020
წილი მთლიან შესყიდვებში:	22.9%	27.1%	16.50%	15.30%	22.40%

წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

გაყიდვები და მარკეტინგი

,,თეგეტა მოტორსი“ - ავტოინდუსტრიის ლიდერი კომპანია საქართველოსა და ამიერ კავკასიაში, მომხმარებელს ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული პროდუქტებისა და მომსახურების სრულ სპექტრს სთავაზობს. შეთავაზებათა ფართო არჩევანი სამიზნე აუდიტორიის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს, რაც თავის მხრივ საკომუნიკაციო და მარკეტინგული არხების მაქსიმალურად ათვისებას მოითხოვს.

კომპანია, კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს როგორც ტრადიციულ არხებს: ტელევიზია, რადიო, ონლაინ და ბეჭდური მედია-გამოცემები, ბილბორდი, ბუკლეტები და ბროშურები; ასევე თანამედროვე ციფრულ მედიას: ციფრული მარკეტინგი, სოციალური ქსელი, E-Mail და SMS მარკეტინგი, რასაც უკვე ბოლო რამდენიმე წელია განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

თანამედროვე ციფრული პლატფორმები მაქსიმალურად ზუსტად „თარგეთირების“ და კონკრეტული პროდუქტით/სერვისით დაინტერესებულ მომხმარებელზე მარკეტინგის წარმოების საშუალებას იძლევა.

„კომპანიისთვის“ მნიშვნელოვანი კონტრაქტები

კომერციული კონტრაქტები

კომპანიას კომერციული კონტრაქტები გაფორმებული აქვს დაახლოებით 300 მომწოდებელთან (რომელთა შორის არიან ისეთი მსხვილი მომწოდებლები, როგორიცაა Bridgestone MEA, JCB SALES LTD). „კომპანიის“ კლიენტების პორტფელი დივერსიფიცირებულია და შესაბამისად არცერთი მომხმარებლის წილი არ აღემატება მთლიანი გაყიდვების 10%-ს. ხოლო, მომწოდებლებს შორის მხოლოდ Toyota-ს ბრენდის წილი აღემატება შესყიდვების 10%-ს. ხელშეკრულებები ეფუძნება მომწოდებლების სპეციალურ ფორმებს და მათი პირობები შესაბამისად განსხვავებულია.

Toyota-ს მიერ კონტრაქტის ერთპიროვნულად შეწყვეტა ძირითადად მოიცავს დათქმებს, რომელთა შედეგი მომწოდებლის რეპუტაციული რისკის დადგომა შეიძლება გახდეს. თეგეტა, როგორც დილერი ვალდებულია უზრუნველყოს ტოიოტას სერვისის მიწოდება შეთანხმებული სტანდარტების მიხედვით, დაიცვას პროდუქციის უნიკალურობა, უზრუნველყოს პროდუქციის განთავსება სათანადო ტერიტორიაზე. მხარის მიერ სანქცირებას ექვემდებარება თაღლითობის შემთხვევები, რომელთა შედეგად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფაქტორები სადაც ხდება 1. საოპერაციო საქმიანობისათვის ძირითადი აქტივობისათვის ხელისშეშლა; 2. მხარეთა ურთიერთობებისა და ნდობის დაზიანება; 3. რეპუტაციული ზიანის მიყენება.

მომწოდებლებთან „კომპანიის“ ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი ეხება გასაყიდი პროდუქციის შესყიდვას. ხელშეკრულებები განსაზღვრავენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პროდუქციის ტიპი, მოწოდების ვადა, გადახდის პირობა, გარანტია, მოცულობა, დისტრიბუციის არეალი, მარკეტინგული მხარდაჭერა და სხვა. „კომპანიის“ მიერ შესყიდული პროდუქციის მიღებას ორი კვირიდან ოთხ თვემდე სჭირდება, გამომდინარე იქიდან თუ რომელი რეგიონიდან ხდება იმპორტი.

მიუხედავად იმისა რომ „კომპანია“ გარკვეულწილად დამოკიდებულია რამდენიმე მსხვილ მომწოდებელზე, „კომპანია“ მიიჩნევს, რომ მას ეფექტურად შეუძლია ამ რისკის მართვა, რადგან კომპანიის პორტფელი დივერსიფიცირებულია და ყველა სეგმენტში ათეულობით ბრენდს მოიცავს, ხოლო თავად საავტომობილო ნაწილები და მასალები ფართოდაა

ხელმისაწვდომი როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონალურ ბაზრებზე, რის გამოც კომპანიას მარტივად შეუძლია მომწოდებლების ჩანაცვლება. „კომპანიას“ წარსულში შეუცვლია სხვადასხვა მომწოდებლები უკეთესი ფასისა და ხარისხის მისაღებად გაყიდვების პროცესის შეფერხებებისა და დარღვევების გარეშე.

მოწოდების პირობები ინდუსტრიისთვის სტანდარტულია და „კომპანიას“ საშუალებას აძლევს საბრუნავი კაპიტალის გარკვეული ნაწილი სავაჭრო ვალდებულებების მეშვეობით დააფინანსოს. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულებების რისკის სამართავად „კომპანია“ აქტიურად იყენებს სავალუტო ფორვარდულ გარიგებებს, რომელთა მეშვეობითაც იგი ლარში აფიქსირებს გადასახდელ მოცულობას.

კომპანიამ 2022 წელს გაიმარჯვა სომხეთის დედაქალაქ ერევნის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ორ-ეტაპიან ტენდერში. ერევნის მუნიციპალიტეტმა გამარჯვებული 2022 წლის აპრილში გამოავლინა და 6 მაისს ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად კომპანიამ ერევანს MAN-ის ბრენდის 100-მდე ერთეული ავტობუსი მიაწოდა. ავტობუსების გადაცემის პროცესი 2022 წლის ბოლოდან დაიწყო და 2023 წელს დასრულდა. სატრანსპორტო რეფორმა სომხეთის დედაქალაქში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ხელშეწყობით განხორციელდა, 20 მილიონი ევროს სესხის და აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდის (E5P) გრანტის 5 მილიონი ევროს ოდენობით, რომლის ინვესტიცია სომხეთის დედაქალაქი EBRD მწვანე ქალაქების დადგენილების ფარგლებში განხორიცელდა. ავტობუსების სერვისს ერევნის მერიას კომპანია გაუწევს.

2023 წელს გაიმარჯვა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და 15 ივნისს გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმად 160 ერთეული 18-მეტრიანი MAN-ის ბრენდის ავტობუსის შესყიდვა მოხდება. კომპანიამ 2024 წლის პირველ ნახევარში შემოიყვანა და მიაწოდა პირველი 75 ერთეული, ხოლო დარჩენილი ოდენობა 2024 წლის ბოლოს მიეწოდა. კონტრაქტის სრული ღირებულება 259 მილიონი ლარია. აღნიშნული ტენდერის ფარგლებში, დამატებით გაფორმდა ხელშეკრულება 40 ერთეული 18-მეტრიან MAN-ის ბრენდის ავტობუსის შესყიდვა, რომელიც მიეწოდა 2025 წლის პირველ ნახევარში.

სასამართლო დავები

„კომპანია“ ამჟამად აწარმოებს სასამართლო დავებს, რომელთა უმეტესი ნაწილი შეეხება ფულადი ვალდებულების ამოღებას დებიტორებისაგან, ანდა ავანსის სახით გაცემული აქტივების დაბრუნებას, აგრეთვე, რამდენიმე დავა, რომელიც სადავო თანხის ოდენობის სიმცირის გათვალისწინებით მიუხედავად იმისა, თუ როგორი შედეგით დასრულდება ის, არ ახდენს გავლენას ემიტენტის ან ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა თუ მომგებიანობაზე.

ადმინისტრაციული დავა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ

„კომპანიის“ მონაწილეობით ამჟამად მიმდინარეობს ადმინისტრაციული დავა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ. 2018 წლის 15 ივნისს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში 4 (ოთხი) ერთეული მაღალი გამავლობის სპეციალიზებული ავტომანქანის შეძენასთან დაკავშირებით 2018 წლის 10 ივლისის #3 სხდომის ოქმის თანახმად გამარჯვებულად გამოცხადდა „კომპანია“. „კომპანიის“ გამარჯვებულად გამოცხადების თაობაზე სატენდერო სხდომის ოქმი გასაჩივრებულ იქნა შპს „კავკასუს მოტორსის“ მიერ დავების საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებითაც, სატენდერო კომისიას დაევალა მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. აღნიშნული გადასინჯვის შედეგად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედმა სატენდერო კომისიამ 2018 წლის 3 აგვისტოს #4 სხდომის ოქმით მიიღო გადაწყვეტილება „კომპანიის“ დისკვალიფიკაციისა და შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიცია

ეყრდნობა იმ დასაბუთებას, რომ „კომპანიის“ მიერ ტენდერის განმავლობაში წარდგენილი დოკუმენტები (კერძოდ, „კომპანიის“ მიერ შეთავაზებული ავტომანქანის მწარმოებლის ან/და ოფიციალური დილერის მიერ გაცემული სატრანსპორტო მონაცემების შესახებ დოკუმენტი) მოპოვებული იყო არაკეთლისინდისიერი გზით. აღნიშნულის საპირისპიროდ, „კომპანიის“ მიერ წარდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ სადაო დოკუმენტი „კომპანიის“ მიერ მოპოვებულ იქნა საჯარო სივრციდან (დოკუმენტი გავრცელებული იყო ინტერნეტში, სხვადასხვა ვებ-გვერდებზე), შესაბამისად, აღნიშნული დასაბუთებით „კომპანიამ“ გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. იმავდროულად, „კომპანიამ“ სარჩელით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ და მოითხოვა სატენდერო კომისიის მიერ 2018 წლის 03 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების (სხდომის #3 ოქმი „კომპანიის“ დისკვალიფიკაციის და შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე) ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. უზენაესი სასამართლოს განჩინებით ეს ორი დავა გაერთიანდა და ამჟამად მას განიხილავს მცხეთის რაიონული სასამართლო. დამატებით, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 12 სექტემბრის განჩინებით, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეკრძალება „კომპანიის“ რეგისტრაცია შავ სიაში. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუკი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება „კომპანიის“ შავ სიაში რეგისტრაცია, ეს გარემოება არ შეზღუდავს „კომპანიის“ შვილობილ კომპანიებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში. დამატებით, დადგენილი საქმიანობის პრაქტიკიდან ჩანს, რომ „კომპანია“ სახელმწიფო შესყიდვებში ხშირად შვილობილი კომპანიების წარმომადგენლობით მონაწილეობს. შესაბამისად, მიმდინარე დავის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაშიც კი, „კომპანიის“ შვილობილი კომპანიები შეძლებენ მონაწილეობის მიღება გააგრძელონ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შავ სიაში რეგისტრაცია კონკრეტული ვადით არის შემოსაზღვრული. კერძოდ, შავ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებლებს/პრეტენდენტებს, შავ სიაში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მოხდება „კომპანიის“ შავ სიაში რეგისტრაცია, ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, „კომპანია“ შეზღუდვების გარეშე შეძლებს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვებში.

გარდა ამისა, მითითებულ საქმესთან პირდაპირი კავშირი აქვს იმ გარემოებას, რომ მიმდინარე 2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილებით შპს ,,თეგეტა მოტორსი“ დარეგისტრირდა შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრში (შემდგომ – თეთრი სია), რასაც საფუძვლად დაედო არაერთ სახელმწიფო ტენდერში ,,კომპანიის“ კეთილსინდისიერი ქცევისა და შემსყიდველთა კმაყოფილების შესახებ სათანადო მტკიცებულებების წარდგენა, რაც ამყარებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო შემსყიდვლებისათვის ,,კომპანია“ წარმოადგენს კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ მიმწოდებელს.

დავა საქართველოს შემოსავლების სამსახურისა და სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ

2024 წლის 19 თებერვალს კომპანიის მიერ გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - „შემოსავლების სამსახური“) გადაწყვეტილება შემოწმების ფარგლებში საშემოსავლო გადასახადის ძირის, ჯარიმისა და საურავის დაკისრების თაობაზე და შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ ინიცირებული იქნა ადმინისტრაციული წარმოება.

2024 წლის იანვარში შემოსავლების სამსახურმა შეამოწმა დაკავშირებულ პირთან დადებული წილის ნასყიდობის გარიგებები და ჩათვალა, რომ მათ არ გააჩნდათ ეკონომიკური შინაარსი და აღნიშნული გარიგებების დადების მიზანი კომპანიიდან თანხების გადინება იყო, რაც უნდა დაბეგრილიყო საშემოსავლო გადასახადით. შედეგად, შემოსავლების სამსახურმა კომპანიას დაარიცხა 39,390,298.51 ლარი, საიდანაც 23,124,220 ლარი წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის ძირს, 11,521,923 ლარი არის ჯარიმა, ხოლო 4,744,155.51 ლარი - საურავი. ამასთან, სსიპ შემოსავლების

სამსახურის გადაწყვეტილებით თავდაპირველად საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გავრცელდა შპს „თეგეტა მოტორსის“ მთელ ქონებაზე, თუმცა კომპანიის მიმართვის საფუძველზე აღნიშნული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გაუქმდა და გავრცელდა კომპანიის საკუთრებაში არსებულ მხოლოდ 5 უძრავ ქონებაზე.

სადავოდ გამხდარი გარიგებებით „კომპანიის“ მიერ შეძენილ იქნა:

- შპს „კავკასუს ავტომოტივი“ (ს.ნ 405302836-100% წილის ჯამური ღირებულება 50 000 000 ლარი);
- შპს „ავტო გალერი” (ს.ნ 405232957-100% წილის ჯამური ღირებულება 33 800 000 ლარი);
- შპს „თეგეტა ინთერნეიშენალი” (ს.ნ 206211936 - 100% წილის ჯამური ღირებულება 12 000 000 ლარი).

თითოეულ შემთხვევაში, წილები შეძენილი იქნა ურთიერთდაკავშირებული პირებისგან. შესაბამისად, მათზე ვრცელდებოდა საბაზრო პირობებით ფასწარმოქმნის ვალდებულება. ეს ნიშნავს, რომ თუ წილის ნასყიდობის ფასი საბაზროზე მაღალი იქნებოდა, კომპანიას წარმოეშობოდა ნამეტის დაბეგვრის ვალდებულება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. აქედან გამომდინარე, კომპანიამ თითოეულ შემთხვევაში წილი შეაფასებინა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და კომპანიის მიერ გადახდილი თანხები არ აღემატებოდა შესაბამისი წილის საბაზრო ფასს, რაც დადასტურდა დამოუკიდებელი შეფასების შედეგად.

„კომპანიის“ მიერ შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული აქტები გასაჩივრდა ზემდგომ ორგანოში, შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოში, იმ საფუძვლით, რომ წარმოების პროცესში დარღვეულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო რეგულაციებისა და დამატებით არაერთ დარღვევაზე მიუთითებს ბიზნესომბუდსმენი, რომლის მიერაც შეფასდა გამოცემული აქტები, როგორც კანონმდებლობასა და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან შეუსაბამო. ბიზნესომბუდსმენმა სრულად გაიზიარა კომპანიის არგუმენტები და შესაბამისად, გასცა რეკომენდაცია, რომ საგადასახადო ორგანომ იმოქმედოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

კომპანიის არგუმენტები არ იქნა გაზიარებული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, შესაბამისად კომპანიამ საკუთარი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მიმართა სასამართლოს. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის მოთხოვნები და ძალაში დარჩა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები. კომპანიამ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2025 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით, ემიტენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 23 ივნისის განჩინება, რომლითაც თავის მხრივ უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება ემიტენტის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

იქიდან გამომდინარე, რომ უზენაესი სასამართლოს განჩინება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის საბოლოო და აღარ საჩივრდება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 23 ივნისის განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

შესაბამისად, ვინაიდან ემიტენტმა აღნიშნული საგადასახადო დავის ფარგლებში ამოწურა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების ყველა შესაძლებლობა, ემიტენტის მიმართვის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განიხილა და დაამტკიცა საგადასახადო შეთანხმების პირობები, ხოლო 2025 წლის 28 ოქტომბერს გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება,რომლის საფუძველზე ემიტენტს სრულად გაუუქმდა სადავო აქტების საფუძველზე დარიცხული ჯარიმა და საურავი და კომპანიის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობად განისაზღვრა 21,015,000.00 (ოცდაერთი მილიონ თხუთმეტი ათასი) ლარი, რომელიც განაწილებულ იქნა შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

• 7,005,000 ლარი - საგადასახადო შეთანხმების გაფორმებიდან 360 დღის ვადაში;

• 7,005,000 ლარი - საგადასახადო შეთანხმების გაფორმებიდან 720 დღის ვადაში;

• 7,005,000 ლარი - საგადასახადო შეთანხმების გაფორმებიდან 1 080 დღის ვადაში;

საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული დარიცხვა არ იწვევს პროსპექტების 1.6. ქვეპუნქტით დადგენილ „დეფოლტს“ და არ არღვევს დამტკიცებული პროსპექტით განსაზღვრულ კოვენანტებს, ვინაიდან დარიცხვით გათვალისწინებული ოდენობა არ აღემატება ბოლო ფინანსური წლის შედეგების საფუძველზე დათვლილი, „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად) ან მის ექვივალენტ ოდენობას ნებისმიერ სხვა ვალუტაში.

აქვე ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული დავის წარმოების განმავლობაში, საგადასახადო ორგანოს არ გამოუყენებია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ისეთი საშუალებ(ებ)ი (მაგ: ყადაღა, ინკასო დ.ა.შ), რაც შეაფერხებდა ან/და საფრთხეს შეუქმნიდა ემიტენტის ნორმალურ ფუნქციონირებას და ბიზნეს პროცესებს.

ინდუსტრიის მიმოხილვა

სამიზნე ბაზრები და სექტორის ტენდენციები

ავტოინდუსტრიის სექტორის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ავტომობილებით ვაჭრობისა და რემონტის სექტორის აქტივობა ქვეყანაში სტაბილურად მზარდია, ხოლო ავტომობილების იმპორტ-ექსპორტი საქართველოს საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტად ყალიბდება. თუმცა, იმპორტზე დამოკიდებულებისა და სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინდუსტრიაზე მნიშვნელოვნად აისახება საქართველოსა და გლობალური მაკროეკონომიკური ვითარება, საერთაშორისო ფასები და გეოპოლიტიკური მოვლენები.

2020 წლიდან ადგილობრივ და საგარეო ბაზრებზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა სექტორის მიერ ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა, სექტორის დამატებული ღირებულება თითქმის გაორმაგდა 2019-24 წელთან შედარებით გაორმაგდა და 2.3 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც 2024 წელს საქართველოს მშპ-ს 2.9%-ს შეადგენს. 2025 წლის პირველ ცხრა თვეში სექტორის დამატებულ ღირებულებაში 10%-იანი კლება დაფიქსირდა და 1.546 მლრდ ლარი შეადგინა.

მლნ ლარი	2019	2020	2021	2022	2023	2024	9 თვე 24	9 თვე 25
ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობა და მათი რემონტი - დამატებული ღირებულება	997	895	1,240	1,474	1,875	2,316	1,718	1,546
წლიური ზრდა	56.1%	-10.2%	38.5%	18.8%	27.2%	23.5%	34.3%	-10.0%
წილი მშპ-ში	2.3%	2.1%	2.3%	2.3%	2.7%	2.9%	2.9%	2.3%
მშპ მიმდინარე (საბაზისო) ფასებში	**43,482**	**43,453**	**52,826**	**63,397**	**70,329**	**80,979**	**58,628**	**66,634**

წყარო: საქსტატი
შენიშვნა: 2025 წინასწარი მონაცემები

საავტომობილო ინდუსტრია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში. 2017-დან 2021 წლამდე მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში საშუალოდ 12.7%-ს შეადგენდა, ხოლო ავტომობილების იმპორტი მთლიანი იმპორტის საშუალოდ 9.4%-ს შეადგენდა.
2022 წლიდან ავტომობილებით საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა შიდა და საერთაშორისო მოთხოვნის ზრდის, ასევე ფასების ზრდის გამო. ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 2023 წელს ავტომობილების რეექსპორტი წინა წელთან შედარებით 134.8%-ით გაიზარდა, 2.1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა და მთლიანი ექსპორტის 34.9% შეადგინა. ამ ზრდის ძირითადი წვლილი შეიტანეს ყირგიზეთმა და ყაზახეთმა, სადაც რეექსპორტის ღირებულება 2023 წელს წინა წელთან შედარებით შესაბამისად 7.6-ჯერ და 4.7-ჯერ გაიზარდა. მაღალი ბაზის მიუხედავად, ორნიშნა ზრდა 2025 წელსაც შენარჩუნდა. 2025 წელს რეექსპორტის მთლიანმა მოცულობამ 2.8 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 16.0%-იან ზრდას წარმოადგენს და მთლიანი ექსპორტის 38.6%-ს შეადგენს.

რაც შეეხება ავტომობილების იმპორტს, 2023 წელს იმპორტი წინა წელთან შედარებით 93.8%-ით გაიზარდა, 3.3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა და მთლიანი იმპორტის 21.3%-ს შეადგენს. მაღალი საბაზო ეფექტის გამო, 2024 წელს ზრდა შენელდა და 3.5 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 4.3%-იან ზრდას წარმოადგენს. 2025 წელს ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 3.9 მილიარდ აშშ დოლარს შეადგინა. შედეგად, ავტომობილების იმპორტის წილი მთლიან იმპორტში 21.1%-ს შეადგენს.

მლნ აშშ დოლარი	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
მსუბუქი ავტომობილების რე-ექსპორტი	732.8	400.5	456.6	905.7	2,126.6	2,426.8	2,814.2
წლიური ზრდა	71.0%	-45.3%	14.0%	98.4%	134.8%	14.1%	16.0%

წილი მთლიან ექსპორტში	19.3%	12.0%	10.8%	16.2%	34.9%	37.0%	38.6%
მსუბუქი ავტომობილების იმპორტი	1,108.2	778.5	935.5	1,714.0	3,323.6	3,471.7	3,911.3
წლიური ზრდა	32.0%	-29.8%	20.2%	83.2%	93.8%	4.3%	12.7%
წილი მთლიან იმპორტში	11.6%	9.7%	9.3%	12.7%	21.3%	20.6%	21.1%

საავტომობილო პარკის მიმოხილვა საქართველოში

საქართველოს საავტომობილო პარკი სტაბილური წლიური ზრდის ტემპით ხასიათდება. 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით საავტომობილო პარკი მოიცავდა 2 მილიონამდე დარეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებას, წლიურმა ზრდის ტემპმა კი 7.2% შეადგინა.

2019-2025 წლებში საავტომობილო პარკის სტრუქტურა თითქმის უცვლელად შენარჩუნდა. პარკის უდიდეს ნაწილს, მსუბუქი ავტომობილები შეადგენს, რასაც მოყვება სატვირთო ავტომობილები და სამგზავრო ტრანსპორტი; დანარჩენი კი იმ სხვა ტიპის ავტომობილებზე ნაწილდება, რომლებიც საავტომობილო პარკის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.

გრაფიკი 1: საქართველოს საავტომობილო საავტომობილო პარკი, '000



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

ბოლო წლებში, პირველად რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობამ სწრაფი ზრდა განიცადა, პიკს 2023 წელს მიაღწია 163 ათასი რეგისტრაციით. თუმცა, მაღალი საბაზო ეფექტის გამო, ზრდა შენელდა 2024 წელს და რეგისტრაციები 152 ათასამდე (-6.9% წლიურად) შემცირდა. ამ შენელების მიუხედავად, ზრდა 2025 წლის პირველ ცხრა თვეში აღდგა, რეგისტრაციები წლიურად 15.7%-ით გაიზარდა და 127 ათას ავტომობილს გადააჭარბა. 2025 წლის პირველი ცხრა თვეში პირველად რეგისტრირებული ავტომობილების უმეტესობა (86.9%) მსუბუქი ავტომობილები იყო, შემდეგ მოტოციკლები (4.8%) და სატვირთო მანქანები (3.4%).

2018-დან 2022 წლამდე მსუბუქი ავტომობილების პირველად რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა საშუალოდ წლიურად 11.5%-ით გაიზარდა. ზრდა მნიშვნელოვნად დაჩქარდა 2023 წელს და 139 ათას ავტომობილს (+40.6% წლიურად) მიაღწია, რაც განპირობებული იყო როგორც ადგილობრივი მოთხოვნის ზრდით, ასევე ექსპორტისთვის განკუთვნილი ავტომობილების რეგისტრაციით[1]. თუმცა, მაღალი საბაზო ეფექტის გამო, 2024 წელს ზრდა შენელდა და მსუბუქი ავტომობილების რეგისტრაცია 125 ათას ერთეულამდე შემცირდა (-10.1% წლიურად). ამ

[1] აღნიშნული ხდება, როდესაც მესაკუთრე ვერ ახერხებს საექსპორტო გაყიდვის დასრულებას კანონით დადგენილ ვადაში, რაც ფორმალურ რეგისტრაციას მოითხოვს.

შენელების მიუხედავად, ზრდა 2025 წლის პირველ ცხრა თვეში აღდგა და რეგისტრაციები წლიურად 21.4%-ით გაიზარდა და 111 ათას ავტომობილს მიაღწია.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წელს პირველად რეგისტრირებულ ავტომობილებში მოტოციკლების წილი 9.9%-მდე გაიზარდა, რაც განპირობებული იყო საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებმაც დაბალი ძრავის მოცულობის მოტოციკლების რეგისტრაცია სავალდებულო გახადა. თუმცა, 2025 წლის პირველ ცხრა თვეში ეს მაჩვენებელი 4.8%-მდე შემცირდა და ისტორიულ დონეს მიუახლოვდა.

გრაფიკი 2: სატრანსპორტო საშუალებები პირველადი რეგისტრაციის მიხედვით, '000



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა ყოველ 1000 მოსახლეზე ჩამორჩება ევროპის ქვეყნების მაჩვენებელს. 2024 წლის მდგომარეობით, ეს მაჩვენებელი საქართველოში 414-ს უტოლდება.

გრაფიკი 3: მსუბუქი ავტომობილები 1000 მოსახლეზე და მშპ ერთ სულ მოსახლეზე, საერთაშორისო დოლარი, 2024



წყარო: მსოფლიო ბანკი, ევროპის სტატისტიკის სამსახური

საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილები მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება დედაქალაქში. 2025 წლის პირველი ცხრა თვის მონაცემებით, ავტომობილების პირველადი რეგისტრაციების 98% თბილისში განხორციელდა.

გრაფიკი 4: პირველადი რეგისტრაციები რეგიონების მიხედვით, 9 თვე, 2025



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო პარკის 81.1% 10 წელზე მეტი ასაკისაა. ქვეყნის საავტომობილო პარკის შედარებით ახალი ავტომობილების წილი დაბალია, 0-3 წლის ასაკის ავტომობილები მხოლოდ 3.4%-ს შეადგენს, ხოლო 4-10 წლის ასაკის ავტომობილები 15.5%-ს. ეს განაწილება ხაზს უსვამს საავტომობილო პარკის განახლების აუცილებლობას და შეიძლება ჩაითვალოს საავტომობილო ინდუსტრიაში მოთხოვნის განმაპირობებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად. 2024 წლის 1 იანვრიდან 2013 წლამდე წარმოებული ავტომობილების იმპორტი კანონით აიკრძალა, დამატებით, 2026 წლის 1 აპრილიდან ძალაში შედის კანონი რის თანახმადაც ავტომობილების პირველად ან/და დროებით რეგისტრაციაზე

დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მისი წლოვანება არ აღემატება 6 წელს, რაც, სავარაუდოდ, დადებით გავლენას მოახდენს პირველადი რეგისტრაციის მქონე ავტომობილების საშუალო ასაკის შემცირებაზე.

გრაფიკი 5: . საქართველოს საავტომობილო პარკის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 9 თვე 2025



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

გრაფიკი 6: მსუბუქი ავტომობილების პირველადი რეგისტრაცია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, '000 ავტომობილი



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2025 წლის პირველი ცხრა თვის მონაცემებით, Toyota საქართველოს მსუბუქი ავტომობილების უმსხვილესი ბრენდია, რომელიც მთლიანი საავტომობილო პარკის 13%-ს (213 ათასი ავტომობილი) შეადგენს. Mercedes-Benz მეორე ადგილს იკავებს 12%-იანი წილით (193 ათასი ავტომობილი). აღსანიშნავია, რომ Mercedes-Benz ისტორიულად წამყვანი ბრენდი იყო საქართველოში, თუმცა, ბოლო წლებში, Toyota-ს მზარდმა პოპულარობამ გაზარდა მისი წილი პირველად რეგისტრაციაში და შესაბამისად ავტოპარკში. 2025 წლის პირველ ცხრა თვეში Toyota მსუბუქი ავტომობილების პირველად რეგისტრაციაში 19% შეადგინა, ხოლო Ford-სა და Mercedes-Benz-ს მეორე და მესამე ადგილები ეკავათ შესაბამისად 12%-იანი და 7%-იანი წილებით.

გრაფიკი 7: მსუბუქი ავტომობილების ფლოტის უმსხვილესი 10 ბრენდი, სექტემბერი 2025

გრაფიკი 8: უმსხვილესი 10 ბრენდი მსუბუქი ავტომობილების პირველადი რეგისტრაციებში, 9 თვე 2025



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

შენიშვნა: VAZ-ის მსუბუქი ავტომობილები ამოღებულია სიიდან, რადგან ამ ბრენდის მანქანების დიდ ნაწილს ესაჭიროება დერეგისტრაცია.

საქართველოს საავტომობილო ინდუსტრიაში მოთხოვნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი რეექსპორტია. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ავტომობილებზე შედარებით დაბალი იმპორტის გადასახადები და ხელმისაწვდომი ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სერვისები ხელს უწყობს ქვეყნის მნიშვნელოვან როლს გლობალურ რეექსპორტის ბაზარზე.

საქართველო მსუბუქი ავტომობილების ერთ-ერთი უმსხვილესი რეექსპორტორია და ავტომობილების ექსპორტს გადამწყვეტი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკაში. 2018 წლიდან 2021 წლამდე რეექსპორტის ღირებულება გაიზარდა 2.1%-იანი წლიური ზრდის ტემპით (CAGR). 2022-დან 2025 წლამდე მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი მკვეთრად დაჩქარდა და 45.9%-იან CAGR-ს მიაღწია. შედეგად, 2025 წელს რეექსპორტმა 2.8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2025 წელს რეექსპორტის უმეტესი ნაწილი (50.6%) ყირგიზეთში იყო მიმართული, შემდეგ მოდის ყაზახეთი (27.9%) და აზერბაიჯანი (7.6%).

გრაფიკი 9: მსუბუქი ავტომობილების რე-ექსპორტი საქართველოდან ქვეყნის მიხედვით, 2025 მლნ აშშ $



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება იმპორტს, 2018-21 წლებში ავტომობილების იმპორტის ღირებულება წლიური ზრდის ტემპით (CAGR) 3.7%-ით გაიზარდა. 2022-დან 2025 წლამდე ზრდა მკვეთრად დაჩქარდა და CAGR 31.6%-ს მიაღწია. შედეგად, 2025 წელს იმპორტის მთლიანმა მოცულობამ 3.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. აშშ საქართველოს ავტომობილების იმპორტის ძირითადი წყაროა, რაც 2025 წელს იმპორტის მთლიანი ღირებულების 58.9%-ს შეადგენს. სხვა მსხვილი იმპორტის ბაზრებია გერმანია (17.2%) და იაპონია (8.5%).

გრაფიკი 10: მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში ქვეყნის მიხედვით, 2025, მლნ აშშ $



წყარო: საქსტატი

ბოლო წლებში ახალი[2] ავტომობილების პირველადი რეგისტრაცია და მათი რექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოში 2024 წელს 8.5 ათასამდე ახალი მსუბუქი ავტომობილი დარეგისტრირდა. 2025 წლის პირველ ცხრა თვეში წლირად მცირედი კლება დაფიქსირდა და 4.9 ათასი ახალი მსუბუქი ავტომობილი დარეგისტრირდა (-6.1% წ/წ).

[2] მონაცემების არარსებობის გამო, ახალ ავტომობილებში ითვლება ის ავტომობილები, რომელთა გამოშვების და რეგისტრაციის წლები იდენტურია

რაც შეეხება რეექსპორტს, საქართველოდან რეექსპორტირებული ახალი მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა 2019-2021 წლებში საშუალოდ 3.5 ათასს შეადგენდა. შემდგომში, რეექსპორტირებული ავტომობილების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და პიკს 2023 წელს მიაღწია, 6.9 ათასი ახალი ავტომობილის რეგისტრაციით. წინა წლის მაღალი ბაზის გამო, 2024 წელს წლიურ ნიშნულთან შედარებით 10.8%-იანი კლება დაფიქსირდა 6.1 ათას ავტომობილამდე. რეექსპორტირებული ახალი მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა 2025 წლის ცხრა თვეშიც შემცირდა წლიურად (-22.4%) და 2.9 ათას ავტომობილს გაუტოლდა.

გრაფიკი 11: ახალი მსუბუქი ავტომობილები პირველად რეგისტრაციებში, ‘000



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

გრაფიკი 12: ახალი მსუბუქი რე-ექსპორტირებული ავტომობილები, ‘000



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

სავალდებულო მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა

საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები შედის. კანონპროექტი პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ იყო ინიცირებული. დიდი ალბათობით, პარლამენტი კანონს მიიღებს. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული საავტომობილო საშუალებების მფლობელები ვალდებულნი იქნებიან დააზღვიონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა მათ საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე.

მსუბუქი ავტომობილების აქციზის განაკვეთი

2026 წლის 10 მარტს საქართველოს პარლამენტში ინიცირებული 264/3-XIმპ დოკუმენტის მიხედვით, პარლამენტისთვის შეთავაზებულია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც მიზნად ისახავს აქციზის განაკვეთის ცვლილებას მსუბუქი ავტომობილებისთვის. კერძოდ, შემოთავაზებული ცვლილებებით აქციზის განაკვეთი დაყოფილია ავტომობილის ასაკის მიხედვით 0-დან 6 წლის ჩათვლით და 6 წელზე ზემოთ ძველი ავტომობილებისთვის.

შემოთავაზებულ საკანონდმებლო ცვლილებებს შესაძლოა ჰქონდეს შერეული გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ერთის მხრივ, მოსალოდნელია მეორეული დასასერვისებელი ავტომობილების საქართველოში იმპორტის შემცირება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გრძელვადიან პერიოდში ავტოპარკის ზრდის ტემპის შენელება, თუმცა ემიტენტის შეფასებით, ის ავტომობილები რომელსაც ეხება აღნიშნული ინიციატივა არ წარმოადგენს მნიშვნელოვან მომხმარებელთა ბაზას და სერვისიდან მიღებული შემოსავალი და მომეგბიანობა ძირითადად გენერირდება იმ ავტოპარკიდან, რომელთა წლოვანება ვარდება 3-დან 7 წლამდე შუალედში. მეორე მხრივ, სავარაუდოა მომხმარებლების პრეფერენციების ახალი, დაბალბიუჯეტური მსუბუქი ავტომობილებისკენ გადახრა, რაც თეგეტასთვის, როგორც სადილერო კომპანიისთვის, ქმნის შესაძლებლობას რომ უპასუხოს ბაზრის ახალ მოთხოვნას და კიდევ უფრო გაზარდოს მომგებიანობა.

ინფრასტრუქტურული პროექტები

კორპორაციული გაყიდვების არხი „კომპანიის“ გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მაგალითისათვის მოიცავს სხვადასხვა სექტორში მომუშავე კომპანიებს და არ არის შეზღუდული: გზების და ჰესების მშენებლობა, სამთო სამომპოვებლო სამუშაოები, სამშენებლო მასალების, რკინის და მეტალის წარმოება. აღნიშნულ კომპანიებთან თეგეტა მოტორსს აქვს გრძელვადიანი კონტრაქტები რის ფარგლ ებშიც „კომპანია“ ახორციელებს მძიმე ტექნიკის და დაკავშირებული მომსახურებების და პროდუქტის მიწოდებას სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მომუშავე კლიენტებისთვის. სახელმწიფოს სტრატეგიის შესაბამისად აღნიშნულ პროექტებზე გამოყოფილია რამდენიმე ასეული მილიონი, რაც თავის მხრივ აძლევს „კომპანიას“ საშუალებას გაზარდოს გაყიდვები კორპორაციულ არხში. სამოქმედო სტრატეგიის მიხედვით უახლოეს 1-4 წლიან პერიოდში დაგეგმილია და მიმდინარეობს რამდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრიორიტეტებად განსაზღვრული აქვს ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისა და მზარდი დინამიკის უზრუნველყოფისთვის რამდენიმე პრიორიტეტი: გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია, სკოლების რეაბილიტაცია, რეგიონალური განვითარება და წყალმომარაგება.

ცენტრალური ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კაპიტალური ხარჯები ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა. მოსალოდნელია, რომ გაზრდილი დანახარჯები შენარჩუნდება და სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, 2026 წელს ხარჯები 3.9 მილიარდ ლარს მიაღწევს. სახელმწიფო ბიუჯეტი 2026-29 წლების კაპიტალური ხარჯების მერყეობას აჩვენებს, რადგან შემდგომში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხები ჯერ არ არის განსაზღვრული. მოსალოდნელია, რომ ხარჯები თანდათანობით გაიზრდება ახალი პროექტებისთვის ხარჯების განაწილების შესაბამისად.

გრაფიკი 13: სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები საქართველოში, მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რეგიონალური და საერთაშორისო გზები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეგიდით, საავტომობილო გზების დეპარტამენტს ევალება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების განხორციელება და მშენებლობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე.

2025 წლის ბიუჯეტში შეტანილი საგზაო პროექტების სია, რომლებზეც 2025-28 წლების პერიოდისთვის გამოყოფილი ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია:

- **საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია** - პროექტის მიზანია არსებულ საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვებისა და მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სახიდე გადასასვლელების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. პროექტი სრულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 2025-28 წლებში 2.7 მლრდ ლარს შეადგენს.

- **სენაკი-ფოთი-სარფის გზა** - ბათუმი (ჭოროხი) - სარფის მონაკვეთზე 4კმ-იანი საავტომობილო გზის და 7 კმ-იანი გვირაბის მშენებლობით გაუმჯობესდება საავტომობილო გზაზე ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება. შედეგად, მივიღებთ საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის გაზრდილ კონკურენტუნარიანობას სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში და ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფას. სამშენებლო სამუშაოები 2025 წელს დაიწყება აზიის განვითარების ბანკის დახმარებით (ADB) და პროექტის ჯამური ღირებულება 2025-28 წლებში 0.6 მლრდ ლარს შეადგენს.

- **თბილისი-წითელი ხიდის გზა** - აშენებული 32 კმ-იანი საავტომობილო გზით, გაუმჯობესდება ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, შემცირდება მგზავრობის დრო და ა.შ. რის შედეგადაც გაიზრდება საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობა სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში და უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობას. სამშენებლო სამუშაოები ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) დახმარებით მიმდინარეობს და 2025-28 წლებში პროექტი 0.5 მლრდ ლარით დაფინანსდება.

შედარებით მცირე ზომის დაგეგმილი საგზაო პროექტებია:

- ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა და მოდერნიზაცია (EIB)
- მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე გზის და გვირაბის მშენებლობა (ADB, EBRD)
- სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის 0-50 კმ მონაკვეთის მოდერნიზაცია და მშენებლობა (EIB, EU)
- მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზაზე ხანდო-ფასანაურის და არშა-სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთების მშენებლობა
- თბილის-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა (WB)
- ხულო-ზარზმას მონაკვეთის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია ბაღვაში (ანგისა)-ახალციხის გზაზე (ქუვეითის ფონდი)
- თბილის-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია და მშენებლობა (EIB, WB)
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესება (ზემო ოსიაური-რიკოტი) (EIB, WB)
- სახელმწიფო მნიშვნელობის გზაზე ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია (ADB)
- ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი-არგვეთის მონაკვეთის რეკონსტრუქცია და მშენებლობა
- თბილის-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჯინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა
- მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა (ADB)

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

„კომპანიის“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შედეგების მიმოხილვა და ანალიზი მოიცავს 2024 და 2025 წლების არააუდიტირებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამჟღავნებულ მონაცემებსა და სრული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 და 2024 წლებისთვის. 2024 და 2023 წლებისათვის მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის არამოდიფიცირებული. მოცემული პერიოდებისთვის, კომპანიის ფინანსური აუდიტორია შპს დელოიტი და ტუში (ს.ნ: 204422240). თუკი სხვაგვარად არ არის აღნიშნული, ამ მიმოხილვაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდებზე ამოღებულია „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგებებიდან. ეს ნაწილი წაკითხული უნდა იქნას ფინანსურ ანგარიშგებასთან და მის შენიშვნებთან, ასევე პროსპექტში სხვაგან მოცემულ ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

„ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 და 2024 წლებისათვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით.

„ემიტენტის“ არააუდიტირებული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის *ბასს 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება* შესაბამისად და წაკითხულ უნდა იქნას „კომპანიის“ 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან („ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგება“) ერთად, რომელიც ატვირთულია ვებ გვერდზე: www.reportal.ge.

„ემიტენტის“ მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2025 HY	2024 HY	2024	2023
ათასი ლარი	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	800,005	636,610	1,635,684	1,378,159
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(654,843)	(509,369)	(1,308,261)	(1,081,579)
საერთო მოგება	**145,162**	**127,241**	**327,423**	**296,580**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(67,099)	(65,082)	(139,921)	(125,556)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(22,636)	(17,226)	(39,928)	(33,868)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6,303	3,979	11,301	10,015
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,589)	(6,241)	(17,882)	(8,270)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	**57,141**	**42,671**	**140,993**	**138,901**
ფინანსური შემოსავალი	1,759	1,630	3,343	10,600
ფინანსური ხარჯები	(41,092)	(34,173)	(56,569)	(68,442)
მეკავშირე საწარმოების შედეგების წილი	-	-	61	69
მოგება დაბეგვრამდე	**17,808**	**10,128**	**87,828**	**81,128**
მოგების გადასახადის ხარჯი	(41)	-	(86)	(104)
წლის მოგება	**17,767**	**10,128**	**87,742**	**81,024**

უცხოური ოპერაციების კონვერტაციისას გაცვლითი სხვაობები	(28)	-	(417)	(94)
მთლიანი სრული შემოსავალი	**17,739**	**10,128**	**87,325**	**80,930**

კომენტარი

„კომპანიის“ შემოსავლები 2022 წლის პირველი ნახევრის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც 2022 წლის მეორე ნახევარში, ასევე 2023 წლის პირველ ნახევარში, რაც მეტწილად შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

- ორგანული ზრდა - ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტოინდუსტრიის სექტორი. მეტი დეტალისთვის იხილეთ პროსპექტის სექცია - „გასაღების ბაზრები და სექტორის ტენდენციები“
- ერევნის ავტობუსების ტენდერი - 2022 წლის ბოლოს დაიწყო და 2023 წლის დასაწყისში დასრულდა სომხეთის დედაქალაქ ერევნის მუნიციპალიტეტისთვის MAN-ის ბრენდის ავტობუსების გადაცემა. მეტი დეტალისთვის იხილეთ პროსპექტის სექცია - „კომერციული კონტრაქტები“
- წილების შესყიდვა მოქმედ კომპანიებში - 2022 წლის ივნის-ივლისში „ემიტენტმა“ შეიძინა მაკონტროლებელი წილი რამდენიმე კომპანიაში რის შედეგადაც გაიზარდა კონსოლიდირებული შემოსავლები. მეტი დეტალისთვის იხილეთ პროსპექტის სექცია - „ინვესტიციები“
- 2023 წლის 13 იანვარს კომპანიამ შეიძინა დამატებითი 10%-იანი წილი შპს ავტო გალერიში. არამაკონტოლებელი წილის მფლობელ აქციონერზე გადაცემულმა კომპენსაციამ შეადგინა 3,400 ათასი ლარი.
- 2023 წლის 5 აგვისტოს ჯგუფმა შეიძინა დამატებითი 25%-იანი წილი შპს აზტეხ და თეგეტა მოტორსში. არამაკონტოლებელი წილის მფლობელ აქციონერზე გადაცემულმა კომპენსაციამ შეადგინა 2,526 ათასი ლარი.
- 2024 წელს კორპორატიული გაყიდვების ზრდა ძირითადად განპირობებულია უნიკალური კორპორატიული კლიენტების რაოდენობის ზრდით, რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა 2023 წელთან შედარებით. მნიშვნელოვანია, რომ შემოსავლების ზრდა რამდენიმე მსხვილ კლიენტზე არ არის კონცენტრირებული. მიუხედავად იმისა, რომ წლის განმავლობაში რამდენიმე მაღალი ღირებულების გარიგება გაფორმდა, მსხვილმა კლიენტებმა არსებითად არ იმოქმედეს საერთო ზრდაზე. კორპორატიული კლიენტების აქტივობის ზრდას ხელს უწყობდა შემდეგი ფაქტორები:
    - ფასდაკლებები, რამაც შეთავაზებები უფრო კონკურენტული გახადა;
    - გაფართოებული ინფრასტრუქტურა, რამაც მომსახურების შესაძლებლობები გააუმჯობესა;
    - უფრო მორგებული, კლიენტზე სპეციფიკურად გათვლილი გადაწყვეტილებები, რომლებმაც მომხმარებლებისთვის ღირებულება გაზარდეს;
- მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრატეგიებმა საერთო მარჟის პროცენტული მაჩვენებელი მცირედით შეამცირა, მათ გამოიწვიეს შემოსავლების უფრო მაღალი და დივერსიფიცირებული მაჩვენებლები. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კორპორატიული გაყიდვების ზრდა არ უკავშირდება Tegeta Motors-ის არაპირდაპირ დაკავშირებულ მხარეებს.
- 2025 წელს საერთო შემოსავლების ზრდის დაახლოებით 90% მსუბუქი ავტომობილების სეგმენტზე მოდიოდა. ამ შედეგის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორები იყო:
    - პრემიუმ ბრენდების — Lamborghini და Bentley — პორტფელში დამატება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა გაყიდვები;
    - Volvo-ს გაყიდვების ძლიერი ზრდა, რომელსაც ბაზრის გაზრდილი მოთხოვნა უჭერდა მხარს;
    - სომხეთში მთავრობის ტენდერის მოგება Volvo-ს ავტომობილებზე, რამაც დამატებითი მოცულობა უზრუნველყო;
- ასევე აღსანიშნავია, რომ 2024 წლის დასაწყისში გაყიდვები შეზღუდული იყო ისეთი მაღალი მოთხოვნის მოდელების მიწოდების დეფიციტის გამო, როგორიცაა Toyota Land Cruiser 300, Toyota Prado და Mazda, რამაც იმ დროისთვის შედეგებზე იმოქმედა. მოგვიანებით აღნიშნული მოდელების ხელმისაწვდომობამ კიდევ უფრო ხელი შეუწყო ზრდას.

2025 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, წმინდა მოგების მარჟა გაიზარდა 2.2%-მდე, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებული 1.6%-დან. ეს ზრდა, ძირითადად, საოპერაციო მოგების მარჟით არის განპირობებული. 2024 წელს "კომპანიის" გაყიდვებმა განაგრძო ზრდის ტენდენცია, რამაც წინა წელთან შედარებით შემოსავლის 18.7%-იანი ზრდა გამოიწვია. 2023 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი გაფართოება განიცადა, რაც შემოსავლების 45%-იან ზრდაში აისახა.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან, გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო მოგება

„კომპანიის" შემოსავალი მოიცავს კლიენტებზე განხორციელებულ გაყიდვებს „ჯგუფში" შემავალი მშობელი კომპანიის და შვილობილების მიერ.

"კომპანიის" შემოსავალი ძირითადად შედგება მსუბუქი ავტომობილებისა და მძიმე ტექნიკის ადგილობრივი და საერთაშორისო კლიენტებზე გაყიდვებისგან, ასევე საავტომობილო პროდუქტებით ვაჭრობისა და სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შეკეთების მომსახურებისგან. 2025 წლის პირველ ნახევარში კომპანიის გაყიდვებმა 800,005 ათასი ლარი შეადგინა, რაც 25.7%-იან ზრდას წარმოადგენს წინა წლის ანალოგიურ პერიოდში არსებულ 636,610 ათას ლართან შედარებით. შემოსავლების ეს ძლიერი ზრდა განპირობებული იყო როგორც ორგანული გაფართოებით, ასევე ერთჯერადი ტენდერების მოგებით ორივე წლის განმავლობაში.

2024 წელს "კომპანიის" შემოსავალი 18.7%-ით გაიზარდა და 1,635,684 ათას ლარს მიაღწია, შესაბამისად კომპანია ინარჩუნებს ზრდის ტრენდს წინა წლის ძლიერი ზრდის მაჩვენებლის შემდეგ.

2023 წელს "კომპანიამ" 1,378,159 ათასი ლარის გაყიდვები დააფიქსირა, რაც 45%-იან ზრდას წარმოადგენს 2022 წლის 950,221 ათასი ლარის გაყიდვებთან შედარებით. შემოსავლების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის 46%-იანი ზრდით.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, "კომპანიის" მრავალფეროვანი გაყიდვების პორტფელი კატეგორიზებულია შემდეგ სეგმენტებად: საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა.

	2025 HY	2024 HY	2024	2023
ათასი ლარი	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	766,178	565,118	1,550,115	1,320,383
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	33,827	71,492	85,569	57,776
მთლიანი მოგება	**800,005**	**636,610**	**1,635,684**	**1,378,159**

2025 წლის პირველ ნახევარში საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი 35.6%-ით გაიზარდა, ხოლო მომსახურების შემოსავალი 52.7%-ით შემცირდა. თუმცა, მთლიან შემოსავალში საქონლის გაყიდვების მნიშვნელოვნად დიდი წილის გათვალისწინებით, „კომპანიამ"მნიშვნელოვანი ზრდა დააფიქსირა ჯამური შემოსავლების თვალსაზრისით.

გაყიდული საქონლიდან შემოსავალი „კომპანიის" შემოსავლის ძირითად წყაროდ რჩება. 2024 წელს აღნიშნული წყაროდან შემოსავალმა 1,550,115 ლარს მიაღწია და მთლიანი გაყიდვების 94.8%-ს შეადგენს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან და 2024 წელს გაწეული მომსახურებიდან

შემოსავალი წინა წელთან შედარებით 48.1%-ით გაიზარდა. შემოსავალი გაყიდული საქონლიდან ასევე მნიშვნელოვნად, 17.4%-ით გაიზარდა. ეს შემოსავალი მოიცავს ისეთ გაყიდვებს ისეთი პროდუქტებიდან, როგორიცაა მსუბუქი ავტომობილები, მძიმე ტექნიკა, სპეციალიზებული აღჭურვილობა, საბურავები, საპოხი მასალები, ავტონაწილები, ხელსაწყოები და სხვა დაკავშირებული ნივთები.

2023 წელს შემოსავლების ზრდა დაფიქსირდა როგორც საქონლის გაყიდვებში, ასევე მომსახურებაში. თუმცა, საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად, 46%-ით გაიზარდა, ხოლო მომსახურების შემოსავალი 25.5%-ით გაიზარდა. ეს ზრდა განპირობებული იყო კომპანიის ყველა ბიზნეს სეგმენტში ორგანული გაფართოებით.

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს გაყიდული საქონლის თვითღირებულებასა და გაწეული მომსახურების თვითღირებულებას, მათ შორის თანამშრომლების ხარჯებს, ამორტიზაციის ხარჯებს, მომსახურების შეძენას, გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებს და სხვა დაკავშირებულ ხარჯებს.

	2025 HY	2024 HY	2024	2023
ათასი ლარი	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
დროის კონკრეტულ მონაკვეთში გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(606,096)	(473,710)	(1,227,119)	(1,011,976)
დროის განმავლობაში გაწეული მომსახურების თვითღირებულება:				
პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები	(17,926)	(16,174)	(33,850)	(31,085)
შესყიდული მომსახურებები	(19,231)	(9,873)	(26,986)	(20,745)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,558)	(3,895)	(7,811)	(6,677)
გამოყენებული სახარჯი მასალები	(1,132)	(1,179)	(2,158)	(1,902)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(319)	(194)	(217)	(237)
საიჯარო ხარჯები	(87)	(3,557.00)	-	(1,243)
სხვა ხარჯები	(4,280)	-	(7,715)	(6,048)
დაზღვევა	(667)	-	(1,298)	(806)
შეკეთება და მოვლა	(547)	(642.00)	(1,107)	(860)
გაყიდვების საერთო ღირებულება	**(654,843)**	**(509,369)**	**(1,308,261)**	**(1,081,579)**

	2025 HY	2024 HY	2024	2023
ათასი ლარი	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	800,005	636,610	1,635,684	1,378,159
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	(654,843)	(509,369)	(1,308,261)	(1,081,579)
მთლიანი მოგება	**145,162**	**127,241**	**327,423**	**296,580**
მთლიანი მოგების მარჟა	**18.1%**	**20.0%**	**20.0%**	**21.5%**

2025 წლის პირველ ნახევარში მთლიანი მოგების მარჟა 18.1%-ს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1.9%-იანი პროცენტული პუნქტით შემცირებას ასახავს. ეს ძირითადად განპირობებულია 2025 წლის პირველ ნახევარსა და 2024 წლის შესაბამის პერიოდში გაყიდვების განსხვავებული შემადგენლობით. ჩინური პროდუქციის წილის ზრდამ მცირე გავლენა მოახდინა მარჟაზე, პრემიუმ ბრენდებთან შედარებით მათი დაბალი მარჟის ბუნებით. შემცირება ასევე ნაწილობრივ დაკავშირებულია 2024 წლის დასაწყისში გაზრდილ მარჟასთან, რაც

გამოწვეულია გლობალური მიწოდების ჯაჭვის დარღვევით და 2022-2023 წლებში მარაგების დაბალი დონით, რამაც მცირე გავლენა მოახდინა 2024 წლის პირველ ნახევარზე.

2024 წელს მთლიანი მოგების მარჟა 2023 წელთან შედარებით 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა, აღნიშნული გამოწვეულია 2023 წელს მაღალი მარჟის მქონე პროექტების ერთჯერადი პროექტების შედეგის სტაბილიზაციით, ასევე შეძენილი მომსახურების, დაზღვევის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების და სხვა ხარჯების ზრდის გამო.

2023 წელს მთლიანი მოგების მარჟამ 21.5%-ს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს მოგების უფრო მაღალი მარჟა ძირითადად მომწოდებლების ფასდაკლებებითა და ერთჯერადი მაღალი მარჟის მქონე პროექტებით იყო განპირობებული. შედეგად, კომპანიისთვის მარჟის სტაბილიზაცია 2024 წლის პირველ ნახევარში იყო მოსალოდნელი.

საოპერაციო ხარჯები და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება

2025 წლის პირველ ნახევარში საოპერაციო მოგებამ 57,141 ათასი ლარი შეადგინა, რაც 33.9%-იან ზრდას წარმოადგენს 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ეს ზრდა ნაწილობრივ განპირობებული იყო საოპერაციო მოგების მარჟის ზრდით და ნაწილობრივ შემოსავლების ზრდით.

2024 წელს საოპერაციო მოგებამ 140,993 ათას ლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 1.5%-იან ზრდას წარმოადგენს. შედარებით მოკრძალებული ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო მთლიანი მოგების მარჟის შემცირებით, რამაც გამოიწვია საოპერაციო მოგების მარჟის 8.6%-მდე შემცირება, 2023 წლის 10.1%-თან შედარებით.

2023 წელს კომპანიამ 2022 წელთან შედარებით საოპერაციო მოგების განსაკუთრებით ძლიერი, 74.9%-იანი ზრდა დააფიქსირა. ეს ზრდა ნაწილობრივ განპირობებული იყო მთლიანი მოგების მარჟის გაუმჯობესებით, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი შესაბამის ქვეთავში, და ნაწილობრივ საოპერაციო ხარჯების დაგვიანებული ზრდით. შედეგად, კომპანიამ მიაღწია განსაკუთრებით მაღალ საოპერაციო მოგების მარჟას, 10.1%-ს.

ათასი ლარი	**2025 HY არააუდიტირებული**	**2024 HY არააუდიტირებული**	**2024 აუდიტირებული**	**2023 აუდიტირებული**
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	800,005	636,610	1,635,684	1,378,159
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(654,843)	(509,369)	(1,308,261)	(1,081,579)
საერთო მოგება	**145,162**	**127,241**	**327,423**	**296,580**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(67,099)	(65,082)	(139,921)	(125,556)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(22,636)	(17,226)	(39,928)	(33,868)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6,303	3,979	11,301	10,015
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,589)	(6,241)	(17,882)	(8,270)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	**57,141**	**42,671**	**140,993**	**138,901**
საოპერაციო მოგების მარჟა	**7.1%**	**6.7%**	**8.6%**	**10.1%**

2025 წლის პირველ ნახევარში, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წინა წელთან შედარებით 3.1%-ით გაიზარდა და 67,099 ათას ლარს მიაღწია. 2023 წელს „კომპანიამ“ მნიშვნელოვანი გაფართოება განიცადა, რაც შემოსავლების 45%-იან ზრდაში აისახა. ჯგუფის ოპერაციების გაფართოებასთან ერთად, ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაფართოების საჭიროებამ ხარჯების ზრდა გამოიწვია; თუმცა, ხარჯების ზრდა შემოსავლების ზრდას ჩამორჩა.

შესაბამისად, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა, რომელიც 2022 წელს 10.5%-ს შეადგენდა, 2023 წელს 9.1%-მდე შემცირდა. 2024 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ეს თანაფარდობა 10.2%-ზე დასტაბილურდა, რაც 2022 წელთან შედარებით 31 საბაზისო პუნქტით გაუმჯობესებას წარმოადგენს, ხოლო 2025 წლის პირველ ნახევარში ის კიდევ უფრო შემცირდა 8.4%-მდე, რაც მომგებიანობის ზრდას უწყობს ხელს.

2024 წელს საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 139,921 ათას ლარს შეადგენდა, რაც 11.4%-იან ზრდას ასახავს. თუმცა, ეს ზრდა ჩამორჩა იმავე პერიოდის შემოსავლების ზრდის ტემპს და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მთლიანი მოგების მარჟის შემცირების ეფექტის კომპენსირებაში საოპერაციო მოგების ზრდაზე.

2023 წელს საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 25.4%-ით გაიზარდა და 125,556 ათას ლარს მიაღწია. თუმცა, ეს ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩა იმავე პერიოდში შემოსავლების 45%-იან ზრდას. აღსანიშნავია, რომ ეს ეფექტი ნაწილობრივ კომპენსირებული იყო 2024 წლის პირველ ნახევარში საოპერაციო ხარჯების ზრდით.

	2025 HY	2024 HY	2024	2023
ათასი ლარი	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები	(39,518)	(36,091)	(75,852)	(73,710)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,651)	(5,532)	(11,809)	(9,362)
პროფესიული მომსახურება	(3,489)	(5,034)	(9,783)	(9,004)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	(1,686)	(3,557)	(6,956)	(5,836)
ოფისის ხარჯი	(3,897)	(3,006)	(7,131)	(5,408)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(4,476)	(2,766)	(8,956)	(5,131)
მივლინების ხარჯი	(1,232)	(1,327)	(2,976)	(3,339)
კომუნალური ხარჯები	(538)	(1,692)	(1,240)	(1,306)
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	(586)	(642)	(1,259)	(1,588)
საბანკო ხარჯები	(599)	(704)	(1,514)	(1,441)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,934)	(631)	(3,421)	(3,061)
საწვავის ხარჯი	(493)	(658)	(1,461)	(1,203)
დაცვის ხარჯები	(727)	(643)	(1,428)	(1,043)
აუდიტის ხარჯი	(380)	(497)	(741)	(673)
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	(868)	(592)	(2,109)	(344)
სხვა ხარჯები	(1,025)	(1,710)	(3,285)	(3,107)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(67,099)**	**(65,082)**	**(139,921)**	**(125,556)**

EBITDA

2025 წლის პირველ ნახევარში, EBITDA წინა პერიოდთან შედარებით 27.2%-ით გაიზარდა და 70,790 ათასი ლარი შეადგინა. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო საოპერაციო მოგების გაუმჯობესებით, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო შემოსავლების ზრდით და მომგებიანობის მარჟის გაუმჯობესებით. თუმცა, EBITDA-ს ზრდა ნაკლებად გამოხატული იყო, ვიდრე საოპერაციო მოგების, კომპანიის მიერ ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ამორტიზაციის ხარჯების ზრდის გამო.

2024 წელს EBITDA-მ 167,803 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 4.2%-იან ზრდას წარმოადგენს. ეს ზრდა 2023 წელს შემოსავლებისა და საოპერაციო მოგების განსაკუთრებულ მაჩვენებლების შედეგია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს „კომპანიის“ სტაბილურად ძლიერ შედეგებს. ამ ზრდის მიუხედავად, კომპანიის EBITDA მარჟა

10.3%-მდე შემცირდა, რაც 1.4 პროცენტული პუნქტით შემცირებას ასახავს, რაც 2024 წელს მთლიანი მოგების მარჟის შემცირებით იყო განპირობებული.

2023 წელს EBITDA მნიშვნელოვნად, 66.3%-ით გაიზარდა და 161,013 ათას ლარს მიაღწია. ეს ზრდა პირდაპირ კავშირში იყო საოპერაციო მოგების ზრდასთან.

	2025 HY	2024 HY	2024	2023
ათასი ლარი	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
გაყიდვები	**800,005**	**636,610**	**1,635,684**	**1,378,159**
საოპერაციო მოგება	57,141	42,671	140,993	138,901
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(13,649)	(12,984)	(26,810)	(22,112)
EBITDA	**70,790**	**55,655**	**167,803**	**161,013**
EBITDA მარჟა	**8.8%**	**8.7%**	**10.3%**	**11.7%**

ფინანსური ხარჯი

„კომპანიის“ ფინანსური ხარჯი უმეტესწილად წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს და გადაფასებიდან მიღებულ ზარალს „კომპანიის“ საბანკო ვალებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

2025 წლის პირველ ნახევარში ფინანსური ხარჯები 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20.2%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად სავალუტო ზარალმა განაპირობა.

2024 წელს ფინანსური ხარჯები წინა პერიოდთან შედარებით 11,873 ათასი ლარით შემცირდა და 56,569 ათას ლარს მიაღწია.

2023 წელს ფინანსურმა ხარჯმა 47.7%-ით გადააჭარბა 2022 წლის მაჩვენებელს და 68,442 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც უდიდესი წილი (69.6%) უჭირავს ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯებს. ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი იყო კომპანიის მიერ დამატებით მოზიდული სახსრები. კომპანიის ნასესხებ სახსრებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“

	2025 HY	2024 HY	2024	2023
ათასი ლარი	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
სესხების საპროცენტო ხარჯი	(28,746)	(25,838)	(51,007)	(47,615)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(1,632)	(1,944)	(3,974)	(2,970)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(10,302)	(5,926)	(378)	(8,538)
სხვა ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	-	-	-	246
სხვა	(412)	(465)	(1,210)	(9,565)
სულ ფინანსური ხარჯები	**(41,092)**	**(34,173)**	**(56,569)**	**(68,442)**

საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებების რისკის სამართავად „კომპანია“ იყენებს სავალუტო ფორვარდულ გარიგებებს: უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულების რისკის დასაზღვევად იგი პერიოდულად ყიდულობს შესაბამისი ვადიანობის სავალუტო ფორვარდს და ახდენს გაცვლითი კურსის „დაფიქსირებას“, რის შემდეგაც კურსის ცვლილების მიუხედავად „კომპანიას“ ზუსტად ეცოდინება რა რაოდენობის ლარია საჭირო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულების მოსამსახურებლად. ფორვარდული კონტრაქტების ღირებულება სტანდარტული საბაზრო პირობების შესაბამისია და დამოკიდებულია კონტრაქტის ზომასა და ვადიანობაზე.

2025 წლის პირველ ნახევარში წმინდა სავალუტო ზარალმა 10,302 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში არსებულ 5,926 ათას ლართან შედარებით 73.8%-იან ზრდას წარმოადგენს, რაც ძირითადად ლარის გამყარებით იყო განპირობებული. 2024 წელს წმინდა სავალუტო ზარალმა 378 ათასი ლარი შეადგინა.

8,538 ათასი ლარის წმინდა საკურსო ზარალი დაფიქსირდა 2023 წელსაც, როდესაც წლის პირველ ნახევარში ლარი გამყარდა, თუმცა მეორე ნახევარში კვლავ გაუფასურდა.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	2025 წლის 30 ივნისი (Pro-Forma)*	2025 წლის 30 ივნისი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	374,015	334,015	311,902	243,511
არამატერიალური აქტივები	12,270	12,270	10,836	8,637
აქტივის გამოყენების უფლება	33,054	33,054	51,725	42,947
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	11,379	11,379	13,694	11,264
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები	7,973	7,973	7,954	4,644
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	720	720	725	673
გუდვილი	82,593	82,593	82,593	82,593
სულ გრძელვადიანი აქტივები	**522,004**	**482,004**	**479,429**	**394,269**
მიმდინარე აქტივები				
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივი	3,693	3,693	3,548	2,310
სასაქონლო–მატერიალური მარაგები	401,964	401,964	405,676	364,432
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	113,306	113,306	194,863	65,103
გადახდილი ავანსები	29,545	29,545	17,383	29,851
საგადასახადო აქტივები	5,594	5,594	5,217	12,391
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	5,944	5,944	5,326	5,891
გაცემული სესხები	32,908	32,908	28,139	14,153
ფული და ბანკში არსებული ნაშთები	30,858	30,858	40,849	70,445
სულ მიმდინარე აქტივები	**623,812**	**623,812**	**701,001**	**564,576**
სულ აქტივები	**1,145,816**	**1,105,816**	**1,180,430**	**958,845**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი*	44,733	44,733	44,733	44,733
გაუნაწილებელი მოგება	232,830	232,830	233,881	185,428
სხვა რეზერვები	-	-	-	-
კაპიტალის სხვა კომპონენტები	(6,058)	(6,058)	(6,030)	(5,613)
სულ კაპიტალი	**271,505**	**271,505**	**272,584**	**224,548**
არამაკონტროლებელი წილი	(464)	(464)	(382)	329

ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	387,419	127,419	116,167	301,608
საიჯარო ვალდებულებები	28,104	28,104	47,068	37,002
საგარანტიო ანარიცხები	8,198	8,198	8,178	4,950
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები	7,106	7,106	6,032	3,422
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**430,827**	**170,827**	**177,445**	**346,982**
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	188,645	408,645	375,751	118,144
საიჯარო ვალდებულებები	4,583	4,583	6,465	6,182
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	200,489	200,489	250,509	184,496
საგარანტიო ანარიცხები	4,270	4,270	4,125	2,808
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა	9,409	9,409	16,802	8,979
სახელშეკრულებო ვალდებულებები	36,552	36,552	77,131	66,377
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**443,948**	**663,948**	**730,783**	**386,986**
სულ ვალდებულებები	**874,775**	**834,775**	**908,228**	**733,968**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**1,145,816**	**1,105,816**	**1,180,430**	**958,845**

**პრო-ფორმა კოეფიციენტი მოიცავს 2025 წლის დეკემბერში გამოშვებულ 260,000 ათასი ლარის მდგრადობასთან დაკავშირებულ ობლიგაციებს (ISIN: GE 2700605282), რის მიზნობრიობასაც წარმოადგენდა 220,000 ათასი ლარის პროცენტიანი ვალდებულებების რეფინანსირება და 40,0000 ათასი ლარის კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. მოცემული პროსპექტის ფარგლებში გამოსაშვებ ობლიგაციებს, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის კოეფიციენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან მოზიდული სახსრები სრულად ხმარდება პროცენტიანი ვალდებულებების ნაწილობრივ რეფინანსირებას.*

„კომპანიის“ აქტივები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „ემიტენტის“ აქტივები შეადგენდა 1,105,816 ათას ლარს, რაც 2024 წელთან შედარებით 6.3%-იან შემცირებას წარმოადგენს. შემცირება ძირითადად განპირობებული იყო სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, ასევე გამოყენების უფლების მქონე აქტივების შემცირებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ აქტივები შეადგენდა 1,180,430 ათას ლარს, რაც წინა პერიოდთან შედარებით 23.1%-იან ზრდას წარმოადგენს. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ძირითადი საშუალებების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ზრდით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, კომპანიის მთლიანი აქტივები 19.6%-ით გაიზარდა და 958,845 ათასი ლარი შეადგინა. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ზრდით.

ძირითადი საშუალებები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები მთლიანი აქტივების 30.2%-ს შეადგენდა, რაც ნომინალურ მაჩვენებელში 334,015 ათას ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდში კომპანიამ განახორციელა 48,913

ათასი ლარის ღირებულების შესყიდვები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო არსებული ფილიალების გაფართოებასა და გაუმჯობესებასთან, ასევე ახალი ფილიალების გახსნასთან. 2025 წლის ივნისის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე:



2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები მთლიანი აქტივების 26.4%-ს შეადგენდა. ამ თარიღის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები 311,902 ათას ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 28.1%-იან ზრდას წარმოადგენს. 2024 და 2023 წლებში დამატებების უმეტესობა არსებული ფილიალების გაფართოებასა და გაუმჯობესებას, ასევე, ახალი ფილიალის მშენებლობას უკავშირდება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ ძირითადი საშუალებები წინა პერიოდთან შედარებით 40.5%-ით გაიზარდა და 243,511 ათას ლარს შეადგენდა. ამ პერიოდში კომპანიამ 99,698 ათასი ლარის ოდენობის შენაძენები განახორციელა, რაც ასევე დიდწილად ფილიალების გაფართოებასა და გაუმჯობესებას უკავშირდებოდა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულება 197,743 ათასი ლარია (2023: 136,762 ათასი ლარი), დაგირავებული იყო კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფის სახით.

აქტივის გამოყენების უფლება

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის აქტივის გამოყენების უფლება შეადგენდა ჯამური აქტივების 3.0%-ს და მოიცავს აქტივის გამოყენების უფლებას მიწა და შენობა-ნაგებობებსა და ავტომობილებზე. 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით აქტივის გამოყენების უფლება შემცირდა 36.1%-ით (18,671 ათასი ლარით) და შეადგინა 33,054 ათასი ლარი, რაც მეტწილად გამოწვეულია მიწასა და შენობა-ნაგებობზე აქტივის გამოყენების უფლების შემცირებით. მიწასა და შენობა-ნაგებობებზე აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 26,288 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით შემცირდა 43.8%-ით (20,458 ათასი ლარით), აღნიშნული შემცირება გამოწვეულია კომპანიის მიერ რამდენიმე ოფისიდან გასვლით, ასევე ერთ-ერთ დიდ კომერციულ ფართზე საიჯარო ხარჯის მკვეთრი შემცირებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივის გამოყენების უფლება შეადგენდა 51,725 ათას ლარს (ჯამური აქტივების 4.4%-ს) და 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით გაიზარდა 20.4%-ით (8,778 ათასი ლარით), აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეული იყო მიწასა და შენობა-ნაგებობებზე აქტივების გამოყენების უფლების ზრდით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწასა და შენობა-ნაგებობებზე აქტივების გამოყენების უფლება შეადგენდა 46,746 ათას ლარს და 2023 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 18.7%-ით (7,371 ათასი ლარით).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის გამოყენების უფლება შეადგენდა 42,947 ათას ლარს (ჯამური აქტივების 4.5%-ს) და 2022 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით გაიზარდა 66.4%-ით (17,138 ათასი ლარით). აქტივის გამოყენების უფლება მიწასა და შენობა ნაგებობებზე შეადგენდა 39,375 ათას ლარს, ხოლო აქტივის გამოყენების უფლება ავტომობილებზე შეადგენდა 3,572 ათას ლარს.

აქტივის გამოყენების უფლების ცვლილება წარმოდგენილია ცხრილში:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	ავტომობილები	სულ
თვითღირებულება	39,029	4,271	**43,300**
დაგროვილი ცვეთა	(17,047)	(444)	**(17,491)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრისთვის	**21,982**	**3,827**	**25,809**
შესყიდვები	22,933	-	**22,933**
გასვლები	(362)	-	**(362)**
მოდიფიკაცია	609	-	**609**
ცვეთის ხარჯი	(5,818)	(255)	**(6,073)**
გასვლებზე დაგროვილი ცვეთა	31	-	**31**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**39,375**	**3,572**	**42,947**
თვითღირებულება	62,209	4,271	**66,480**
დაგროვილი ცვეთა	(22,834)	(699)	**(23,533)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**39,375**	**3,572**	**42,947**
შესყიდვები	874	2,118	**2,992**
გასვლები	(2,585)	-	**(2,585)**
მოდიფიკაცია	14,286	-	**14,286**
ცვეთის ხარჯი	(6,479)	(711)	**(7,190)**
გასვლებზე დაგროვილი ცვეთა	1,064	-	**1,064**
მოდიფიკაციებზე დაგროვილი ცვეთა	211	-	**211**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**46,746**	**4,979**	**51,725**
თვითღირებულება	74,784	6,389	**81,173**
დაგროვილი ცვეთა	(28,038)	(1,410)	**(29,448)**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**46,746**	**4,979**	**51,725**
შესყიდვები	1,585	2,359	**3,944**
გასვლები	(5,955)	(323)	**(6,278)**
მოდიფიკაცია	(18,977)	-	**(18,977)**
ცვეთის ხარჯი	(2,342)	(360)	**(2,702)**
გასვლებზე დაგროვილი ცვეთა	1,576	111	**1,687**
მოდიფიკაციებზე დაგროვილი ცვეთა	3,655	-	**3,655**
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 30 ივნისისთვის	**26,288**	**6,766**	**33,054**
თვითღირებულება	51,437	8,425	**59,862**
დაგროვილი ცვეთა	(25,149)	(1,659)	**(26,808)**
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 30 ივნისისთვის	**26,288**	**6,766**	**33,054**

გუდვილი

„კომპანიამ“ 2022 წელს ბალანსზე აღიარა გუდვილი, რომელიც წარმოიშვა საანგარიშო პერიოდებში განხორციელებული საწარმოთა გაერთიანებებიდან:

ათასი ლარი	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
შპს კავკასუს ავტომოტივი	38,803	38,803	38,803
შპს ავტო გალერი	28,526	28,526	28,526
ინტერავტო თრეიდინგი	11,104	11,104	11,104
შპს აზტეხ თეგეტა მოტორსი	4,160	4,160	4,160
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**82,593**	**82,593**	**82,593**

საწარმოთა გაერთიანებების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „ინვესტიციები“.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოადგენს სავაჭრო კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს აქტივს, მარაგების სწორი და ეფექტური მენეჯმენტი არის კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი, სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პროდუქციის ფასს, რაც თავის მხრივ განისაზღვრება პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო მასალების ფასებით (მეტალი, ნავთობი, კაუჩუკი) და ვალუტის გაცვლის კურსით.

2025 წლის ივნისის მონაცემებით, მარაგები წინა პერიოდთან შედარებით უმნიშვნელოდ, 0.9%-ით შემცირდა და 401,964 ათასი ლარი შეადგინა. კომპანიის მარაგების ბრუნვის დღეების რაოდენობა იმავე პერიოდში 99.3-ს შეადგენდა.

2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, მარაგები მთლიანი აქტივების 34.4%-ს შეადგენდა. წინა პერიოდთან შედარებით, მარაგები 11.3%-ით გაიზარდა და 405,676 ათასი ლარი შეადგინა. ეს ზრდა დაკავშირებული იყო ტრანზიტში მყოფი საქონლის 22.9%-იან ზრდასთან. ამ პერიოდში მარაგების ბრუნვის დღეების რაოდენობამ 107.4 დღე შეადგინა.

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, მარაგები მნიშვნელოვნად, 31.9%-ით გაიზარდა და 364,332 ათასი ლარი (აქტივების 38%) შეადგინა. ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ტრანზიტში მყოფი საქონლის 122.5%-იანი ზრდით. ამ პერიოდში მარაგების აგრესიული ზრდის გამო, ბრუნვის დღეებიც უმნიშვნელოდ გაიზარდა და 108.1-ს მიაღწია.

გადასაყიდად გამიზნული საქონელი წამოადგენს „კომპანიის“ ფილიალებსა და სერვისცენტრებში განთავსებულ გასაყიდად მზად საქონელს, ხოლო საქონელი გზაში წარმოადგენს „თეგეტა ჯგუფის“ მიერ ნაყიდ საქონელს, რომელიც ფიზიკურად ჯერ არ არის მიღებული. მარაგების ზრდის მთავარი მიზეზია „კომპანიის“ სტრატეგია, შეევსო მარაგები, გაეძლიერებინა კონკრეტული პროდუქციის გაყიდვები რისთვისაც დაარსდა კომპანია შპს „თეგეტა თაიარ იმპორტსი“, რომელიც კონცენტრირებულია საბურავების რეალიზაციაზე.

ათასი ლარი	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
გადასაყიდად გამიზნული საქონელი	278,719	222,631	219,383
საქონელი გზაში	107,151	165,698	134,854
სხვა	16,094	17,347	10,195

სულ სასაქონლო–მატერიალური მარაგები	**401,964**	**405,676**	**364,432**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 2024 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 41.9%-ით (81,557 ათასი ლარით) შემცირდა და 113,306 ათასი ლარი შეადგინა. სავაჭრო დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები 9.1 დღით შემცირდა, და უკანასკნელი 12 თვის მონაცემით - 19.9 დღე შეადგინა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება მთლიანი აქტივების 16.5%-ს, შესაბამისად 194,863 ათას ლარს შეადგენდა - სამჯერ მეტი წინა წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე. დებიტორული დავალიანების მკვეთრი ზრდა ძირითადად თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან ოპერაციებს უკავშირდება - „თეგეტამ“ 2024 წელს 160 ავტობუსის მიწოდება განახორციელა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 109,000 ათას ლარიან დებიტორული დავალიანების ბალანსში აისახა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დებიტორული დავალიანება უმნიშვნელოდ, 11.2%-ით შემცირდა. ეს შემცირება შემოსავლების 45%-იან მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად მოხდა, რაც მისაღები თანხების მართვის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეებმა 2023 წელს 18.3 დღე შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12.6 დღით შემცირებას წარმოადგენს.

	30 ივნისი 2025	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
ათასი ლარი	**არააუდიტირებული**	**აუდიტირებული**	**აუდიტირებული**
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	116,022	198,884	68,241
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(7,997)	(7,889)	(8,165)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	**108,025**	**190,995**	**60,076**
მისაღები დივიდენდები	49	-	14
სხვა დებიტორული დავალიანებები	5,232	3,868	5,013
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	**113,306**	**194,863**	**65,103**

მოთხოვნების გადახდის პირობები 30-93 დღის დიაპაზონში მერყეობს და დამოკიდებულია კლიენტთან შეთანხმებაზე. სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა, ხოლო კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასება მათი გადახდის და პროდუქციის გამოყენების/განკარგვის ისტორიის და მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით ხდება. ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება საბანკო გარანტიების წარდგენის მოთხოვნა.

შესაძლო გაუფასურების შეფასებისას „კომპანია“ აკვირდება დებიტორების მიერ ისტორიული გადახდების მონაცემებს. „კომპანიის“ დებიტორებთან ურთიერთობის გამოცდილების შედეგად აფასებს არის თუ არა დებიტორული დავალიანება გაუფასურებული. წარსულ გადახდებზე დაყრდნობით „კომპანიის“ შეფასებით, დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული სავაჭრო მოთხოვნების ამოღება წარმატებით მოხდება. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება შემდეგ ცხრილშია მოცემული:

	30 ივნისი 2025	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**

ათასი ლარი	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 1 იანვარს	**7,889**	**8,165**	**7,462**
(აღდგენა) / წლის დანარიცხი, წმინდა	108	(276)	703
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერს	**7,997**	**7,889**	**8,165**

ფული და ბანკში არსებული ნაშთები

„კომპანიის“ ნაღდი ფულის უმეტესი ნაწილი საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებში ინახება.

2025 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის, ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები 24.5%-ით შემცირდა და 30,858 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის პოზიცია ძირითადად განპირობებული იყო Porsche-სა და Toyota-ს გაყიდვებით, რომლებიც წლის ბოლოსკენ გაიზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა გადაუხდელი ვალდებულებები, რომლებიც მოითხოვდა გადახდას, „კომპანიას“ წლის ბოლოს 12,011 ათას ლარზე მეტი ნაღდი ფული ჰქონდა, რომლებიც კონკრეტულად ამ გაყიდვებთან იყო დაკავშირებული. 2025 წლის პირველ ნახევარში ეს თანხები თანდათანობით გამოიყენებოდა ვალდებულებების დასაფარად და საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

2024 წლის ბოლოს, ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები წინა პერიოდთან შედარებით 42.0%-ით შემცირდა და 40,849 ათასი ლარი შეადგინა. ეს შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო შეზღუდული ნაღდი ფულით, რომელიც იმავე პერიოდში 100%-ით შემცირდა. შეზღუდული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი კლიენტებისგან მიღებული წინასწარი გადახდებისგან შედგებოდა.

2023 წელს ნაღდი ფული 10.7%-ით (8,459 ათასი ლარი) შემცირდა; თუმცა, 28,457 ათასი ლარის ოდენობის შეზღუდული ნაღდი ფული გამოთავისუფლდა. შედეგად, თავისუფალი ნაღდი ფული 146.4%-ით გაიზარდა და 33,662 ათასი ლარი შეადგინა. 2023 წელს კომპანიის ნაღდი ფულისა და ნაღდი ფულის ეკვივალენტების ნაწილი წარმოადგენს კლიენტებისგან წინასწარი გადახდის სახით მიღებულ შეზღუდულ სახსრებს, რომლებიც გამოიყენება საბანკო პროდუქტების უზრუნველყოფად.

	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ათასი ლარი	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	29,615	39,078	32,098
ფულადი სახსრები გზაში	65	1,166	63
ნაღდი ფული სალაროში	1,178	605	1,501
შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულადი სახსრები	-	-	36,783
სულ ფული და ბანკში არსებული ნაშთები	**30,858**	**40,849**	**70,445**

გაცემული სესხები

გაცემული სესხები მოიცავს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებსა და მშობელ საწარმოზე გაცემულ სესხებს. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, გაცემული სესხების მოცულობამ 32,908 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით 16.9%-იან ზრდას წარმოადგენს. 2024 წელს გაცემული სესხები

მნიშვნელოვნად, 98.8%-ით გაიზარდა და 28,139 ათასი ლარი შეადგინა. 2023 წლის ბოლოს ამ აქტივის ნაშთმა 14,153 ათასი ლარი შეადგინა. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებსა და მშობელ საწარმოზე გაცემული თანხები გასესხებულია გაშლილი მკლავის პრინციპის დაცვით. მსგავსი ტიპის სესხების გაცემა/დაფარვა ხდება პერიოდულად და აღნიშნული სესხები არ არის ვადაგადაცილებული.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს „თეგეტა ჯგუფის“ საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების ერთ-ერთ უდიდეს ნაწილს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სავაჭრო კრედიტორული დავალიანება 2024 წელთან შედარებით 20.0%-ით შემცირდა და 200,489 ათას ლარს შეადგენდა. შემცირება ძირითადად განპირობებული იყო MAN-ის მიმართ გადასახდელი დავალიანებით, რომელიც წარმოიშვა თბილისისთვის ავტობუსების მიწოდებასთან დაკავშირებით. გადასახდელი ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაახლოებით 89,340 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც 2025 წლის პირველ ნახევარში 43,173 ათასი ლარით შემცირდა. ეს გადახდა შემცირების მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო კრედიტორული დავალიანება 250,509 ათას ლარამდე გაიზარდა, რაც წინა პერიოდთან შედარებით 35.8%-იან ზრდას წარმოადგენს. ეს ზრდა განპირობებული იყო „კომპანიის“ მიერ მარაგების აქტიური შესყიდვით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ჯამური მოცულობა წინა პერიოდთან შედარებით ოდნავ, 1%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთო მაჩვენებელი სტაბილური დარჩა, შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა — კერძოდ, შვილობილი კომპანიების შეძენასთან დაკავშირებული ვალდებულებები (რომელიც დაკავშირებულია შვილობილი კომპანიების ყოფილი მფლობელებისგან შეძენასთან) 26,464 ათასი ლარით შემცირდა და 98 ათას ლარს მიაღწია, ხოლო სავაჭრო ვალდებულებები 21,339 ათასი ლარით გაიზარდა.

ათასი ლარი	**30 ივნისი 2025 არააუდიტირებული**	**31 დეკემბერი 2024 აუდიტირებული**	**31 დეკემბერი 2023 აუდიტირებული**
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	183,346	230,169	157,053
გადასახდელი დივიდენდები	1,431	4,498	9,586
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადასახდელი თანხები	1,691	1212	2,552
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების მიმართ	88	76	12
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში შესული ფინანსური ვალდებულებები	**186,556**	**235,955**	**167,398**
თანამშრომლების დარიცხული სარგებლის ხარჯები	171	98	98
ვალდებულებები შვილობილი კომპანიების შეძენასთან დაკავშირებით*	12,916	12793	15,415
სხვა	846	1663	1,585
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**200,489**	**250,509**	**184,496**

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები არის კლიენტებისგან მიღებული გადახდები და წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, მიაწოდოს საქონელი ან მომსახურება კლიენტებისთვის.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებული იყო მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსებთან და თბილისის ავტობუსების მომსახურებასთან დაკავშირებულ გადავადებულ შემოსავალთან. დაახლოებით 10,174 ათასი ლარი აღიარებულია გადავადებულ შემოსავალად თბილისის ავტობუსების მომსახურებასთან დაკავშირებით. დარჩენილი ნაშთი წარმოადგენს მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსებს, ძირითადად მსუბუქი/მძიმე ავტომობილების მიწოდებისთვის. ძირითადი კომპონენტებია: თავდაცვის სამინისტროსთვის მისაწოდებელი ავტომობილებისთვის 10,398 ათასი ლარის ავანსი, კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებისგან მიღებული 13,265 ათასი ლარის ავანსი მსუბუქი ავტომობილებისთვის (Porsche, Toyota, Volvo) და 4,445 ათასი ლარის ავანსი, რომელიც დაკავშირებულია კონტრაქტით გაფორმებულ მძიმე და სამშენებლო ტექნიკასთან, რომელთა მიწოდებაც წლის განმავლობაში თანდათანობით იგეგმება.

2024 წელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ზრდა ძირითადად დაკავშირებული იყო თბილისის სატრანსპორტო კომპანიისგან 35,000 ათასი ლარის ავანსის მიღებასთან, რომელიც ეხებოდა ახალი, 18 მეტრიანი ავტობუსების მიწოდებას.

2023 წელს, მოსალოდნელი იყო, რომ ჯგუფის კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან 66,377 ლარი 2024 წელს შემოსავალად აღიარდებოდა. ეს ვალდებულებები ეხება შესრულების ვალდებულებებს, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის ჯერ კიდევ არ იყო შესრულებული. 2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა თითქმის სრულად აღიარა შემოსავალად კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც ანგარიშგების პერიოდის დასაწყისში მიმდინარე კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების სახით იყო რეგისტრირებული.

	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ათასი ლარი	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები	7,106	6,032	3,422
მოკლევადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები	36,552	77,131	66,377
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	**43,658**	**83,163**	**69,799**

სხვა ფინანსური ვალდებულება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ გააფორმა ორი საგარანტიო ხელშეკრულება საქართველოს კომერციულ ბანკთან. 1-ლი გარანტიის ფარგლებში კომპანია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების (მათ შორის მშობელი საწარმოს) მიერ ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების შესრულების გარანტიას იძლევა. 2023 წლის დეკემბერში აღნიშნული გარანტია შეწყდა და კომპანიის ფინანსური ვალდებულებები გამოთავისუფლდა წლის ბოლოს.

სესხები და ობლიგაციები

„კომპანია“ იყენებს სესხებსა და ობლიგაციებს იყენებს გრძელვადიანი აქტივებისა და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ნასესხებმა სახსრების ოდენობამ 536,064 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2024 წლის დეკემბერთან შედარებით 9%-იან ზრდას (44,146 ათასი ლარი) წარმოადგენს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრების ოდენობამ 491,918 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის 419,752 ათას ლართან შედარებით 17.2%-იან ზრდას წარმოადგენს. ნასესხები სახსრების უმეტესი ნაწილი გამოშვებული ობლიგაციებიდან იყო მიღებული.

2023 წელს კომპანიამ 134,550 ლარის ნასესხები სახსრები დაიმატა და წლის ბოლოს 419,752 ლარი შეადგინა, რაც 47% ზრდას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ნასესხები სახსრების მატერიალური ზრდის მიუხედავად, ამავე წლის EBITDA-ს ზრდიდან გამომდინარე, კომპანიის ლევერიჯი (სესხების EBITDA-სთან შეფარდება) 2.8 დან 2.6-მდე შემცირდა.

ბანკის სესხები - „ჯგუფის“ საბანკო სესხების დიდი ნაწილი აღებულია სს „თიბისი ბანკში“ ან სს „თიბისი ბანკის“ სინდიცირებით. „თეგეტა ჯგუფში“ შემავალი კომპანიები ინდივიდუალურად იღებენ მათთვის საჭირო რაოდენობის სესხებს, სესხები უზრუნველყოფილია არსებული და სამომავლო საბრუნავი მარაგებით და ძირითადი საშუალებებით მათ შორის უძრავი ქონებებით.

სესხის ძირის აღების და დაფარვის მაღალი მოცულობა გამოწვეულია საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად გამოყენებული მოკლევადიანი სესხებით, რომელთა ათვისება და დაფარვა რეგულარულად ხდება საჭიროების მიხედვით.

„კომპანიის“ სესხებისა და ობლიგაციების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ თავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

კაპიტალი და დივიდენდები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „ემიტენტის“ წმინდა მოგებამ 17,739 ათასი ლარი შეადგინა. იმავე პერიოდში „კომპანიამ“ გამოაცხადა 18,900 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები. შესაბამისად, „კომპანიის“ კაპიტალი 1,161 ათასი ლარით შემცირდა და 271,041 ათასი ლარი შეადგინა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ კაპიტალი 272,202 ათას ლარს შეადგენდა, რაც წინა პერიოდის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 21.0%-იან ზრდას წარმოადგენს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ კაპიტალი 224,877 ათას ლარს შეადგენდა.

2023 წელს კომპანიამ 80,930 ათასი ლარის წმინდა მოგება დააგენერირა და ამავე წელს კომპანიამ 48,336 ათასი ლარის დივიდენდები გამოაცხადა. 2023 წლის დეკემბერში ასევე ჩაიხურა კომპანიის აქციონერებზე ფინანსური გარანტიები, რამაც კაპიტალი 28,351 ათასი ლარით გაზარდა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალი 224,877 ათას ლარს შეადგენდა.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი* შეადგენს 44,733 ათას ლარს. აღსანიშნავია რომ კომპანიას არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების პოლიტიკა.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**44,733**	**(28,351)**	**151,748**	**(451)**	**167,679**	**2,179**	**169,858**
წლიური მოგება	–	–	82,016	–	**82,016**	(992)	**81,024**
ვალუტის კონვერტაციის სხვაობა	–	–	–	(94)	(94)	–	**(94)**

წლის მთლიანი შემოსავალი	–	–	**82,016**	**(94)**	**81,922**	**(992)**	**80,930**
არამაკონტროლებელი წილების შეძენა	–	–	–	–	–	(858)	**(858)**
დამატებითი აქციების შეძენა	–	–	–	(5,068)	(5,068)	–	**(5,068)**
გაცხადებული დივიდენდები	–	–	(48,336)	–	(48,336)	–	**(48,336)**
აქციონერთა ფინანსური გარანტიები	–	28,351	–	–	28,351	–	**28,351**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**44,733**	**–**	**185,428**	**(5,613)**	**224,548**	**329**	**224,877**
მოგება პერიოდზე	-	88,453	-	-	**88,453**	(711)	**87,742**
გადატანილი სხვაობები	-	-	(417)		(417)	-	**(417)**
წლის მთლიანი შემოსავალი	-	88,453	**(417)**	**-**	**88,036**	**(711)**	**87,325**
გაცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 21)	-	(40,000)	-	-	(40,000)	-	**(40,000)**
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 21)	-	-	-	-	-	-	**-**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**44,733**	**233,881**	**(6,030)**	**-**	**272,584**	**(382)**	**272,202**
მოგება პერიოდზე	-	17,849	-	-	**17,849**	(82)	**17,767**
გადატანილი სხვაობები	-	-	(28)		(28)	-	**(28)**
წლის მთლიანი შემოსავალი	-	17,849	**(28)**	**-**	**17,821**	**(82)**	**17,739**
გაცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 21)	-	(18,900)	-	-	(18,900)	-	**(18,900)**
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 21)	-	-	-	-	-	-	**-**
ნაშთი 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**44,733**	**232,830**	**(6,058)**	**-**	**271,505**	**(464)**	**271,041**

**„მეწარმეთა შესახებ“ საქართველო კანონის მიხედვით, კომპანიას არ აქვს შექმნილი „საწესდებო კაპიტალი“, რომელიც აღნიშნულ კანონში განმარტებული „განთავსებული კაპიტალის“ ექვივალენტური ტერმინია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი, საწესდებო კაპიტალის მუხლში მითითებული თანხა წარმოადგენს „დამატებით შენატანს კაპიტალში“ და იგი შესაბამისად არ ასრულებს დამცავი მექანიზმის ან/და ბუფერის როლს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველო კანონის 145-ე მუხლის ფარგლებში დივიდენდის გაცემასთან და კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, „მეწარმეთა კანონით“ დადგენილი შეზღუდვები, რომლებიც არ გავრცელდება კომპანიაზე იმის გამო, რომ მას არ აქვს შექმნილი განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, არის შემდეგი:*

- *განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევაში დაუშვებელია განთავსებული კაპიტალის გამოთავიუფლებული ოდენობით დივიდენდის განაწილება განთავსებული კაპიტალის შემცირების თარიღიდან 6 თვის განმავლობაში.*
- *დაუშვებელია დივიდენდის პარტნიორებზე განაწილება, თუ ამის შედეგად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების აქტივები ვეღარ დაფარავს ვალდებულებებსა და განთავსებული კაპიტალის ოდენობას.*
- *განთავსებული კაპიტალის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ, განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არანაკლებ 6 თვის შემდეგ, თუ*

კრედიტორთა ის მოთხოვნები, რომლებიც განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე წარმოიშვა, კომპანიამ დააკმაყოფილა ან უზრუნველყო, ან თუ სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილების შედეგად, დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნა: განთავსებული კაპიტალის შემცირების შემდეგ, კომპანიის ჯამური აქტივები უნდა ყოფნიდეს კომპანიის ჯამურ ვალდებულებებს.“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი, ათასი	2025 HY არა აუდიტირებული	2024 HY არა აუდიტირებული	2024 აუდიტირებული	2023 აუდიტირებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	**17,808**	**10,128**	**87,828**	**81,128**
კორექტირებები:				-
ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	12,813	12,335	25,350	20,724
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	836	649	1,460	1,388
ფინანსური გარანტიის რეზერვი	-	-	-	(4,484)
გარანტიების ანარიცხები	-	-	(3)	349
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები/(შემცირება)	768	3,976	452	921
გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები/(შემცირება)	-	-	597	(705)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	625	43	214	39
არამტერიალური აქტივების ჩამოწერა	21	-	197	
კონცესიიდან/მოდიფიკაციიდან მიღებული შემოსავალი/ზარალი	(951)	-	(440)	42
საიჯარო ქირის დათმობებიდან მიღებული შემოსავალი და იჯარის შეწყვეტიდან მიღებული შემოსავალი	-	178	-	-
საპროცენტო შემოსავალი	(1,759)	(1,630)	(3,343)	(6,114)
საპროცენტო ხარჯი, კაპიტალიზირებული პროცენტის გათვალისიწნებით	30,378	27,782	54,981	53,536
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი / (შემოსულობა)	10,302	5,926	378	8,538
ნაპატიები სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	(193)	(6)	(36)	(243)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა წმინდა გასაყიდ ღირებულებამდე	1,105	548	10,954	3,515
წილი მეკავშირე საწარმოების ფინანსურ შედეგებში	-	-	(61)	(69)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	**71,753**	**59,929**	**178,528**	**158,565**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	89,922	(14,425)	(129,050)	6,421
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(12,162)	(49,489)	12,468	(2,376)
ცვლილებები სასაქონლო–მატერიალურ მარაგებში	2,607	(25,162)	(52,198)	(91,616)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	(59,579)	19,951	73,183	25,499
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	(377)	(9,037)	7,174	(13,120)
ცვლილებები საგარანტიო ანარიცხებში	-	(1)	-	-
ცვლილებები გარანტიებთან დაკავშირებულ აქტივში	-	-	-	-

სახელშეკრულებო ვალდებულებების ცვლილება	(39,505)	60,712	13,364	(24,031)
ცვლილებები სხვა ფინანსურ ვალდებულებებში	-	-	-	-
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(7,355)	(154)	8,981	774
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	**(26,449)**	**(17,605)**	**(66,078)**	**(98,449)**
გადახდილი მოგების გადასახადი	(669)	(11)	(651)	(1,602)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**44,635**	**42,313**	**111,799**	**58,514**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა	(48,913)	(43,291)	(105,373)	(93,638)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	14,209	1,605	14,556	13,729
არამატერიალური აქტივების შეძენა	(2,291)	(716)	(3,856)	(1,416)
ფულადი შენატანი შვილობილი კომპანიებისა და მეკავშირე საწარმოების კაპიტალში	-	-	-	(164)
შვილობილი კომპანიების შეძენა	-	-	-	(32,764)
დამატებითი წილების შეძენა შვილობილ კომპანიებში		-		(5,926)
კომპანიებში წილის ნასყიდობის ღირებულების დაფარვა	(19,207)	(8,012)	(22,034)	(22,764)
გაცემული სესხები	16,873	1,311	9,478	29,401
გაცემული სესხების დაფარვა	491	568	1,172	4,914
მიღებული პროცენტი	-	-	-	-
საწარმოთა გაერთიანებიდან მიღებული ფულადი სახსრები	8	12	14	32
მიღებული დივიდენდი				
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(38,830)**	**(48,523)**	**(106,043)**	**(108,596)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	(3,140)	(3,162)	(6,787)	(4,991)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა	(1,660)	(1,912)	(3,974)	(2,970)
სესხის აღება	586,672	335,986	765,550	539,239
ნასესხები სახსრების დაფარვა	(549,228)	(318,690)	(696,468)	(408,394)
გადახდილი პროცენტი	(28,413)	(25,219)	(51,739)	(48,504)
ფულადი შენატანი საწესდებო კაპიტალში	-	-	-	-
გადახდილი დივიდენდი	(18,681)	(16,828)	(39,535)	(30,855)
ფულადი სახსრების მიღება შეზღუდული ანგარიშგებიდან	-	39,257	36,783	34,749
ფულად სახსრების განთავსება შეზღუდულ ანგარიშებზე	-	(6,184)	-	(6,292)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	**(14,450)**	**3,248**	**3,830**	**71,982**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(1,318)	(1,028)	(1,982)	(1,808)
გადატანილი სხვაობები	(28)	-	(417)	(94)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	**(9,991)**	**(3,990)**	**7,187**	**19,998**
			-	-

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	40,849	33,662	33,662	13,664
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**30,858**	**29,672**	**40,849**	**33,662**

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

2025 წლის პირველ ნახევარში, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.5%-ით გაიზარდა და 44,635 ათასი ლარი შეადგინა. ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მოგებისგადასახადის გადახდამდე მოგების 7,680 ათასი ლარით ზრდით.

2024 წელს, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები 111,799 ათას ლარს შეადგენდა, რაც წინა პერიოდთან შედარებით 91.1%-იან ზრდას (53,285 ათასი ლარი) წარმოადგენს. ეს შედეგი ნაწილობრივ მომგებიანობით იყო განპირობებული, ნაწილობრივ კი საბრუნავი კაპიტალის ცვლილებების უფრო მცირე უარყოფითი გავლენით - ლარი (66,078 ათასი) წინა წლის ლართან (98,449 ათასი) შედარებით.

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, "კომპანიის" საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები 54%-ით შემცირდა, 128,335 ათასი ლარიდან 58,514 ათას ლარამდე. აღსანიშნავია, რომ ოპერაციებიდან ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე გაიზარდა 65,799 ათასი ლარით (71%), რაც უფრო მაღალი მომგებიანობის შედეგია. წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების შემცირება, ძირითადად, გამოწვეული იყო საბრუნავი კაპიტალის, მათ შორის, მარაგების 91,616 ათასი ლარით ზრდით.

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

2025 წლის პირველ ნახევარში, საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20.0%-ით შემცირდა და 38,830 ათას ლარს მიაღწია. ეს შემცირება, ძირითადად, დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალთან და გაცემული სესხების დაფარვასთან.

2024 წელს, საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული სტაბილური დარჩა 106,043 ათას ლარზე (2.4%-იანი შემცირება). ძირითადი საშუალებებზე გაწეული ხარჯები წინა პერიოდთან შედარებით 11,735 ათასი ლარით გაიზარდა, ხოლო გაცემული სესხების დაფარვა მნიშვნელოვნად შემცირდა 19,923 ათასი ლარით. ეს შემცირება კომპენსირებული იყო შვილობილი კომპანიების შესაძენად ფულადი სახსრების გადინების არარსებობით, რამაც 2023 და 2022 წლებში ნაღდი ფული შეამცირა.

2023 წელს, წინა პერიოდთან შედარებით, საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები 28%-ით, 108,596 ათას ლარამდე შემცირდა. აღნიშნული კლება უკავშირდება სესხების გაცემის შემცირებასა და შვილობილი კომპანიების შესაძენად გამოყენებულ ფულადი ნაკადების შემცირებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2023 წელს კომპანიამ ოპერაციების გაფართოების მიზნით, 93,648 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები შეიძინა, რაც 2022 წელთან შედარებით 60% ზრდას წარმოადგენს.

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან

2025 წლის პირველ ნახევარში, საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები წინა წელთან შედარებით 17,698 ათასი ლარით შემცირდა და (14,450) ათასი ლარი შეადგინა. შემცირება ძირითადად განპირობებული იყო შეზღუდული ანგარიშიდან ნაღდი ფულის გათავისუფლების 2023 წლის ეფექტის არარსებობით, რომელიც წინა წელს 39,257 ათას ლარს შეადგენდა.
2024 წელს, საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები წინა პერიოდთან შედარებით 94.7%-ით შემცირდა და 3,830 ათასი ლარი შეადგინა. ამ შემცირების ორი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი იყო სესხებიდან მიღებული შემოსავლები და სესხების დაფარვა, რადგან სესხებიდან მიღებული შემოსავლები 2024 წელს 226,311 ათასი ლარით გაიზარდა, ხოლო სესხების დაფარვა 288,074 ათასი ლარით, რაც 2023 წელთან შედარებით 61,763 ლარით შემცირდა.

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით კომპანიის წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა და 71,982 ათასი ლარი შეადგინა(276% ზრდა). აღნიშნული მეტწილად გამოწვეულია კომპანიის მიერ ფულადი სახსრების შეზღუდულ ანგარიშზე განთავსების შემცირებით, კერძოდ კომპანიამ. ასევე აღსანიშნავია, რომ 2023 წელს კომპანიის წმინდა შემოსულობამ სასესხო ვალდებულებების აღებიდან 130,845 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა პერიოდთან შედარებით 25% ზრდაა.

ფინანსური რისკის მართვა

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს, საიჯარო ვალდებულებებს, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებსა და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა „კომპანიის“ საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. „კომპანიას“ აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები, ფინანსური დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და გაცემული სესხები. „კომპანიას“ წარმოეშობა საკრედიტო, სავალუტო, ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით „კომპანიას“ ფინანსური ზარალი მიადგება. „თეგეტას“ წარმოეშობა საკრედიტო რისკი საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები) და ფინანსური საქმიანობიდან, ბანკებში განთავსებული ანაბრების ჩათვლით.

„კომპანიის“ მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

ათასი ლარი	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები (მე-8 შენიშვნა)	113,306	194,863	65,103
გაცემული სესხები (მე-9 შენიშვნა)	32,908	28,139	14,153
ფულადი სახსრები და ბანკში არსებული ნაშთები (მე-10 შენიშვნა)	30,858	40,849	70,445

სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	177,072	263,851	149,701

სავალუტო რისკი

„კომპანია“ საკრედიტო რისკს განიცდის იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვის და ნასესხები სახსრების ვალუტებს და „თეგეტას“ კომპანიების ფუნქციონალურ ვალუტებს შორის. „ემიტენტის“ კომპანიების ფუნქციონალური ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უპირატესად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი და იაპონური იენი. აქედან ყველაზე მეტია გარიგებები აშშ დოლარსა და ევროში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს დაქვემდებარებული ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	30 ივნისი 2025			31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
აშშ დოლარი	44,233	(201,685)	**(157,452)**	40,523	(255,248)	**(214,725)**	55,716	(159,394)	**(103,678)**
ევრო	(423,663)	(220,967)	**(644,630)**	145,007	(216,833)	**(71,826)**	23,357	(139,909)	**(116,552)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მოგება-ზარალისა და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო კურსის გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილებების მიმართ „ემიტენტის“ ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა ცვლადი მუდმივი იქნება:

	2025 HY	2024	2023
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება	(15,745)	(21,473)	(10,368)
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება	15,745	21,473	10,368
ევროს 10%-იანი გამყარება	(64,463)	(7,183)	(11,655)
ევროს 10%-იანი გაუფასურება	64,463	7,183	11,655

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ სუბიექტს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ „კომპანიის“ მიდგომაა, შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და „კომპანიის“ რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

„ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები სამი თვის განმავლობაში. ეს გამორიცხავს

ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

აღსანიშნავია, რომ დეკემბერში ვადა გასდის 220 მილიონი ლარის ობლიგაციებს, რომელთა რეფინანსირებაც იგეგმება როგორც ობლიგაციების გამოშვებითა და საფინანსო ინსტიტუტებიდან მოძიებული სახსრებით, ისე კომპანიის სახსრებით.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ვალდებულებები მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. როდესაც კრედიტორული ვალდებულების თანხა არ არის ფიქსირებული, ქვემოთ ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2025 წლის 30 ივნისისთვის.

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ	სულ საბალანსო ღირებულება
ნასესხები სახსრები	10,380	18,553	415,777	134,217	6,030	**584,957**	**536,064**
საიჯარო ვალდებულებები	652	1,386	5,753	21,347	18,241	**47,379**	**32,687**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	200,489	-	-	-	-	**200,489**	**200,489**
სულ მომავალი გადახდები	**211,521**	**19,939**	**421,530**	**155,564**	**24,271**	**832,825**	**769,240**

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის.

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ	სულ საბალანსო ღირებულება
ნასესხები სახსრები	8,057	12,673	390,313	123,963	6,799	**541,805**	**491,918**
საიჯარო ვალდებულებები	904	1,924	7,755	33,193	35,045	**78,821**	**53,533**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	250,509	-	-	-	-	**250,509**	**250,509**
სულ მომავალი გადახდები	**259,470**	**14,597**	**398,068**	**157,156**	**41,844**	**871,135**	**795,960**

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ	სულ საბალანსო ღირებულება
ნასესხები სახსრები	10,095	13,172	134,468	337,502	–	**495,237**	**419,752**
საიჯარო ვალდებულებები	748	1,593	7,556	29,347	23,128	**62,372**	**43,184**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	184,496	-	-	-	-	**184,496**	**184,496**

სულ მომავალი გადახდები	**195,339**	**14,765**	**142,024**	**366,849**	**23,128**	**742,105**	**647,432**

საპროცენტო განაკვეთის რისკი

„კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახული „ემიტენტის“ საპროცენტო განაკვეთის რისკი. ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც დაყოფილია კატეგორიებად ფასის კორექტირების და ვადის გასვლის თარიღებს შორის უახლესის მიხედვით.

	30 ივნისი 2025	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
ათასი ლარი	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ნასესხები სახსრები	255,991	208,504	263,322

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია „კომპანიის“ კაპიტალიზაციისა და დავალიანების შესახებ 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათასი ლარი)	2025 წლის 31 დეკემბერი	2025 წლის 30 სექტემბერი (პრო-ფორმა)	2025 წლის 30 სექტემბერი	2025 წლის 30 ივნისი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დავალიანება						
ნასესხები სახსრები	127,896	95,744	125,744	157,787	98,672	129,254
ობლიგაციები	358,814	450,371	380.371	378,277	393,246	291,575
საიჯარო ვალდებულებები	32,687	32,687	32,687	32,687	53,533	43,184
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	0
სულ დავალიანება	**519,397**	**578,802**	**538,802**	**568,751**	**545,451**	**464,013**
კაპიტალი						
საწესდებო კაპიტალი*	44,733	44,733	44,733	44,733	44,733	44,733
სხვა რეზერვები	-	-	-	-	-	0
კაპიტალის სხვა კომპონენტები	(6,058)	(6,058)	(6,058)	(6,058)	(6,030)	-5613
გაუნაწილებელი მოგება	232,830	232,830	232,830	232,830	233,881	185,428
არამაკონტროლებელი წილი	(464)	(464)	(464)	(464)	(382)	329
სულ კაპიტალი	**271,041**	**271,041**	**271,041**	**271,041**	**272,202**	**224,877**
სულ კაპიტალიზაცია და დავალიანება	**790,438**	**849,843**	**811,004**	**839,792**	**817,653**	**688,890**

**„მეწარმეთა შესახებ“ საქართველო კანონის მიხედვით, კომპანიას არ აქვს შექმნილი „საწესდებო კაპიტალი“, რომელიც აღნიშნულ კანონში განმარტებული „განთავსებული კაპიტალის“ ექვივალენტური ტერმინია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი, საწესდებო კაპიტალის მუხლში მითითებული თანხა წარმოადგენს „დამატებით შენატანს კაპიტალში“ და იგი შესაბამისად არ ასრულებს დამცავი მექანიზმის ან/და ბუფერის როლს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველო კანონის 145-ე მუხლის ფარგლებში დივიდენდის გაცემასთან და კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, „მეწარმეთა კანონით“ დადგენილი შეზღუდვები, რომლებიც არ გავრცელდება კომპანიაზე იმის გამო, რომ მას არ აქვს შექმნილი განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, არის შემდეგი:*

- *განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევაში დაუშვებელია განთავსებული კაპიტალის გამოთავიუფლებული ოდენობით დივიდენდის განაწილება განთავსებული კაპიტალის შემცირების თარიღიდან 6 თვის განმავლობაში.*
- *დაუშვებელია დივიდენდის პარტნიორებზე განაწილება, თუ ამის შედეგად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების აქტივები ვეღარ დაფარავს ვალდებულებებსა და განთავსებული კაპიტალის ოდენობას.*
- *განთავსებული კაპიტალის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ, განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არანაკლებ 6 თვის შემდეგ, თუ კრედიტორთა ის მოთხოვნები, რომლებიც განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე წარმოიშვა, კომპანიამ დააკმაყოფილა ან უზრუნველყო, ან თუ სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილების შედეგად, დაცული უნდა იყოს შემდეგი*

მოთხოვნა: განთავსებული კაპიტალის შემცირების შემდეგ, კომპანიის ჯამური აქტივები უნდა ყოფნიდეს კომპანიის ჯამურ ვალდებულებებს.“

პროსპექტში წარმოდგენილ უახლეს პერიოდში „კომპანიის“ კაპიტალიზაციასა და დავალიანებაში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, გარდა წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ გამოშვებისა და შესაბამისად მოზიდული თანხების გამოყენებისა.

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში მონაცემები ნაჩვენებია პრო-ფორმა ეფექტის საფუძველზე, რადგან ობლიგაციების ემისიამ იქონია გავლენა „კომპანიის“ კაპიტალიზაციასა და დავალიანებაზე, ვინაიდან ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა სახსრების ნაწილი მოხმარდა კაპიტალურ დანახარჯებს.

„კომპანია“ თავისი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში აქტიურად იყენებს მოკლევადიან სესხებს საბრუნავი კაპიტალის და ლიკვიდურობის სამართავად. მომავალ პერიოდებში „კომპანია“ გააგრძელებს საკუთარი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების და საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენებას თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად.

სასესხო ინსტრუმენტები უზრუნველყოფილია „კომპანიის“ მთლიანი არსებული და სამომავლო ძირითადი საშუალებებით და სასაქონლო მარაგებით.

ათასი ლარი	**2025 წლის 30 ივნისი (Pro-Forma)***	**2025 წლის 30 ივნისი**	**2024 წლის 31 დეკემბერი**	**2023 წლის 31 დეკემბერი**
	არააუდიტირებული	**არააუდიტირებული**	**აუდიტირებული**	**აუდიტირებული**
ძირითადი საშუალებები	374,015	334,015	311,902	243,511
სასაქონლო–მატერიალური მარაგები	401,964	401,964	405,676	364,432
სულ დაგირავებული აქტივები	**775,979**	**735,979**	**717,578**	**607,943**
სულ აქტივები	**1,145,816**	**1,105,816**	**1,180,430**	**958,845**
დაგირავებული აქტივების წილი მთლიან აქტივებში	**67.7%**	**66.6%**	**60.8%**	**63.4%**

***პრო-ფორმა კოეფიციენტი მოიცავს 2025 წლის დეკემბერში გამოშვებულ 260,000 ათასი ლარის მდგრადობასთან დაკავშირებულ ობლიგაციებს (ISIN: GE 2700605282), რის მიზნობრიობასაც წარმოადგენდა 220,000 ათასი ლარის პროცენტიანი ვალდებულებების რეფინანსირება და 40,0000 ათასი ლარის კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. მოცემული პროსპექტის ფარგლებში გამოსაშვებ ობლიგაციებს, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის კოეფიციენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან მოზიდული სახსრები სრულად ხმარდება პროცენტიანი ვალდებულებების ნაწილობრივ რეფინანსირებას.

დავალიანება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში, კომერციული ბანკებისაგან ათვისებული სესხები უზრუნველყოფილია 100%-ით.

მსესხებელი	კრედიტორი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	ნარჩენი პროცენტი ('000 ლარი)
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	5/20/2024	10/20/2033	8,076	32
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	6/3/2025	5/21/2026	2,000	1
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	EUR	10/9/2025	10/9/2026	25,390	62

შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	EUR	12/26/2025	1/25/2026	25,317	17
შპს თეგეტა მოტორსი	სს საქართველოს ბანკი	EUR	3/28/2025	3/27/2026	-	-
შპს თეგეტა მოტორსი	სს საქართველოს ბანკი	EUR	6/9/2025	6/8/2026	13,434	70
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	1/18/2023	5/28/2026	-	-
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	4/27/2023	4/23/2026	768	0
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	10/7/2024	10/7/2026	-	-
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	4/24/2025	4/24/2026	8,980	17
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	8/22/2023	11/1/2026	2,602	2
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	3/15/2024	5/15/2026	-	-
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	სს თი ბი სი ბანკი	USD	6/30/2025	12/30/2026	-	-
შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	2/28/2024	2/27/2026	1,984	1
შპს კავკასუს მეშინერი	სს თი ბი სი ბანკი	USD	1/30/2024	1/25/2026	-	-
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	სს თი ბი სი ბანკი	EUR	5/23/2025	5/23/2026	2,222	1
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	4/26/2023	5/29/2026	-	-
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	2/20/2025	2/20/2030	4,235	11
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/1/2024	3/25/2026	6	15
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	USD	10/6/2025	10/6/2026	-	10
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს საქართველოს ბანკი	EUR	6/9/2025	6/8/2026	5,440	29
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	9/17/2025	6/4/2026	925	2
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	12/25/2025	6/4/2026	1,540	47
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	სს თი ბი სი ბანკი	GEL	10/9/2023	5/15/2026	-	-
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	სს თი ბი სი ბანკი	USD	10/8/2024	10/8/2026	-	-
შპს კავკასუს ავტომოტივი	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/18/2024	4/22/2026	-	16
შპს კავკასუს ავტომოტივი	სს თი ბი სი ბანკი	EUR	7/28/2025	1/28/2027	-	38
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/25/2024	4/25/2029	227	0
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	4/26/2024	4/25/2029	2,298	5
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	USD	5/1/2024	4/29/2029	772	0
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	6/25/2024	6/11/2029	1,139	3
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	6/19/2025	6/19/2027	59	1

შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	USD	8/4/2025	6/22/2030	191	1
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	6/28/2021	6/28/2026	878	5
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	3/29/2022	6/30/2026	14	0
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	10/4/2021	10/4/2026	585	4
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	12/8/2021	10/4/2026	1,170	8
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	5/15/2023	5/11/2028	970	5
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/28/2023	4/27/2028	458	1
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	4/14/2025	5/20/2026	-	1
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/17/2025	4/17/2026	812	3
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	USD	4/17/2025	4/17/2026	1,348	5
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	USD	6/18/2025	6/18/2027	1,348	5
შპს თეგეტამოტორს ბაქუ	სს პაშა ბანკი	USD	6/6/2023	11/6/2026	12,128	-
შპს თეგეტამოტორს ბაქუ	სს პაშა ბანკი	USD	4/29/2025	4/30/2028	162	-
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	5/2/2024	5/2/2026	23,771	254
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	6/28/2024	6/28/2026	13,476	6
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	6/28/2024	6/28/2026	8,894	4
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	7/19/2024	7/19/2026	13,476	1,799
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	7/3/2024	7/3/2026	10,000	188
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	8/2/2024	8/2/2026	15,000	820
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	12/20/2024	12/20/2026	13,476	28
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	4/8/2025	4/8/2027	23,914	441
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	4/28/2025	4/28/2027	26,951	377
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	12/16/2025	12/16/2028	205,000	941
სულ					**481,433**	**5,277**

საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები სესხების ვალუტების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სესხის ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი
მოკლევადიანი ლარი	14,5%
გრძელვადიანი ლარი	11,5% - 12,0%
მოკლევადიანი ევრო	7,1% - 8,0%
გრძელვადიანი ევრო	7,6% - 9.0%
მოკლევადიანი იენი	5.0%
მოკლევადიანი აშშ დოლარი	9.2-9.7%
გრძელვადიანი აშშ დოლარი	8.8% - 9.7%

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა (ჯამური მოცულობები კომპანიების და გარანტიის ტიპის მიხედვით) მოცემულია შემდეგ ცხრილში:

კომპანია	პროდუქტი	ვალუტა	ოდენობა, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	გარანტია	GEL	38,778

შპს თეგეტა რითეილი	გარანტია	GEL	648
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	გარანტია	GEL	28,357
შპს თი-ბი-ეი თეგეტა	გარანტია	GEL	4,043
შპს კავკასუს აუტომოტივ	გარანტია	GEL	30,672
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	გარანტია	GEL	79
შპს თეგეტა ქარ რენთ	გარანტია	GEL	44
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	გარანტია	GEL	25,477
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	GEL	24,418
შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს	გარანტია	GEL	3,282
შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია	გარანტია	GEL	397
სულ			**156,196**

დაკავშირებული კომპანიების სასარგებლოდ, „კომპანიის“ მიერ გაცემული თავდებობები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	30,000	30,000
შპს თეგეტა მოტორსი	შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	45,000	45,000
შპს თეგეტა მოტორსი	PMA (ს/ნ: 264.110.1057083)	სოლიდარული თავდებობა	აშშ დოლარი	5,000	13,544

დავალიანება 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საბანკო სესხების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში, კომერციული ბანკებისაგან ათვისებული სესხები უზრუნველყოფილია 100%-ით.

მსესხებელი	კრედიტორი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	ნარჩენი პროცენტი ('000 ლარი)
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	5/20/2024	5/20/2034	8,231	33
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	6/3/2025	4/17/2026	-	9
შპს თეგეტა მოტორსი	სს საქართველოს ბანკი	EUR	3/28/2025	3/27/2026	30,147	13
შპს თეგეტა მოტორსი	სს საქართველოს ბანკი	EUR	6/9/2025	6/8/2026	15,870	71
შპს თეგეტა მოტორსი	სს პაშა ბანკი	GEL	6/30/2025	6/30/2026	10,000	49
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	4/27/2023	4/23/2026	2,709	2
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	10/7/2024	10/7/2026	2,274	3
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	4/24/2025	4/24/2026	9,481	15
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	8/22/2023	11/1/2025	3,317	6
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	სს თი ბი სი ბანკი	USD	6/30/2025	12/30/2025	219	5
შპს თეგეტა ქომერშალ ვიიქლს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	2/28/2024	2/27/2026	48	0
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	4/26/2023	5/29/2026	100	0
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	6/14/2023	6/13/2028	824	5
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	10/18/2023	10/18/2028	1,263	3
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	3/13/2024	3/11/2029	360	2
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	6/14/2024	6/13/2029	251	4
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	9/20/2024	9/20/2029	268	-

შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	2/18/2025	2/17/2030	716	3
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	2/20/2025	2/20/2030	400	9
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/1/2024	3/25/2026	-	2
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს საქართველოს ბანკი	EUR	6/9/2025	6/8/2026	5,229	26
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	6/19/2025	2/24/2026	6,526	12
შპს კავკასუს აუტომოტივ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/18/2024	4/22/2026	-	6
შპს კავკასუს აუტომოტივ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	7/28/2025	1/28/2027	1,355	29
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/25/2024	4/25/2029	241	0
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	4/26/2024	4/25/2029	2,436	4
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენსს	სს თი ბი სი ბანკი	USD	5/1/2024	4/29/2029	825	-
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	6/25/2024	6/11/2029	1,204	2
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	6/19/2025	6/19/2027	167	1
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	USD	8/4/2025	6/22/2030	200	1
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს იმბანკი	GEL	11/19/2020	11/12/2025	90	1
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	6/28/2021	6/28/2026	1,028	5
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	3/29/2022	6/30/2026	19	0
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	10/4/2021	10/4/2026	743	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	12/8/2021	10/4/2026	1,170	19
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	5/15/2023	5/11/2028	1,013	1
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/28/2023	4/27/2028	671	4
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	4/14/2025	5/20/2026	-	30
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	4/17/2025	4/17/2026	901	2
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	USD	4/17/2025	4/17/2026	1,354	5
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	USD	6/18/2025	6/18/2027	1,354	5
შპს თეგეტა მოტორს ბაქო	სს პაშა ბანკი	USD	6/22/2023	12/20/2025	12,190	-
შპს თეგეტა მოტორს ბაქო	პრიორ კრედიტ ბნაკი	USD	4/29/2025	4/30/2028	163	-
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	6/29/2023	12/16/2025	19,972	705
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	4/8/2025	4/8/2027	26,793	918
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	4/28/2025	4/28/2027	23,775	924
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	12/18/2023	12/18/2025	19,961	830
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	12/5/2023	12/5/2025	12,626	284
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	12/27/2023	12/27/2025	22,840	389
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	5/2/2024	5/2/2026	23,625	643
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	12/16/2022	12/16/2025	149,841	723
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	6/28/2024	6/28/2026	13,446	289
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	7/19/2024	7/19/2026	13,371	217
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	7/3/2024	7/3/2026	9,951	334
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	8/2/2024	8/2/2026	14,939	324
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	12/20/2024	12/20/2026	13,284	313
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	6/28/2024	6/28/2026	8,862	191
სულ					**498,644**	**7,471**

საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები სესხების ვალუტების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით:

სესხის ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი
მოკლევადიანი ლარი	13,5% - 14,5%
გრძელვადიანი ლარი	11,5% - 12%
მოკლევადიანი ევრო	7,1% - 8,3%
გრძელვადიანი ევრო	6,8% - 9%
მოკლევადიანი იენი	5%
მოკლევადიანი აშშ დოლარი	9.60%
გრძელვადიანი აშშ დოლარი	8% - 10%

2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა (ჯამური მოცულობები კომპანიების და გარანტიის ტიპის მიხედვით) მოცემულია შემდეგ ცხრილში:

კომპანია	პროდუქტი	ვალუტა	ოდენობა, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	გარანტია	GEL	35,586
შპს თეგეტა რითეილი	გარანტია	GEL	658
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	გარანტია	GEL	17,688
შპს თი-ბი-ეი თეგეტა	გარანტია	GEL	4,063
შპს კავკასუს აუტომოტივ	გარანტია	GEL	25
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	გარანტია	GEL	22,054
შპს თეგეტა ქარ რენთ	გარანტია	GEL	79
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	გარანტია	GEL	46,657
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	GEL	24,343
შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს	გარანტია	GEL	157
შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია	გარანტია	GEL	3,228
სულ			**154,538**

დაკავშირებული კომპანიების სასარგებლოდ, „კომპანიის“ მიერ გაცემული თავდებობები 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია (ს/ნ: 401964683) შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328) შპს ენტერფრაისი (ს/ნ: 405329112)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	30,000	30,000
შპს თეგეტა მოტორსი	შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	45,000	45,000
შპს თეგეტა მოტორსი	PMA (ს/ნ: 264.110.1057083)	სოლიდარული თავდებობა	აშშ დოლარი	5,000	13,544

დავალიანება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საბანკო სესხების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში, კომერციული ბანკებისაგან ათვისებული სესხები უზრუნველყოფილია 100%-ით.

მსესხებელი	კრედიტორი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	ნარჩენი პროცენტი ('000 ლარი)
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	20-May-24	20-May-34	8,433	30
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	3-Jun-25	17-Apr-26	4,600	2
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	USD	3-Jun-25	8-Jul-25	1,098	1

შპს თეგეტა მოტორსი	სს საქართველოს ბანკი	EUR	28-Mar-25	27-Mar-26	31,276	46
შპს თეგეტა მოტორსი	სს საქართველოს ბანკი	EUR	9-Jun-25	8-Jun-26	15,941	68
შპს თეგეტა მოტორსი	სს პაშა ბანკი	GEL	30-Jun-25	30-Jun-26	10,000	4
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს ვითიბი ბანკი	RUB	8-Oct-21	17-Jul-25	6,498	35
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	18-Jan-23	23-Apr-26	208	0
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	27-Apr-23	23-Apr-26	2,724	2
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	7-Oct-24	7-Oct-26	5,322	4
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	24-Apr-25	24-Apr-26	9,533	15
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	22-Aug-23	1-Nov-25	-	-
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	15-Mar-24	10-Apr-26	1,350	2
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	სს თი ბი სი ბანკი	USD	30-Jun-25	30-Dec-25	-	-
შპს თეგეტა ქომერშალ ვიიქლს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	28-Feb-24	27-Feb-26	-	-
შპს კავკასუს მაშინერი	სს თი ბი სი ბანკი	USD	30-Jan-24	25-Jan-26	-	-
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	სს თი ბი სი ბანკი	EUR	23-May-25	23-May-26	-	-
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	სს თი ბი სი ბანკი	EUR	3-Jun-25	2-Jul-25	-	-
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	26-Apr-23	22-Apr-26	150	0
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	14-Jun-23	13-Jun-28	891	5
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	18-Oct-23	18-Oct-28	1,356	3
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	13-Mar-24	11-Mar-29	384	2
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	14-Jun-24	13-Jun-29	266	3
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	20-Sep-24	20-Sep-29	281	0
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	18-Feb-25	17-Feb-30	752	2
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	20-Feb-25	20-Feb-30	422	5
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	1-Apr-24	25-Mar-26	3,188	3
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს საქართველოს ბანკი	EUR	9-Jun-25	8-Jun-26	5,179	22
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	18-Dec-24	26-Aug-25	775	2
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	21-Nov-24	27-Aug-25	9,250	13
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	8-Apr-25	16-Sep-25	782	2
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	8-May-25	6-Oct-25	814	2
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	26-Jun-25	8-Dec-25	656	0
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	30-Jun-25	8-Dec-25	1,279	0
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	სს თი ბი სი ბანკი	GEL	9-Oct-23	10-Apr-26	160	-
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	სს თი ბი სი ბანკი	USD	8-Oct-24	8-Oct-26	-	-
შპს კავკასუს აუტომოტივ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	18-Apr-24	22-Apr-26	3,188	4
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	25-Apr-24	25-Apr-29	257	0
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	26-Apr-24	25-Apr-29	2,419	4
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	USD	1-May-24	29-Apr-29	878	-
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	25-Jun-24	11-Jun-29	1,267	2
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	19-Jun-25	19-Jun-27	105	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	Isbank JSC	GEL	19-Nov-20	12-Nov-25	222	2
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	28-Jun-21	28-Jun-26	1,173	5
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	29-Mar-22	30-Jun-26	25	0
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	4-Oct-21	4-Oct-26	910	6
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	8-Dec-21	4-Oct-26	1,170	8
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	12-Aug-22	18-Aug-25	17	0
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	15-May-23	11-May-28	704	1
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	28-Apr-23	27-Apr-28	1,060	5
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	14-Apr-25	14-Apr-26	4,000	33
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	17-Apr-25	17-Apr-26	2,000	11
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	17-Apr-25	17-Apr-26	40	0
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	17-Apr-25	17-Apr-26	595	2
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	USD	17-Apr-25	17-Apr-26	1,362	5
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	USD	18-Jun-25	18-Jun-27	500	2
Tegeta Motors Baku LLC	სს პაშა ბანკი	USD	6-Jun-23	6-Dec-25	12,256	-
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	16-Dec-22	16-Dec-25	149,681	731
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	29-Jun-23	16-Dec-25	19,945	98
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	5-Dec-23	5-Dec-25	12,704	61

შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	18-Dec-23	18-Dec-25	19,934	105
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	27-Dec-23	27-Dec-25	22,207	12
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	2-May-24	2-May-26	23,800	243
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	28-Jun-24	28-Jun-26	13,570	-
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	28-Jun-24	28-Jun-26	8,955	0
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	3-Jul-24	3-Jul-26	9,943	668
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	19-Jul-24	19-Jul-26	13,548	514
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	2-Aug-24	2-Aug-26	14,924	822
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	20-Dec-24	20-Dec-26	13,509	34
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	8-Apr-25	8-Apr-27	24,047	446
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	28-Apr-25	28-Apr-27	27,107	375
Total					**531,589**	**4,475**

„კომპანიამ“ 2025 წლის მანძილზე გამოუშვა ორი ობლიგაცია:

გამოშვების თარიღი	ვალუტა	მოცულობა	კუპონი	ISIN
8-Apr-25	USD	10,000,000	8.00%	GE 2700605043
28-Apr-25	USD	10,000,000	8.00%	GE 2700605068

საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები სესხების ვალუტების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

სესხის ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი
მოკლევადიანი ლარი	13,5% - 14,5%
გრძელვადიანი ლარი	11,5% - 12%
მოკლევადიანი ევრო	7,1% - 8,3%
გრძელვადიანი ევრო	6,8% - 9%
მოკლევადიანი იენი	5%
მოკლევადიანი აშშ დოლარი	9.60%
გრძელვადიანი აშშ დოლარი	8% - 10%

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა (ჯამური მოცულობები კომპანიების და გარანტიის ტიპის მიხედვით) მოცემულია შემდეგ ცხრილში:

კომპანია	პროდუქტი	ვალუტა	ოდენობა, ‘000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	გარანტია	GEL	41,683
შპს თეგეტა რითეილი	გარანტია	GEL	618
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	გარანტია	GEL	19,105
შპს თი-ბი-ეი თეგეტა	გარანტია	GEL	4,084
შპს კავკასუს აუტომოტივ	გარანტია	GEL	25
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	გარანტია	GEL	21,303
შპს თეგეტა ქარ რენთ	გარანტია	GEL	80
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	გარანტია	GEL	45,854
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	GEL	26,413
შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს	გარანტია	GEL	125
შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია	გარანტია	GEL	3,245

Total	**162,535**

2025 წლის 30 ივნისიდან აღნიშნული ემისიის პროსპექტის დამტკიცების თარიღამდე “კომპანიას" არ გამოუშვია ობლიგაციები, ხოლო 2025 წლის 30 ივნისიდან ემისიის პროსპექტის მომზადების თარიღამდე „კომპანიას“ არ აქვს ათვისებული ახალი მატერიალური საბანკო სესხი.

დაკავშირებული კომპანიების სასარგებლოდ, „კომპანიის“ მიერ გაცემული თავდებობები 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია (ს/ნ: 401964683) შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328) შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554) შპს ენტერფრაისი (ს/ნ: 405329112)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	50,000	50,000
შპს თეგეტა მოტორსი	PMA (ს/ნ: 264.110.1057083)	სოლიდარული თავდებობა	აშშ დოლარი	5,000	13,618

2024 წლის 31 დეკემბრის დავალიანება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში, კომერციული ბანკებისაგან ათვისებული სესხები უზრუნველყოფილია 100%-ით.

მსესხებელი	კრედიტორი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	ნარჩენი პროცენტი ('000 ლარი)
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	20-May-24	20-May-34	8,694	34
შპს თეგეტა რითეილი	სს საქართველოს ბანკი	GEL	24-May-24	24-May-25	10,000	24
შპს თეგეტა რითეილი	სს პაშა ბანკი	GEL	28-Jun-24	28-Jun-25	10,000	38
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს ვითიბი ბანკი	RUB	08-Oct-21	17-Jul-25	4,581	27
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	სს საქართველოს ბანკი	EUR	31-Oct-24	15-Apr-25	16,962	59
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	26-Apr-23	20-Apr-25	1	0
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	14-Jun-23	13-Jun-28	932	6
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	18-Oct-23	18-Oct-28	1,404	4
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	13-Mar-24	11-Mar-29	391	2
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	14-Jun-24	13-Jun-29	269	2
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	20-Sep-24	20-Sep-29	225	1
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	05-Jul-24	20-Jan-25	995	2
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	09-Aug-24	20-Jan-25	4,368	3
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	22-Apr-24	20-Jan-25	953	2
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	05-Sep-24	17-Feb-25	4,820	6
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	29-May-24	17-Feb-25	68	0
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	15-Oct-24	21-Mar-25	1,807	5
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	15-Oct-24	04-Apr-25	3,967	1
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	16-Aug-24	07-May-25	3,061	8
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	10-Dec-24	27-May-25	1,275	4
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	25-Apr-24	25-Apr-29	261	0
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	26-Apr-24	25-Apr-29	1,976	4
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	USD	01-May-24	29-Apr-29	1,002	0
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	25-Jun-24	11-Jun-29	1,387	3
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს იშბანკი	GEL	19-Nov-20	12-Nov-25	474	4
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	28-Jun-21	28-Jun-26	1,450	7
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	29-Mar-22	30-Jun-26	35	0
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	04-Oct-21	04-Oct-26	1,215	8

შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	08-Dec-21	04-Oct-26	1,170	8
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	12-Aug-22	18-Aug-25	65	0
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	15-May-23	11-May-28	1,053	5
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	28-Apr-23	27-Apr-28	700	1
Tegeta Motors Baku	Pasha Bank Azerbaidjan	USD	22-Jun-23	21-Jun-25	12,631	-
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	29-Jun-23	16-Dec-25	19,750	103
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	28-Apr-23	28-Apr-25	55,862	839
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	28-Apr-23	28-Apr-25	14,499	180
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	18-Dec-23	18-Dec-25	19,672	105
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	05-Dec-23	05-Dec-25	11,539	59
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	27-Dec-23	27-Dec-25	20,154	15
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	02-May-24	02-May-26	21,961	224
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	16-Dec-22	16-Dec-25	149,511	732
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	28-Jun-24	28-Jun-26	14,034	3
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	19-Jul-24	19-Jul-26	14,038	550
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	03-Jul-24	03-Jul-26	10,000	0
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	02-Aug-24	02-Aug-26	15,000	831
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	20-Dec-24	20-Dec-26	14,034	39
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	28-Jun-24	28-Jun-26	9,262	2
	სულ				**487,508**	**3,950**

„კომპანიამ“ 2024 წლის მანძილზე გამოუშვა შვიდი ობლიგაცია:

გამოშვების თარიღი	ვალუტა	მოცულობა	კუპონი	ISIN
2-May-24	EUR	10,000,000	6.75%	GE 2700604699
28-Jun-24	USD	5,000,000	8.50%	GE 2700604707
28-Jun-24	USD	3,300,000	8.50%	GE 2700604715
3-Jul-24	GEL	10,000,000	13.50%	GE 2700604756
19-Jul-24	USD	5,000,000	8.50%	GE 2700604780
2-Aug-24	GEL	15,000,000	13.50%	GE 2700604830
20-Dec-24	USD	5,000,000	8.25%	GE 2700604996

საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები სესხების ვალუტების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სესხის ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი
მოკლევადიანი ლარი	11.50%
გრძელვადიანი ლარი	11.00% - 12.00%
მოკლევადიანი ევრო	7.00% - 9.00%
გრძელვადიანი ევრო	6.75% - 9.30%
მოკლევადიანი იენი	3.60% - 6.00%
მოკლევადიანი აშშ დოლარი	8.50% - 10.00%
გრძელვადიანი აშშ დოლარი	8.25% - 10.00%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა (ჯამური მოცულობები კომპანიების და გარანტიის ტიპის მიხედვით) მოცემულია შემდეგ ცხრილში:

კომპანია	პროდუქტის ტიპი	ვალუტა	თანხა ლარში
შპს თეგეტა მოტორსი	გარანტია	EUR	68,985,708
შპს თეგეტა მოტორსი	გარანტია	GEL	18,171,259

შპს თეგეტა მოტორსი	გარანტია	USD	14,772,450
შპს თეგეტა რითეილი	გარანტია	GEL	596,485
შპს თეგეტა რითეილი	გარანტია	USD	422,070
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	აკრედიტივი	JPY	12,489,485
შპს თი-ბი-ეი თეგეტა	გარანტია	USD	4,220,700
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	გარანტია	EUR	123,407
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	გარანტია	GEL	4,759,238
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	გარანტია	USD	19,696,600
შპს თეგეტა ქარ რენთ	გარანტია	EUR	146,460
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	გარანტია	EUR	81,504,674
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	გარანტია	GEL	1,620,619
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	EUR	1,745,233
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	GEL	660,235
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	USD	133,641
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	GBP	21,167,400
შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია	გარანტია	EUR	3,494,389
შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს	გარანტია	EUR	87,491
სულ			**254,797,546**

დაკავშირებული კომპანიების სასარგებლოდ, „კომპანიის“ მიერ გაცემული თავდებობები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია (ს/ნ: 401964683) შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328) შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554) შპს ენტერფრაისი (ს/ნ: 405329112)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	35,000	35,000
შპს თეგეტა მოტორსი	PMA (ს/ნ: 264.110.1057083)	სოლიდარული თავდებობა	აშშ დოლარი	5,000	14,034

2023 წლის 31 დეკემბრის დავალიანება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში, კომერციული ბანკებისაგან ათვისებული სესხები უზრუნველყოფილია 100%-ით.

მსესხებელი	კრედიტორი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	ნარჩენი პროცენტი ('000 ლარი)
შპს თეგეტა მოტორსი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	7-Jun-22	7-Jun-24	38,141	340
შპს თეგეტა რითეილი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	16-Jan-23	16-Jan-24	10	-
შპს თეგეტა რითეილი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	31-Jan-23	30-Jan-33	2,681	31
შპს თეგეტა რითეილი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	18-Apr-23	16-Jan-24	10	-
შპს თეგეტა დისტრიბუცია	სს თი ბი სი ბანკი	GEL	28-Apr-23	27-Apr-24	6,550	-
შპს თეგეტა დისტრიბუცია	სს თი ბი სი ბანკი	GEL	25-Aug-23	24-Aug-24	-	-
შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი	სს პაშა ბანკი	GEL	6-Sep-23	23-Apr-24	5,000	-
შპს თეგეტა თაიარ იმპორტს	სს იშბანკი	GEL	25-May-23	25-May-24	8,000	-

შპს თეგეტა თაიარ იმპორტს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	15-Mar-23	30-Dec-24	10,000	-
შპს თეგეტა თაიარ იმპორტს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	19-Jul-23	17-Jul-24	5,100	-
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს ვი თი ბი ბანკი	RUB	8-Oct-21	17-Jul-24	5,394	-
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	18-Jan-23	18-Jan-24	900	-
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	სს თი ბი სი ბანკი	USD	27-Apr-23	27-Apr-24	699	-
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	26-Apr-23	20-Apr-24	1	-
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	14-Jun-23	13-Jun-28	1,160	-
შპს თეგეტა ლოჯისტიკს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	18-Oct-23	18-Oct-28	980	-
შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს	სს თი ბი სი ბანკი	EUR	3-Aug-23	2-Aug-24	-	-
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	22-Aug-23	22-Aug-24	-	-
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	23-Aug-23	1-Feb-24	172	-
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	28-Apr-23	22-Jan-24	407	-
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	31-May-23	22-Jan-24	3,509	17
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	8-Sep-23	18-Mar-24	1,850	2
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	8-Jun-23	19-Feb-24	1,306	2
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	26-Jul-23	3-May-24	3,397	6
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	სს თი ბი სი ბანკი	JPY	31-Aug-23	22-Apr-24	1,041	1
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	სს თი ბი სი ბანკი	GEL	7-Jun-19	2-Sep-25	7,350	-
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	სს თი ბი სი ბანკი	GEL	9-Oct-23	9-Oct-24	3	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს იშბანკი	GEL	19-Nov-20	12-Nov-25	933	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	28-Jun-21	28-Jun-26	2,619	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს საქართველოს ბანკი	GEL	29-Mar-22	30-Jun-26	53	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	4-Oct-21	4-Oct-26	1,771	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	8-Dec-21	4-Oct-26	1,170	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	GEL	12-Aug-22	18-Aug-25	152	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	15-May-23	11-May-28	1,216	-
შპს თეგეტა ქარ რენთ	სს თი ბი სი ბანკი	EUR	28-Apr-23	27-Apr-28	820	-
შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს	სს თი ბი სი ბანკი	GEL	9-Jul-19	9-Jul-24	70	-
Tegeta Motors Baku	Pasha Bank Azerbaijan	USD	22-Jun-23	21-Jun-24	11,285	-
შპს თეგეტა თაირ იმპორტს	დაკავშირებული მხარე	EUR	30-Jun-23	30-Jun-24	149	-
შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი	დაკავშირებული მხარე	GEL	30-Jun-23	30-Jun-24	151	-
შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი	დაკავშირებული მხარე	EUR	30-Jun-23	30-Jun-24	896	-
შპს თეგეტა რითეილი	სს თი ბი სი ბანკი	GEL	29-Sep-23	29-Jan-24	3,307	215
შპს თეგეტა მოტორსი	დაკავშირებული მხარე	GEL	25-Jan-23	30-Jun-24	385	-
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	16-Dec-22	16-Dec-25	149,011	648
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	29-Jun-23	16-Dec-25	20,000	107
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	USD	29-Apr-23	29-Apr-25	53,876	754
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	29-Apr-23	29-Apr-25	14,845	174
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	GEL	18-Dec-23	18-Dec-25	20,000	104
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	5-Dec-23	5-Dec-25	11,901	60
შპს თეგეტა მოტორსი	ბონდები	EUR	27-Dec-23	27-Dec-25	20,084	11
სულ					**418,356**	**2,473**

„კომპანიამ“ 2023 წლის მანძილზე გამოუშვა ექვსი ობლიგაცია:

- 20,000,00 აშშ დოლარის ოდენობით 2023 წლის აპრილში ფიქსირებული 8.5%-იან კუპონში, ISIN: GE2700604327. ობლიგაციების გაყიდვა ძირითადად მოხდა ფიზიკურ პირებზე;

- 5,000,000 ევროს ოდენობით 2023 წლის აპრილში ფიქსირებულ 7.0%-იან კუპონში, ISIN: GE2700604335. ობლიგაციების გაყიდვა ძირითადად მოხდა ფიზიკურ პირებზე;
- 20,000,000 ლარის ოდენობით 2023 წლის ივნისში ცვლად TIBR6M + 350 bpp კუპონში, ISIN: GE2700604376. ობლიგაციების სტრატეგიული ინვესტორი იყო საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია ADB - აზიის განვითარების ბანკი. ობლიგაციები იყო საქართველოში პირველი ლარში დენომინირებული მწვანე ობლიგაცია. აღსანიშნავია, რომ ემისიის შედეგად მობილიზებული სახსრები მოხმარდება მსუბუქი, სამგზავრო და სხვა ტიპის ელექტრიფიცირებული ტრანსპორტის იმპორტსა და რეალიზაციას; ასევე ქვეყნის მასშტაბით ელექტრო მანქანების 70 დასატენი სადგურის მოწყობას.
- 4,000,000 ევროს ოდენობით 2023 წლის დეკემბერში ფიქსირებულ 7.0%-იან კუპონში, ISIN: GE 2700604566. ობლიგაციების გაყიდვა ძირითადად მოხდა ფიზიკურ პირებზე;
- 20,000,000 ლარის ოდენობით 2023 წლის დეკემბერში ფიქსირებულ 14.50% კუპონში, ISIN: GE 2700604590 ობლიგაციების გაყიდვა ძირითადად მოხდა ფიზიკურ პირებზე;
- 7,000,000 ევროს ოდენობით 2023 წლის დეკემბერში ფიქსირებულ 6.75%-იან კუპონში, ISIN: GE 2700604616. ობლიგაციების გაყიდვა ძირითადად მოხდა ფიზიკურ პირებზე;

საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები სესხების ვალუტების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სესხის ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი
მოკლევადიანი ლარი	10.50%-13.90%
გრძელვადიანი ლარი	11.0%-14.50%
მოკლევადიანი ევრო	9.00%
გრძელვადიანი ევრო	6.75-9.00%
მოკლევადიანი იენი	6.00%
მოკლევადიანი აშშ დოლარი	8.50%-9.00%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა (ჯამური მოცულობები კომპანიების და გარანტიის ტიპის მიხედვით) მოცემულია შემდეგ ცხრილში:

კომპანია	პროდუქტის ტიპი	ვალუტა	თანხა ლარში
შპს ავტო გალერი	აკრედიტივი	USD	2,282,591
შპს თეგეტა ქარ რენთ	გარანტია	EUR	74,383
შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია	გარანტია	EUR	4,063,665
შპს თი-ბი-ეი თეგეტა	გარანტია	USD	2,151,520
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	EUR	1,661,456
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	GBP	17,114,000
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	გარანტია	GEL	5,431,773
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	გარანტია	EUR	36,596
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	გარანტია	GEL	60,647
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	გარანტია	USD	8,256,458
შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს	გარანტია	EUR	205,236
შპს თეგეტა მოტორსი	გარანტია	EUR	71,273,269
შპს თეგეტა მოტორსი	გარანტია	GEL	20,587,952
შპს თეგეტა მოტორსი	გარანტია	USD	12,774,650
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	გარანტია	GEL	4,533

შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	აკრედიტივი	JPY	12,012,455
შპს თეგეტა რითეილი	გარანტია	GEL	512,457
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	გარანტია	EUR	1,111,142
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	გარანტია	GEL	2,813,777
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	აკრედიტივი	EUR	42,457,531
შპს თეგეტა თაიარ იმპორტს	გარანტია	EUR	595,060
შპს თეგეტა თაიარ იმპორტს	გარანტია	USD	1,344,700
სულ			**206,825,850**

დაკავშირებული კომპანიების სასარგებლოდ, „კომპანიის“ მიერ გაცემული თავდებობები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია (ს/ნ: 401964683) შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328) შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554) შპს ენტერფრაისი (ს/ნ: 405329112)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	35,000	35,000

პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაციის შემდეგ „ემიტენტის“ კაპიტალიზაციისა და დავალიანების პოზიციაში მატერიალური ცვლილება არ მომხდარა.

კომერციული ბანკების სესხების ფინანსური/არაფინანსური კოვენანტები და მათი შესრულება

საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია როგორც არაფინანსური, ასევე ფინანსური კოვენანტები.

კომპანიის არაფინანსური კოვენანტები გულისხმობს, რომ:

- ჯგუფმა არ უნდა დაუშვას მიმდინარე ბიზნეს საქმიანობისგან განსხვავებული ტრანზაქციის არსებობა მესამე პირთან;
- ჯგუფი არ აქვს უფლება შევიდეს ისეთ გარიგებაში, რომლის დროსაც: მისი შემოსავალი ან მოგება შესაძლოა განაწილებულ იქნას მესამე პირთან, და მისი ბიზნესი ან საოპერაციო საქმიანობა მართულ იყოს მესამე პირის მიერ;
- ჯგუფმა არ უნდა დაუშვას ფროდის და კორუფციის არსებობა;
- ჯგუფი ვალდებულია ფინანსური აღრიცხვა აწარმოოს IFRS სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- ჯგუფი აუდიტორებად მოიწვევს ტოპ 5 დამოუკიდებელი აუდიტორულ კომპანიიდან ერთ-ერთს.

ემიტენტს არ ჰქონია არაფინანსური კოვენანტები დარღვეული პროსპექტით დაფარულ პერიოდში.

ფინანსური კოეფიციენტების დათვლა ხდება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური უწყისებზე დაყრდნობით და ჯგუფის ფინანსური კოვენანტები შემდეგია:

- ჯგუფმა ბოლო 12 თვის Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR(CFADS) შეინარჩუნოს მინიმუმ DSCR Y 2022 - >= 1.0, Y 2023 –>= 1.15 (შენარჩუნებული უნდა იქნეს მომდევნო წლებშიც).

- ჯგუფის წმინდა სასესხო დავალიანების შეფარდებამ ბოლო 12 თვის EBITDA-თან შეადგინოს არაუმეტეს 5.0 2022 წლის ბოლოს არაუმეტეს 4.5-სა 2023 წლის ბოლოს, არაუმეტეს 4.0 2024 წლის ბოლოს და შემდეგ პერიოდებში. (2022 - Net DEBT*/EBITDA<=5.0; 2023 - Net DEBT/Ebitda<=4.5; 2023 და შემდგომ Net DEBT/Ebitda<=4.0);
- ჯგუფმა შეინარჩუნოს ბოლო 12 თვის ICR* (Ebit/Interest) კოეფიციენტი 2022 წელს მინიმუმ 1.5; 2023 წელს მინიმუმ 2.0; 2024 წლიდან მინიმუმ 2.3.
- დივიდენდის გატანა, ან დამფუძნებელზე/დაკავშირებულ პირზე სესხის გაცემა (ბიზნესიდან თანხის გატანა) წინასწარ უნდა შეთანხმდეს ბანკთან. თანხების გაცემა უნდა მოხდეს შემდეგი კოვენანტების დაცვით: DSCR Y 2022 - >= 1.0, Y 2023 – >= 1.15 (შენარჩუნებული უნდა იქნეს მომდევნო წლებშიც). DSCR- ის კალკულაცია მოხდება შემდეგნაირად: (EBITDA +/- Change in WC - Maintenance Capex –Dividend – Taxes) / PMT. ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების და დივიდენდის გატანის შესაბამისობა უნდა გადამოწმდეს ა) ისტორიული სრული წლის ფინანსური მაჩვენებლებით ბ) ფაქტობრივი და სამომავლო ფინანსური მაჩვენებლებით. ფინანუსი კოეფიციენტების შესრულების მიუხედავად, 2022 წელს დივიდენდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 14 მილიონ ლარს.
- ჯგუფს არ წარმოექმნება დანახარჯი ან ვალდებულებები ფიქსირებული და სხვა არა-მიმდინარე აქტივებისათვის (იმ დანახარჯების გარდა, რომელიც საჭიროა პროექტის განხორციელებისათვის, ან პროექტის ოპერაციებთან დაკავშირებული ტექნიკური მომსახურების, შეცვლისა ან სარემონტო სამუშაოების დანახარჯების გარდა), რომლის საერთო თანხა შეადგენს 10 მილიონ ლარზე მეტს ნებისმიერ ფინანსურ წელიწადში.

შესრულების კოეფიციენტების დათვლა ეყრდნობა მენეჯერულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და კოვენანტები ვრცელდება სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულ მოცულობაზე და კომპანიას მათი შესრულება ევალება ყოველწლიურად, მის მიერ სააღრიცხვო პერიოდის ბოლო მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული მენეჯერული ფინანსური ანგარიშგებისა და უწყისების საფუძველზე. . მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკები მონიტორინგს ახორციელებენ კვარტლურად, ემიტენთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდებში აღმოჩენილი დარღვევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ითვლება კოვენანტის შეუსრულებლობად.

ჯგუფში შემავალი კომპანიების მიხედვით დათქმული კოვენანტების და მათი შესრულების მაჩვენებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში და დათვლილია კომერციული ბანკების მიერ.

	DSCR CFAD Based		Net Debt/EBITDA		ICR	
	Covenant no less than	Performance	Covenant no more than	Performance	Covenant no less than	Performance
31/12/22	1.00	1.19	5.00	3.09	1.50	1.68
31/12/23	1.00	1.42	5.00	2.55	1.50	2.86
31/12/2023	1.15		4.50		2.00	
31/12/2024	1.15	1.20	4.00	3.66	2.30	2.30
30/06/2025	1.15	1.01	4.00	3.89	2.30	2.57
30/09/2025	1.15	1.21	4.00	3.94	2.30	2.18

აღსანიშნავია რომ კომერციულ ბანკებთან დათქმული კოვენანტები გულისხმობს წლის ბოლოს მითითებული მაჩვენებლების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, რადგან კოვენანტი არ ავალდებულებს კომპანიას ნახევარწლიურ და 9 თვის პერიოდზე მაჩვენებლის დაკმაყოფილებას, კომპანია არ არღვევს ცხრილში მითითებულ კოვენანტებს.

გამოშვებული ფასიანი ქაღალდების კოეფიციენტის შესრულება

პროსპექტის მომზადების თარიღისათვის ემისიების ფარგლებში განთავსებულია შემდეგი ობლიგაციები:

გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	მოცულობა (ნომინალური ვალუტა)	კუპონი	ISIN
2-May-24	2-May-26	EUR	10,000,000	6.75%	GE 2700604699
28-Jun-24	28-Jun-26	USD	5,000,000	8.50%	GE 2700604707
28-Jun-24	28-Jun-26	USD	3,300,000	8.50%	GE 2700604715
3-Jul-24	3-Jul-26	GEL	10,000,000	13.50%	GE 2700604756
19-Jul-24	19-Jul-26	USD	5,000,000	8.50%	GE 2700604780
2-Aug-24	2-Aug-26	GEL	15,000,000	13.50%	GE 2700604830
20-Dec-24	20-Dec-26	USD	5,000,000	8.25%	GE 2700604996
8-Apr-25	8-Apr-27	USD	10,000,000	8.00%	GE 2700605043
28-Apr-25	28-Apr-27	USD	10,000,000	8.00%	GE 2700605068
16-Dec-25	16-Dec-30	GEL	260,000,000	TIBR 6M + 3.00%	GE 2700605282

2023 და 2024 წლების დეკემბრის და 2025 6 თვის მდგომარეობით სრულდებოდა შემდგომი ფინანსური კოეფიციენტები და არ აღემატებოდნენ შეზღუდვას.

	შესრულება			
	კოვენანტი	**31-12-2023**	**31-12-2024**	**30-06-2025**
Net Debt/EBITDA*	არაუმეტეს 6.0	2.4	3.0	2.9

2025 წლის 16 დეკემბერს გამოშვებული 260,000,000 ლარის მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების (GE 2700605282) კოვენანტები

	კოვენანტი
Net Debt/EBITDA*	არაუმეტეს 4.50x
DSCR	არანაკლებ 1.15x
ICR	არანაკლებ 1.50x

* ფინანსური ვალდებულებები ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით, ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე): (i) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად არსებულ ყველა დავალიანებას, გარდა ფულით უზრუნველყოფილი დავალიანებებისა; (ii) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც დასტურდება „ობლიგაციებით“, სავალო ხელწერილებით და სხვა მსგავსი დოკუმენტებით; (iii) „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად აღიარებულ იჯარის ვალდებულებას; (iv) „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად აღიარებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებას; ან/და (v) გარანტიებს/თავდებობებს ან ნებისმიერ მსგავს ვალდებულებებს, რომლებიც გაცემულია „ემიტენტის“ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ და რომელთა საერთო ნომინალური მოცულობა, იქნება იგი ფაქტობრივი თუ პირობითი, აღემატება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 10%-ს. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ჩაითვლება მხოლოდ ის ზედმეტი თანხა, რომელიც 10%-იან ზღვარს აღემატება.

„ემიტენტის“ და მისი შვილობილი კომპანიების წმინდა ფინანსური ვალდებულებების ოდენობა (IFRS-ის მიხედვით დათვლილ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული) ბოლო კალენდარული წლის EBITDA-ს მაქსიმუმ 6.0 ჯერ აღემატება.

ფინანსური ვალდებულებები განსაზღვრავს დუბლირების გარეშე:

(i) სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანება, გარდა ფულით უზრუნველყოფილი დავალიანებებისა;
(ii) ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებითა და სხვა მსგავსი წერილებით;
(iii) IFRS-ის მიხედვით აღიარებული ფინანსური იჯარის ვალდებულება;
(iv) IFRS-ის მიხედვით აღიარებული სხვა ფინანსური ვალდებულება;
(v) ფინანსური ვალდებულება არ მოიცავს სხვა თავდებობას, გარანტიას და გარე-საბალანსო ვალდებულებებს.

*კოვენანტი გაწერილია შემდეგი ობლიგაციების პროსპექტებში: ISIN: GE 2700604236, GE 2700604335, GE 2700604327, GE 2700604566, GE 2700604590, GE 2700604616, GE 2700604699, GE 2700604707, GE 2700604715, GE 2700604756, GE 2700604780, GE 2700604830, GE 2700604996, GE 2700605043, GE 2700605068;

ემიტენტის დამატებითი საკრედიტო საჭიროებების აღწერა

ამ „პროსპექტით“ განსაზღვრული ობლიგაციების გამოშვების გარდა, ემიტენტი ასევე განიხილავს 20,000,000 ევრომდე (ან მისი ექვივალენტი ლარში ან აშშ დოლარში) საკრედიტო რესურსების მოზიდვას სასესხო ვალდებულებების ფორმით, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენს ფლიტ მენეჯმენტის განვითარების პროექტისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ობლიგაციების პირობებია:
მოცულობა - 60,000,000 დოლარამდე; ნომინალი - 1,000 ერთეული; თითოეული ემისიისთვის ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს (ასი პროცენტი); ობლიგაციების გამოშვების დეტალური პირობები, როგორიცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, დენომინაცია, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და შესაბამისი ემისიის შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; ვადიანობა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 3 თვე; 2) 6 თვე; 3) 1 წელი; 4) 2 წელი; 5) 3 წელი; 6) 4 წელი; 7) 5 წელი;
ფასიანი ქაღალდების კლასი - არასუბორდინირებული ობლიგაციები, რომლებიც უზრუნველყოფილია თავდებობით; შემოსავლის გამოყენება –პროცენტიანი ვალდებულებების ნაწილორივი რეფინანსირება.

რისკის ფაქტორები

„ობლიგაციებში“ ინვესტიცია გარკვეულ რისკებს გულისხმობს. ინვესტიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე „ობლიგაციების“ პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა ინვესტორებმა „ობლიგაციებში“ ინვესტირებამდე საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილ ნებისმიერ რისკს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მუშაობის შედეგებზე, ასევე - „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია რისკის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს „ობლიგაციებში“ ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შეიძლება არსებობდეს ან წარმოიშვას ისეთი დამატებითი რისკები, გაურკვევლობები ან არაპროგნოზირებადი გარემოებები, რომლებიც „კომპანიამ“ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ან რომელთა არსებობის შესახებ „კომპანიას“ არ აქვს ინფორმაცია. ნებისმიერმა ასეთმა რისკმა, გაურკვევლობამ ან გარემოებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბიზნესის ოპერირებაზე და ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა იქონიოს. შესაბამისად, „ობლიგაციების“ ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მითითებული რისკები არ არის ამომწურავი.

1. **ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის;**

- *კომპანია მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.*
- *კომპანიამ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.*
- *„კომპანია“ დამოკიდებულია მომწოდებლებზე და მათთან არსებული კონტრაქტების შენარჩუნებაზე.*
- *საავტომობილო ნაწილების და მომსახურებების სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.*
- *სადაზღვეო შემთხვევების დადგომის რისკი.*
- *ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.*
- *„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.*
- *შრომითმა დავებმა და გაფიცვებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ სერვისების დონესა და მომგებიანობაზე.*
- *ძირითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.*
- *კომპანია დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.*
- *ახალმა რეგულაციებმა საცალო დაკრედიტების და სამშენებლო უსაფრთხოების მხრივ და რეგულაციური ჩარჩოს მნიშვნელოვანმა ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.*
- *კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან. ასევე, ემიტენტი დაექვემდებარა სამართალწარმოებას საგადასახადო ორგანოს მხრიდან;*
- *“კომპანიის“ საოპერაციო / საინფორმაციო სისტემების უკმარისობამ ან შეფერხებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის ბიზნესზე და საოპერაციო შედეგზე.*

- *„კომპანიის“ მიერ მოზიდული ფინანსური რესურსების და ვალდებულებების საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი.*
- *კომპანიას არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა.*
- *„კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე.*
- *კომპანიის განთავსებული კაპიტალი წესდების შესაბამისად არ არის განსაზღვრული, შესაბამისად მასზე არ გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, მათ შორის, დივიდენდის განაწილებასთან და კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით.*
- *კაპიტალის ბაზრის მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებამ, შესაძლოა კომპანიის საკრედიტო რეიტინგზე იქონიოს გავლენა.*
- *თუკი ემიტენტმა ვერ მოახერხა სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალიზაცია, ან/და ობლიგაციების სრულად განთავსება, ან საბანკო თუ სხვა დაფინანსების მოპოვება, კომპანიას შესაძლოა შეექმნას ლიკვიდობის პრობლემა.*
- *კაპიტალის ბაზრის მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე, კომპანიას შეიძლება შეექმნას ლიკვიდობის პრობლემა*
- *პროსპექტში ნაჩვენები გარკვეული პერიოდების განმავლობაში „ემიტენტის“ ფინანსური კოეფიციენტების ნაწილი არ აკმაყოფილებს სესხებზე ფინანსური კოვენანტების შესაბამის ნიშნულებს. „ემიტენტმა“ შესაძლოა ვერ შეძლოს აღნიშნული კოეფიციენტების გაუმჯობესება კოვენანტში მითითებულ თარიღზე და დაერღვეს გარკვეული კოვენანტები და ვერ შეძლოს დასტურის წერილის მიღება შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტებისგან*

2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის

- *რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;*
- *საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.*
- *შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს.*
- *საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.*
- *საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.*
- *კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;*
- *ახალმა რეგულაციებმა ამ და სხვა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე.*
- *თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე.*
- *კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგებებს/რეპორტინგის წარდგენის კუთხით.*

3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის

- *„ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.*

- *კომპანიის ან შესაბამისი გარანტორების გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად.*
- *არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.*
- *„ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით*
- *“ობლიგაციებს“ სარგებელი ერიცხებათ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით*
- *შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.*
- *ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი*
- *„ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.*
- *საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს*
- *ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.*
- *არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი.*
- *ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის, გადახდისა და კალკულაციის აგენტისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს.*
- *„ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე.*
- *სოლიდარულ თავდებობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და ობლიგაციების გადაცემასთან დაკავშირებული რისკები.*

2. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის;

1.1 კომპანია მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელმა 2018 წელს 4.8% შეადგინა, 2019 წელს - 5.0%-ს, ხოლო 2020 წელს პანდემიის ფონზე ეკონომიკა 6.2%-ით შემცირდა. 2021 წელს მოხდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი აღდენა, როცა რეალური მშპ გაიზარდა 10.5%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 3.0%-ით. ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდა 2022 წელსაც და მშპ-ს წლიურმა ზრდამ 10.5% შეადგინა. ზრდის ტემპის შემცირების მიუხედავად, 2023 წელსაც დაფიქსირდე რეალური მშპ-ს 7.8% ზრდა. 2024 წელს, მშპ-ს 9.4%-ით ზრდა დაფიქსირდა, ხოლო 2025 წლის იანვარ-ივნისში, საქართველოს ეკონომიკა 8.3%-ით გაიზარდა. რუსეთ-უკრაინის ომის უარყოფითი ეფექტების მიუხედავად, ტურიზმის მოსალოდნელზე უფრო სწრაფად აღდგენამ, შემოსული ფულადი გზავნილების ზრდამ, ხელსაყრელმა საექსპორტო იმპულსმა და იმიგრაციასთან დაკავშირებულმა ნაკადებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის საგარეო პოზიციის გაძლიერებას და შიდა მოთხოვნის შენარჩუნებას. ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანიას“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორიცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, სურსათის ფასები, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

რყევები საქართველოს ავტომობილების, საავტომობილო ნაწილების და მათთან დაკავშირებული მომსახურებების ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. ეკონომიკური რეცესიის დროს მნიშვნელოვნად მცირდება ახალი ავტომობილების გაყიდვების დონე. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი დანახარჯების დონეზე.

1.2 კომპანიამ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

როგორც ქვემოთ მოცემული ბიზნეს-აღწერილობიდან დასტურდება, ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძლიერ ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით და არსებული მოთამაშეების გასვლით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე მოღვაწეობის პერიოდის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ბოლო წლების განმავლობაში ფართოვდება და ისტორიულად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით უკავია ფორმალური ბაზრის წილი შემდეგი განაწილებით - 2019 წელს 17%, 2020 წელს 16% , 2021 წელს 18%, ხოლო 2022 წელს - 19%. ახლად გამოჩენილი კომპანიების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადში მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

ავტომობილების გაყიდვები ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურ ციკლებზე არის დამოკიდებული და მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს რეცესიის შემთხვევაში. ავტონაწილებისა და ავტო-მომსახურებების გაყიდვები შედარებით უფრო მდგრადია რეცესიის დროს.

გეოგრაფიულად „კომპანიის“ საქმიანობის უმეტესობა საქართველოზე მოდის, რაც „კომპანიას“ მგრძნობელს ხდის ადგილობრივი ეკონომიკური რყევების მიმართ. გაყიდვების ნაწილი უცხოელ კლიენტებსა და ექსპორტიორებზე ხდება და „კომპანია“ ახდენს რეალიზაციას მეზობელ ქვეყნებში, თუმცა გაყიდვების უდიდესი ნაწილი ამ ეტაპზე კვლავ საქართველოშია კონცენტრირებული.

1.3 „კომპანია“ დამოკიდებულია მომწოდებლებზე და მათთან არსებული კონტრაქტების შენარჩუნებაზე.

„კომპანია“ ყიდის მომწოდებლებისგან მიღებულ სხვადასხვა სახის პროდუქციას, როგორებიცაა მსუბუქი ავტომობილები, საბურავები, ავტონაწილები, საპოხი მასალები, მძიმე ტექნიკა, აკუმულატორები, ხელსაწყოები და სხვა. „კომპანიას“ უმეტესწილად რამდენიმე ალტერნატივა გააჩნია გამოყენებული საქონლის შესყიდვის წყაროების მხრივ, თუმცა გასაყიდი საქონლის გარკვეული ნაწილი მომწოდებელთა მცირე ჯგუფისგან მიიღება, რაც „კომპანიას“ დამოკიდებულს ხდის ამ მომწოდებლებზე. მომწოდებლების მხრიდან მასალების გადმოცემის შენელებამ, შეფერხებამ ან შეწყვეტამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე და გამოიწვიოს საქმიანობის შეფერხება ან შეკვეთების დაკარგვა.
კომპანიის ტოპ მომწოდებლები საერთაშორისო ბაზარზე მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ და მასში მიმართულებების და პროდუქციის მომწოდებელთა მრავალფეროვნება კომპანიას აძლევს შესაძლებლობას გამორიცხოს ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე დამოკიდებულება.

მომწოდებლების შესახებ დამატებითი ინფორმაციითვის იხილეთ: *„ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები“.*

1.4 საავტომობილო ნაწილების და მომსახურებების სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

ამჟამად ორგანიზებული საავტომობილო ნაწილების და მომსახურების სექტორი ფრაგმენტირებულია და საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი პოზიცია გაყიდვების მოცულობის მიხედვით „კომპანიას“ უჭირავს. არსებობს რისკი, რომ მოხდეს ორგანიზებული ბაზრის კონსოლიდაცია და გაჩნდეს ერთი ან რამდენიმე მსხვილი კონკურენტი მოთამაშე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საფასო კონკურენციის გამძაფრება, მარჟების შემცირება და ბაზრის წილების ცვლილება. ანალოგიურად, არაორგანიზებული ბაზარიც დანაწევრებულია მცირე მოთამაშეებად და მათი კონსოლიდაციის ალბათობა შედარებით დაბალია, თუმცა შესაძლებელია მოხდეს არაორგანიზებული ბაზრის ეტაპობრივი ჩანაცვლება ორგანიზებული მოთამაშეების მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში.

1.5 სადაზღვეო შემთხვევების დადგომის რისკი.

წინამდებარე ემისიის პროსპექტის თარიღისთვის კომპანიას დაზღვევის ხელშეკრულებები დადებული აქვს სს „სადაზღვევო კომპანიაუნისონთან“ (ს/კ:404393152)), შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძვლით დაზღვეულ რისკს წარმოადგენს ისეთი საოპერაციო რისკები, როგორიცაა უძრავი/მოძრავი ქონებისა და მარაგების დაზღვევა, მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ. თუმცა, ინდუსტრიაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, რისკები დაზღვეულია ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში. მაგალითად, უძრავი ქონება, მათ შორის არსებული მარაგები დაზღვეულია 397 მილიონი ლარის ფარგლებში, ხოლო შესაბამისი ხელშეკრულება ითვალისწინებს ანაზღაურების გამომრიცხავ გარემოებებს. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ კონკრეტული სადაზღვევო რისკის რეალიზების შედეგები არ დაექვემდებაროს ანაზღაურებას ან მიყენებული ზიანი აღემატებოდეს სადაზღვევო თანხას. ასეთ შემთხვევაში, კომპანიას შესაძლოა მოუწიოს გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღება სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული შედეგების მიტიგაციის მიზნით, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ხელმისაწვდომი ნაღდი ფულის ნაკადებზე და გაუჩინოს მოკლე ან საშუალოვადიანი გადახდისუნარიანობის პრობლემა, რაც ჯამში უარყოფითად აისახება კომპანიის საოპერაციო მაჩვენებლებზე.

1.6 ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.

„კომპანიის“ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად ევროსა და აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში; აღსანიშნავია, რომ კურსის ცვლილების შესაბამისად სარეალიზაციო ღირებულება კორექტირებას არ ექვემდებარება. მას ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ. აღნიშნულმა კი შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა სესხების სავალუტო სტრუქტურის ცვლილებისა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულებების სავალუტო ფორვარდების მეშვეობით ჰეჯირების გზით, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი ევროსთან, აშშ დოლართან ან სხვა ვალუტებთან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს

ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“. დღეისათვის გარდა ჰეჯირების სტრატეგიისა და ისეთი ვალდებულებების შემთხვევაში, როდესაც სასესხო პროდუქტების მოწოდება არ ხდება. კომპანია ცდილობს არ დაუშვას გრძელვადიანი ვალდებულებების კისრება და მოახდინოს უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ვალდებულებების დროული ანაზღაურება საკურსო ზარალისაგან თავის დაზღვევის მიზნით.

ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხარჯების და კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სავალუტო პოზიციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“. ქვეთავები: „რისკების მართვა“ და „წმინდა საკურსო ზარალი“.

1.7 „კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავისი ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანია“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“ დანახარჯების რესტრუქტურიზაცია და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

დაფინანსების მოზიდვის პროცესში „კომპანიამ“ შესაძლოა დროულად ვერ მოახერხოს ახალი დაფინანსების ხელსაყრელ პირობებში მოპოვება. შესაბამისად აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ საპროცენტო ხარჯის ან ახალი სასესხო ვალდებულებების დასაფარად საჭირო ფულადი ნაკადების ზრდა. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და მის შესაძლებლობაზე დაფაროს აღნიშნულ ობლიგაციების საპროცენტო ხარჯი.

1.8 შრომითმა დავებმა და გაფიცვებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ სერვისების დონესა და მომგებიანობაზე.

„კომპანიის“ საქმიანობა დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ სერვისების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დავებმა პროფკავშირებთან რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შენელება, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომხმარებლებთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე. „კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომწოდებლების შრომითმა დავებმა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან.

„კომპანიის“, მისი მომწოდებლების თანამშრომლების გაფიცვებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შენელებამ არსებითად უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

1.9 ძირითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ-მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორებიცაა ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის ბევრი წევრი წლების განმავლობაში მუშაობს საავტომობილო პროდუქციისა და მომსახურებების სფეროში და „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიცირებული და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

თუკი „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის წევრები დატოვებენ მას და „კომპანია“ ვერ შეძლებს მათი შესაფერისი შემცვლელების დროულ მოძებნას და აყვანას, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტები მუდმივად ვითარდება. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ანგარიშვალდებული საწარმოების შემთხვევაში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების სრულმასშტაბიანი ამოქმედების შედეგად კიდევ უფრო დაიხვეწება და მეტი მოთხოვნა დაწესდება შიდა კორპორაციული მოწყობის ნაწილში. აღნიშნულმა რეგულაციებმა შესაძლოა, გაზარდოს კომპანიის სახელფასო და/ან ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსი. ამან კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

1.10 კომპანია დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

ადგილობრივ ბაზარზე კომპანია სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და მომხმარებლების მაღალი ნდობით. არსებობს რისკი იმისა, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომის შედეგად კომპანიამ ვერ შეძლოს ხარისხის დაცვა და ჯგუფს შეელახოს რეპუტაცია, რაც მნიშვნელოვნად აისახება მის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

1.11 ახალმა რეგულაციებმა სალარო დაკრედიტების და სამშენებლო უსაფრთხოების მხრივ და რეგულაციური ჩარჩოს მნიშვნელოვანმა ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების კუთხით, რომელიც შემდგომში ჩანაცვლდა იმავე შინაარსის ბრძანებით. რეგულაციის ძირითადი პრინციპის თანახმად, ფინანსურმა ინსტიტუტმა ფიზიკურ პირს არ უნდა დააკისროს სასესხო ან სხვა ვალდებულება (მაგ. თავდებობა) პირის გადახდისუნარიანობის შესწავლის გარეშე. რეგულაციის თანახმად სესხის გამცემი ვალდებული იქნება სესხის გაცემისას შეაფასოს მომხმარებლის შემოსავალი, უზრუნველყოფის ღირებულება და გასცეს სესხი, რომლის ყოველთვიური გადასახდელი (PTI) და უზრუნველყოფის ღირებულება (LTV) ამ დებულებით დადგენილ ზღვრებს არ აღემატება. აღნიშნული კოეფიციენტები განისაზღვრება ადგილობრივი და უცხოური ვალუტის სესხებისთვის. რეგულაციის ამოქმედების შედეგად შესაძლებელია მოჰყვეს ბანკების მიერ ახალი სალარო დაკრედიტების მოცულობის შემცირება ან შეზღუდვა, რამაც თავის მხრივ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ სალარო გაყიდვებზე, რადნგან სალარო გაყიდვების გარკვეული ნაწილი მყიდველების მიერ

საცალო სესხების მეშვეობით ფინანსდება და ამ სესხების ხელმისაწვდომობის შემცირებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებლების მსყიდველობითუნარიანობაზე და შედეგად „კომპანიის“ გაყიდვებზე,

2019 წლის 15 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა სამშენებლო პროდუქტების ახალი ტექნიკური რეგლამენტი, რომლის თანახმადაც დაწესდა ახალი მოთხოვნები ცემენტს, არმატურას, ელექტროკაბელების, პლასტმასის მილებს და სხვა მსგავსი სახის პროდუქციას მიმართ. აღნიშნული პროდუქციის ზედამხედველობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განხორციელდება. ახალმა სამშენებლო რეგლამენტმა შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს უძრავი ქონების სექტოზე საქართველოში, რამაც თავის მხრივ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს უძრავი ქონების მშენებლობაში გამოყენებული ავტომობილებისა და სპეც-ტექნიკის გაყდივებზე.

რეგულაციური გარემოს სხვა გამკაცრებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ „კომპანიასა“ და მის კლიენტებზე, პირდაპირ ან ირიბად შეამცირონ გაყიდვები და/ან გაზარდონ ხარჯები.

1.12 კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან. ასევე, ემიტენტი დაექვემდებარა სამართალწარმოებას საგადასახადო ორგანოს მხრიდან;

„კომპანიის“ ნორმალური ოპერირებისას კომპანია შესაძლოა, პირდაპირ ან ირიბად, აღმოჩნდეს ჩართული, დასახელდეს მხარედ ან სუბიექტად სხვადასხვა იურიდიულ სამართალწარმოებაში, მათ შორის მარეგულირებელ სამართალწარმოებაში, საგადასახადო სამართალწარმოებაში და სასამართლო პროცესში ისეთ დავებზე, რომლებიც ეხება ადამიანის დაზიანებას, ქონების დაზიანებას, ქონების გადასახადს, მიწის საკუთრების უფლებებს და გარემოს დაცვას. მიმდინარე, მოსალოდნელი, ან მომავალი სამარწთალწარმოებების შედეგების დანამდვილებით განჭვრეტა შეუძლებელია და ისინი შეიძლება გადაწყდეს კომპანიის საზიანოდ, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის აქტივებზე, ვალდებულებებზე, ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „კომპანია“ გაიმარჯვებს რომელიმე ასეთ იურიდიულ სამართალწარმოებაში, პროცესი ძვირი დაჯდება და დიდ დროს წაიღებს, აღნიშნულმა შეიძლება ყურადღება გადაიტანოს კომპანიის ბიზნეს ოპერაციებიდან, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფულად ნაკადებზე, ფინანსურ მდგომარეობასა ან საოპერაციო შედეგებზე და მის შესაძლებლობაზე გაუნაწილოს თანხა ობლიგაციონერებს.

დავა საქართველოს შემოსავლების სამსახურისა და სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ

2024 წლის 19 თებერვალს კომპანიის მიერ გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - „შემოსავლების სამსახური“) გადაწყვეტილება შემოწმების ფარგლებში საშემოსავლო გადასახადის ძირის, ჯარიმისა და საურავის დაკისრების თაობაზე და შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ ინიცირებული იქნა ადმინისტრაციული წარმოება.

2024 წლის იანვარში შემოსავლების სამსახურმა შეამოწმა დაკავშირებულ პირთან დადებული წილის ნასყიდობის გარიგებები და ჩათვალა, რომ მათ არ გააჩნდათ ეკონომიკური შინაარსი და აღნიშნული გარიგებების დადების მიზანი კომპანიიდან თანხების გადინება იყო, რაც უნდა დაბეგრილიყო საშემოსავლო გადასახადით. შედეგად, შემოსავლების სამსახურმა კომპანიას დაარიცხა 39,390,298.51 ლარი, საიდანაც 23,124,220 ლარი წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის ძირს, 11,521,923 ლარი არის ჯარიმა, ხოლო 4,744,155.51 ლარი - საურავი. ამასთან, სსიპ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით თავდაპირველად საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გავრცელდა შპს „თეგეტა მოტორსის“ მთელ ქონებაზე, თუმცა კომპანიის მიმართვის საფუძველზე აღნიშნული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გაუქმდა და გავრცელდა კომპანიის საკუთრებაში არსებულ მხოლოდ 5 უძრავ ქონებაზე.

სადავოდ გამხდარი გარიგებებით „კომპანიის“ მიერ შეძენილ იქნა:

- შპს „კავკასუს ავტომოტივი“ (ს.ნ 405302836-100% წილის ჯამური ღირებულება 50 000 000 ლარი);
- შპს „ავტო გალერი” (ს.ნ 405232957-100% წილის ჯამური ღირებულება 33 800 000 ლარი);
- შპს „თეგეტა ინთერნეიშენალი” (ს.ნ 206211936 - 100% წილის ჯამური ღირებულება 12 000 000 ლარი).

თითოეულ შემთხვევაში, წილები შეძენილი იქნა ურთიერთდაკავშირებული პირებისგან. შესაბამისად, მათზე ვრცელდებოდა საბაზრო პირობებით ფასწარმოქმნის ვალდებულება. ეს ნიშნავს, რომ თუ წილის ნასყიდობის ფასი საბაზროზე მაღალი იქნებოდა, კომპანიას წარმოეშობოდა ნამეტის დაბეგვრის ვალდებულება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. აქედან გამომდინარე, კომპანიამ თითოეულ შემთხვევაში წილი შეაფასებინა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და კომპანიის მიერ გადახდილი თანხები არ აღემატებოდა შესაბამისი წილის საბაზრო ფასს, რაც დადასტურდა დამოუკიდებელი შეფასების შედეგად.

„კომპანიის“ მიერ შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული აქტები გასაჩივრდა ზემდგომ ორგანოში, შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოში, იმ საფუძვლით, რომ წარმოების პროცესში დარღვეულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო რეგულაციებისა და დამატებით არაერთ დარღვევაზე მიუთითებს ბიზნესომბუდსმენი, რომლის მიერაც შეფასდა გამოცემული აქტები, როგორც კანონმდებლობასა და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან შეუსაბამო. ბიზნესომბუდსმენმა სრულად გაიზიარა კომპანიის არგუმენტები და შესაბამისად, გასცა რეკომენდაცია, რომ საგადასახადო ორგანომ იმოქმედოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

კომპანიის არგუმენტები არ იქნა გაზიარებული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, შესაბამისად კომპანიამ საკუთარი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მიმართა სასამართლოს. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის მოთხოვნები და ძალაში დარჩა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები. კომპანიამ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2025 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით, ემიტენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 23 ივნისის განჩინება, რომლითაც თავის მხრივ უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება ემიტენტის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

იქიდან გამომდინარე, რომ უზენაესი სასამართლოს განჩინება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის საბოლოო და აღარ საჩივრდება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 23 ივნისის განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

შესაბამისად, ვინაიდან ემიტენტმა აღნიშნული საგადასახადო დავის ფარგლებში ამოწურა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების ყველა შესაძლებლობა, ემიტენტის მიმართვის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განიხილა და დაამტკიცა საგადასახადო შეთანხმების პირობები, ხოლო 2025 წლის 28 ოქტომბერს გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება რომლის საფუძველზე ემიტენტს სრულად გაუუქმდა სადავო აქტების საფუძველზე დარიცხული ჯარიმა და საურავი და კომპანიის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობად განისაზღვრა 21,015,000.00 (ოცდაერთი მილიონ თხუთმეტი ათასი) ლარი, რომელიც განაწილებულ იქნა შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

• 7,005,000 ლარი - საგადასახადო შეთანხმების გაფორმებიდან 360 დღის ვადაში;

• 7,005,000 ლარი - საგადასახადო შეთანხმების გაფორმებიდან 720 დღის ვადაში;

• 7,005,000 ლარი - საგადასახადო შეთანხმების გაფორმებიდან 1 080 დღის ვადაში;

საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული დარიცხვა არ იწვევს პროსპექტების 1.6. ქვეპუნქტით დადგენილ „დეფოლტს“ და არ არღვევს დამტკიცებული პროსპექტით განსაზღვრულ კოვენანტებს, ვინაიდან დარიცხვით გათვალისწინებული ოდენობა არ აღემატება ბოლო ფინანსური წლის შედეგების საფუძველზე დათვლილი, „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად) ან მის ექვივალენტ ოდენობას ნებისმიერ სხვა ვალუტაში.

აქვე ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული დავის წარმოების განმავლობაში, საგადასახადო ორგანოს არ გამოუყენებია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ისეთი საშუალებ(ებ)ი (მაგ: ყადაღა, ინკასო დ.ა.შ), რაც შეაფერხებდა ან/და საფრთხეს შეუქმნიდა ემიტენტის ნორმალურ ფუნქციონირებას და ბიზნეს პროცესებს.

1.13 "კომპანიის" საოპერაციო / საინფორმაციო სისტემების უკმარისობამ ან შეფერხებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის ბიზნესზე და საოპერაციო შედეგზე.

კომპანიის ბიზნესის განვითარებასთან ერთად იმატებს იმ რისკების ოდენობა და კომპლექსურობა, რომლებიც კომპანიის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. კომპანია მუდმივ რეჟიმში მუშაობს მისი საოპერაციო და საინფორმაციო სისტემების დახვეწაზე, თუმცა მაინც არსებობს იმის რისკი, რომ კომპანია ვერ მოახერხებს აღნიშნული პროცესების წარმართვას.

საინფორმაციო სისტემების გამართულობა დამოკიდებულია ბაზრებთან, მომხმარებლებთან ან სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასებაზე და ეს ინფორმაცია შესაძლოა იყოს არაზუსტი, არასრული, მოძველებული ან არასწორად შეფასებული.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივ განვითარებასთან ერთად იზრდება იმ რისკების კომპლექსურობაც, რომლებიც შეიძლება განაპირობებდნენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შეფერხებას და მათ დარღვევას. აღნიშნული სისტემების დარღვევის საფრთხეები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

კომპიუტერული ვირუსები, არაავტორიზებული წვდომები, სერვერის ფიზიკური დაზიანება და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობა. შეფერხებამ აღნიშნულ სისტემებში შეიძლება ხელი შეუშალოს მომხმარებლების სწრაფ მომსახურებას, სწორ ანგარიშგებას, მომხმარებლის პირადი ინფორმაციის დაცვას. ნებისმიერი მსგავსი შეფერხება უარყოფითად აისახება კომპანიის რეპუტაციაზე და იწვევს მომხმარებლის ნდობის შემცირებას კომპანიის ბიზნესის მიმართ. აღნიშნული რისკის მატერიალიზებამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა თუ ფულად ნაკადებზე.

შესაძლოა კომპანიამ ფინანსური თუ სხვა შეზღუდვების გამო ვერ შეძლოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შემდგომი განვითარება, პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და დაცვის სისტემების სრულყოფა. აღნიშნული არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა და მის ფულად ნაკადებზე.

1.14 **„კომპანიის" მიერ მოზიდული ფინანსური რესურსების და ვალდებულებების საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი.**

კომპანიის მიერ მოზიდული ზოგიერთი სასესხო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი არ არის ფიქსირებული და არის ცვლადი. როგორც სასესხო ვალდებულებების პირობებით არის გათვალისწინებული, საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია რეფინანსირების განაკვეთზე. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი კი, ინფლაციის დონის და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობების გათვალისწინებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს). საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და შესაბამისად მის უნარზე დაფაროს „ობლიგაციების" საპროცენტო ხარჯი.

1.15 კომპანიას არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა.

კომპანიას არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა. დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ კომპანიაში დამტკიცდეს ისეთი დივიდენდის გაცემა, რაც მომავალში უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ბიზნესზე, მის ფულად ნაკადებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე და მის შესაძლებლობაზე, გაუნაწილოს თანხა ობლიგაციონერებს. პოლიტიკისაგან გამიჯნულად კომპანიას გააჩნია დათქმა მის კრედიტორებთან, რომლის ფარგლებშიც კომპანია არეგულირებს გასაცემი დივიდენდის მოცულობას. გარდა ამისა, მეწარმეთა შესახებ ახალი კანონით დადგინდა შეზღუდვა დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებით კერძოდ, პარტნიორები ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას დივიდენდის გაცემის შესახებ თუ ეს გადაწყვეტილება კომპანიის გადახდისუუნარობას გამოიწვევს, რაც ინვესტორებისათვის წარმოადგენს დამატებითი დაზღვევის მექანიზმს.

1.16 „კომპანიის" გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე.

„კომპანიას" სრულად აქვს ინტეგრირებული პროდუქციის მიწოდების არხები საკუთარ სტრუქტურაში, რაც მოიცავს ფილიალებს, დისტრიბუციის სამსახურს (მიწოდების აგენტები, პრე-სეილერი და მოძრავი მაღაზიები) და კორპორაციული გაყიდვების სამსახურს. ბიზნესის ზრდასთან ერთად არსებობს თეორიული რისკი, რომ „კომპანია" ვერ შეძლებს დისტრიბუციის არხების შესაბამის განვითარებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შეფერხება ან გაყიდვების დაკარგვა.

1.17 კომპანიის განთავსებული კაპიტალი წესდების შესაბამისად არ არის განსაზღვრული, შესაბამისად მასზე არ გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, მათ შორის, დივიდენდის განაწილებასთან და კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველო კანონის მიხედვით, კომპანიას არ აქვს შექმნილი „საწესდებო კაპიტალი", რომელიც აღნიშნულ კანონში განმარტებული „განთავსებული კაპიტალის" ექვივალენტური ტერმინია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი, საწესდებო კაპიტალის მუხლში მითითებული თანხა წარმოადგენს „დამატებით შენატანს კაპიტალში" და იგი შესაბამისად არ ასრულებს დამცავი მექანიზმის ან/და ბუფერის როლს „მეწარმეთა შესახებ" საქართველო კანონის 145-ე მუხლის ფარგლებში დივიდენდის გაცემასთან და კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, „მეწარმეთა კანონით" დადგენილი შეზღუდვები, რომლებიც არ გავრცელდება კომპანიაზე იმის გამო, რომ მას არ აქვს შექმნილი განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი „მეწარმეთა შესახებ" კანონის მიხედვით, არის შემდეგი:

1. განთავსებული კაპიტალის შემცირებისას, განთავსებული კაპიტალის გამოთავისუფლებული ოდენობით დივიდენდის განაწილების შეზღუდვა განთავსებული კაპიტალის შემცირების თარიღიდან 6 თვის განმავლობაში;
2. დივიდენდის პარტნიორებზე განაწილების შეზღუდვა, თუ აღნიშნულის შედეგად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების აქტივები ვეღარ დაფარავს ვალდებულებებსა და განთავსებული კაპიტალის ოდენობას;
3. განთავსებული კაპიტალის შემცირების დასაშვებობა მხოლოდ განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არანაკლებ 6 თვის შემდეგ, თუ კრედიტორთა ის მოთხოვნები, რომლებიც განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე წარმოიშვა, კომპანიამ დააკმაყოფილა ან უზრუნველყო, ან თუ სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

1.18 კაპიტალის ბაზრის მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებამ, შესაძლოა კომპანიის საკრედიტო რეიტინგზე იქონიოს გავლენა.

სარეიტინგო სააგენტო Scope Ratings-ის შეფასებით, ემიტენტის საკრედიტო რეიტინგი შესაძლოა გაუარესდეს, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის დაფინანსების სტრუქტურა მოკლევადიან კაპიტალის ბაზრის დაფინანსებაზე დარჩება დამოკიდებული.

საკრედიტო რეიტინგის გაუარესებამ შესაძლოა გაზარდოს კომპანიის მიერ ფულადი სახსრების მოზიდვის ხარჯი. გარდა ამისა, კომპანიისთვის უფრო რთული და ძვირი იქნება იმ ვალდებულებების განახლება, რომელთა დაფარვის ვადაა დამდგარი. საკრედიტო რეიტინგის კლებამ და სირთულეებმა ვადამოსული ვალდებულებების განახლებისას, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის კომპანიის საკრედიტო რეიტინგის შესახებ, გთხოვთ, იხილოთ წინამდებარე პროსპექტის თავი „კომპანიის საკრედიტო რეიტინგი"

1.19 თუკი ემიტენტმა ვერ მოახერხა სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალიზაცია, ან/და ობლიგაციების სრულად განთავსება, ან საბანკო თუ სხვა დაფინანსების მოპოვება, კომპანიას შესაძლოა შეექმნას ლიკვიდობის პრობლემა.

კომპანიას აქვს დადებითი საბრუნავი კაპიტალი (2025 წლის ივნისის მდგომარეობით პრო-ფორმა ეფექტის გათვალისწინებით 179,864 ათასი ლარი, იმ შემთხვევაში თუ კომპანიამ მოამვალში ვერ მოახერხა სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალიზაცია ან/და ასევე ვერ მოახერხა ობლიგაციების სრულად განთავსება, ან საბანკო თუ სხვა დაფინანსების მოპოვება, კომპანია შესაძლოა დადგეს ლიკვიდობის რისკის წინაშე.

ცხრილში მოცემულია კომპანიის დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ	სულ საბალანსო ღირებულება
ნასესხები სახსრები	10,380	18,553	415,777	134,217	6,030	**584,957**	**536,064**
საიჯარო ვალდებულებები	652	1,386	5,753	21,347	18,241	**47,379**	**32,687**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	200,489	-	-	-	-	**200,489**	**200,489**
სულ მომავალი გადახდები	**211,521**	**19,939**	**421,530**	**155,564**	**24,271**	**832,825**	**769,240**

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *„საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა - ლიკვიდობის რისკი“.*

1.20 კაპიტალის ბაზრის მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე, კომპანიას შეიძლება შეექმნას ლიკვიდობის პრობლემა

ემიტენტის ლიკვიდური პოზიცია შესაძლოა გაუარესდეს, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის დაფინანსების სტრუქტურა მოკლევადიან (ძირითადად 2 წლიანი ვადიანობის მქონე) კაპიტალის ბაზრის დაფინანსებაზე დარჩება დამოკიდებული. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *„საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა - ლიკვიდობის რისკი“.*

1.21 პროსპექტში ნაჩვენები გარკვეული პერიოდების განმავლობაში „ემიტენტის“ ფინანსური კოეფიციენტების ნაწილი არ აკმაყოფილებს სესხებზე ფინანსური კოვენანტების შესაბამის ნიშნულებს. „ემიტენტმა“ შესაძლოა ვერ შეძლოს

აღნიშნული კოეფიციენტების გაუმჯობესება კოვენანტში მითითებულ თარიღზე და დაერღვეს გარკვეული კოვენანტები და ვერ შეძლოს დასტურის წერილის მიღება შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტებისგან

„კომპანიას“ აღებული აქვს საბანკო ვალდებულებები კომერციული ბანკებისგან, რომელთა ხელშეკრულებები ითვალისწინებს ფინანსური ტიპის დათქმებს (დეტალებისთვის, გთხოვთ იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტის ქვეთავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“).

აღსანიშნავია, რომ კომერციულ ბანკებთან დათქმული კოვენანტები გულისხმობს წლის ბოლოს მითითებული მაჩვენებლების დაკმაყოფილებას. „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას კოვენანტების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ აამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტში ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში „ემიტენტის" ფინანსური კოეფიციენტები არ აკმაყოფილებს რამდენიმე სესხზე ფინანსური კოვენანტის მოთხოვნებს. კომპანია 2025 წლის 6 თვის მდგომარეობით არ აკმაყოფილებს ფინანსურ კოვენანტს (DSCR CFAD Based) და 9 თვის მდგომარეობით არ აკმაყოფილებს ფინანსურ კოვენანტს (ICR). არ არსებობს გარანტია რომ კომპანიას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოახერხებს ფინანსური და არა-ფინანსური კოვენანტების შესრულებას ან მიიღებს დასტურის წერილს შესაბამისი მხარეებისგან.

2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონიმიკისათვის

2.1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა:

2.1.1. პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენას მოახდენს მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

ამჟამად საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის, რუსეთთან კვლავ დაძაბული ურთიერთობისა და შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების საჭიროების ჩათვლით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ გაგრძელდება პოლიტიკური ან/და ეკონომიკური, ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი, რეფორმების გატარება ან რომ ეს მცდელობები წარმატებული იქნება; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს სამთავრობო ცვლილებით ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

ამასთანავე, 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 150-წევრიან პარლამენტში მიიღო 89 მანდატი, 61 მანდატი მოიპოვა ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ - „კოალიცია ცვლილებებისთვის: გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ (19 მანდატი), „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ (16 მანდატი), „ძლიერი

საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ (14 მანდატი) და „გახარია საქართველოსთვის“ (12 მანდატი). ოპოზიციურმა სპექტრმა უარი თქვა არჩევნების შედეგების აღიარებასა და პარლამენტში შესვლაზე და საპროტესტო რეჟიმში გადავიდა. ამასთან, აღნიშნული ოპოზიციური პარტიებიდან პირველმა სამმა სადეპუტატო მანდატების გაუქმების მოთხოვნით ცენტრალურ საარჩევნო კომრისიას მიმართეს. ამ უკანასკნელმა მოთხოვნის შესაბამისად რეგისტრაცია გაუუქმა სამივე პოლიტიკურ გაერთიანებას.

ამის შემდეგ, პროტესტის ახალი ტალღა მთავრობის მიერ ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყების 2028 წლამდე გადადებამ განაპირობა, რადგან საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 85% მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას. ხანგრძლივი პროტესტის მიმდინარეობისას, აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვახტანგ გომელაურს და სხვა მაღალჩინოსნებს. მოგვიანებით აშშ-ს სახაზინოს დეპარტამენტმა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და საპატიო თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს დაუწესა ფინანსური სანქციები. პოლიტიკური გაურკვევლობა კვლავ მაღალია და ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და სანქციების დაწესებამ განსაკუთრებით ბიზნესის წარმომადგენლებზე, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატზე და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რასაც ამასთანავე უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერირების შედეგებსა და განვითარების პერსპექტივაზე.

2.1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა.

განვითარებად ბაზრებს ახასიათებთ უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის, რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის შემთხვევაში, ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და, საბოლოოდ, ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Stable Outlook) - დეკემბერი, 2024;
- Moody’s – Ba2 (Negative Outlook) - მარტი, 2025;
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook) - თებერვალი, 2025.

2.1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ ევროსთან/ სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.

კომპანიას, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, აქცს სავალუტო რისკი, რამდენადაც მისი შემოსავლები დენომინირებულია ლარში, განსხვავებით ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ნაწილობრივ დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში (კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სავალუტო პოზიციის შესახებ იხ. თავი „საოპერაციო შედეგები“, ქვეთავი „რისკების მართვა“). გარდა აღნიშნულისა, კომპანიის საქმიანობაზე ლარის გაუფასურებას შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეს, ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორების გაუარესებისა (მაგ.: მზარდი ინფლაცია) და ადგილობრივი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე ზეგავლენის თუ სხვა მიზეზების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია. ზოგადად, საქართველოში ოფიციალურად ლარის კურსი ფორმირდება აშშ დოლარის მიმართ, ხოლო ლარი/ევროს კურსზე გავლენას ახდენს როგორც ლარის დოლარის, ასევე ევრო დოლარის კურსის ცვლილებები.

წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. ამასთან, საგარეო კრიზისების პერიოდში ასევე ადგილი ჰქონდა ევროს დასუსტებას აშშ დოლარის მიმართ. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი - ამ პერიოდში ლარი უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე ევრო გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ლარის კურსის ევროსთან გაუფასურება, თუმცა უფრო ნაკლები ზომით; 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები - გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 აშშ დოლარზე 3.48 ლარს, მიაღწია, ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ წლის პირველ ნახევარში გაუფასურდა, შემდეგ გამყარდა და მნიშვნელოვნად გააუფასურა ლარის კურსი ევროს მიმართ; 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში - რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. თუმცა, ამავდროულად, ევროც მნიშვნელოდნად გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ და ადგილი არ ჰქონია ლარის დიდ გაუფასურებას ევროს მიმართ. ამავე წლის მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლიურად 12.8%-ით გაიზარდა აშშ დოლართან მიმართებით. აღნიშნულ პერიოდში ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებული დარჩა, რომელიც საბოლოოდ ლარი/ევროს კურსზე პოზიტიურად აისახა. 2023 წლის განმავლობაში ლარის კურსი ევროს მიმართ მცირედით გაუფასურდა, რაც ძირითადად იხსნება ევროს გამყარებით აშშ დოლარის მიმართ. ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ სტაბილურობას ინარჩუნებდა 2023 წლის განმავლობაში, რაზეც დადებითი გავლენა ჰქონდა კაპიტალის მაღალ შემოდინებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, რაც გამოიხატა 2022 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 11.0%-მდე გაზრდით. ამასთან, მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა რეზერვები შეავსო - 2022 წლის განმავლობაში სებ-ის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 564.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შევსება მაღალი საგარეო შემოდინებების პირობებში გაგრძელდა 2023 წელსაც - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 1,474 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო გაყიდა 194.9 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები წლიურად 2.2%-ით 5.0 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2023 წელს. რაც შეეხება 2024 წელს, მიუხედავად სტაბილური სავალუტო შემოდინებებისა, პოლიტიკური გაურკვევლობების ფონზე ლარის გაცვლით კურსზე გაუფასურების მიმართლებით მსხვილი ერთჯერადი შეტევები განხორციელდა მაისი-ივნისის და სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში. განსაკუთრებით, წინასაარჩევნოდ შექმნილი გარკვევლობებიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს მოუხდა 591.1 მლნ აშშ დოლარი გაყიდვა ლარზე გაუფასურების

წნეხის მოსახსნელად 2024 წლის ოქტომბერში. ჯამურად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2024 წელს სავალუტო ბაზარზე გაყიდა 917.4 მლნ აშშ დოლარი, ხოლო შეისყიდა 482.6 მლნ აშშ დოლარი. 2025 წლის იანვარ-აგვისტოში ლარის გაცვლითი კურსის აშშ დოლარის მიმართ მნიშვნელოვნად გამყარდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო მზარდი სავალუტო შემოდინებებით, უცხოური ვალუტის დეპოზიტების ლარში კონვერტაციით და დოლარის ინდექსის გლობალური დასუსტებით. შიდაპოლიტიკური გარემოს შედარებითი სტაბილიზაციის, გაუმჯობესებული საგარეო შემოდინებებისა და გლობალურად გაუფასურებული აშშ დოლარის ფონზე, 2025 წლის მარტიდან სებ-მა მნიშვნელოვნად გაზარდა სავალუტო შესყიდვების მასშტაბი და ბაზარზე დამატებით დაახლოებით 2.4 მილიარდი აშშ დოლარი შეიძინა, რის შედეგადაც მთლიანი რეზერვების მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და, წლის ბოლოსთვის 6.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების მოცულობა წლიურად 38.4%-ით გაიზარდა და IMF-ის შეფასებით, უკვე ნოემბერში მიაღწია ადეკვატურობის ზღვრის 100%-ს. ამასთან, 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარის კურსი დოლართან მიმართებით წლიურად 4.1%-ით გამყარდა. ის ფაქტი, რომ ლარი ევროს კურსზე მხოლოდ ლარი დოლარის გაცვლითი კურსი არ მოქმედებს, ამ უკანასკნელის ცვლილებები ძალზედ მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში „საქსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6%, 2022 წელს 11.9% და 2023 წელს 2.5% იყო. საკვებ პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე გლობალურად გაზრდილი ფასების ფონზე, 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მარტი-დეკემბრის პერიოდში ოთხჯერ გაზარდა, ჯამურად 250 საბაზისო პუნქტით 10.5%-მდე. 2022 წლის დასაწყისიდან, წინა წლის ბაზის გავლენისა და საკვებისა და ენერგომატარებლების რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კიდევ უფრო გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. 2022 წლის გაზაფხულიდან აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ქირის ზრდაც, რაც მნიშვნელოვანწილად მიგრანტების მხრიდან უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ხანგრძლივად მაღალი ინფლაციის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 50 საბაზისო პუნქტით, 11.0%-მდე გაზარდა და აღნიშნულ ნიშნულზე 2023 წლის მაისამდე შეინარჩუნა. იყო პერიოდები, როცა ინფლაციის მაღალ დონეს მეტწილად საგარეო ფაქტორები განაპირობებდა, თუმცა იმ პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება სებ-ს გარკვეულწილად დაეხმარა ინფლაციის დონის მართვაში, მიუხედავად იმისა, რომ სებ-ი უმეტესწილად მოთხოვნის ფაქტორებიდან ინფლაციაზე მომდინარე ზეწოლის შემთხვევაში რეაგირებს. ხოლო შემდეგ, როცა საშინაო ფაქტორების კონტრიბუცია გაიზარდა ინფლაციაში, გამკაცრებული მონტარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად ეხმარებოდა სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაბრუნებაში. 2023 წლის მარტიდან ინფლაციამ მკვეთრი შენელება დაიწყო, რომელიც მაისიდან ჩამოცდა 3.0%-იან მიზნობრივ დონეს და 2023 წლის დეკემბერში ინფლაციამ 0.4% შეადგინა. დაბალი ინფლაციური გარემო შენარჩუნდა 2024 წელსაც - საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1.1% შეადგინა 2024 წელს. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისი 2024 წლის მაისის პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა. 2025 წლის მარტიდან სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ მიზნობრივ 3.0%-ს გადააჭარბა და 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით 4.0%-ს უტოლდება, წლის განმავლობაში კი საშუალოდ 3.9%-ს გაუტოლდა. რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სურსათის ფასებს, მაშინ როცა ნავთოპროდუქტების ფასები წლიურად შემცირებულია,. მოსალოდნელია, რომ 2025 წელს საშუალო წლიური ინფლაცია მიზნობრივ დონეზე მაღლა შენარჩნდება. ზოგადად, ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს

კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. არის რისკი რომ ეს შესაძლოა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ამ რისკის რეალიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და მსოფლიო ეკონომიკების უმრავლესობა რეცესიაში გადავიდეს. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოა აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება. ასევე აღსანიშნავია, 2025 წლის ივნისში ისრაელ-ირანის რამდენიმე დღიანი სამხედრო დაპირისპირება, რამაც დიდი გაურკვევლობა შექმნა მსოფლიოში - მყისიერად გაიზარდა ნავთობის ფასები, წარმოშვა მიწოდების ჯაჭვებთან დაკავშირებული პრობლემები და გაჩნდა ინფლაციური მოლოდინები. ამ ფონზე შესაძლოა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა რეცესიაში გადასულიყო. ის რომ საქართველოს როგორც ისრაელთან, ისე ირანთან აქვს ეკონომიკური კავშირურთიერთობები, კონფლიქტის გახანგრძლივების შემთხვევაში პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტების გავლენები საქართველოს ეკონომიკაზე საგრძნობი იქნებოდა - გამოიწვევდა ინფლაციის დაჩქარებას, ლარის გაუფასურებას, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესებას და საბოლოოდ სოლიდურ ეკონომიკურ დანაკარგს.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა გარემოებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

(I) რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, მათ შორის, სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
(II) ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
(III) ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
(IV) რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
(V) რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

2.1.4. ვინაიდან კომპანია მეტწილად საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს.

კომპანიის შემოსავლები გარკვეულწილად დამოკიდებულია საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მშპ, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით ზრდა 3.7% იყო. 2022 წლის

დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რეალოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, მაღალი ეკონომიკური ზრდა 2023 და 2024 წლებშიც გაგრძელდა. 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2024 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 9.4% შეადგინა. ეკონომიკური ზრდა, საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2025 წლის პირველ თერთმეტ თვეში საშუალოდ 7.5%-ს უტოლდება, რაც მაღალი ზრდის ტემპის შენარჩუნებაზე მიუთითებს. ინფორმაციისათვის, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს 5.4%-ით, 2018 წელს 6.1%-ით, 2017 წლებში 5.2%-ით, ხოლო 2015 და 2016 წლებში საშუალოდ 3.4%-ით იზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური ცვლილებები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

2.2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:

2.2.1. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დაძაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დაძაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კონტროლის ქვეშ აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი და აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ

ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თუმცა 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იუწყებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ღამით დიდ ქალაქებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და მიუთითა, რომ მან დაარღვია მოსკოვში 10 ოქტომბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. საბოლოოდ, 10 ნოემბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო კონფლიქტის მორიგი ესკალაცია 2022 წლის 12 სექტემბერს დაფიქსირდა. 14 სექტემბერს ევროპის საბჭოს შუამდგომლობით მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამჟამად, სიტუაცია დასტაბილურებულია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები საზღვრების დადგენაზე. ის, რომ სამომავლოდ ისევ დაიძაბოს სიტუაცია ამის ალბათობა ამ ეტაპზე შემცირებულია.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში შეიძლება ასევე მოახდინოს არსებითად უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მოუტანა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი არამხოლოდ ომში ჩართულ ქვეყნებს, არამედ რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკასაც. ომის დაწყებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს არაერთი სანქცია დაუწესა, რომელთა მიზანიც რუსეთზე წნეხის გაზრდა იყო, რათა მას შეეჩერებინა საომარი მოქმედებები. მოსალოდნელია, რომ ამ ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის უარყოფითი ეფექტები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე არსებული გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლური ცენტრალური ბანკები 2023 წლის ბოლომდე ახორციელებდნენ საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რამაც გაართულა გლობალური ფინანსური მდგომარეობა. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია, რაიმე დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაზრდილი გაურკვევლობის დონე, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ნებისმიერი სამომავლო გაუარესება საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობისა, შეიძლება გახდეს უარყოფითი ეფექტის მქონე საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.,

2023 წლის ოქტომბერში ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის გაღვივება ახლო აღმოსავლეთში შესაძლოა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ამას კი შესაძლოა მოჰყვეს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და მსოფლიო ეკონომიკების უმრავლესობა რეცესიაში გადავიდეს. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოა აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა გარემოებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, მათ შორის, სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;

- ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

2.2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკებთან. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან საქონლის ექსპორტში 2019 წელს შეადგინა 13.4% და 11.4%, შესაბამისად. პანდემიის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანის წილი მცირედით, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს საქონლის მთლიან ექსპორტში და 2021 წელს, შესაბამისად, შეადგინა 12.5% და 6.0%. 2022 წელს აზერბაიჯანის წილი კვლავ შემცირდა, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაბამისად 12.0% და 10.5% შეადგინა. 2023 წელს ორივე ქვეყნის წილი გაიზარდა - აზერბაიჯანის წილმა მთლიანი ექსპორტის 14.2%, ხოლო სომხეთის წილმა 12.9% შეადგინა. 2024 წელს აზერბაიჯანზე და სომხეთზე მოდიოდა საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის 11.0% და 9.4%, ხოლო 2025 წელს კი 9.6% და 7.6%, შესაბამისად.

რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიანი საქონლის ექსპორტში 2019 წელს 13.1%-ს, 2020 წელს - 13.2%-ს, 2021 წელს - 14.4%-ს, 2022 წელს 11.5%-ს, 2023 წელს - 10.8%-ს, 2024 წელს 10.4%-ს, ხოლო 2025 წელს კი 10.5%-ს შეადგენდა.

თურქეთი წარმოადგენს უდიდეს საიმპორტო ბაზარს საქართველოსთვის და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან საქონლის იმპორტში შეადგენდა 17.0%-ს 2019 წელს, 17.5%-ს 2020 წელს, 18.1%-ს 2021 წელს, 17.5%-ს 2022 წელს, 16.6%-ს 2023 წელს, 16.3%-ს 2024წელს, ხოლო 15.01%-ს 2025 წელს. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.2%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან საქართელოს სავაჭრო ბრუნვა უკრაინასთან მნიშვნელოვნად შემცირდა და საქართველოს ექსპორტმა უკრაინაში მთლიანი ექსპორტის 4.2% შეადგინა 2022 წელს, რომელიც 2023 წელს კიდევ შემცირდა 1.7%-მდე. შესაბამისად, რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება რუსეთზე ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით საგრძნობლად გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ რუსი მიგრანტების ტალღამ განაპირობა. თუკი 2021 წელს რუსეთიდან მიღებული ტურისტული შემოსავლები და ფულადი გზავნილები მშპ-ის 3.0%-ს შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელს 11.8%-მდე გაიზარდა, 2023 წელს 8.0%-მდე შენელდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-სექტემბერში 4.7% შეადგინა, თუმცა მაინც მაღალია. ასეთი მაღალი დამოკიდებულება ერთ ქვეყანაზე რისკების მატარებელია, რადგან ზემოთ მოცემული ნაკადების შეწყვეტის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზიანდება, რასაც, თავის მხრივ, ექნება უარყოფითი არსებითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

2.3. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:

2.3.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას (შემდგომში „**ასოცირების შეთანხმება**“) და შექმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის, პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

- **საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“:** 2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან. განახლებულმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა:** ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ხდება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ამოქმედდა მთელი რიგი ცვლილებები ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ჩარჩოში, რომლებიც სწორედ ჰარმონიზაციის მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა წესი ინსაიდერული ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე - დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო, განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ წლიური თუ ნახევარწლიური ანგარიშების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. მაგალითისთვის, შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილი ცვლილებები დამსაქმებლებს ავალდებულებდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთი ან ორი თვის ხელფასის ოდენობით), ამყარებდა მუშაკთა უფლებებს მკაფიო მიზეზის გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, და ქმნიდა გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა,

ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული ან მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად, კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოსასვლელად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

2.3.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.

უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. ეს პრობლემებს ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებისას, რადგან აღნიშნული კანონმდებლობა ბუნდოვანია ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება, რაც რისკს უქმნის კომპანიებს, რომ საგადასახო კანონმდებლობასთან შესაბამისობის მათი მცდელობა შესაძლოა ეჭვს ქვეშ დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა.

გარდა ამისა, აღნიშნული საგადასახადო კანონმდებლობა ცვლილებებს და დამატებებს განიცდის, რამაც უჩვეულო სირთულეები შეიძლება შეუქმნას კომპანიას და მის საქმიანობას. ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები არსებობს სახელმწიფო სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის და მათ შიგნითაც, მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. ამასთან, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების მიღებას გადასახადის გადამხდელების მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე. მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია, რომ კომპანია ამჟამად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირონ მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმები. იმის რისკიც არსებობს, რომ რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად კომპანიას ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის შეცვლის შედეგად. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან კომპანიის ან მისი მომხმარებლების მიმართ გამოყენებული გადასახადების განაკვეთის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე.

2016 წლის მაისიდან ამოქმედდა ცვლილებები კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ წესებში. დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი, განაწილებული მფლობელებს - კერძო პირებს ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებს - შორის - რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება არ მოქმედებს ფინანსური სექტორის კომპანიებზე და მათთვის ძველი მეთოდით ხდება მოგების დაბეგვრა (დასაბეგრი მოგების 15%-ის ოდენობით). საგადასახადო კოდექსის ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2.3.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა და სასამართლო სისტემა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამოქმედდა ან მნიშვნელოვნად შეიცვალა ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სხვა საბაზისო კანონმდებლობა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ეჭვები კანონმდებლობის ხარისხსა და აღსრულებადობასთან დაკავშირებით, ასევე -გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის საკმარისი კადრებისა და პროფესიონალების ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან, შედარებით, მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა სირთულეებმა და გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

2.3.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტეიკჰოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, მომხმარებლები და მომწოდებლები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე *(მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“)*, თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

2.4. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

2.4.1. ახალმა რეგულაციებმა ამ და სხვა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე.

კომპანია ექვემდებარება კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებს უძრავი ქონების საკუთრებას და იჯარით გაცემას, დასაქმების სტანდარტებს, გარემოსდაცვით საკითხებს, გადასახადებს და სხვა საკითხებს. შესაძლებელია, რომ მომავალმა ცვლილებებმა მოქმედ რეგიონულ, ტერიტორიულ, ადგილობრივ კანონმდებლობასა და რეგულაციებში ან ცვლილებებმა მათ აღსრულებასა და ინტერპრეტირებაში გამოიწვიოს იმ საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებები, რომლებიც კომპანიას ეხება. გარდა ამისა, ევროკავშირთან დაახლოების გეგმებთან

დაკავშირებით საქართველოში მუდმივად ტარდება ახალი რეფორმები, რაც შესაძლოა ნეგატიური გავლენის მომტანი აღმოჩნდეს კომპანიის ბიზნეს ოპერაციებისთვის.

შეუძლებელია წინასწარმეტყველება, შეიცვლება თუ არა მომავალში ის მარეგულირებელი რეჟიმები, რომლებიც კომპანიაზე ვრცელდება და ასევე რთულია ამ ცვლილებების მონეტარული გავლენის შეფასება კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა ახალმა რეგულაციებმა უძრავი ქონების საკუთრებასთან, იჯარით გაცემასთან ან სხვა საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ინვესტიციებზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი: „მარეგულირებელი გარემო“.

2.4.2. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე.

მართალია, კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტიანი გამოდგება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე. გარდა ამისა, ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ჯარიმები და სანქციები.

2.4.3 კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგებებს/რეპორტინგის წარდგენის კუთხით.

კომპანია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოა. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის და აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს მიაწოდოს წლიური და ნახევარი წლის ანგარიშები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან თბილისის საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს ან თბილისის საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N181/04 ბრძანებით დადგენილი ანგარიშგების წარდგენის ვადის დარღვევის და 2022 წლის წლიური, 2022-2023 წლების ნახევარწლიური ანგარიშგებების დროულად არ გამჟღავნების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „კომპანიას“ დაეკისრა ჯარიმა. „კომპანიამ“ 2023 წლის 3 ოქტომბერს გაამჟღავნა 2022 წლის აუდიტირებული ანგარიშგება, ხოლო 2022 და 2023 წლების ნახევარწლიური ანგარიშგებები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა 2023 წლის 13 ნოემბერს. 2023 წლის წლიური და 2024 წლის ნახევარწლიური ანგარიშგებები გასაჯაროვდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვადის ფარგლებში, შესაბამისად, კომპანიას ამ პერიოდში ჯარიმა არ დაკისრებია. დამატებით ინფორმაცია მოცემულია პროსპექტის „ანგარიშვალდებული საწარმოს დაკავშირებული მოთხოვნების“ თავში.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის გახდება დამატებითი ტვირთი და შესაძლოა გავლენა იქონიოს მისი საქმიანობის ეფექტურობაზე. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაუქმება..

3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის

3.1 „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ მეორადი გაყიდვის ფასზე.

3.2 კომპანიის ან შესაბამისი გარანტორების გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, „კომპანიისთვის“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი „კომპანიის“ უმრავი ან მომრავი აქტივებით. მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით და აღნიშნული უფლებას აძლევს ობლიგაციონერებს მოითხოვონ დაკმაყოფილება შესაბამისი გარანტორებისგან, ამ ემისიის პროსპექტით და შესაბამისი თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილ კრედიტორად ითვლებიან, კრედიტორები, რომელთა მოთხოვნაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულების არსებობა არ ანიჭებს „ობლიგაციონერებს“ უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსს და „კომპანიის“ გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ისინი დაკმაყოფილდებიან მასიდან, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. რაც ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორებს (კრედიტორებს, ვისი მოთხოვნაც „კომპანიის“ აქტივების იპოთეკით ან გირავნობით არის უზრუნველყოფილი) ენიჭებათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ - უზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის ან რომელიმე გარანტორისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ ჩაითვლება უზრუნველყოფილ მოთხოვნად და დაკმაყოფილდება უზრუნველყოფილი კრედიტორების შემდგომ. კომპანიის ან შესაბამისი გარანტორების უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მათ ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

„კომპანიის“ მიერ სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტი - კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

3.3 არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანიამ“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

3.4 „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით

მოცემული მულტისავალუტო ემისიის პროსპექტის ფარგლებში კომპანია გამოშვებული ობლიგაციების ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის ეროვნულ ლარში, აშშ დოლარში ან ევროში. (პროსპექტის ფარგლებში, თითოეული ემისიის ვალუტა განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და შესაძლოა იყოს ერთ-ერთი შემდეგთაგანი: 1) ეროვნული ლარი; 2) აშშ დოლარი; 3) ევრო;) ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია შესაბამისი ემისიის ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (ინვესტორის ვალუტა). აღნიშნული მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს ინვესტორის ვალუტის რევალვაციის ჩათვლით და რისკს, რომ ინვესტორის ვალუტაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები ინვესტორის ვალუტის მიმართ. ინვესტორის ვალუტის ღირებულების ზრდა ობლიგაციების ვალუტასთან მიმართებაში შეამცირებს (ა) ობლიგაციის განაკვეთს ინვესტორის ვალუტაში; (ბ) ობლიგაციის ძირ თანხას ინვესტორის ვალუტაში; (გ) ობლიგაციების საბაზრო ღირებულება ინვესტორის ვალუტაში. მთავრობებმა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ავტორიტეტებმა შესაძლოა დააწესონ (როგორც აღვნიშნეთ) გაცვლით კურსზე კონტროლი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგი. შესაბამისად, ინვესტორებმა შესაძლოა ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, ვიდრე ელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლოა ნეგატიური იმოქმედოს ობლიგაციების გადასაყიდ ფასზე.

3.5 “ობლიგაციებს“ სარგებელი ერიცხებათ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით

წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციები“ წარმოადგენს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე სასესხო ფასიან ქაღალდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გამოშვების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე (თუ არ მოხდა მათი ვადამდელი დაფარვა ან გამოსყიდვა პროსპექტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად) წელიწადში რამდენჯერმე დაერიცხებათ სარგებელი ერთი და იმავე წლიური განაკვეთით ნომინალური ღირებულებიდან კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. (თითოეული ემისიის გადახდის სიხშირე განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და შესაძლოა იყოს ერთ-ერთ შემდეგთაგანი : 1) ყოველთვიური; 2) კვარტლური; 3) ნახევარწლიური;) გარკვეული რისკები, რაც ობლიგაციონერებმა უნდა გაითვალისწინონ: თუ ბაზარზე მოხდა საპროცენტო განაკვეთების ზრდა, მაშინ ინვესტორებმა შეიძლება იმაზე ნაკლები შემოსავალი მიიღონ, ვიდრე ცვლადი
საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდების შემენის შემთხვევაში მიიღებდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ობლიგაციონერებს შესაძლოა გაუჭირდეთ „ობლიგაციების“ მეორად ბაზარზე გადაყიდვა ზარალის მიღების გარეშე, ვინაიდან ინვესტორები დაინტერესებულები იქნებიან ბაზარზე იმ მომენტში არსებული მაღალგანაკვეთიანი ფასიანი ქაღალდებით.

3.6 შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.

პროსპექტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (ან ნაწილობრივ) „ობლიგაციების“ განთავსებიდან ერთი წლის შემდეგ ნებისმიერ დროს, და ასეთ შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელი ვალდებული იქნება ობლიგაციები კომპანიას მიჰყიდოს „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ განსაზღვრულ ფასად.
იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე, ობლიგაციონერისთვის ჩნდება იმაზე ნაკლები შემოსავლის/მოგების მიღების რისკი, ვიდრე მოელოდა. ამავე დროს, შეიძლება შეზღუდული იყოს გამოთავისუფლებული სახსრების სხვა მსგავსი ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტებში რეინვესტირების შესაძლებლობა.

დამატებით, იმ შემთხვევაში, თუ „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“, რომლის დამტკიცებაც „ემიტენტმა“ მოითხოვა ისეთი განკარგვისთვის, რომელიც არ შეესაბამება „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 1.2 (დ) (ii) პრინციპებს, არ

იქნება მიღებული, ემიტენტს უფლება აქვს გამოისყიდოს იმ „ობლიგაციონერთა“ მფლობელობაში არსებული „ობლიგაციები“, რომელთაც აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ მისცეს ხმა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 1.2 (დ) ქვეპუნქტში.

დეტალური ინფორმაცია ობლიგაციების ვადამდე დაფარვის ან გამოსყიდვის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: „ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა“-ქვეთავი 1.3. „ობლიგაციების ვადამდელი დაფარვისა და გამოსყიდვის ვარიანტები“.

3.7 ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან განვითარდება და არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი ლარით დენომინირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებით სავაჭროდ შესაძლოა არ არსებობდეს, მითუმეტეს ისეთ განვითარებად ეკონომიკებში როგორიც საქართველოა.

3.8 „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

3.9 საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს

„კომპანიამ“ ან მისმა შვილობილმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ აამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში,

არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე და შეიძლება გამოიწვიოს „ჯვარედინი დეფოლტი“.

3.10ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.
ინფორმაცია ობლიგაციების ფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ: „ობლიგაციების გამოშვების პირობებში“ – 2.6.2. ვალდებულებები.

3.11„ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.

მოცემული ემისიის პროსპექტის ფარგლებში გამოშვებული ობლიგაციების ძირ თანხას კომპანია და პროცენტს გადაიხდის ეროვნულ ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია ლარისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში (**ინვესტორის ვალუტა**). აღნიშნული მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს ინვესტორის ვალუტის რევალვაციის ჩათვლით და რისკს, რომ ინვესტორის ვალუტაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები ინვესტორის ვალუტის მიმართ. ინვესტორის ვალუტის ღირებულების ზრდა ობლიგაციების ვალუტასთან მიმართებაში შეამცირებს (ა) ობლიგაციის განაკვეთს ინვესტორის ვალუტაში; (ბ) ობლიგაციის ძირ თანხას ინვესტორის ვალუტაში; (გ) ობლიგაციების საბაზრო ღირებულება ინვესტორის ვალუტაში. მთავრობებმა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ავტორიტეტებმა შესაძლოა დააწესონ (როგორც აღვნიშნეთ) გაცვლით კურსზე კონტროლი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგი. შესაბამისად, ინვესტორებმა შესაძლოა ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, ვიდრე ელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლოა ნეგატიური იმოქმედოს ობლიგაციების გადასაყიდ ფასზე.

3.12 არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი.

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საგნად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა არის საინვესტიციო კანონმდებლობის ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციების საგანი, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალო ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

3.13 ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის, გადახდის და კალკულაციის აგენტისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს.

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადახდას განახორციელებს იმ ობლიგაციონერების ან/და ანგარიშის მწარმოებლის სასარგებლოდ, განთავსების აგენტთან მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს დეპოზიტარის და, შესაბამის შემთხვევებში, ანგარიშის მწარმოებლის ამ „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მიერ დადგენილ პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას ამგვარი პირების ჩანაწერების სიზუსტეზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორების დროს ემიტენტი პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

3.14 „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე.

„ობლიგაციების“ პირობები შეიცავს დათქმას „ობლიგაციების“ მფლობელთა კრების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების განხილვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე. აღნიშნული პირობები განსაზღვრულ უმრავლესობას უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს და მიიღოს გადაწყვეტილება „ობლიგაციების“ პირობების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ უმცირესობაში აღმოჩენილი მფლობელები ვალდებულნი იქნებიან დაეთანხმონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

3.15 სოლიდარულ თავდებობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და ობლიგაციების გადაცემასთან დაკავშირებული რისკები .

ობლიგაციები უზრუნველყოფილია გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით, რომლის საფუძველზეც გარანტორებს წარმოეშობათ ობლიგაციონერების ყველა ვადამოსული და გადაუხდელი ვალდებულების დაკმაყოფილების ვალდებულება სოლიდარულად, ამ პროსპექტით და შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით, მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია ამ პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამის მიუხედავად, უზრუნველყოფების გაფორმება და ობლიგაციების გადაცემა შესაძლოა შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტორების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ასევე, პოტენციურმა ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თავდებობა არ იქნება წარმოშობილი / გაფორმებული ფასიანი ქაღალდების შეთავაზების მომენტში, რა დროსაც ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებისსაბოლოო ვერსია წინამდებარე „პროსპექტში“ ინტეგრირებული „თავდებობის ხელშეკრულების“ სახით, თუმცა, ამასთან, საბოლოო შეთავაზების პირობების დამტკიცების დროისთვის ემიტენტი უზრუნველყოფს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ხელმოწერას და ხელმოწერილი ვერსიის გასაჯაროვებას წინამდებარე პროსპექტში მითითებულიწესების შესაბამისად.
ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ „თავდაპირველი ობლიგაციონერის“ მიერ მოხდება „ობლიგაციების“ გასხვისება სხვა პირზე (ანუ ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნის დათმობა), მიუხედავად „პროსპექტსა“ და თავდებობის ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერებისა, არსებობს რისკი იმისა, რომ „ახალ ობლიგაციონერს“ არ გადაყვეს „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „ობლიგაციონერის“ ნებისმიერი და ყველა უფლება, და შესაბამისად, „გარანტორები“ არ იყვნენ პასუხისმგებლები სრულად განახორციელონ „პროსპექტიდან“ და „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე თავიანთი ვალდებულებები „ახალი ობლიგაციონერის“ მიმართ.

მარეგულირებელი გარემო

„თეგეტა მოტორსის“, როგორც ჰოლდინგური კომპანიის საქმიანობას არ სჭირდება სპეციალური ლიცენზიის, ნებართვის ან რაიმე მსგავსის აღება; შესაბამისად წილების ფლობა სხვა კომერციულ საწარმოებში ითვლება არარეგულირებულ კომერციულ საქმიანობად. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია ფლობდეს წილებს სხვა საწარმოში ცენტრალიზებული მარეგულირებლის ზედამხედველობის გარეშე, და, შესაბამისად, ასეთი კომპანიები გათავისუფლებულნი არიან ანგარიშგების ვალდებულებისგან და ა.შ.

ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იმ ტექნიკური რეგულაციების აბსოლუტური უმეტესობა, რომლებიც რელევანტურია „ჯგუფში“ შემავალი კომპანიების ბიზნეს-საქმიანობისთვის.

მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარება

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებდა საცალო გაყიდვებს (მათ შორის, ავტომობილების და მათი სათადარიგო ნაწილების, ასევე საპოხი მასალების საცალო გაყიდვებს) იყო 1996 წლის 20 მარტს მიღებული საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. კანონი არეგულირებდა მომხმარებელთა საბაზისო უფლებებს და აღიარებდა კეთილსინდისიერი ვაჭრობის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გაყიდული პროდუქტის უსაფრთხოება, პროდუქტის ადეკვატური ხარისხი, სწორი და ზუსტი ინფორმაცია პროდუქტზე და სხვ. კანონი ეფუძნებოდა პოსტსაბჭოთა სტანდარტებს და აწესებდა პასუხისმგებლობას საცალო გამყიდველებისა და მომსახურების/საქონლის გამყიდველის მიერ კანონში განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის. შესაბამისი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლო გზით. კანონი რამდენჯერმე შეიცვალა სექტორში არსებული გარემოს ცვალებადობის გამო.

კანონთან ერთად, ამ უკანასკნელის შევსების მიზნით, 1996 წლის 13 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე ნორმატიული აქტი. აღნიშნული აქტები, მათ შორის, მოიცავდა საქონლის გაყიდვის წესებს და ა.შ. სხვა სფეროების რეგულირების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ მრავალ ტექნიკურ რეგულაციასთან ერთად, არსებობდა ცალკე კანონები სტანდარტიზაციის (1999 წლის 25 ივნისი), პროდუქციის და მომსახურების სერთიფიკაციის (1996 წლის 6 სექტემბერი) და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოში სხვადასხვა პროდუქციის/მომსახურების შეთავაზებასა და რეალიზაციასთან.

თუმცა, აღნიშნული რეგულაციები პრაქტიკაში საკმაოდ არაეფექტური აღმოჩნდა, რამდენადაც იგი ეფუძნებოდა მოძველებულ სტანდარტებს, არ იყო რელევანტური დასავლური ბაზრისა და თავისუფალი ეკონომიკისთვის, შეიცავდა ბევრ წინააღმდეგობრივ ნორმას და, შედეგად, იყო გამოუსადეგარი. დანაწევრებული კანონების ცენტრალიზებისა და საკანონმდებლო სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ასევე სხვადასხვა კანონებსა და ტექნიკურ რეგულაციებში არსებული არაეფექტური საკანონმდებლო ნორმის გაუქმებას.

აღნიშნული კოდექსი, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით არის ძალაში. იგი აღიარებს ევროკავშირის დირექტივებით გარანტირებულ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სტანდარტებს პროდუქტის მიმოქცევასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და აწესებენ პასუხისმგებლობას უხარისხო პროდუქტისთვის და პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების დარღვევისათვის.

აქვე, აღსანიშნავია, რომ კოდექსთან ერთად, მომხმარებლების უფლებებს არეგულირებს 29/03/2022წ. მიღებული კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, განსაზღვრავს იმ მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად.

ანგარიშვალდებული საწარმოსთან დაკავშირებული მოთხოვნები

<u>ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა</u>

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა ფასიანი ქაღალდები ან/და რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოების და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს თითოეული ფინანსური წლის წლიური ანგარიში, არაუგვიანეს 15 მაისისა და ნახევარ-წლიური ანგარიში, არაუგვიანეს თითოეული ფინანსური წლის 30 აგვისტოსი:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროოს:

1. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
2. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად, ამ კოდექსითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მომზადებულ საწარმოს წლიური ანგარიშის მმართველობით ანგარიშში. მითითებული მმართველობით ანგარიშთან ერთად, „კომპანია“ ასევე შეავსებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს მითითებული კოდექსის დანართი N1-3-ის შესაბამისად. ემიტენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებთან.

<u>ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები</u>

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების გამომცემი საწარმო კისრულობს გარკვეულ ვალდებულებებს და შეზღუდვებს ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა საილუსტრაციო ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

ანგარიშვალდებულმა საწარმომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭირვალობისა“ და „ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის N181/04 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული ნახევარი წლის ანგარიშის წარდგენისა და გამოქვეყნების მოთხოვნები. საქართველის ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2023 წლის 16 თებერვლის N309-1კ განკარგულებით კომპანიას დაეკისრა ფულადი ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით და დაევალა დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მითითებულ 1 თვის ვადაში ინფორმაციის წარმოდგენა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N181/04 ბრძანებით დადგენილი ანგარიშგების წარდგენის ვადის დარღვევის და 2022 წლის წლიური, 2022 - 2023 წლების ნახევარწლიური ანგარიშგებების დროულად არ გამჟღავნების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „კომპანიას“ დაეკისრა ჯარიმა. „კომპანიამ“ 2023 წლის 3 ოქტომბერს გაამჟღავნა 2022 წლის აუდიტირებული ანგარიშგება, ხოლო 2022 და 2023 წლების ნახევარწლიური ანგარიშგებები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა 2023 წლის 13 ნოემბერს. 2023, 2024 წლებს წლიური და 2024, 2025 წლის ნახევარწლიური ანგარიშგებები გასაჯაროვდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვადის ფარგლებში, შესაბამისად, კომპანიას ამ პერიოდში ჯარიმა არ დაკისრებია.

„ასოცირების ხელშეკრულების“ საფუძველზე არსებული ვალდებულებები

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე.

„DCFTA“, თავისი არსით, მიზნად ისახავს გაზარდოს თავისუფლება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, მოიცავს მრავალ რელევანტურ საკითხს (მაგ. უსაფრთხოების, გარემოზე ზემოქმედების სტანდარტები) და გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოებას. იგი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ისარგებლოს შემდეგი სამი ძირითადი თავისუფლებით ევროკავშირის ერთიან ბაზარზე: საქონლის თავისუფლება, მომსახურების თავისუფლება და კაპიტალის თავისუფლება.

„DCFTA“-ის რანდენიმე თავი ეხება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ფუნდამენტური პრინციპების მოდიფიცირებას. შესაბამისად, არსებობს გონივრული ვარაუდი იმისა, რომ ვაჭრობასა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით ევროკავშირის სტანდარტების მიღებამ გაზარდოს შესაბამისი ბიზნეს ოპერატორების საოპერაციო ხარჯები.

სავალდებულო ტექ-დათვალიერება

„ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2017 წლის 1 დეკემბრის №510 საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2018 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად გახდა სავალდებულო ავტომანქანების ტექნიკური ინსპექტირება (ტექდათვალიერება). ინსპექტირებას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები და მათი ინსპექტირების პერიოდულობა, ასევე ინსპექტირების საფასურები კატეგორიისა და დანიშნულების მიხედვით, განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით – „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურები“. ინსპექტირება ხორციელდება აკრედიტებული ინსპექტირების ცენტრის მიერ.

მსუბუქი ავტომობილების აქციზის განაკვეთი

დოკუმენტის მიხედვით, პარლამენტისთვის შეთავაზებულია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც მიზნად ისახავს აქციზის განაკვეთის ცვლილებას მსუბუქი ავტომობილებისთვის. კერძოდ, შემოთავაზებული ცვლილებებით აქციზის განაკვეთი დაყოფილია ავტომობილის ასაკის მიხედვით 0-დან 6 წლის ჩათვლით და 6 წელზე ზემოთ ძველი ავტომობილებისთვის.

მსუბუქი ავტომობილის ასაკი	აქციზის არსებული განაკვეთი (ლარი/1 cm³)	შემოთავაზებული განაკვეთი (ლარი/1 cm³)	ზრდა, %
1 წლამდე	1.5	1.5	0%
1 წლის	1.5	1.5	0%
2 წლის	1.5	1.5	0%
3 წლის	1.4	1.5	7%
4 წლის	1.2	1.5	25%
5 წლის	1	1.5	50%
6 წლის	0.8	1.5	88%
7 წლის	0.8	4.5	463%
8 წლის	0.8	4.5	463%
9 წლის	0.9	4.5	400%
10 წლის	1.1	4.5	309%
11 წლის	1.3	4.5	246%
12 წლის	1.5	4.5	200%

13 წლის	1.8	4.5	150%
14 წლის	2.1	4.5	114%
14 წელზე მეტის	2.4	4.5	88%

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი; კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

არ იცვლება შეღავათის განაკვეთი მარცხენასაჭიანი ჰიბრიდული ავტომობილებისთვის და კვლავ დადგენილი განაკვეთის 40%-ს შეადგენს და მარჯვენასაჭიანი ან გადატანილი საჭის მქონე ავტომობილისთვის, რომელიც დადგენილი განაკვეთის სამმაგ ოდენობას შეადგენს. რაც შეეხება მარჯვენასაჭიანი ან გადატანილი საჭის მქონე ელექტრული ძრავის მქონე ავტომობილს, აქციზის განაკვეთი იცვლება და შეადგენს ფიქსირებულ 3,000 ლარს. ახალი კანონპროექტის მიხედვით, არ იცვლება მიდგომა მარცხენასაჭიანი ელექტრული ძრავის მქონე ავტომობილებზე.

სავალდებულო მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის თაობაზე და შესაბამისი კანონპროექტის ინიცირება პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ მოხდა. დიდი ალბათობით, მოსალოდნელია, რომ პარლამენტი მიიღებს აღნიშნულ კანონს. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებული იქნება, მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა დააზღვიოს.

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („**კონკურენციის შესახებ კანონი**“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) კონკურენციის შემზღუდველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის

შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, „თეგეტა ჯგუფის“ კომპანიები ვალდებულნი არიან დაიცვან ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი დასაქმებულთა მინიმალური დაცვის სტანდარტების გავრცელებისას არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, ღამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსის ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი მუხლის მე-6-ე პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებულნი არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

ლიკვიდაციის წესები

„მეწარმეთა შესახებ“ განახლებულ კანონში მოცემულია სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პროცესი, რომელიც სამი სტადიისგან შედგება:

საზოგადოების დაშლა

საზოგადოების დაშლის საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორთა გადაწყვეტილება; პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა (რომელიც ვრცელდება მხოლოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივის შემთხვევაზე); იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; წესდებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

სიახლეს წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს. მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევა თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და შეუძლებელი ხდება სამეწარმეო საზოგადოების მიზნის მიღწევა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია სხვა პარტნიორების ინტერესიც საზოგადოების არსებობის გაგრძელების თაობაზე. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და სამეწარმეო საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება არ დაწყებულა.

<u>საზოგადოების ლიკვიდაცია</u>

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი რომელსაც ერთობლივად ხელმძღვანელობენ კომპანიის დირექტორები, რომლებიც ინიშნებიან ლიკვიდატორად გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესდება ან საერთო

კრების გადაწყვეტილება ლიკვიდატორებად სხვა პირების დანიშვნას ითვალისწინებს.. ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოებას უნარჩუნდება იურიდიული პირის სტატუსი, მაგრამ თავის საფირმო სახელწოდებას აუცილებლად უნდა დაურთოს დამატება „ლიკვიდაციის პროცესში“.

კანონის მოთხოვნაა, რომ ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ან თავიანთ ვებგვერდზე გამოაქვეყნონ განცხადება და დაუყოვნებლივ შეატყობინონ კრედიტორებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ და მოიწვიონ ისინი თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საზოგადოება თავის ქონებას ანაწილებს პარტნიორებზე წილების პროპორციულად მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებების დაფარვიდან და სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის შემდეგ.. აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით თუ რა საფუძვლით ხდება საზოგადოების დაშლა.

<u>რეგისტრაციის გაუქმება</u>

საზოგადოების ქონების სრულად განაწილების შემდეგ ლიკვიდაციის პროცესი სრულდება. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით, რის საფუძველზეც მარეგისტრირებელი ორგანო გააუქმებს სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციას.

ახალი კანონით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ საზოგადოებას დარჩა გარკვეული ქონება ან საჭიროა დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ასეთ დროს სასამართლო ნიშნავს იგივე ან ახალ ლიკვიდატორს, რომ ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდეს.

გადახდისუუნარობა

დერეგულირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის, „თეგეტა ჯგუფის“ კომპანიებზე, ვრცელდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები (გამონაკლისია კომერციულ ბანკები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სუბიექტები, რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალური რეგულირების რეჟიმს და რომელთა გადახდისუუნარობის პროცედურა რეგულირებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ).

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია მიიჩნევა გადახდისუუნაროდ, იმ შემთხვევაში, თუ ის ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს მათი დადგომისთანავე. გადახდისუუნარობა ივარაუდება იქამდე, სანამ საპირისპირო არ დადასტურდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაკმაყოფილებულია კანონით დადგენილი გარკვეული კრიტერიუმები. მათ შორისაა, კერძოდ: (i) ბალანსის ტესტი, როდესაც კომპანიის საერთო ვალდებულებები (მათ შორის, სამომავლო და პირობითი ვალდებულებები) აღემატება მისი აქტივების საერთო ღირებულებას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მაღალია ალბათობა, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას და აღმოფხვრის დისბალანსს); და (ii) ფულადი ნაკადის ტესტი, როდესაც კომპანია სავარაუდოდ ვერ შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვას 30 დღის განმავლობაში, რადგან მისი ვადაგადაცილებული ვალდებულებები მინიმუმ 20%-ით აღემატება მის ლიკვიდურ აქტივებს. გადახდისუუნარობის წარმოება შეიძლება განხორციელდეს რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის ფარგლებში. წარმოების დაწყების საფუძველია გადახდისუუნარობა (ანუ ვალდებულებების დაფარვის შეუძლებლობა) ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა (თუ არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოვალე

გადახდისუუნარო გახდება). გადახდისუუნარობის წარმოება იწყება სასამართლოში განცხადების შეტანით, რომლითაც მოთხოვნილია რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნა.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოება შესაძლოა დაიწყოს მოვალემ (საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით), კრედიტორმა, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა, რეაბილიტაციის მმართველმა (კონვერსიის მოთხოვნით, როდესაც მოვალის მიმართ გახსნილია რეაბილიტაციის რეჟიმი) ან გაკოტრების მმართველმა (კონვერსიის მოთხოვნით, როდესაც მოვალის მიმართ გახსნილია გაკოტრების რეჟიმი).

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარიმართოს გადახდისუუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურიზაციასთან); ან გ) საქმის წარმოების შეწყვეტა.
გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილდებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით:

1. პირველი რანგი - გაკოტრების რეჟიმის ხარჯები. აღნიშნული მოიცავს: ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; ბ) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; გ) საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯი, ქონების მართვის ხარჯი, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს;
2. მეორე რანგი - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3. მესამე რანგი - კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:

3.1. პრეფერენციული მოთხოვნები

- თანამშრომელთა ხელფასები და შვებულების თანხები, რომლებიც განეკუთვნება გადახდისუუნარობის რეჟიმის დაწყებამდე არსებულ სამთვიან პერიოდს; და
- საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები თითოეულ კრედიტორზე არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

3.2. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები;

3.3. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;

3.4. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები;

3.5. არაპრივილეგირებული მოთხოვნები (კონტრაქტით დაქვემდებარებული მოთხოვნები). აღნიშნული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, დარჩენილი ნაშთი განაწილდება აქციონერებს შორის.;

3.6. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს.

ზემოაღნიშნული რიგითობის წესი ვრცელდება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებზე, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. იმ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მოთხოვნაც ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის შესაბამისად რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილება მოხდება არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფის რიგითობის შესაბამისად.

პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის, ემიტენტის 98.78%-ის წილის მფლობელი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია **„თი ჯი ემ ჯგუფი“** (ს/ნ 405347058), ხოლო დარჩენილ 1.22%-ის წილს ფლობს ბატონი **თემურ კოხოძე** (პ/ნ 42001000456). თავის მხრივ, შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ მესაკუთრეები არიან თემურ კოხოძე (პ/ნ 42001000456) – 92.1%, მარინე მუმლაძე (პ/ნ 01006011335) – 3.95% და გიორგი მშვილდაძე (პ/ნ 01006011532) – 3.95%.



კომპანიის პარტნიორები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. მათ უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა კომპანიის მართვაში წესდებით დადგენილი წესით, მიიღონ დივიდენდი მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად, ინიცირება გაუკეთონ პარტნიორთა კრებაზე განსახილველ საკითხს (მუხლი 8, პუნქტი 4.), გაასხვისონ წილი მხოლოდ პარტნიორთა კრების თანხმობის შემთხვევაში (ემიტენტის წესდების მუხლი 2. პუნქტი 5.) და ა.შ. ამასთან, თითოეული პარტნიორი ვალდებულია დაიცვას საზოგადოების წესდება, შეასრულოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, დროულად შეიტანოს შენატანი საზოგადოების კაპიტალში, არ განახორციელოს ქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს ან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოების ან პარტნიორების ინტერესებს და დაიცვან კომპანიის კომერციული საიდუმლო.

კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს (”კანონი მეწარმეთა შესახებ”), და ემიტენტის წესდების მიხედვით, ემიტენტის კონტროლი და მართვა გამიჯნულია პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა და კომპანიის ხელმძღვანელ ორგანოს შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა.

კომპანიაში დამკვიდრებულია კორპორაციული მართვის სამ დონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა კომპანიის საერთო კრება, კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს კომპანიის ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. ამასთან, კომპანიის წესდებაში მკაცრად გამიჯნულია კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები.
კომპანიის მართვის სისტემა მოიცავს შემდეგ მმართველობით ორგანოებს:

- საერთო კრება - კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანო, რომლის მუშაობას წარმართავენ კომპანიის პარტნიორები, საქართველოს კანონმდებლობითა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული წესით;

➢ სამეთვალყურეო საბჭო - კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოს - პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემადგენლობით მოქმედი კოლეგიური ორგანო, რომელიც შექმნილია კომპანიის ხელმძღვანელი პირების საქმიანობის კონტროლის განხორციელების მიზნით და საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით, კომპანიის წესდებითა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად;

➢ ხელმძღვანელი ორგანო/პირები - კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით, კომპანიის წესდებით, პარტნიორთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, აგრეთვე, მათთან გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

საერთო კრება

საერთო კრება მოიწვევა მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

საერთო კრება ტარდება მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) საჯაროდ გამოქვეყნებიდან და პარტნიორებისთვის მოსაწვევების გაგზავნიდან სულ ცოტა 14 დღის შემდეგ. საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს პარტნიორის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება/მოსაწვევი უნდა შეიცავდეს საერთო კრების დღის წესრიგს. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) საჯაროდ გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ, პარტნიორისთვის კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარტნიორი დაამტკიცებს, რომ სხვა პარტნიორისთვის კრების მოწვევის თაობაზე უფრო ადრე იყო ცნობილი.პარტნიორს უფლება აქვს, მთავარ აღმასრულებელ ოფიცერს ან სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარმოადგინოს თავისი მოთხოვნა/აზრი. პარტნიორს ასევე შეუძლია მოითხოვოს დღის წესრიგში საკითხის დამატება. აღნიშნული უნდა დაკმაყოფილდეს, თუ პარტნიორმა მოთხოვნა წარადგინა საერთო კრებამდე სულ მცირე 3 დღით ადრე.

პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს ან მთავარ აღმასრულებელ ოფიცერს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში (გარდაცვალება, თანამდებობიდან გადადგომა, მათი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა და სხვა) – პარტნიორს/პარტნიორებს, რომელიც/რომლებიც ფლობს/ფლობენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების ან ხმის უფლების მქონე წილების, სულ მცირე, 5 პროცენტს.საერთო კრება ითვლება გადაწყვეტილების უნარიანად, თუ მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი/პარტნიორები.

"თეგეტა მოტორსის" არც ერთ მეწილეს არ აქვს ხმის უფლება, რომელიც განსხვავდება ამ წილების სხვა მფლობელების ხმის უფლებისგან. თითო მოწილეს ერთ წილზე აქვს თითო ხმის უფლება.

პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება შემდეგ საკითხებზე:

➢ ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;

➢ საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება;

➢ საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შეძენა;

➢ წილებიდან ან წილების კლასებიდან გამომდინარე უფლებების ცვლილება;

➢ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან;

➢ პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან;

➢ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა/გაუქმება;

➢ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დანიშვნა/გამოწვევა, უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა, ვადის გაგრძელება, ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა;

➢ ოფიცრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;

➢ ხელმძღვანელი პირის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობა (მათ შორის, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა);

➢ საზოგადოების რეორგანიზაცია;

➢ საზოგადოების დაშლა;

➢ საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება;

➢ წარმოების ახალი სახეებისა და/ან ახალი სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

➢ სხვა საზოგადოებაში ინვესტიციების განხორციელება, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ერთ მილიონ აშშ დოლარს;

➢ ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარს;

➢ ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავლებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

➢ საზოგადოების სამეურნეო საქმიანობისთვის ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარზე მეტი თანხის კრედიტად ან/და რაიმე ფინანსური ვალდებულებების აღება, გარდა საბრუნავი საშუალებების ფინანსირებისა;

➢ საზოგადოების წლიური სახელფასო ფონდის განსაზღვრა, თუ მისი ოდენობა აღემატება საზოგადოების კონსოლიდირებული წლიური ბრუნვის (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით თანხის) 11%-ს;

➢ პროკურის გაცემა და გაუქმება;

➢ აუდიტის არჩევა;

➢ იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოების დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვთ დირექტორების ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე, საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორ(ებ)ის წინააღმდეგ წარმართავს;

➢ შენატანების მოთხოვნა;

➢ დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

➢ ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

➢ გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ერთი წლის განმავლობაში საზოგადოების კონსოლიდირებული ფინანსური შედეგის (დაბეგვრამდე მოგების) 30%-ზე მეტის კაპიტალურ დანახარჯებად გახარჯვას;

➢ კანონმდებლობითა და კომპანიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო, წესდების თანახმად, შედგება სულ მცირე 3 (სამი) წევრისგან. პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის საბჭოს შემადგენლობაში შედის 7 (შვიდი) წევრი. წევრთა არჩევა ხდება საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მოვალეობის შესრულებისას მოეთხოვებათ, იმოქმედონ მისი ბიზნესის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კონტროლს ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობაზე და თანამშრომლობს მათთან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის პროცესში.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს:

ა) საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
ბ) გამოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს საზოგადოების საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, საბუღალტრო დოკუმენტაცია, საზოგადოების ქონებრივი ობიექტები და სალარო; ამ მოქმედებების განხორციელება დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს ან მათ განსახორციელებლად მოიწვიოს ექსპერტები;
გ) შეამოწმოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილების შესახებ, საქმიანობის ანგარიში და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;
დ) წარმოადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელ პირთან/პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;
ე) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილებები.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებია:

➢ რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცება და მათი ეფექტური ფუნქციონირების ზედამხედველობა;
➢ ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის განსაზღვრა;
➢ სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
➢ ფინანსური დაგეგმარების და ანგარიშგების საერთო სტანდარტების დამტკიცება;
➢ საზოგადოების კორპორატიულ მართვასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცება, ოფიცერთა კომპეტენციის სფეროების გამიჯვნა და ამ მიზნით შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავება, დამტკიცება და ოფიცრებს შორის კომპეტენციის განაწილების საკითხებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
➢ საზოგადოების წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
➢ წლიური ანგარიშის განხილვა და დასამტკიცებლად წარდგენა საერთო კრებისათვის, ასევე მოგების განაწილების წინადადების წარდგენა საერთო კრებისათვის;
➢ საერთო კრების მოწვევა;
➢ ოფიცრების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება, ოფიცრების საქმიანობაზე ზედამხედველობის გაწევა (კონტროლი) და ამ მიზნით, საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშების გამოთხოვა;
➢ საზოგადოების საბუღალტრო საქმიანობის შემოწმება;
➢ საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის, ასევე ქონებრივი ობიექტების, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის კონტროლი და შემოწმება, სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული წევრების ან განსაზღვრული ექსპერტების მეშვეობით;
➢ საზოგადოების ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
➢ ითანხმებს შპს „თეგეტა მოტორსში“ ან მის შვილობილ კომპანიაში ოფიცრის ან ნებისმიერი სხვა მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე პირის დანიშვნის, აგრეთვე, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცების/ცვლილების საკითხს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

სახელი	თანამდებობა	წევრად დანიშვნის თარიღი	ვადა
თემურ კოხოძე	სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე	26 მარტი 2019 წელი	2026 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით
გიორგი მშვილდაძე	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	26 მარტი 2019 წელი	2026 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით
ზურაბ საყვარელიძე	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	26 მარტი 2019 წელი	2026 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით
დიმიტრი გოზალიშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	11 ოქტომბერი 2023 წელი	2026 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით
პერ გუსტავ რაგნარ ნილსსონი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	26 მარტი 2019 წელი	2026 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით
პაატა ჟღენტი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	1 ოქტომბერი 2020 წელი	2026 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით
ვახტანგ ბოჭორიშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	22 სექტემბერი 2025 წელი	2026 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით
იორგ ველლერ	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	01 აპრილი 2026 წელი	2027 წლის 31 მარტის ჩათვლით

ბატონი თემურ კოხოძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

ბატონი თემური არის შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ და შპს „თეგეტა მოტორსის“ დამფუძნებელი და დაარსების დღიდან 12 წლის განმავლობაში ის იყო შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორი. ბატონმა თემურმა დატოვა გენერალური დირექტორის თანამდებობა 2007 წლის დასაწყისში და ჩაერთო საპარლამენტო არჩევნების კამპანიაში. 2008-2012 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. 2012 წლის ბოლოდან შეუწყდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილება და ამ დროიდან კვლავ აქტიურად ჩაერთო კომპანიის მენეჯმენტში. 2012 წლიდან თემურ კოხოძე პოლიტიკურად არააქტიურია და აგრძელებს შპს „თეგეტა მოტორსსა“ და შპს „თი ჯი ემ ჯგუფში“ შემავალი კომპანიების განვითარებას.

ბატონი თემური გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის კურსდამთავრებული საგზაო-სატრანსპორტო ოპერაციების მიმართულებით.

კომპანიები, სადაც ბატონი თემური მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს კურორტი საირმე (ს.ნ. 225058576), შპს თი ჯი ემ ჯგუფი (ს.ნ. 405347058), შპს ტრანსკაუკაზუს რენტალ სერვიზის (ს.ნ. 401952268), შპს მარითაიმ ოვერსიის პარტნერს ჯორჯია (ს.ნ. 401996685), შპს გრუპ თენ (ს.ნ. 404864875), შპს თეგეტა თრეველ (ს.ნ. 405249333), შპს საირმის ტურიზმისა და გასტრონომიის აკადემია (ს.ნ. 405352602), შპს აგრო იმერეთი (ს.ნ. 406060435), შპს საირმის საცხობი (ს.ნ 425053041), შპს საირმის რეკრეაციული მეურნეობა (ს.ნ. 425057573), ა(ა)იპ ბაღდათის განვითარების ფონდი (ს.ნ. 405368132), შპს საირმის სერვისი (ს.ნ. 404533322), შპს საირმე ჰოტელს მენეჯმენტი (ს.ნ. 425061452), შპს თიქეი ინვესთმენთს (ს.ნ. 405788107).

ბატონი გიორგი მშვილდაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ბატონი გიორგი არის შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ და შპს „თეგეტა მოტორსის“ დამფუძნებელი. ის 1995 წლიდან აქტიურად არის ჩართული შპს “თეგეტა მოტორსისა“ და მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობაში და წლების განმავლობაში იკავებს სხვადასხვა წამყვან პოზიციებს. 2007 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში მას ეკავა შპს „თეგეტა მოტორსის“ აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია, ხოლო 2019 წლის მარტიდან ერთი წლის განმავლობაში ის იკავებდა შპს ,,ტოიოტა ცენტრი თეგეტას“ გენერალური დირექტორის თანამდებობას. 2019 წლიდან ბატონი გიორგი მშვილდაძე

იკავებს შპს „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციას. ბატონ გიორგის აქვს დიდი გამოცდილება საავტომობილო ინდუსტრიაში, ის აქტიურად არის ჩართული კომპანიის განვითარების ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მან დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერიის სპეციალობით.

კომპანიები, სადაც ბატონი გიორგი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს.ნ. 401949674), შპს თი ჯი ემ ჯგუფი (ს.ნ. 405347058), შპს ჯეოპროტექტორი (ს.ნ. 202463173), შპს ინტერავტო (ს.ნ. 406124395), შპს ენტერფრაისი (ს.ნ. 405329112), ა(ა)იპ ბაღდათის განვითარების ფონდი (ს.ნ. 405368132).

ბატონი ზურაბ საყვარელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი ზურაბი 1987 წლიდან მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხდომის მდივნის, მოსამართლის თანაშემწის, საერთო განყოფილების უფროსისა და მოქალაქეთა საჩივრებისა და მიღების განყოფილების უფროსის მოადგილედ. მოგვიანებით, 1999 წლიდან 2005 წლამდე, გახლდათ პარტნიორი ადვოკატი შპს ,,იურიდიული კომპანია ვერდიქტში“. ზურაბ საყვარელიძის მოღვაწეობა შპს ,,თეგეტა მოტორსში“ იწყება 2005 წლიდან; სხვადასხვა დროს მუშაობდა იურისტის, იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის (2005-2018 წლები), იურიდიულ საკითხებში გენერალური დირექტორის მრჩევლის პოზიციებზე (2018-2019 წლები). ზურაბ საყვარელიძე 2019 წლიდან დღემდე გახლავთ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში შპს „თეგეტა მოტორსში“. ბატონ ზურაბს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის მიმართულებით.

კომპანიები, სადაც ბატონი ზურაბი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს გრავიტა (ს.ნ. 404988554), შპს ენტერფრაისი (ს.ნ. 405329112), შპს ინტერავტო (ს.ნ. 206211936).

ბატონი დიმიტრი გოზალიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი დიმიტრი სხვადასხვა დროს მუშაობდა ისეთ საერთაშორისო კომპანიებში როგორიცაა EY, Deloitte. ასევე, „კომპანიაში“ დასაქმებამდე იგი იკავებდა ისეთ მენეჯერულ პოზიციებს როგორიცაა, სილქნეტის კომერციული დირექტორის მოადგილე, ელიტ ელექტრონიქსის დირექტორის მოადგილე, ვენდუს დირექტორი და სხვა. პირველად თეგეტას გუნდს დიმიტრი შემოუერთდა 2011 წელს და 2011-2012 წლებში იყო პროდუქტების დეპარტამენტის უფროსი. 2016 წლიდან 2020 წლამდე „კომპანიაში“ იკავებდა კომერციული დირექტორის პოზიციას. ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს ESM Tbilisi - European School of Management-დან.

კომპანიები, სადაც ბატონი დიმიტრი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს თეგეტა რითეილი (ს.ნ. 405408811) და შპს ვენდუ (ს.ნ. 405291090).

ბატონი პერ გუსტავ რაგნარ ნილსსონი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი არის საავტომობილო სფეროში დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალი. მას სხვადასხვა მსხვილ კომპანიაში უმუშავია ისეთ წამყვან პოზიციებზე, როგორიცაა, Ashok Leyland-ის აღმასრულებელი დირექტორი, Lohr industries-ს ვიცე პრეზიდენტი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა პროფესორის ასისტენტად საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევით ინსტიტუტში, შვედეთში. მოგვიანებით, მუშაობა განაგრძო The Swedish Management Group-ში უფროსი კონსულტანტის პოზიციაზე. პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი 1987 – 1992

წლებში იყო რექტორი და პროფესორი School of Business National Louis University-ში. ამავე პერიოდში მმართველ დირექტორად მუშაობდა Resco Partner Consultancy-ში. ამავე პოზიციაზე უმუშავია ისეთ კომპანიებში როგორიცაა Mancare Consutancy (შვედეთი), Scania Russia and CIS (რუსეთი) და Mammut Trailer (არაბთა გაერთიანებული საამიროები). ამჟამად, 2019 წლიდან პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი არის ჰოლდინგური კომპანია „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და დამოუკიდებელი კონსულტანტი ევროპის სხვადასხვა ინდუსტრიებში. მას პერ გუსტავ რაგნარ ნილსონს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს სტოკჰოლმის უნივერსიტეტში; საბაკალავრო საფეხურზე სოციოლოგიის, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე ბიზნეს ადმინისტრირებისა და პოლიტიკის მიმართულებით.

ბატონი პაატა ჟღენტი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი პაატა კომპანიის დაფუძნების პერიოდიდან იკავებდა როგორც გენერალური დირექტორის (2001 წელი), ასევე შემდეგ პოზიციებს: ავტოსერვისის დანადგარების, მოწყობილობების და სამრეწველო საქონლის დეპარტამენტის უფროსი (2003 წელი), ლოჯისტიკისა და შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (2008 წელი), გენერალური დირექტორის მოადგილე (2015 წელი). ხელმძღვანელობდა კომპანიაში განხორციელებულ არაერთ პროექტს, მათ შორის ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების სამშენებლო მასალებითა და დანადგარებით სრულად აღჭურვის პროექტებს. პაატა ჟღენტი 2020 წლიდან არის შპს „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. მას დამთავრებული აქვს ს.პ.ი.–ის ავტომექანიკური ფაკულტეტი, ავტომობილებისა და საავტომობილო მეურნეობის მიმართულებით.

კომპანიები, სადაც ბატონი პაატა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს გრავიტა (ს.ნ. 404988554).

ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ვახტანგ ბოჭორიშვილი შპს „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე 2025 წლის სექტემბრიდან დაინიშნა. ვახტანგ ბოჭორიშვილი მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალია სამართლისა და უსაფრთხოების მართვის სფეროში. იგი არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტროს აკადემიის კურსდამთავრებული. მისი კარიერა საჯარო სექტორში იწყება, კერძოდ, 2000-2012 წლებში მსახურობდა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, სადაც წარმატებით იკავებდა სხვადასხვა წამყვან პოზიციას.
2013 წლიდან ვახტანგი “თეგეტას” გუნდის წევრია და 12 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „თეგეტა მოტორსის“ უსაფრთხოების დეპარტამენტს, სადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომპანიის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა და პროცესების სისტემურ განვითარებაში.

კომპანიები, სადაც ბატონი ვახტანგი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: ბატონი ვახტანგი არ არის და არ ყოფილა შესაბამის პოზიციაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში.

ბატონი იორგ ველლერ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

იორგ ველლერი „თეგეტა ჰოლდინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობას 2026 წლის 1 აპრილიდან იკავებს. ის არის გამოცდილი საერთაშორისო ბიზნეს ლიდერი 30 წელზე მეტი გამოცდილებით გლობალური ენერგეტიკის სექტორში, საპოხი მასალების, საწვავისა და ბუნებრივი აირის მიმართულებით.
მისი კარიერა 1988 წელს PCK Export-Import-ში დაიწყო, სადაც ევროპის ბაზარზე საპოხი მასალების შესყიდვის მიმართულებით მუშაობდა. 1990 წელს საქმიანობა ESSO Germany-ში განაგრძო. ლიდერულ პოზიციებს იკავებდა ევროპისა და დსთ ქვეყნებში. ExxonMobil-ის შერწყმის შემდეგ მართავდა რთულ ოპერაციებსა და სტრატეგიულ ინიციატივებს სამრეწველო საპოხი მასალებისა და საავიაციო ბიზნესში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.
მის კარიერაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საერთაშორისო პოზიციები - მუშაობდა ExxonMobil Exploration and Production Turkmenistan Ventures B.V.-ის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. 2023-2026 წლებში

ხელმძღვანელობდა მსხვილ ევროპულ პროექტებს სტრატეგიული ტრანსფორმაციისა და ბაზრის განვითარების მიმართულებით.
იორგ ველერი არის ბერლინის უნივერსიტეტის ბიზნეს ეკონომიკის მაგისტრი. მისი გამოცდილება მოიცავს საოპერაციო ლიდერობას, კომერციულ სტრატეგიას, საერთაშორისო მმართველობას, ბიზნეს განვითარებას, ენერგეტიკულ ბაზრებსა და ბიზნეს ტრანსფორმაციას, რაც მას სანდო მრჩეველად აქცევს ამ სფეროებში.

კომპანიები, სადაც ბატონი იორგ მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: ბატონი იორგ არ არის და არ ყოფილა შესაბამის პოზიციაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში.

ხელმძღვანელი ორგანო

საზოგადოებას ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი და/ან სხვა ოფიცრები.

თითოეული ოფიცერი ხელმძღვანელობს კომპანიის იმ სტრატეგიულ ბიზნეს მიმართულებას/დივიზიას, რომლის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მიენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და წარმოადგენს საზოგადოებას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ შვილობილ კომპანიებში მათი წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით პარტნიორისათვის მინიჭებული სრული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლად, მათ შორის, ოფიცერი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მისი ხელმძღვანელობის სფეროში ახალი შვილობილი კომპანიის შექმნის და არსებული კომპანიების რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის წესდებაში) ცვლილებების შესახებ.

თითოეული ოფიცერი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს მისი მართვის სფეროში არსებული სტრატეგიული ბიზნეს მიმართულების/დივიზიის საშტატო განრიგს მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის მიერ დამტკიცებული საზოგადოების მართვის სტრუქტურის შესაბამისად, იღებს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. თითოეული ოფიცერი ვალდებულია შპს „თეგეტა მოტორსში“ ან მის შვილობილ კომპანიაში დირექტორის ან ნებისმიერ სხვა მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დანიშვნის, აგრეთვე, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცების/ცვლილების საკითხი წინასწარ შეათანხმოს სამეთვალყურეო საბჭოსთან.
მესამე პირების წინაშე საზოგადოების სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება მთავარ აღმასრულებელ ოფიცერს. მთავარ აღმასრულებელ ოფიცერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით.

მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის ფუნქციები მოიცავს შემდეგს:

- განკარგავს საზოგადოების ქონებას (საზოგადოების წესდების შესაბამისად);
- გასცემს მინდობილობებს (პროკურის გარდა);
- საზოგადოების სახელით დებს ხელშეკრულებებს;
- ხსნის ანგარიშს/ანგარიშებს ბანკში და ახორციელებს საბანკო ოპერაციებს;
- სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების მართვის სტრუქტურას და საზოგადოების მართვის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს;
- წყვეტს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხებს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება საზოგადოების პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა ოფიცრის კომპეტენციას.

ხელმძღვანელი ორგანოს წევრები:

სახელი	თანამდებობა	ხელშეკრულების დადების თარიღი	ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ეკატერინე ქავთარაძე	მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი და რითეილის მთავარი ოფიცრის მოვალეობის შემსრულებელი	2025 წლის 1 ოქტომბერი და 2025 წლის 18 დეკემბერი	2026 წლის 1 ოქტომბრამდე და რითეილის მთავარი ოფიცრის დანიშვნამდე
ნიკოლოზ ხიდურელი	მთავარი ფინანსური ოფიცერი	2025 წლის 1 ოქტომბერი	2026 წლის 1 ოქტომბერი
პეტრე წაქაძე	მსუბუქი ავტომობილების მთავარი ოფიცერი	2025 წლის 1 ივლისი	2026 წლის 1 ივლისი
გიორგი ბერიძე	სპეციალური დანიშნულების, სატვირთო, კომერციული ტექნიკისა და ავტობუსების მთავარი ოფიცერი	2026 წლის 1 აპრილი	2027 წლის 1 აპრილი
რუსუდან სანიკიძე	კორპორატიული სერვისების მთავარი ოფიცერი	2025 წლის 4 ნოემბერი	განუსაზღვრელი ვადით
ირინა ქიტიაშვილი	მთავარი საოპერაციო ოფიცერი	2025 წლის 4 სექტემბერი	2026 წლის 4 სექტემბერი

ქალბატონი ეკატერინე ქავთარაძე – მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი, რითეილის მთავარი ოფიცრის მოვალეობის შემსრულებელი

ქალბატონი ეკატერინე ქავთარაძე თეგეტა ჰოლდინგს 2024 წლის აგვისტოში შემოუერთდა მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე, ხოლო ამავე წლის სექტემბრიდან ის დაინიშნა მთავარ აღმასრულებელ ოფიცრად. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება ჯანდაცვისა და მენეჯმენტის სფეროში - EVEX Hospital-ში ეკავა ისეთი წამყვანი პოზიციები, როგორიცაა მთავარი სტრატეგიული ოფიცერი, მთავარი და მთავარი ოპერაციული ოფიცერი. ასევე, სხვადასხვა პოზიციებს იკავებდა საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფში და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში. ქალბატონ ეკატერინეს აქვს MBA ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლიდან და Grenoble Ecole de Management-დან, მაგისტრის ხარისხები ფარმაციისა და სამართლის სფეროებში, მედიცინის დოქტორის ხარისხი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან. ქალბატონ ეკატერინეს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებაზე და სერთიფიცირებულია ბიუჯეტის, ადამიანური რესურსების მართვისა და ლიდერობის განვითარებაში.

კომპანიები, სადაც ქალბატონი ეკატერინე მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ევექსის კლინიკები (ს.ნ. 405327427).

ბატონი ნიკოლოზ ხიდურელი - მთავარი ფინანსური ოფიცერი

ბატონ ნიკოლოზ ხიდურელი 2024 წლის ოქტომბერში შეუერთდა თეგეტა ჰოლდინგს მთავარი ფინანსური დირექტორის პოზიციაზე.

ბ-ნი ნიკოლოზ ხიდურელს აქვს ფინანსურ მენეჯმენტსა და ოპერაციების სხვადასხვა სექტორში 12 წელზე მეტი გამოცდილება. მან დაიწყო პროფესიული განვითარება ბანკ რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალ ჯგუფში, სადაც მუშაობდა ფინანსური განყოფილების უფროსად (2007-2011) და მთავარ ფინანსურ დირექტორად (2011-2015). ბატონი ხიდურელი არის კომპანია Xplicit Computing, Inc.-ის თანადამფუძნებელი მაუნთინ ვიუში, კალიფორნია, სადაც მსახურობდა მთავარი ოპერაციული დირექტორის (COO) თანამდებობაზე (2016-2018). აღნიშნული კომპანია სპეციალიზირებულია მოწინავე სიმულაციური პლატფორმების შემუშავებაში საინჟინრო დიზაინის პროცესების გასამარტივებლად.

2018 წელს ის გახდა CCS Investors / Grossegg / Palo Capital Partners-ის პარტნიორი, სადაც მან ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში წვლილი შეიტანა ინვესტიციების მენეჯმენტსა და ფინტექს პროექტებში ვენაში, ავსტრიაში. 2020 წელს ბ-ნი ხიდურელი მცირე ხნით მუშაობდა სს საქართველოს კაპიტალში მთავარი საინვესტიციო დირექტორის მოადგილედ. 2023 წლის მაისიდან 2024 წლის აპრილამდე ბ-ნი ხიდურელი ასრულებდა მმართველი პარტნიორის როლს NGT Partners-ში თბილისში, საქართველო.

ბ-ნი ხიდურელის აკადემიური განათლება მოიცავს მენეჯმენტის მაგისტრის წოდებას სტენფორდის ბიზნესის სამაგისტრო სკოლისგან, სადაც ის იყო Sloan Fellow, და ბაკალავრის ხარისხს ფინანსებში კავკასიის უნივერსიტეტიდან. კომპანიები, სადაც ბატონი ნიკოლოზი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: სს საქართველოს კაპიტალი (ს.ნ. 404549690), NGT Partners (ს.ნ. X), CCS Investors / Grossegg / Palo Capital Partners (ს.ნ. X, ავსტრია).

ბატონი პეტრე წაქაძე - მსუბუქი ავტომობილების მთავარი ოფიცერი

ბატონი პეტრე დასაქმებულია თეგეტა მოტორსში 2009 წლიდან. 2017-2020 წლებში იგი იყო შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ გაყიდვებისა და მარკეტინგის მიმართულების ხელმძღვანელი, ხოლო 2020 წლიდან 2023 წლამდე იკავებდა დირექტორის პოზიციას.
ამჟამად, 2023 წლიდან, ბატონი პეტრე იკავებს დირექტორის პოზიციას მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების მიმართულებით. რომლის ფარგლებშიც ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს თეგეტა მოტორსისა და შესაბამის სფეროში მოქმედი მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობას. ბატონ პეტრეს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს.

კომპანიები, სადაც ბატონი პეტრე მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს (ს.ნ. 401950938), შპს ჯეოინვესტი (ს.ნ. 406181778), შპს ენტერფრაისი (ს.ნ. 405329112), შპს პროფ ავტო (ს.ნ. 405254567), შპს აუტო პერფომანსი (ს.ნ. 406150329).

ბატონი გიორგი ბერიძე - სპეციალური დანიშნულების, სატვირთო, კომერციული ტექნიკისა და ავტობუსების მთავარი ოფიცერი

ბ-ნი გიორგი ბერიძე 2007 წლიდან არის კომპანიაში დასაქმებული და მიმდინარედ ხელმძღვანელობს სპეციალური დანიშნულების, სატვირთო, კომერციული ტექნიკისა და ავტობუსების მიმართულებას. 2007 წლიდან 2016 წლამდე იყო შპს „თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთისა“ და შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასის“ ბრენდ მენეჯერი. 2016-2019 წლებში გიორგი ბერიძე ორივე ზემოაღნიშნული კომპანიის გაყიდვების დირექტორად მუშაობდა, ხოლო 2019 წლიდან 2020 წლამდე ბატონი გიორგი კომერციული დირექტორის თანამდებობას იკავებდა ამავე კომპანიებში. 2020 წლიდან ის არის „თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთის“ დირექტორი. 2024 წლიდან ბ-ნი ბერიძე ასევე დანიშნულია შპს „ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯიას“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და „თეგეტა მოტორსის“ სატვირთო მანქანებისა და სპეციალური

დანიშნულების ტექნიკის მთავარი ოფიცრის თანამდებობაზე. ბატონმა ბერიძემ უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ეკონომიკური ინფორმატიკის ფაკულტეტზე.
კომპანიები, სადაც ბატონი გიორგი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს თეგეტა მოტორსი (ს.ნ. 202177205), შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთი (ს.ნ. 206316645), შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია (ს.ნ. 406338011).

ქალბატონი რუსუდან სანიკიძე - კორპორატიული სერვისების მთავარი ოფიცერი

რუსუდანს 20-წლიანი პროფესიული გამოცდილება აქვს ადამიანური კაპიტალის მართვის, ორგანიზაციული განვითარების, ცვლილებების მენეჯმენტის, პროექტების დაგეგმვისა და ადმინისტრირების მიმართულებით. ასევე გახლავთ ერიქსონის ინსტიტუტის სერტიფიცირებული ბიზნეს ქოუჩი, ტრენერი, ფსიქოლოგი და NLP პრაქტიკოსი. რუსუდანმა კარიერა დაიწყო საკონსულტაციო სფეროში - International Centre of Standardization and Consulting-ში, სადაც პროექტების კონსულტანტად მუშაობდა. შემდგომში, იგი ხელმძღვანელობდა ადამიანური რესურსების დეპარტამენტებს ისეთ მრავალპროფილურ კომპანიებში, როგორებიცაა Sarke Group და Wissol Group, სადაც წარმატებით დანერგა ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე სტანდარტები და კორპორატიული კულტურის განვითარების ინიციატივები. ბოლო წლებში რუსუდანი იყო Georgia Global Utilities-სა და Georgian Water & Power-ის ადამიანური კაპიტალის, კულტურის, შრომის უსაფრთხოებისა და ადმინისტრირების დირექტორი. მისი საქმიანობა მოიცავდა ადამიანური კაპიტალის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრას, ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციას, პროფესიული განვითარების პროგრამებისა და სამოტივაციო სისტემების დანერგვას, შრომითი ურთიერთობებისა და სამართლებრივი საკითხების მართვას, შრომის უსაფრთხოების სისტემების დანერგავასა და გამართვას და ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული პროცესების მართვას.
ის განათლებით ფსიქოლოგია და ფლობს დიმიტრი უზნაძის ინსტიტუტის მაგისტრის ხარისხს, ასევე დამთავრებული აქვს ვენის ვიქტორ ფრანკლის ინსტიტუტის პროგრამა ფსიქო- კონსულტანტის კვალიფიკაციით.

კომპანიები, სადაც ქალბატონი რუსუდანი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს „ფორტონ საქართველო“ (ს.ნ. 405506983)

ირინა ქიტიაშვილი - მთავარი საოპერაციო ოფიცერი

ირინა ქიტიაშვილის 20-წლიანი გამოცდილება მოიცავს კომპლექსურ ოპერაციულ მენეჯმენტს, საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვისა და წარმოების პროცესების მართვას, ორგანიზაციული განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესებსა და ERP სისტემების დანერგვასა და გაუმჯობესებას. იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ოპერაციულ გუნდებს როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო ბაზრებზე მოქმედ კომპანიებში. ირინამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორგანიზაციული პროცესების ოპტიმიზაციასა და ოპერაციული სრულყოფილების პროექტების განხორციელებაში ისეთ წამყვან კომპანიებში, როგორიცაა „Diplomat Georgia“ და „IDS ბორჯომი საქართველო“, სადაც ის ასევე იკავებდა მთავარი საოპერაციო ოფიცრის პოზიციას. საერთაშორისო გამოცდილების მიმართულებით, ირინა აქტიურად იყო ჩართული გლობალურ სავაჭრო და ეკონომიკურ პროცესებში. იგი გახლდათ საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობის გლობალური კომისიის თანათავმჯდომარე და მონაწილეობდა Incoterms 2020-ის წესების შექმნაში ICC Georgia-ს სახელით. მას აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და ბანკეთან თანამშრომლობის მნიშვნელოვანი გამოცდილება მათ შორის: WB, EBRD, BNP Paribas, ING, HSBC და Société Générale. ირინა ქიტიაშვილს მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA)

ხარისხი კავკასიის უნივერსიტეტიდან და ფლობს პროექტების მენეჯმენტის სერტიფიკატს The George Washington University-ის ბიზნესის სკოლიდან (School of Business).

კომპანიები, სადაც ქალბატონი ირინა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: ა(ა)იპ „საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი საქართველოში“ (ს.ნ. 204448437).

აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტი

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავს 3 (სამი) წევრის შემადგენლობით ქვეკომიტეტი - აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტი, რომელმაც უნდა გააკონტროლოს საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტი დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი წევრებისაგან - დიმიტრი გოზალიშვილი, გიორგი მშვილდაძე და ზურაბ საყვარელიძე. კომიტეტს ხელმძღვანელობს საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - დიმიტრი გოზალიშვილი.

„კომპანიას“ გააჩნია შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტს.

აუდიტის და რისკ მენეჯმენტის კომიტეტის ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს:

- ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;
- ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და საჭიროები შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;
- ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;
- აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შრის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას;
- რისკის სტრატეგიებს, მათ თანმიმდევრულობას და შესაბამისობას კომპანიის სტრატეგიასთან და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები;
- რისკების მართვის პოლიტიკისა და რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტურობას;
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკის აპეტიტის კოეფიციენტების, ლიმიტების და შეზღუდვების შესრულებას;

აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს და დაუყოვნებლივ ატყობინებს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ.

სტრატეგიული განვითარების და ბიუჯეტირების კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ქვესაბჭო – სტრატეგიული განვითარების და ბიუჯეტირების კომიტეტი, რომელიც შედგება ოთხი წევრისგან. სტრატეგიული განვითარების და ბიუჯეტირების კომიტეტის პასუხისმგებლობებში შედის როგორც სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამეთვალყურეო

საბჭოს მხარდაჭერა, ისე ბიუჯეტირების სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება, ბიუჯეტის განხილვა, დამტკიცება, მისი შესრულების კონტროლი და ანგარიშგება.

კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი წევრებისგან: დიმიტრი გოზალიშვილი, გიორგი მშვილდაძე, პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი და პაატა ჟღენტი. კომიტეტის თავმჯდომარეა გიორგი მშვილდაძე.

თანამშრომლები

„კომპანიის“ თანამშრომლების რაოდენობა 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 2,428-ს, 2023 წლის ბოლოსთვის 2,785-ს, ხოლო 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით კი 2,933-ს. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „კომპანიაში“ დასაქმებულია 2,582 ადამიანი.

ანაზღაურება და ბენეფიტები

„თეგეტა მოტორსის“ მიერ ჯამურად გადახდილი ანაზღაურება (ბენეფიტების ჩათვლით) დამფუძნებელთა და მმართველი ორგანოს მიმართ 2022, 2023, 2024 წლებისა და 2024, 2025 წლების 6 თვის მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

ათასი ლარი	2025HY	2024FY	2024HY	2023	2022
	მენეჯერული	მენეჯერული	მენეჯერული	აუდიტირებული	აუდიტირებული
მესაკუთრეები					
გადახდილი დივიდენები	18,681	39,535	16,828	28,261	14,817
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა					
ხელფასები და პრემიები	3,092	9,569	3,101	13,132	5,935

ინტერესთა კონფლიქტზე განაცხადი

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ემიტენტის 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა პირად ინტერესებს ან/და სხვა მოვალეობებს შორის. ასევე, არ არსებობს ნათესაური კავშირები ემიტენტის 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის. ასევე, არ არსებობს შეთანხმება, რომლის შემდეგაც მითითებული ნებისმიერი პირი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წვერად. კომპანიის პარტნიორების მიმართ არ არსებოს წილების გასხვისებასთან დაკავშირებული რაიმე შეზღუდვა.

საჩივრის შესახებ განცხადება

ამ პროსპექტის თარიღისათვის, 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდირი წილის მქონე პარტნიორთა, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის არცერთი წევრი- არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით
- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა) ან
- არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ არასდროს მომხდარა მისი დისკვალიფიკაცია რომელიმე კომპანიის მმართველი ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

კორპორატიული მმართველობა

"ემიტენტი" სრულად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული კორპორატიულ მმართველობის მარეგულირებელ წესებში. დამატებით, 2021 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით გამოქვეყნდა კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის იანვრიდან, თუმცა აღნიშნული კოდექსით ანგარიშგების პირველად წარდგენა ემიტენტებს დაევალათ 2023 წლის წლიური ანგარიშგების თარიღისთვის. აღნიშნული კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას. კომპანია შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებთან.
საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებული კორპორაციული მართვის ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენა ხორციელდება ამავე კოდექსით დადგენილ ვადებში და მის მოთხოვნების დაცვით, შპს ,,თეგეტა მოტორსის" მიმართ საზედამხედველო ზომები არ ყოფილა გამოყენებული.

დივიდენდების პოლიტიკა

„ემიტენტის" დივიდენდების გაცემის პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების აღწერა.

წესდება განსაზღვრავს დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესს. დივიდენდის სახით მოგების განაწილებასთან დაკავშირებით წესდების მე-15 მუხლის 3.7 პუნქტის შესაბამისად რეკომენდაციას/წინადადებას შპს „თეგეტა მოტორსის" სამეთვალყურეო საბჭო წარუდგენს საერთო კრებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი/პარტნიორები. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა რაოდენობის მიუხედავად.

დაკავშირებული მხარის გარიგებები

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტების“ შესაბამისად მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

პერიოდისა და საბალანსო მუხლის მიხედვით არსებული ბალანსი დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგება შემდეგნაირად:

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	5	522	-	8,718	9,245
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(3)	(198)	-	(1,296)	(1,497)
გადახდილი ავანსები	-	6	-	18,476	18,482
გაცემული სესხები	14,985	-	-	15,727	30,712
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(62)	-	-	(355)	(417)
საიჯარო ვალდებულებები	(8,602)	-	(239)	-	(8,841)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(25)	(10)	(99)	(13,751)	(13,885)
მიღებული ავანსები	-	(1)	-	-	(1)
მისაღები დივიდენდები	-	-	49	-	49
გადასახდელი დივიდენდები	(1,431)	-	-	-	(1,431)
თანამშრომელთა დარიცხული სარგებელი	(15)	(358)	-	(2)	(375)

2025 წლის 30 ივნისით დასრულებული 6 თვისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

ათასი ლარი	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
საქონლის რეალიზაცია	188	576	-	9,736	10,500
გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	6	70	-	2,130	2,206
საიჯარო შემოსავალი	-	-	-	374	374
გადაყიდვის მიზნით საქონლის შეძენა	-	-	-	(13,653)	(13,653)

ქონებისა და მომსახურების შეძენა	2	(30)	-	(6,815)	(6,843)
საიჯარო ხარჯები	-	-	(48)	-	(48)
სარეკლამო ხარჯები	-	-	-	(5)	(5)
საოფისე ხარჯები	-	-	-	-	-
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(2)	(41)	-	(3,244)	(3,287)
საკომუნიკაციო ხარჯები	-	-	-	-	-
სამივლინებო ხარჯები	(16)	(220)	-	(1)	(237)
კომუნალური ხარჯები	-	-	(8)	-	(8)
რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	-	-	-	-	-
ტრანსპორტირების ხარჯები	-	(2)	-	-	(2)
ხელფასები და პრემიები	(225)	(3,092)	-	(60)	(3,377)
საპროცენტო შემოსავალი	809	-	-	499	1,308
პროცენტის ხარჯი	-	-	-	-	-
ლიზინგის ვალდებულების პროცენტის ხარჯი	381	-	15	-	396
შედეგების წილი	-	-	-	-	-
დივიდენდის შემოსავალი	-	-	57	-	57
გადახდილი დივიდენდები	(18,669)	-	-	-	(18,669)
სხვა	4	14	-	547	565

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	103	542	-	5,884	6,529
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(84)	(240)	-	(861)	(1,185)
გადახდილი ავანსები	-	6	-	12,487	12,493
გაცემული სესხები	12,917	-	-	13,991	26,908
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(62)	-	-	(707)	(769)
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	(24,777)	-	(311)	-	(25,088)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(332)	(31)	(76)	(7,353)	(7,792)
მიღებული ავანსები	-	(15)	-	(53)	(68)
მისაღები დივიდენდები	-	-	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	(1,198)	-	-	-	(1,198)
თანამშრომელთა დარიცხული სარგებელი	(576)	(3,123)	-	(2)	(3,701)

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

ათასი ლარი	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
საქონლის რეალიზაცია	14	336	-	2,103	2,453
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	22	119	-	3,735	3,876

საიჯარო შემოსავალი	-	-	-	1,254	1,254
საქონლის გადასაყიდად შეძენა	-	(212)	-	(31,896)	(32,108)
ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა	-	(67)	-	(15,917)	(15,984)
საიჯარო ხარჯი	-	(9)	-	-	(9)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	-	(113)	-	(6,959)	(7,072)
პერსონლაზე გაწეული ხარჯები	(1,086)	(9,569)	-	(240)	(10,895)
საპროცენტო შემოსავალი	1,528	-	-	819	2,347
საპროცენტო ხარჯი	-	(1)	-	(32)	(33)
საპროცენტო ხარჯი საოჯარო ვალდებულებებზე	(1,036)	-	(44)	-	(1,080)
ფინანსური შედეგების წილი	-	-	61	-	61
შემოსავალი დივიდენდებიდან	-	-	9	-	9
გადახდილი დივიდენდები	(39,535)	-	-	-	(39,535)
სხვა საპროცენტო ხარჯები	-	-	-	-	-
ფინანსური გარანტიების ხელახალი შეფასებიდან მიღებული შემოსულობა	-	-	-	-	-
სხვა	(61)	(358)	(22)	(381)	(822)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	134	661	–	4,055	**4,850**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(68)	(35)	–	(1,974)	**(2,077)**
გადახდილი ავანსები	12	6	–	9,079	**9,097**
გაცემული სესხები	7,364	–	–	6,635	**13,999**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(36)	–	–	(136)	**(172)**
ნასესხები სახსრები	–	(44)	–	(1,197)	**(1,241)**
საიჯარო ვალდებულებები	(9,982)	–	(89)	–	**(10,071)**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(2)	(11)	(29)	(18,416)	**(18,458)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	–	(1)	–	(17)	**(18)**
მისაღები დივიდენდები	–	–	14	–	**14**
გადასახდელი დივიდენდები	(735)	–	–	(12)	**(747)**
თანამშრომელთა დარიცხული სარგებელი	–	(5,881)	–	–	**(5,881)**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

ათასი ლარი	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ

საქონლის რეალიზაცია	27	869	–	16,591	**17,487**
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	3	103	–	1,476	**1,582**
საოჯარო შემოსავალი	–	–	–	973	**973**
საქონლის გადასაყიდად შეძენა	–	(262)	–	(33,217)	**(33,479)**
ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა	–	(67)	–	(36,561)	**(36,628)**
საოჯარო ხარჯი	–	(21)	–	–	**(21)**
პროფესიული მომსახურების ხარჯები	–	(3)	–	(4,505)	**(4,508)**
ხელფასი და ბონუსები	–	(13,132)	–	(43)	**(13,175)**
საპროცენტო შემოსავალი	2,877	–	–	1,637	**4,514**
საპროცენტო ხარჯი	–	(24)	–	(348)	**(372)**
საპროცენტო ხარჯი საოჯარო ვალდებულებებიდან	(729)	-	(21)	-	**(750)**
ფინანსური შედეგების წილი	–	–	69	–	**69**
შემოსავალი დივიდენდებიდან	–	–	93	–	**93**
გადახდილი დივიდენდები	(28,261)	(128)	–	(2,437)	**(30,826)**
სხვა საპროცენტო ხარჯები	(2,297)	–	–	(5,479)	**(7,776)**
ფინანსური გარანტიების ხელახალი შეფასებიდან მიღებული შემოსულობა	4,484	–	–	–	**4,484**
სხვა	(80)	(470)	(23)	(1,252)	**(1,825)**

დაკავშირებული კომპანიების სასარგებლოდ, „კომპანიის“ მიერ გაცემული თავდებობები პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილებში.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	30,000	30,000
შპს თეგეტა მოტორსი	შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	45,000	45,000
შპს თეგეტა მოტორსი	PMA (ს/ნ: 264.110.1057083)	სოლიდარული თავდებობა	აშშ დოლარი	5,000	13,544

2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია (ს/ნ: 401964683) შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328) შპს ენტერფრაისი (ს/ნ: 405329112)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	30,000	30,000
შპს თეგეტა მოტორსი	შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	45,000	45,000
შპს თეგეტა მოტორსი	PMA (ს/ნ: 264.110.1057083)	სოლიდარული თავდებობა	აშშ დოლარი	5,000	13,544

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია (ს/ნ: 401964683) შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328) შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554) შპს ენტერფრაისი (ს/ნ: 405329112)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	50,000	50,000
შპს თეგეტა მოტორსი	PMA (ს/ნ: 264.110.1057083)	სოლიდარული თავდებობა	აშშ დოლარი	5,000	13,618

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია (ს/ნ: 401964683) შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328) შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554) შპს ენტერფრაისი (ს/ნ: 405329112)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	35,000	35,000
შპს თეგეტა მოტორსი	PMA (ს/ნ: 264.110.1057083)	სოლიდარული თავდებობა	აშშ დოლარი	5,000	14,034

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ემიტენტი	ბენეფიციარი	ინსტრუმენტი	ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ნომინალური ვალუტა	მაქსიმალური რისკი, '000 ლარი
შპს თეგეტა მოტორსი	შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია (ს/ნ: 401964683) შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ: 401949674) შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს (ს/ნ:400261328) შპს გრავიტა (ს/ნ: 404988554) შპს ენტერფრაისი (ს/ნ: 405329112)	სოლიდარული თავდებობა	ლარი	35,000	35,000

გამოყენებული წყაროები

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- „ემიტენტის“ არააუდიტირებული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, *ბასს 34* შუალედური ფინანსური ანგარიშგება, მიხედვით 2025 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვს თვიანი პერიოდისათვის („შუალედური ფინანსური ანგარიშგება“) https://tegeta.ge/investor-relations
- „ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერსა და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის („აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება“) www.reportal.ge
- „ემიტენტის“ ვებ-გვერდი www.tegeta.ge
- Scope Ratings-ის საკრედიტო ანგარიში შპს „თეგეტა მოტორსისთვის“ “BB-“ რეიტინგის მინიჭების შესახებ: www.scoperatings.com
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
- საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge
- კომპანიის წესდება (NAPR- სისტემაში განცხადების ნომერი: B25177495)
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (NAPR-სისტემაში განცხადების ნომერი: B26019103)

სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა):

- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის;
- ხელშეკრულება გადახდისა და კალკულაციის აგენტსა და ემიტენტს შორის;
- თავდებობის ხელშეკრულება;

ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის და ხელშეკრულება გადახდის და კალკულაციის აგენტსა და ემიტენტს შორის წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც „ემიტენტი“ არ გეგმავს, თუმცა გადახდის და კალკულაციის აგენტის ხელშეკრულების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია „ემიტენტის“, ობლიგაციონერების წარმომადგენლის ან/და განთავსების აგენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

„კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს გამოკლებული მოკლევადიანი ვალდებულებები) 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით შეადგენდა 177,590 ათას ლარს, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 29,782 ათას ლარს და 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მდგომარეობით - 40,136 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი მეტწილად გამოწვეულია 2025 წლის დეკემბერში, ჯამურად დაახლოებით 220 მილიონი ლარის, სასესხო ვალდებულებების ვადამოსულობის ეფექტით, რომელთა რეფინანსირება კომპანიამ წარმატებით მოახერხა, შესაბამისად პრო-ფორმა მაჩვენებელი შეადგენს 179,864 ათას ლარს. ასევე აღსაღნიშნავია, რომ „ემიტენტს“ მრავალწლიანი და მჭიდრო ურთიერთობა აქვს ადგილობრივ კომერციულ ბანკებთან, რაც თავის მხრივ ამცირებს ობლიგაციების რეფინანსირების რისკს.
შესაბამისად, „კომპანიის“ შეფასებით, მომავალი დაფინანსება (ობლიგაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადის ჩათვლით) და კომპანიის მომგებიანობა საკმარისი იქნება მომავალი ერთი წლის განმავლობაში მისი საქმიანობის დასაფინანსებლად.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთი

ობლიგაციების საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შესაბამისი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით.

ინფორმაცია შეთავაზებაში მონაწილე მხარეთა ინტერესისა და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
შპს „თიბისი კაპიტალი“	განთავსების აგენტი და გადახდის და კალკულაციის აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტს წარმოადგენს შპს „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდის და კალკულაციის აგენტი. მის ინტერესებშია „ობლიგაციების“ განთავსება და სანაცვლოდ, ემიტენტისგან შეთანხმებული ანაზღაურების მიღება	არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია „განთავსების აგენტთან“ („განთავსების აგენტი“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“, მეორე მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: (ა) „განთავსების აგენტს“ კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე

				ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე; (ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“.

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (*pari passu*) და „კომპანიის“ ყველა სხვა სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის თანახმად გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული „ობლიგაციები“ 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნად ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის ქონება განაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები);
2) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ„ემიტენტის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3) კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
    a) პრეფერენციული მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით);
    b) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები;
    c) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა

კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს.

d) მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები
e) არაპრივილეგირებული მოთხოვნები (კონტრაქტით დაქვემდებარებული მოთხოვნები). აღნიშნული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, დარჩენილი ნაშთი განაწილდება აქციონერებს შორის.;
f) კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

1.ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს:

1.1 შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება არც ერთი მთავრობის ვალდებულება.

1.2 კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება.

ობლიგაციების“ გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3 ინფორმაცია დეპოზიტარის შესახებ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი.

1.4 ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი.

თითოეული ინდივიდუალური ემისიისათვის (რომელთაგან უკანასკნელი ემისია განხორციელდება არაუგვიანეს ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, რომელსაც ახუსტებს შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი“) „ობლიგაციები“ გაცემულია დემატერიალიზებული ფორმით, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 (ათასი) აშშ დოლარს ან 1,000 (ათასი) ევროს ან 1,000 (ათასი) ლარს. შესაბამისი ემისიის დენომინაცია დაზუსტდება მისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

1.5 იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა.

„ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის წინამდებარე „ობლიგაციების“ „პირობებით“ და „თავდებობის ხელშეკრულებით“. იმ შემთხვევაში, თუ „პროსპექტის“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ პირობებს შორის წარმოიშვება შეუსაბამობა, უპირატესობა ენიჭება „პროსპექტის“ პირობებს.

1.6 ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის შეზღუდვა.

ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა.

1.7 ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის შესახებ.

„ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაცია“ იქნება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2028 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი გახდება, რაც შესაძლებელი იქნება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ან/და „თბილისის საფონდო ბირჟის“ საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში. კომპანია აპირებს მიმართოს სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ და სს „თბილისის საფონდო ბირჟას“, რათა ობლიგაციები დაშვებული იქნეს სავაჭროდ აღნიშნულ ბაზარზე. წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ და სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ ითვლება ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზრად მხოლოდ ბირჟის A და B კატეგორიის სალისტინგო სეგმენტში. ვინაიდან რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადახდილი პროცენტი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება, „ობლიგაციებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტისა და სადაზღვევო ორგანიზაციის) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას. საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციები“ არ იქნება დალისტული რომელიმე ზემოაღნიშნულ საფონდო ბირჟაზე, კომპანიას შეეხება მათი დაბეგვრის ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, რაც გულისხმობს წყაროსთან დასაკავებელ 5%-იან გადასახადს (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ პროსპექტის ქვეთავი „ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში“):

რაც შეეხება „ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული შემოსავლების დაბეგვრას, „ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) იბეგრება შესაბამისი გადასახადებით, კერძოდ, ფიზიკური პირის შემთხვევაში მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში მიღებული მოგება (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით. იმ შემთხვევაში თუ პირი არარეზიდენტია, გადახდილ პროცენტზე გადასახადის წყაროსთან დაბეგვრის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოსა და ხსენებული პირის საგადასახადო რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთანავე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის „ობლიგაციების“ რეალიზაციის შემთხვევაში, მიღებული შემოსავლის გაცემისას საბროკერო კომპანიაა ვალდებული გადახდის წყაროსთან დააკავოს გადასახადი. აგრეთვე, ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ ორ წელზე მეტი ვადით ფლობისა და ეკონომიკურ საქმიანობაში არ გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია გავრცელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულთან ერთად, „ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული შემოსავალი განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე (იგულისხმება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან/და თბილისის საფონდო ბირჟაზე) სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა საბანკო დაწესებულებისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტის) ვალდებულია „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებაზე (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც გაანაწილებს მოგებას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

1.8 გადახდისუუნარობის შემთხვევაში, „შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების“ რიგითობა „ემიტენტის“ კაპიტალის სტრუქტურაში.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, „კომპანიის“, „ობლიგაციონერთა“ და „გარანტორებს“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) შორის დადებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების (შემდგომში „თავდებობის ხელშეკრულება“) საფუძველზე. „ობლიგაციები“ რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნებთან მიმართებით, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებსაც უპირატესობა ენიჭება მოქმედი კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების თანახმად. „კომპანიისთვის“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი „კომპანიის“ კონკრეტული უძრავი ან მოძრავი ქონებით. მიუხედავად იმისა, რომ „ობლიგაციები“ უზრუნველყოფილია გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით და ეს აძლევს „ობლიგაციონერს“ უფლებას, მოითხოვოს დაკმაყოფილება „ემიტენტისაგან“ და/ან ერთი, რამდენიმე ან ყველა „გარანტორისგან“, „პროსპექტით“ და შესაბამის „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილ კრედიტორებად ითვლებიან მხოლოდ ის კრედიტორები, რომელთა მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. შესაბამისად, „თავდებობის ხელშეკრულების“ არსებობა არ ანიჭებს „ობლიგაციონერს“ უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსს და „კომპანიის“ ან შესაბამისი „გარანტორების“ გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ისინი დაკმაყოფილდებიან გადახდისუუნარობის მასიდან, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. ეს ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორებს (კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნაც უზრუნველყოფილია „კომპანიის“ აქტივებზე იპოთეკით ან გირავნობით) ენიჭებათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ - უზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საგანთან მიმართებით. აღნიშნული კანონის 104-ე მუხლი არეგულირებს გადახდისუუნარობის მასის განაწილების წესს და მის თანმიმდევრობას, რომლის 104.1 მუხლის თანახმად, „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები, რომლებიც „თავდებობის ხელშეკრულებით“ არის უზრუნველყოფილი, მიეკუთვნება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების კატეგორიას.

1.9 არსებობის შემთხვევაში ემიტენტის ან მისი სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგები

„ემიტენტის“ მოქმედი საკრედიტო რეიტინგია BB- ნეგატიური პერსპექტივით, რომელიც Scope Ratings-მა 2025 წლის 17 ივლისს განაახლა.

1.10 საკონტროლო პაკეტის შეძენასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების მოკლე აღწერა

არ არის რელევანტური.

1.11 მითითება, მესამე მხარის მიერ „ემიტენტის“ საჯარო აქციების საკონტროლო პაკეტის შესაძლო შეძენის შესახებ

არ არის რელევანტური.

1.12 „ობლიგაციონერთა“ წარმომადგენლის და ვებ-გვერდის მითითება

ტრანზაქციის სტრუქტურა არ ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების მფლობელების წარმომადგენლის ინსტიტუტს.

2.საჯარო შეთავაზების პირობები

2.1 შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

2.1.1 პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება.

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებულ პირობებს.

2.1.2 ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობის მაჩვენებელი.

შეთავაზებული „ობლიგაციების“ ოდენობაა 60,000-მდე, 60 მილიონ დოლარამდე ან მისი ექვივალენტი ევროში ან/და ლარში, რომელთა გამოშვება განხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ემისიით შესაბამის ვალუტაში.

2.1.3 პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა.

„ობლიგაციების“ შეთავაზების და პროსპექტის მოქმედების ვადა დაიწყება „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცებიდან და დასრულდება „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცებიდან 12 თვეში. პროსპექტის მოქმედების ვადად განისაზღვრება წინასწარი „პროსპექტის დამტკიცებიდან“ 12 თვე. აღნიშნული გულისხმობს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება ან შესაძლებელია განხორციელდეს ემისიით განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება. ამასთანავე, საჯარო შეთავაზების დასრულებად ჩაითვლება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტის დადგომა: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად ვადამდე განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა; დ) პროსპექტში გაწერილი შეთავაზების ვადის დასრულება.შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა:

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების („მანდატის წერილი“) საფუძველზე ახორციელებს „განთავსების აგენტი“ (როგორც ეს განსაზღვრულია „პროსპექტით“). „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ განახორციელონ საბაზრო ინტერესის შეფასება და ამ მიზნით ემისიის შესახებ ინფორმაცია გაუგზავნონ პოტენციურ ინვესტორებს კანონდმებლობით დაშვებულ ფარგლებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინასწარი „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პოტენციური ინვესტორების კატეგორია, რომლებისთვისაც შესაძლებელია „ობლიგაციების“ შეთავაზება, შეზღუდული არ არის. ემიტენტი აქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული განთავსების აგენტის უფლებამოსილი შუამავალი/შუამავლები პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან წინასწარი „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან „პროსპექტის“ დაბეჭდილ ასლს. საბოლოო „პროსპექტი“ მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს (მათ შორის, ემიტენტის ვებ- გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში. აგრეთვე, „საბოლოო პროსპექტი“ უნდა მოიცავდეს საბოლოო საპროცენტო განაკვეთს (კუპონს), რომელიც დადგინდება საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების („Book-building“-ის) პროცესში.

თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება „წინასწარიპირობების დოკუმენტის“ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, „წინასწარი პირობების დოკუმენტით“ განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია

ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად საზღვრავს განთავსების აგენტი. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს ემთხვევა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციის“ შეთავაზება ხორციელდება შესაბამისი ემისიის ვალუტით დენომინირებული სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით დაინტერესებულ ინვესტორთა წრისთვის.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის დისკრეციული გადაწყვეტილებისამებრ.

„ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 5(ე) ქვეპუნქტში მითითებული საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტი“ აცხადებენ შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდიან შესაბამის შეტყობინებას ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით მიწოდებით (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და „ობლიგაციების“ ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით მიწოდებით, ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და ინვესტორის მიერ მისთვის დაკმაყოფილებული განაცხადის დადასტურებამდე, ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დაიწყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) „გამოშვების თარიღიდან“ შეთავაზების დასრულების თარიღის ჩათვლით. „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება „გადავადებული განთავსების ფასით“. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით განსათავსებელი „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების ელექტრონული ფოსტის ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით მიწოდებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტის“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

თუ შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ გათვალისწინებული „ობლიგაციების“ სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული „განთავსების თარიღზე“, „ემიტენტი“ უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ და მისი დისკრეციის ფარგლებში:

(ა) გამოაცხადებს/ჩათვლის განუთავსებელ „ობლიგაციებს“ გაუქმებულად (შესაბამისი რაოდენობის „ობლიგაციები“ გაუქმდება) და „ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსებული/გაუქმებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის „სებ“-ს, შესაბამის საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, და, აგრეთვე, განახორციელებს შესაბამის შეტყობინებას აღნიშნულის შესახებ, „კანონმდებლობით“ დადგენილი წესის შესაბამისად; ან

(ბ) განახორციელებს თავდაპირველად განუთავსებელი „ობლიგაციების“ გადავადებულ განთავსებას „გადავადებული განთავსების ფასით“, წინამდებარე პროსპექტის პირობებისა და „კანონმდებლობის“ შესაბამისად/გათვალისწინებით.

იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად (რაშიც მოიაზრება, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების მიმოხილვის 2.1.7. ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესი) (შემდგომში „ხელმომწერი ინვესტორები“), აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“. „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით). დეტალები იხ. “პირობების” 2(ვ) ქვეპუნქტში.

„ობლიგაციების“ განთავსების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ „პირობების“ ქვეთავი სახელწოდებით „განთავსება“.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) საფუძველზე დადგენილი შეთავაზების საბოლოო პირობები გასაჯაროვდება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ მეშვეობით, რომელიც დამტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ და წარმოადგენს “საბოლოო პროსპექტის” განუყოფელ ნაწილს.

„ხელმომწერი ინვესტორები“ ვალდებულნი არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე ან „დეპოზიტარში“ გახსნილ ანგარიშზე „განთავსების თარიღამდე“ („განთავსების თარიღის“ თაობაზე ინვესტორებს ეცნობებათ „განთავსების აგენტის“ მეშვეობით) არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული ანგარიში გახსნილი უნდა იქნას შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტში, როგორც ანგარიშის მწარმოებელთან (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ, „ტერმინთა განმარტებებში“). ობლიგაციების მიწოდება „ხელმომწერი ინვესტორისათვის“ ხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე. ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე პარაგრაფში მითითებული ჩანაწერი ვრცელდება როგორც პირველად, ისე გადავადებულ განთავსებაზე.

ბ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

„შეთავაზების პერიოდში“ “ობლიგაციების” შესახებ ინფორმაციის ცვლილებისთვის, “ემიტენტი” მიმართავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურას.

შეტყობინებები

შეტყობინება უნდა იქნას მიწოდებული ზემოთ მოცემული „პირობა“ 1.7-ის შესაბამისად.

2.1.4 მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც.

„ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია გაუქმდეს ან შეჩერდეს „კანონმდებლობის“ შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ დამტკიცებამდე და „ობლიგაციების“ გამოშვებამდე/განთავსებამდე, „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს აქვს უფლება, უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ გამოშვებაზე/განთავსებაზე და გააუქმოს შეთავაზება საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, რის შესახებაც გონივრულ ვადაში მოხდება ინვესტორების ინფორმირება, შესაბამისი „განთავსების აგენტის“ მეშვეობით, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი პროცედურის/პროცესის შესაბამისად.

2.1.5 განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს მიმართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის შემთხვევაში გადახდილი ნამეტი ინახება განმცხადებლის საბროკერო ანგარიშზე. ამ თანხის დაბრუნება ხდება „განთავსების აგენტის“ სტანდარტული პროცედურით.

2.1.6 ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა.

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდები და ვადები გაწერილია „საჯარო შეთავაზების პირობების“ 2.1.3. (ა) ქვეპუნქტში.

2.1.7 იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ.

პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით მიწოდებით, ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე პარაგრაფში მითითებული ჩანაწერი ვრცელდება როგორც პირველად, ისე გადავადებულ განთავსებაზე.

2.1.8 შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება.

განთავსების ანგარიში ეროვნულ ბანკს წარედგინება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

2.1.9 პროცედურები უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების, ამ უფლების შესაძლო ცვლილების და ამ უფლების არ გამოყენების შემთხვევაში.

„ობლიგაციებთან“ მიმართებით არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება

2.2 განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა

2.2.1 პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.

„ობლიგაციების“ ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეთავაზება იგეგმება „ფასიანი ქაღალდების კანონით“ ნებადართულ ყველა პირზე.

2.2.2 ფასიანი ქაღალდის შეძენაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადებები) დაკმაყოფილდა. შეტყობინება გაიგზავნება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით.

ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საბოლოო საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა.

პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია, დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. მხოლოდ აღნიშნული ვადის გასვლის ან ინვესტორის მიერ

დადასტურების შემდეგ იძენს განაცხადი გამოუთხოვად და სავალდებულო ძალას („ხელმომწერი ინვესტორები“). ვაჭრობის დაწყება დაუშვებელია ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და განაცხადის დადასტურებამდე (ან ავტომატურ დადასტურებამდე). „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „განთავსების აგენტსა“ და პოტენციურ ინვესტორს შორის კომუნიკაცია განხორციელდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და „განთავსების აგენტსა“ და პოტენციურ ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე პარაგრაფში მითითებული ჩანაწერი ვრცელდება როგორც პირველად, ისე გადავადებულ განთავსებაზე.

2.2.3 მითითება ემიტენტის მენეჯმენტზე, დირექტორებზე და აქციონერებზე თუ აპირებენ შეთავაზებაში მონაწილეობის მიღებას.

„პროსპექტის“ დამტკიცების თარიღისთვის, „ემიტენტისთვის“ არ არის ცნობილი მიიღებს თუ არა შეთავაზებაში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ ამ ეტაპზე არ აქვს ინფორმაცია „ემიტენტის“ მენეჯმენტის, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერების (პარტნიორების) შესახებ, რომელთაც სურთ გამოიწერონ შეთავაზების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი; ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

3. ფასის დადგენა

3.1 ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით.

„ობლიგაციების“ განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ განფასებას.

3.2 შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა.

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და „ემიტენტი“ არ განიხილავს სხვაგვარ განფასებას.

4. განთავსება

4.1 შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და „ობლიგაციონერების“ წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია.

არ არის რელევანტური ამ ემისიისთვის.

4.2 ანგარიშსწორების აგენტის დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია.

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961);

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7;

ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge;

ტელეფონი: (+995 32) 227 27 97

4.3 განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით.

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961);

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7;

ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge;

ტელეფონი: (+995 32) 227 27 97

განთავსებასა და შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოები არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1.5%-ს. განთავსების საკომისიოს სრულად ფარავს „ემიტენტი“ და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი განთავსების ხარჯი.

„ობლიგაციების“ განთავსება ხდება განთავსების აგენტთან 2026 წლის 27 თებერვალს გაფორმებული შეთანხმების წერილების საფუძველზე.

4.4 მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად.

განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტს“ შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად (მათ შორის, „ობლიგაციების“ სრულად განთავსებასთან ერთად).

ობლიგაციების გამოშვების პირობები

2026 წლის 23 მარტს, „კომპანიის“ პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ჯამურად 60,000,000 დოლარამდე (სამოცი მილიონი აშშ დოლარი) ან/და მისი ექვივალენტი ლარში ან/და ევროში ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული და სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე მულტისავალუტო „ობლიგაციების“ გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოშვებულ იქნას ერთ ან რამდენიმე ტრანშად. თითოეული „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულება იქნება 1,000 (ათასი) ლარი, ან/და 1,000 (ათასი) აშშ დოლარი ან/და 1,000 (ათასი) ევრო, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მოქმედი ვადამდელი გამოსყიდვის პირობების შესაბამისად („დენომინაცია“). „ობლიგაციების“ გამოშვება განხორციელდება მათი ნომინალური ღირებულების 100%-ის (ასი პროცენტი) ექვივალენტურ ფასად.

„ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი, „დაფარვის თარიღი“, ასევე „ობლიგაციების“ გამოშვების პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება წინამდებარე „პროსპექტით“, „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ (შემდგომში „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“) და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“. „ობლიგაციების“ ვადიანობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 3 თვე; 2) 6 თვე; 3) 1 წელი; 4) 2 წელი; 5) 3 წელი; 6) 4 წელი; 7) 5 წელი;. „ობლიგაციების“ საბოლოო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება საბოლოო განაკვეთის ფორმირების *(book building)* პროცესში.

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი საპროცენტო (კუპონი) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისთვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე მოთხოვნის მოცულობასა და პირობებიდან *(Book-building-ის შედეგად)* გამომდინარე. საპროცენტო (კუპონი) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის „წინასწარი პირობების დოკუმენტში“ მითითებული ზღვრის ფარგლებში, რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს შეთავაზების პროცესში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში დაუშვებელია შეთავაზების *(Book-building-ის)* დაწყება „წინასწარი პირობების დოკუმენტის“ საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ დადასტურების გარეშე და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, „წინასწარი პირობების დოკუმენტით“ განსაზღვრული ზღვრის ფარგლებში „საბოლოო საპროცენტო (კუპონი) განაკვეთის“ დადგენა არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ საბოლოო „პროსპექტში“ ასახვას.

„ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ და „თავდებობის ხელშეკრულებით“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ).

გარდა „პროსპექტის“ სხვა თავებში (და „საბოლოო პირობებში“) აღწერილი „ობლიგაციების“ გამოშვების პირობებისა, მოცემულ თავში „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ განსაზღვრავს ძირითად პირობებს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით. ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება „გადახდის და კალკულაციის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიასა“ და შპს „თიბისი კაპიტალს“, როგორც „გადახდის და კალკულაციის აგენტს“ შორის.

1. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს

1.1. თავდებობა

(ა) თავდებობის ხელშეკრულება

„თავდებობის ხელშეკრულება“ უზრუნველყოფს „ემიტენტის“ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე „ობლიგაციებიდან“. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, „გარანტორები“ სოლიდარულად პასუხს აგებენ „ობლიგაციონერთა“ წინაშე „ემიტენტის“ ვალდებულებებზე, მთელი თავიანთი ქონებით. გარდა ამისა, „თავდებობის ხელშეკრულება“ ითვალისწინებს „ობლიგაციონერთა“ უფლებას, წაუყენონ მოთხოვნა ერთ, რამდენიმე ან ყველა „გარანტორს“, „ემიტენტის“ მიმართ „ობლიგაციების“ გამოშვების „პირობების“ აღსრულების მცდელობის გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ გამოშვების „პირობები“ აღსრულდება „ემიტენტის“ და/ან ერთ, რამდენიმე ან ყველა „გარანტორის“ მიმართ, ამ „პროსპექტისა“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად. „თავდებობის ხელშეკრულება“ დაიდება შემდეგი პირობებით:

სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება

წინამდებარე თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე (შემდგომში ,,ხელშეკრულება“) 2026 წლის [●] შემდეგი მხარეები:

„გარანტორები“ (როგორც ეს განიმარტება წინამდებარე პროსპექტის „განმარტებების“ ქვეთავით); და

(26) შპს „თეგეტა მოტორსი“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: 202177205 (შემდგომში ,,ემიტენტი“), წარმოდგენილი მისი [●] (პირადი ნომერი: [●]), მინდობილი პირის, [●] (პირადი ნომერი: [●]), მიერ,

ასევე, შემდგომში თავდებები და ემიტენტი ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც ,,მხარეები“ , ხოლო ცალ-ცალკე, როგორც ,,მხარე“)

რამდენადაც,

ა. 2026 წლის [●] საქართველოს ეროვნული ბანკმა (შემდგომში „NBG“) N[●] განკარგულებით დაამტკიცა ემიტენტის ობლიგაციების ემისიის (ობლიგაციები გამოშვებული იქნება ერთი ან რამდენიმე ევროში, დოლარში ან ლარში დენომინირებული ემისიით) წინასწარი პროსპექტი (შემდგომში - „პროსპექტი“), ხოლო 2026 წლის [●] NBG-ის N[●] განკარგულებით დამტკიცდა ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობები და [●] 000 000 ([●] მილიონი) [●]ის ჯამური ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაციებს მიენიჭა საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი (ფქსსნ) – [●] (შემდგომში - ,,ობლიგაციები“).

ბ. პროსპექტისა და ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების თანახმად, ობლიგაციები უზრუნველყოფილი იქნება თავდებების სოლიდარული თავდებობით.

გ. თითოეული თავდები წარმოადგენს ემიტენტის შვილობილ კომპანიას (პირდაპირ ან არაპირდაპირ), შესაბამისად, ისინი კისრულობენ ვალდებულებას დაუდგნენ მას თავდებად შესაბამისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით. შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I - განმარტებანი

პუნქტი 1.01 ტერმინები

თუ წინამდებარე ხელშეკრულებაში სხვა მნიშვნელობა არ აქვს მინიჭებული, ნებისმიერ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია პროსპექტში, ექნება პროსპექტში მინიჭებული მნიშვნელობა, ხოლო შემდგომ ტერმინებს ექნება მათ გასწვრივ მითითებული მნიშვნელობა:

უფლებამოსილი ორგანო:

ნიშნავს ნებისმიერ სახელმწიფო, საერთაშორისო, რეგიონალურ ან ადგილობრივ მთავრობას, ან სამთავრობო, ადმინისტრაციულ, ფისკალურ, სასამართლო, სახელმწიფო ორგანოს, დეპარტამენტს, კომისიას, უწყებას, ტრიბუნალს, სააგენტოს ან დაწესებულებას, ან ცენტრალურ ბანკს (ან ნებისმიერ პირს, იქნება ეს მთავრობის საკუთრებაში თუ არა და მიუხედავად მისი ფორმისა და დასახელებისა, რომელიც ახორციელებს ცენტრალური ბანკის ფუნქციებს).

ავოტირზაცია

ნიშნავს ნებისმიერ ლიცენზიას, ნებართვას, დამტკიცებას (რომლებიც დამტკიცებულია ნებისმიერი ფორმით), რეგისტრაციას, წარდგენას ან გათავისუფლებას, რომელიც გაცემულია ნებისმიერი საჯარო ორგანოს მიერ ან წარედგინება მას, ასევე ნებისმიერ კორპორატიულ, კრედიტორთა და აქციონერთა/პარტნიორთა დამტკიცებასა თუ თანხმობას.

სამუშაო დღე

გულისხმობს დღეს, როდესაც უფლებამოსილი ორგანოები მუშაობენ და ახორციელებენ ჩვეულებრივ საქმიანობას.

წესდება

ნიშნავს ნებისმიერი კომპანიის, კორპორაციის, ამხანაგობის, საწარმოს ან სხვა იურიდიული პირის წესდებას, სადამფუძნებლო აქტს, სადამფუძნებლო შეთანხმებას, მემორანდუმს და პარტნიორთა შეთანხმებას, დებულებას ან მსგავს დოკუმენტს.

ქვეყანა

ნიშნავს საქართველოს.

აღსრულება

ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ობლიგაციონერების ნებისმიერი უფლების ან უფლებამოსილების აღსრულებისათვის, რომელიც მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების (ან მისი ნებისმიერი პუნქტის, მათ შორის 5.02 პუნქტის) შესაბამისად ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს თავდებობის (ან მისი ნებისმიერი ნაწილის) აღსრულებას, ან სასამართლოსადმი მიმართვას გადაწყვეტილების მოპოვების მიზნით ან სარჩელით ნებისმიერი თავდების წინააღმდეგ, რომელიც დაკმაყოფილებული იქნება ამ თავდების ქონებით ან მისგან გამომდინარე, ან მოიცავს ნებისმიერი დისკრეციით, უპირატესობით ან არჩევანით სარგებლობას, რომელიც დაკავშირებულია ასეთ უფლებებთან ან უფლებამოსილებებთან.

აღამსრულებელი ობლიგაციონერი

აქვს 5.01. პუნქტში მოცემული მნიშვნელობა.

დეფოლტი

გულისხმობს პროსპექტში განსაზღვრული „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ 1.6 პუნქტით გათვალისწინებული დეფოლტის შემთხვევას.

ხარჯები

აქვს 3.02(გ) პუნქტში მოცემული მნიშვნელობა.

სოლიდარული თავდებობა

აქვს 3.01. პუნქტში მოცემული მნიშვნელობა.

დატვირთვა

ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, იპოთეკას, უფლების დათმობას, უზრუნველყოფას, საკუთრების უფლების შენარჩუნებას, უპირატეს უფლებას, სატრასტო გარიგებებს, გაქვითვის უფლებას, შემხვედრ მოთხოვნას ან საბანკო ყადაღას, უზრუნველყოფის ძალის მქონე ნებისმიერი სახის პრივილეგიას ან პრიორიტეტს, ზიანის ანაზღაურების მიმღების ან ბენეფიციარის დანიშვნას, აგრეთვე ნებისმიერ მსგავს შეთანხმებას ნებისმიერ სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებით/შესაბამისად ან ნებისმიერი კრედიტორისთვის სხვა კრედიტორთან მიმართებით უპირატესობის მინიჭებას კანონის საფუძველზე.

მხარე

ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მხარეს.

პირი

ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კორპორაციას, კომპანიას, ამხანაგობას, ფირმას, ნებაყოფლობით გაერთიანებას, ერთობლივ საწარმოს, სატრასტო კომპანიას, არარეგისტრირებულ ორგანიზაციას, საჯარო ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახის იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს ინდივიდუალური, ფიდუციური ან სხვა უფლებამოსილების ფარგლებში.

უზრუნველყოფილი ვალდებულებები

გამოიყენება 3.02(ა) პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.

ობლიგაციონერი

თავდაპირველი ან/და შემდგომი ნებისმიერი ობლიგაციონერი, რომელმაც საკუთრება მოიპოვა ობლიგაციებზე და რომელიც წარმოადგენს ობლიგაციების საბოლოო ბენეფიციალურ მესაკუთრეს.

პუნქტი 1.02. განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში, თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს:

(ა) მითითება კონკრეტულ მუხლზე, პუნქტზე ან მხარეზე განიმარტება, როგორც მითითება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამის მუხლზე, პუნქტზე ან მხარეზე;

(ბ) მხოლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვები მოიცავს მრავლობით რიცხვს და პირიქით; და

(გ) დოკუმენტზე მითითება მოიცავს ამ დოკუმენტის ცვლილებას, დამატებას, ჩანაცვლებას ან განახლებას, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევით განხორციელებულ ნებისმიერი ცვლილების, დამატების, ჩანაცვლების და განახლებისა.

მუხლი 2. განცხადებები და გარანტიები პუნქტი

2.01. თავდებთა განცხადებები და გარანტიები

თითოეული თავდები აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

(ა) **რეგისტრაცია.** თავდები არის შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად სათანადოდ დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია, შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, ყველა შესაბამის სარეგისტრაციო ორგანოში, ნებისმიერ ისეთ იურისდიქციაში, სადაც ის ახორციელებს საქმიანობას ან/და ფლობს ქონებას.

(ბ) **კორპორატიული უფლებამოსილება.** თავდებს აქვს კორპორატიული უფლებამოსილება გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

(გ) **სათანადო უფლებამოსილება; აღსრულებადობა; კონფლიქტის არარსებობა.** წინამდებარე ხელშეკრულება სათანადოდ არის ავტორიზებული და ხელმოწერილი თავდების მიერ და წარმოადგენს თავდების ნამდვილ და სამართლებრივად მბოჭავ ვალდებულებას, რომელიც აღსრულებადია მისი პირობების შესაბამისად. ყველა ავტორიზაცია, რაც საჭიროა წინამდებარე ხელშეკრულებისა და მასში გათვალისწინებული გარიგებების გასაფორმებლად და შესასრულებლად სათანადოდ არის მოპოვებული თავდების მიერ და ძალაშია. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება:

(i) არ გამოიწვევს თავდების წესდების ან კანონის ნებისმიერი ისეთი დებულების დარღვევას, რომელიც ვრცელდება თავდებზე;

(ii) არ საჭიროებს რაიმე თანხმობას ან არ გამოიწვევს რაიმე დატვირთვის წარმოშობას ნებისმიერი ისეთი ხელშეკრულებიდან ან დოკუმენტიდან გამომდინარე, რომლის მხარეც არის თავდები ან რომელიც ვრცელდება თავდებზე ან/და მის ნებისმიერ ქონებაზე, ასევე არ გამოიწვევს ნებისმიერი ასეთი ხელშეკრულების ან დოკუმენტის დარღვევას ან არ მოვა წინააღმდეგობაში მათთან; (iii) არ ჩაითვლება დარღვევად ან ისეთ შემთხვევად, რომელიც შეტყობინების მიწოდებით, დროის გასვლით ან გადაწყვეტილების მიღებით (ან მათი ნებისმიერი კომბინაციისას) ჩაითვლება დარღვევად ნებისმიერი ხელშეკრულების ან დოკუმენტის შესაბამისად.

(დ) **ავტორიზაცია.** წინამდებარე ხელშეკრულების თავდების მიერ დადების, სათანადოდ შესრულების, მიწოდების ნამდვილობისა ან აღსრულებადობისთვის არ არის აუცილებელი რომელიმე საჯარო ორგანოს ავტორიზაცია, ხოლო ასეთი ავტორიზაციის საჭიროების შემთხვევაში, ისინი სათანადოდ არის მოპოვებული.

(ე) **უარი გამოქვითვის უფლებაზე.** წინამდებარე თავდებობის საფუძველზე თავდების მიერ გადახდილი თანხა გათავისუფლებული იქნება ნებისმიერი შემცირების/დაკავების, გადასახადისა და მოსაკრებლისგან, ყოველგვარი გამოქვითვის გარეშე.

პუნქტი. 2.02. თავდების აღიარებები

(ა) თითოეული თავდები აღიარებს და იძლევა გარანტიას, რომ მათთვის არ არის ცნობილი რაიმე დამატებითი ფაქტის ან საკითხის შესახებ, რომლის გაუთვალისწინებლობაც 2.01 პუნქტში მოცემული თავდების/თავდებების ნებისმიერ ასეთ განცხადებას ან გარანტიას არასწორს ან შეცდომაში შემყვანს გახდიდა რაიმე თვალსაზრისით.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი განცხადება და გარანტია გამეორებულად ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში.

(გ) თითოეული თავდები აღიარებს და ესმის უზრუნველყოფილ ვალდებულებაზე სოლიდარული პასუხისმგებლობის აღების მნიშვნელობა. თავდებები ასევე აცხადებენ, რომ ისინი სრულად არიან ინფორმირებულები უზრუნველყოფილი ვალდებულების მოცულობისა და ხასიათის შესახებ და არავითარი პრეტენზია არ აქვთ მასზე. თავდები ასევე იცნობს პროსპექტს და მის პირობებს და ეს პირობები სრულად არის გაგებული მის მიერ.

მუხლი 3. თავდებობა

პუნქტი 3.01. თავდებობა

(ა) იმისათვის, რომ სათანადოდ მოხდეს უზრუნველყოფილი ვალდებულებების უზრუნველყოფა, თავდებები ერთობლივად, წინამდებარე ხელშეკრულების ძალით, იღებენ ვალდებულებას შეასრულონ ემიტენტის მიერ ნაკისრი უზრუნველყოფილი ვალდებულებები (როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით) იმ პირობებით, რომელიც დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულებით (შემდგომში „სოლიდარული თავდებობა“).

(ბ) თუ ემიტენტი ვერ შეასრულებს პროსპექტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, თავდებები კისრულობენ ვალდებულებას, სოლიდარულად პასუხისმგებლები იყვნენ ემიტენტის მიერ ობლიგაციებთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებაზე. ისინი შეუქცევადად ამბობენ უარს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლით გათვალისწინებულ დაცვაზე, ე.ი. თავდებებს არ შეუძლიათ უარი თქვან ობლიგაციონერთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმის საფუძველზე, რომ ამ უკანასკნელს არ უცდია ემიტენტის წინააღმდეგ იძულებითი აღსრულება. თავდებები ერთობლივად, გარანტიების მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ გადაუხდიან ობლიგაციონერებს დაყოვნების გარეშე ყველა იმ თანხას, რომელსაც მოითხოვენ ობლიგაციონერები პროსპექტის საფუძველზე. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ასეთი მოთხოვნა შეიძლება წარედგინოს ყველა თავდებს ან რომელიმე ან რამდენიმე მათგანს, ობლიგაციონერთა შეხედულებისამებრ და პროსპექტით გათვალისწინებული პროცედურით მიღებული ობლიგაციონერთა კრების გადაწყვეტილებით დადგენილი წესით. როდესაც მოთხოვნა მხოლოდ ერთ ან რამდენიმე თავდებს ეხება, ეს უკანასკნელი ვალდებულია შეასრულოს მოთხოვნა ისე, თითქოს მოთხოვნა წარდგენილი იყო ყველა თავდების მიმართ. ობლიგაციონერთა მიერ წამოყენებული ნებისმიერი ასეთი მოთხოვნა იქნება საბოლოო და სავალდებულო, მიუხედავად ობლიგაციონერისა და თავდებსა ან/და ემიტენტს შორის რაიმე შეუთანხმებლობისა ან რაიმე დავისა, ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი პროცესისა, რომელიც განიხილება ნებისმიერი სასამართლოს, ტრიბუნალის ან სხვა ორგანოს წინაშე.

(გ) პროსპექტსა და წინამდებარე სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პროსპექტს.

პუნქტი 3.02. უზრუნველყოფილი ვალდებულებები

(ა) სოლიდარული თავდებობა უზრუნველყოფს ობლიგაციონერთა სასარგებლოდ (მათ შორის როგორც თავდაპირველი, ასევე ყოველი შემდეგი და საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე ობლიგაციონერის მიმართ, რომელიც

დროის ნებისმიერ მომენტში იქნება ობლიგაციის მფლობელი) ემიტენტის ნებისმიერ და ყველა ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებულია ან გამომდინარეობს ობლიგაციებიდან (მათ შორის, შეუზღუდავად, გადავადებული განთავსების გზით განთავსებულ ობლიგაციებთან) ან/და პროსპექტიდან, მიუხედავად იმისა, ასეთი ვალდებულებები არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ძირითადი თუ პირობითი, რომელიც მას გააჩნია ან წარმოეშვა ძირითადი ვალდებულების, პროცენტის, მოსაკრებელის, ხარჯების, გადასახადების, ბაჟის ან სხვა გადასახადების, ზიანის ანაზღაურების, დანაკარგების, ხარჯების ან დანახარჯების სახით ან სხვაგვარად, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ემიტენტის ვალდებულებას გადაიხადოს ობლიგაციების ძირითადი თანხა, მასზე დაგროვებული ნებისმიერი პროცენტი, კუპონი, დარღვევასთან დაკავშირებით დარიცხული ნებისმიერი ჯარიმა, ნებისმიერი საზღაური, საკომისიო, ზიანის ანაზღაურება, ხარჯი, დანახარჯი და ნებისმიერი სხვა თანხა, რაც ექვემდებარება ობლიგაციონერებისთვის გადახდას პროსპექტის საფუძველზე (შემდგომში „უზრუნველყოფილი ვალდებულებები“).

(ბ) თავდებები პასუხისმგებელნი არიან მთელი თავიანთი ქონებით წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის.

(გ) ზემოთ მითითებული 3.02(ა) პუნქტით გათვალისწინებული ობლიგაციონერების უფლებების შეზღუდვის გარეშე, სოლიდარული თავდებობა აგრეთვე უზრუნველყოფს ნებისმიერ და ყველა ხარჯსა და დანახარჯს, რაც შესაძლოა გაწეული იყოს ობლიგაციონერების მიერ თავდებების ქონების რეალიზაციასთან ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობლიგაციონერების უფლებების შენარჩუნებასთან, განხორციელებასთან ან/და აღსრულებასთან დაკავშირებით (შემდგომში „ხარჯები“).

პუნქტი 3.03 თავდებობის ფარგლები

თავდებები სრულად არიან პასუხისმგებელი ემიტენტის მიერ უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულებაზე (სიტყვიერად: სამოცი მილიონი) 60,000,000 აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ფარგლებში.

პუნქტი 3.04 თავდებობის სტატუსი

(ა) ამ თავდებობის ნაწილობრივ აღსრულება ობლიგაციონერების მიერ რაიმე მიზეზით, არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თავდებთა ვალდებულებებისგან გათავისუფლება ამ თავდებობის ნაშთის (არააღსრულებული) თანხ(ებ)ის ფარგლებში.

(ბ) თავდებები სოლიდარულად აუნაზღაურებენ ობლიგაციონერებს ყველა დანაკარგს, ზარალს, ხარჯს, პრეტენზიასა და დანახარჯს, რომელიც ობლიგაციონერებმა შეიძლება განიცადონ, გადაიხადონ ან დაზარალდნენ ემიტენტის ან/და თავდების მხრიდან პროსპექტითა და წინამდებარე გარანტიით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მათ შორის იურიდიულ საქმისწარმოებასთან ან აღნიშნული თანხის ამოღებასთან დაკავშირებით.

(გ) თავდებები აქვე თანხმდებიან, რომ ზემოაღნიშნული თავდებობა ძალაში რჩება ობლიგაციების პირობების ან/და პროსპექტის ნებისმიერი ცვლილების ან დამატებების მიუხედავად. უფრო მეტიც, ობლიგაციონერები ასევე უფლებამოსილნი არიან, აბსოლუტურად გააუქმონ ან გაათავისუფლონ ყველა ან რომელიმე უზრუნველყოფა, რომელიც გამოყენებულია ან მოთხოვნილია უზრუნველყოფილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ობლიგაციონერების წინაშე. თავდებები თანხმდებიან, რომ წინამდებარე თავდებობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არავითარ შემთხვევაში არ განიცდის რაიმე ზემოქმედებას ასეთი ცვლილებებით, მოდიფიკაციებით, უარის თქმით ან უზრუნველყოფის გათავისუფლებით.

(დ) ამ თავდებობით გათვალისწინებული თავდებების პასუხისმგებლობაზე გავლენას არ მოახდენს:

(i) ემიტენტის ან რომელიმე თავდების რეორგანიზაცია (რა შემთხვევაშიც, თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულებებს იკისრებს რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი სამართალმემკვიდრე) ან/და სარეგისტრაციო/სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ან ლიკვიდაცია ან ემიტენტის ან რომელიმე თავდების შერწყმა ან გაერთიანება რომელიმე კომპანიასთან ან კორპორაციასთან; ან

(ii) ნებისმიერი ცვლილება ემიტენტის ან თავდების მენეჯმენტში ან ემიტენტის ან თავდების მართვაში ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ან ნებისმიერი სხვა ორგანოს მიერ ჩართვა; ან

(iii) ნებისმიერი ცვლილება ობლიგაციონერთა რეორგანიზაცია ან/და სარეგისტრაციო/სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა; ან

(iv) თავდების ან ემიტენტის გაკოტრება/გადახდისუუნაროობა;

(v) თავდების უფლებამოსილების არარსებობა ან ხარვეზი თავდებად დასადგომად ან/და კომპენსაციის გასაცემად, ან ასეთი ფუნქციების შესრულების არარეგულარული ხასიათი; ან რაიმე ცვლილება თავდების პარტნიორთა რიგებში.

(ე) თავდებები თანხმდებიან, რომ მანამ, სანამ ობლიგაციონერებს აქვთ უფლება აღასრულონ ზემოაღნიშნული თავდებობა, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ყველა ხელმისაწვდომი სამართლებრივი მექანიზმი და ობლიგაციონერთა ასეთი უფლება არ არის დამოკიდებული მასზედ, გამოყენებულია თუ არა ყველა სხვა უზრუნველყოფა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროსპექტით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ობლიგაციონერებს გააჩნიათ აბსოლუტური და შეუზღუდავი დისკრეცია თავიანთი ინტერესების დაცვის საშუალებების არჩევისას.

(ვ) თითოეული თავდები უარს ამბობს უფლებაზე (i) ობლიგაციონერ(ებ)ს წაუყენოს ემიტენტის კუთვნილი შესაგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (ii) უარი თქვას ობლიგაციონერ(ებ)ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ემიტენტს უფლება ექნება სადავო გახადოს ძირითადი ვალდებულება/ემისიის პროსპექტი; ან (iii) მოითხოვოს თავდებობისგან გათავისუფლება ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის, თუ არსებითად გაუარესდება ემიტენტის ქონებრივი მდგომარეობა.

(ზ) ეს თავდებობა არის დამატებითი და არავითარ შემთხვევაში მიიჩნევა შემზღუდველად ან ჩანაცვლებად ნებისმიერი სხვა გარანტი(ებ)ის ან უზრუნველყოფ(ებ)ის მიმართ, რომელიც თავდებ(ებ)მა შეიძლება ადრე ან შემდგომში გასცეს ობლიგაციონერ(ებ)ის (დამოუკიდებლად თუ სხვა მხარეებთან ერთად) სასარგებლოდ და წინამდებარე თავდებობა არ აუქმებს ან ზღუდავს სხვა ასეთ თავდებობ(ებ)ს ან/და უზრუნველყოფ(ებ)ს.

(თ) წერილობითი ცნობა, რომელსაც ხელს აწერს ობლიგაციონერების სათანადოდ უფლებამოსილი პირი/ოფიცერი, წარმოადგენს საბოლოო მტკიცებულებას თავდებთა წინააღმდეგ იმ თანხის შესახებ, რომელიც დროდადრო მართებთ თავდებებს ობლიგაციონერების წინაშე ამ თავდებობის საფუძველზე თავდებთა წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი დავის ან წარმოებისას.

(ი) ეს გარანტია ძალაშია და სავალდებულოა თავდებთათვის და მოქმედებს უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების უპირობოდ და შეუქცევადად სრულად დაფარვამდე..

(კ) წინამდებარე თავდებობა გამოუხმობადია და თავდებთა ვალდებულებები არ უნდა იყოს პირობადადებული თავდებთა ან ემიტენტის მიერ წინასწარი შეტყობინების მიღებაზე; და ობლიგაციონერების მოთხოვნა ან შეტყობინება ჩაითვლება სათანადო მოთხოვნად ან შეტყობინებად თავდებ(ებ)ისთვის.

მუხლი IV – თავდების მოვალეობები

პუნქტი 4.01 თავდებობის გაფორმება და მოქმედება

(ა) თავდებები ხელს მოაწერენ, შეასრულებენ, გადასცემენ და წარადგენენ ყველა დოკუმენტს და განახორციელებენ ნებისმიერ შემდგომ მოქმედებას, როგორც ამას მოითხოვს ქვეყნის კანონმდებლობა ან ობლიგაციონერები (გონივრულად მოქმედებისას) თავდებობის სათანადოდ გაფორმების მიზნებისათვის, ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) ამ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა საფასური ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება ემიტენტს.

(გ) როგორც „პროსპექტით“ გათვალისწინებული ნებისმიერი და ყველა პირობა, ასევე, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ნებისმიერი და ყველა პირობა, უფლება და ვალდებულება სრულად ვრცელდება

როგორც თავდაპირველ, ისე ნებისმიერ შემდგომ ობლიგაციონერზე, რომელმაც მოიპოვა/მოიპოვებს საკუთრებას ობლიგაციებზე.

(დ) წინამდებარე „ხელშეკრულების“ კრედიტორს წარმოადგენს ის კრედიტორ(ებ)ი, რომელიც დროის შესაბამის მომენტში ფლობს ობლიგაციებს.

მუხლი V – აღსრულება პუნქტი

5.01 აღსრულების უფლება

(ა) თითოეულ ობლიგაციონერს, ცალკე ან/და სხვა ობლიგაციონერთან ერთად, უფლება აქვს მიმართოს ნებისმიერ თავდებს უზრუნველყოფილი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის მოთხოვნით, ნებისმიერ დროს, მას შემდეგ, რაც მოხდება დეფოლტის შემთხვევა, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ობლიგაციონერი, რომელიც აპირებს მიმართოს თავდებს (შემდგომში „აღმასრულებელი ობლიგაციონერი“), სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას ყოველთვის უნდა დაემორჩილოს წინამდებარე ხელშეკრულების და პროსპექტის პირობებს (შემდგომში „შეტყობინება აღსრულების შესახებ“).

(ბ) სოლიდარული თავდებობა თავის თავში მოიაზრებს ობლიგაციონერების უფლებას თითოეულ ან ყველა თავდებს წაუყენონ მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ (ემიტენტმა) გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ან/და მისი გადახდისუუნაროობა აშკარაა ან/და დადგა დეფოლტის შემთხვევით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

პუნქტი 5.02 აღსრულების ღონისძიება

(ა) აღმასრულებელი ობლიგაციონერის პირველი მოთხოვნით, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, თავდები აღსრულების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოფს უზრუნველყოფილი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვას, აღსრულების შესახებ შეტყობინების შესაბამისად.

(ბ) თავდებმა უნდა შეასრულოს უზრუნველყოფილი ვალდებულებები იმისდა მიუხედავად, ობლიგაციონერებმა გამოიყენეს თუ არა ან შეეცადნენ თუ არა გამოეყენებინათ ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მათი უფლებები.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ დადგა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა და ემიტენტი ნებაყოფლობით არ ასრულებს ობლიგაციონერ(ებ)ის მოთხოვნას, ობლიგაციონერ(ებ)ი უფლებამოსილია, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობით და ემისიის პროსპექტით დადგენილი პროცედურების დაცვით.

პუნქტი 5.03 დამატებითი სამართლებრივი საშუალებები

ზემოაღნიშნული 5.02 პუნქტით განსაზღვრული ობლიგაციონერის რომელიმე უფლების შელახვის გარეშე, დეფოლტის შემთხვევის დადგომის შემდეგ, ობლიგაციონერების შესაბამისი მოთხოვნის მიღებისთანავე, თავდებმა უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, ხელი მოაწეროს, შეასრულოს, გადასცეს და წარადგინოს ყველა დოკუმენტი, იქნება ეს ხელშეკრულება, მოწმობა, განცხადება, აქტი, მინდობილობა თუ სხვა დოკუმენტები და, ზოგადად, ითანამშრომლოს ობლიგაციონერებთან, რათა ხელი შეუწყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობლიგაციონერების უფლებების დროულად და ეფექტურად განხორციელებასა და აღსრულებას.

პუნქტი 5.04 ამონაგების გამოყენება

მხარეები აცნობიერებენ და თანხმობას აცხადებენ, რომ ნებისმიერი თანხა ან ამონაგები, რომელსაც მიიღებს თითოეული ობლიგაციონერი აღსრულების ქმედების შედეგად გაიყოფა ობლიგაციონერებს შორის ემიტენტის დაუფარავი უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების ოდენობაში მათი წილების პროპორციულად.

მუხლი VI - სხვადასხვა

პუნქტი 6.01. ხელშეკრულების ვადა

(ა) წინამდებარე ხელშეკრულება სრულ ძალას ინარჩუნებს მანამ, სანამ არ განხორციელდება უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების უპირობოდ და შეუქცევადად სრულად დაფარვა.

(ბ) უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების მხოლოდ ერთ-ერთი ობლიგაციონერის მიმართ სრულად დაფარვის შემთხვევაში, ამგვარმა ობლიგაციონერმა, ემიტენტმა და თავდებმა უნდა განახორციელონ ყველა ქმედება და ხელი მოაწერონ ნებისმიერ დოკუმენტს, რაც მოითხოვება ქვეყნის კანონმდებლობით, რათა ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შესაბამის ობლიგაციონერზე აღარ გავრცელდეს წინამდებარე ხელშეკრულება.

პუნქტი 6.02. მთლიანი ხელშეკრულება; ცვლილება და უფლებაზე უარის თქმა

(ა) წინამდებარე ხელშეკრულება და მასში მითითებული დოკუმენტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით მხარეთა სრულ ვალდებულებას, რომელიც უპირატესია და ანაცვლებს ამ გარიგებასთან დაკავშირებით ადრე გამოხატულ ნებისმიერ განზრახვას ან შეთანხმებას ამ ტრანზაქციასთან დაკავშირებით. ობლიგაციონერების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ პირობაზე უარის თქმა ან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ობლიგაციონერების მიერ თანხმობის გაცემა (წინამდებარე 6.02 პუნქტის ჩათვლით) უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მას ხელს უნდა აწერდნენ ობლიგაციონერები.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულებაში არაარსებითი (არამატერიალური) ცვლილების შეტანა არ საჭიროებს ობლიგაციონერების თანხმობას და ასეთი ცვლილება მიიჩნევა ძალაში შესულად, თუკი იგი ხელმოწერილია ემიტენტის და თავდებების მიერ, თუმცა ცვლილებების შესახებ უნდა მოხდეს ობლიგაციონერების ინფორმირება. წინამდებარე პუნქტით განხორციელებული ცვლილებების შესახებ შეტყობინება უნდა განხორციელდეს პროსპექტის „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ 1.7. პუნქტით დადგენილი წესით, და ემიტენტი აღნიშნული 1.7. პუნქტით დადგენილი სუბიექტების შეტყობინებას განახორციელებს ცვლილებების განხორციელებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

(გ) წინამდებარე ხელშეკრულებაში არსებითი (მატერიალური) ცვლილებების შეტანა საჭიროებს ობლიგაციონერების თანხმობასაც, რომელთან დაკავშირებული პროცედურაც განისაზღვრება პროსპექტის „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ 1.8.(ა).(i). პუნქტით.

პუნქტი 6.03. შეტყობინებები

(ა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ან მასთან დაკავშირებით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა ან კორესპონდენცია უნდა განხორციელდეს წერილობით. ნებისმიერი ასეთი შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა კომუნიკაცია შეიძლება გადაეცეს მხარეს ხელით, საჰაერო ფოსტით, ელექტრონული ფოსტით (იმ პირობით, რომ ელ. ფოსტის მიწოდება დამოწმებულია შესაბამისი ელექტრონული საშუალებებით) ან დადგენილი საკურიერო სერვისით, ასეთი მხარის იმ მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც მითითებულია ქვემოთ ან სხვა ისეთ მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე, რომელსაც ასეთი მხარე შეატყობინებს შეტყობინების გამგზავნ მხარეს და ძალაში იქნება მიღებისთანავე.

მხარეები აცხადებენ, რომ გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლებელია შეიცვალოს ობლიგაციონერი, თავდებების მხრიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ობლიგაციონერისთვის შეტყობინების მიწოდება მოხდება ემიტენტისთვის მიმართვის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ იმოქმედებს პროსპექტით გათვალისწინებული/დადგენილი წესების შესაბამისად.

(ბ) ყველა დოკუმენტი, რაც იყო მიწოდებული და შეტყობინება, რომელიც გაიგზავნება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ობლიგაციონერისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად წარსადგენი ორიგინალი დოკუმენტი ან გასაგზავნი შეტყობინება შედგენილია ქართული ენის გარდა სხვა ენაზე, ასეთი დოკუმენტს ან შეტყობინებას თან უნდა დაერთოს დამოწმებული ქართული თარგმანი. თითოეული ობლიგაციონერი უფლებამოსილია მოითხოვოს ემიტენტის ხარჯზე ქართულად თარგმნა იმ ნებისმიერი დოკუმენტის ან შეტყობინების, რომელიც მას სხვა ენაზე მიაწოდეს. ობლიგაციონერი უფლებამოსილია ჩათვალოს ნებისმიერი ასეთი ქართული თარგმანი უპირატესი ძალის მქონედ ობლიგაციონერებსა და თავდებებს შორის ურთიერთობაში.

პუნქტი 6.04. ენა

წინამდებარე ხელშეკრულება შესრულდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართულენოვან და ინგლისურენოვან ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულენოვან დოკუმენტს.

პუნქტი 6.05. უფლებები, სამართლებრივი საშუალებები და უფლებებზე უარის თქმა

(ა) თავდების მიერ არასწორი განცხადების გაკეთებასთან ან თავდებობის დარღვევასთან დაკავშირებით ობლიგაციონერების უფლებებსა და სამართლებრივ საშუალებებზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს ობლიგაციონერების მიერ ან მათი სახელით თავდების საქმეების გამოძიება, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმება ან შესრულება ან ნებისმიერი სხვა ქმედება ან ნებისმიერი სხვა რამ, რაც შეიძლება განხორციელდეს ობლიგაციონერების მიერ ან მათი სახელით წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და რომელმაც, წინამდებარე პუნქტის გარდა, შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ამგვარ უფლებებსა და სამართლებრივ საშუალებებზე.

(ბ) ობლიგაციონერების რაიმე ქმედება ან წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი უფლების, უფლებამოსილების ან სამართლებრივი საშუალების განუხორციელებლობა ან განხორციელების დაყოვნება, უარყოფით გავლენას არ მოახდენს ნებისმიერ ასეთ უფლებაზე, უფლებამოსილებაზე ან სამართლებრივ საშუალებაზე, არ განიმარტება ასეთ უფლებაზე, უფლებამოსილებაზე ან სამართლებრივ საშუალებაზე უარის თქმად ან აღნიშნულზე თანხმობის განცხადებად. ნებისმიერი ასეთი უფლების, უფლებამოსილების ან სამართლებრივი საშუალების ერთჯერადი ან ნაწილობრივი განხორციელება არ გამორიცხავს ასეთი უფლების, უფლებამოსილების ან სამართლებრივი საშუალების ნებისმიერ სხვა ან დამატებით გამოყენებას, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა უფლების, უფლებამოსილების ან სამართლებრივი საშუალების განხორციელებას. ობლიგაციონერების რაიმე ქმედება ან თანხმობა ნებისმიერ ასეთ დარღვევასთან დაკავშირებით გავლენას არ მოახდენს ან არ შეამცირებს ობლიგაციონერების რაიმე უფლებას, უფლებამოსილებას ან სამართლებრივ საშუალებას ნებისმიერ სხვა დარღვევასთან მიმართებით.

(გ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და სამართლებრივი საშუალებები არის კუმულატიური და არ გამორიცხავს სხვა უფლებებს ან სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც მინიჭებულია მარეგულირებელი კანონმდებლობით ან სხვაგვარად

პუნქტი 6.06 მარეგულირებელი კანონმდებლობა

წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

პუნქტი 6.07 დავათა გადაწყვეტა

თავდებები ცალსახად თანხმდებიან, რომ ნებისმიერი პრეტენზია, დავა ან ნებისმიერი სახის შეუთანხმებლობა, რომელიც წარმოიქმნება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ან მასთან დაკავშირებით (მათ შორის, პრეტენზია, დავა ან შეუთანხმებლობა ამ ხელშეკრულების არსებობასთან, მოქმედების ან შეწყვეტასთან დაკავშირებით) უნდა მიემართოს და გადაწყდეს საქართველოს საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ (კომპეტენტურ სასამართლოდ ჩაითვლება თბილისის საქალაქო სასამართლო). პუნქტი

6.08. სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები

(ა) წინამდებარე ხელშეკრულება ბოჭავს და შესაბამისი უფლებები ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა, ასევე, ობლიგაციონერთა სამართალმემკვიდრეებზე და უფლებამონაცვლეებზე.

(ბ) თავდებებს არ აქვთ უფლება, დათმონ და გადასცენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მათი უფლებები და მოვალეობები ობლიგაციონერთა წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

(გ) თითოეული ობლიგაციონერი უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ნებისმიერ მესამე პირს, ემიტენტის ან რომელიმე თავდების ან დანარჩენი

ობლიგაციონერების დამატებითი თანხმობის მოპოვების გარეშე. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმომწერები ცალსახად და გამოუხმობად აცხადებენ და აცნობიერებენ თითოეული ობლიგაციონერის ამგვარ უფლებას.

პუნქტი 6.09. სოლიდარული თავდებობის გადასვლა მოთხოვნის დათმობისას

(ა) თავდებები აცხადებენ, ადასტურებენ და აზუსტებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ობლიგაციონერის მიერ მოხდება ობლიგაციების გასხვისება სხვა პირზე (ანუ ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნის დათმობა), და, ასევე, ობლიგაციების ყოველი მომდევნო გასხვისების შემთხვევაში, ახალ მფლობელზე/ობლიგაციონერზე (შემდგომში „ახალი ობლიგაციონერი“) სრულად გადადის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალება (სოლიდარული თავდებობა) და სხვა როგორც უფლებები, ასევე ვალდებულებები. შესაბამისად, ობლიგაციების შეძენით ახალი ობლიგაციონერი სრულად შეიძენს პროსპექტიდან და წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამოდინარე ობლიგაციონერის ნებისმიერ და ყველა უფლებას, და თავდებები პასუხისმგებლები იქნებიან, სრულად განახორციელონ პროსპექტიდან და ხელშეკრულებიდან გამოდინარე თავისი ვალდებულებები ახალი ობლიგაციონერის მიმართ. ამასთან, „ობლიგაციების“ თითოეული შემძენი (მათ შორის, შეუზღუდავად, როგორც „ობლიგაციონერი“, რომელიც პირველადი განთავსებით შეიძენს „ობლიგაციებს“, ისე ნებისმიერი შემდგომი შემძენი (მეორად ბაზარზე) „ობლიგაციების“ შეძენით ავტომატურად ეთანხმება შესაბამისი „თავდებობის ხელშეკრულების“ პირობებს და თითოეულ „ობლიგაციონერზე“ (მათ შორის, შეუზღუდავად, როგორც „ობლიგაციონერზე“, რომელიც პირველადი განთავსებით შეიძენს „ობლიგაციებს“, ისე ნებისმიერ შემდგომ შემძენზე) შესაბამისი „თავდებობის ხელშეკრულების“ მოქმედება გავრცელდება სრულად ისე, როგორც პროსპექტის სხვა ნებისმიერი პირობა.

(ბ) ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პროსპექტისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თავდებები აცხადებენ, რომ ახალ ობლიგაციონერზე ობლიგაციების გასხვისების, ობლიგაციებიდან გამომდინარე და მათთან დაკავშირებული მოთხოვნების დათმობისა და ახალი ობლიგაციონერის მიერ სრულად შეძენის დადასტურების მიზნებისთვის საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს შესაბამისი ანგარიშის მწარმოებლის მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერი, რომელშიც ასახულია ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთი, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს საკუთრების უფლებას შესაბამის ობლიგაციებზე.

პუნქტი 6.10 ეგზემპლარები

(ა) წინამდებარე ხელშეკრულებაზე მხარეები ხელს აწერენ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან მატერიალური სველი ხელმოწერით (მარტივი წერილობითი ფორმით). მხარეები აცხადებენ თანხმობას და ადასტურებენ, რომ მხარის (მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის) მიერ წინამდებარე დოკუმენტზე შესრულებულ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას გააჩნია წერილობითი/მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

(ბ) თითოეული თავდები ხელს მოაწერს, შეასრულებს, გადასცემს და წარადგენს ნებისმიერ და ყველა დოკუმენტს, და განახორციელებს ნებისმიერ და ყველა ქმედებას, რომელიც აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების სათანადოდ გასაფორმებლად და მასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების განსახორციელებლად.

(გ) მანამ, სანამ ობლიგაციები სრულად არ იქნება დაფარული/გაუქმებული, წინამდებარე ხელშეკრულება (მისი ხელმოწერილი ვერსია) ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულად, შემდეგ ვებ-გვერდის მისამართზე: https://tegeta.ge/publications

(დ) იმ შემთხვევაში, თუკი რამდენიმე თავდებს/ემიტენტს წარმოადგენს ერთი და იგივე პირი, აღნიშნული პირის მიერ ერთხელ განხორციელებული ხელმოწერით ჩაითვლება, რომ ხელს აწერს ყველა წარმოდგენილი პირის სახელით. ზემოაღნიშნულის დასტურად, მხარეებმა, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას ზემოთ პირველად მითითებულ თარიღზე.

(ბ) თავდებობის ხელშეკრულების დადება

ყოველი შესაბამისი „თავდებობის ხელშეკრულება“ გაფორმდება თითოეული ტრანშის ფარგლებში, „ობლიგაციების“ განთავსების თარიღზე ან ამ თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში და ხელს მოაწერს „ემიტენტი“ და „გარანტორები“. ამასთან, „ობლიგაციების“ თითოეული შემძენი (მათ შორის, შეუზღუდავად, როგორც „ობლიგაციონერი“, რომელიც პირველადი განთავსებით შეიძენს „ობლიგაციებს“, ისე ნებისმიერი შემდგომი შემძენი (მეორად ბაზარზე) „ობლიგაციების“ შეძენით ავტომატურად ეთანხმება შესაბამისი „თავდებობის ხელშეკრულების“ პირობებს და თითოეულ „ობლიგაციონერზე“ (მათ შორის, შეუზღუდავად, როგორც „ობლიგაციონერზე“, რომელიც პირველადი განთავსებით შეიძენს „ობლიგაციებს“, ისე ნებისმიერ შემდგომ შემძენზე) შესაბამისი „თავდებობის ხელშეკრულების“ მოქმედება გავრცელდება სრულად ისე, როგორც „პროსპექტის“ სხვა ნებისმიერი პირობა.

დამატებით, „ემიტენტი“ აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ „თავდებობის ხელშეკრულება“ ძალაში დარჩება „თავდებობის ხელშეკრულებით“ უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულებამდე/„ობლიგაციების“ სრულად გაუქმებამდე/დაფარვამდე. ხელმოწერილი და ძალაში შესული „თავდებობის ხელშეკრულება“ ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://tegeta.ge/publications

(გ) თავდებობის დაფარვის პირობა

„ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ თითოეული იმ ფინანსური პერიოდის ბოლო თარიღზე, რომლისთვისაც მზადდება და ქვეყნდება ყოველწლიური ან ნახევარწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, როგორც ეს განსაზღვრულია „პირობებში“ [1.2(ზ.1)] („ფინანსური ინფორმაცია“) (შემდგომში **„თავდებობის შემოწმების თარიღი“**):

i. „გარანტორთა“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივები, შიდაჯგუფური ელიმინაციის შემდეგ, რომლებიც დადგენილია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად, შეადგენს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების ოთხმოცდახუთ პროცენტს (85%) ან მეტს, რომელიც დადგენილია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „გარანტორთა“ საბალანსო უწყისისა და „ჯგუფის“ კონსოლიდირებული უწყისზე მითითებით, „თავდებობის შემოწმების თარიღზე“; და

ii. „გარანტორთა“ კონსოლიდირებული EBITDA რომელიც დადგენილია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად, შეადგენს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული EBITDA-ს ოთხმოცდახუთ პროცენტს (85%) ან მეტს (რომელიც დადგენილია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ პერიოდისთვის, რომელიც სრულდება „თავდებობის შემოწმების თარიღზე“, „გარანტორთა“ მოგება-ზარალის ანგარიშისა და „ჯგუფის“ კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშზე მითითებით; და

iii. „გარანტორთა“ კონსოლიდირებული შემოსავალი, რომელიც დადგენილია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად, წარმოადგენს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული შემოსავლის არანაკლებ ოთხმოცდახუთ პროცენტს (85%) რომელიც დადგენილია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ შესაბამისი პერიოდისთვის, რომელიც სრულდება „თავდებობის შემოწმების თარიღზე“ და განისაზღვრება „გარანტორთა“ მოგება-ზარალის ანგარიშისა და „ჯგუფის“ კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშზე მითითებით.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესრულება უნდა შემოწმდეს ნახევარწლიურად, „ჯგუფის“ უახლესი, გამოქვეყნებული აუდირებული (წლიური პერიოდის შემთხვევაში) ან არააუდირებული (ნახევარწლიური პერიოდის შემთხვევაში) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ, ასეთი ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდეგ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებელი (კონსოლიდირებული შემოსავალი, კონსოლიდირებული წმინდა აქტივები ან კონსოლიდირებული EBITDA) დაეცემა 85%-იან ზღვარზე ნაკლებ დონეზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი გამოქვეყნების თარიღიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ ერთი ან რამდენიმე დამატებითი შვილობილი კომპანია შეუერთდეს „თავდებობის ხელშეკრულებას“ „გარანტორის“ სტატუსით, ისე რომ აღდგეს ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულება.

გარდა ამისა, „გამოშვების თარიღის“ შემდგომ, თუ რომელიმე „შვილობილი კომპანია“, რომელიც რეგისტრირებულია ან სხვაგვარად შექმნილია „გამოშვების თარიღის“ შემდეგ, ან თუ ის ადრე არ იყო „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანია“, მაგრამ გამოშვების თარიღის შემდეგ გახდება „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანია“, „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ აღნიშნული შვილობილი კომპანია შეუერთდეს „თავდებობის ხელშეკრულებას“ „გარანტორის“ სტატუსით, ასეთი სტატუსის მინიჭების შესახებ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

თითოეული ასეთი შეერთება განხორციელდება „თავდებობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად და უნდა ახლდეს „ობლიგაციონერებისათვის“ წარმოდგენილი ყველა კორპორატიული ავტორიზაცია, სამართლებრივი დასკვნა და სხვა დოკუმენტაცია, რაც გონივრულად არის მოთხოვნილი აღნიშნული შეერთების დასადასტურებლად.

(დ) თავდებობისგან გათავისუფლება

„გარანტორის“ მიერ გაცემული „თავდებობისგან“ გათავისუფლება მოხდება და „ობლიგაციონერები“ ვალდებულნი იქნებიან ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტს, რათა განხორციელდეს ასეთი გათავისუფლება:

i. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი „გარანტორი“ გასხვისდება გადაცემის/გაყიდვის გზით, იმგვარად, რამდენადაც ნებადართულია წინამდებარე პირობებით;

ii. იმ ფარგლებით, რაც ნებადართულია (პირობა 1.8) („ობლიგაციონერთა კრება“) და წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად,

იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული (i) და (ii) ქვეპუნქტების შემთხვევაში, ასეთი გათავისუფლების *pro forma* ეფექტის გათვალისწინებით, შესრულებული უნდა იყოს თითოეული ტესტი, რაც განსაზღვრულია 1.1(გ) პირობით, შესაბამის „თავდებობის შემოწმების თარიღზე“, და *დამატებით იმ პირობით, რომ* თითოეული დარჩენილი „გარანტორი“ თანხმობას აცხადებს, „ობლიგაციონერთათვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით, „გარანტორის“ გათავისუფლებაზე და „ობლიგაციების“ თავდებობაზე სოლიდარულ საფუძველზე დარჩენილ „გარანტორებთან“ ერთად, და ადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არანაირი მოთხოვნა აღნიშნულ „გარანტორის“ გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

(ე) თავდებობის ხელშეკრულების მოქმედება

როგორც „პროსპექტით“ გათვალისწინებული ნებისმიერი და ყველა პირობა, ასევე „თავდებობის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ნებისმიერი და ყველა პირობა, უფლება და ვალდებულება სრულად ვრცელდება როგორც თავდაპირველ, ისე ნებისმიერ შემდგომ „ობლიგაციონერზე“, რომელმაც მოიპოვა ან/და მომავალში გახდება შესაბამისი „ობლიგაციების“ მესაკუთრე. „პროსპექტსა“ და „თავდებობის ხელშეკრულებას“ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება „პროსპექტს“.

ზემოაღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებული დამატებითი კითხვების შემთხვევაში, „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ პირდაპირ დაუკავშირდნენ როგორც „განთავსების აგენტს“, ისე „ემიტენტს“.

1.2. ვალდებულებები

(ა) უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა:

მანამ, სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ რჩება „გადასახდელი“, „ემიტენტმა“ არ უნდა დაუშვას, და უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილმა კომპანიებმა“ არ დაუშვან, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რაიმე „უზრუნველყოფის საშუალების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) შექმნა ან წარმოშობა, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფისა“, „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიების“ არსებულ ან მომავალში შეძენილ აქტივებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ნებისმიერ „ფინანსურ ვალდებულებას“.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, ავტორიზაციების შენარჩუნება და იურიდიული ძალა

„ემიტენტმა“ თავად და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა თითოეულმა „შვილობილმა კომპანიამ“ განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რომ უზრუნველყოს მისი კორპორაციული არსებობა და საქმიანობის გაგრძელება და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა არსებითი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება, ასევე მოიპოვოს ყველა საჭირო თანხმობა, ლიცენზია, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა“ თავად და უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულმა „გარანტორმა“ (საჭიროების შემთხვევაში) განახორციელოს ყველა ქმედება, რაც აუცილებელია ყველა ავტორიზაციის, დადასტურების, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდიული ძალის შესანარჩუნებლად და მიიღოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობითა და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ და „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს „ობლიგაციების“, წინამდებარე „პროსპექტისა“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(გ) შერწყმა

(i) „ემიტენტმა“, „ობლიგაციონერთა“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ უნდა:

(x) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით); ან

(y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შერწყას რამდენიმე კომპანია; ან

(z) ერთ ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ტრანზაქციაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გაყიდოს, გაასხვისოს, გადასცეს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს „ემიტენტის“ მთლიანი ან არსებითად მთელი კონსოლიდირებული ქონება ან აქტივები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(ა) ზემოთ (x), (y) ან (z) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე: წარმოქმნილი/გადარჩენილი ან დარჩენილი პირი, ან მიმღები/ქონების მიმღები („**უფლებამონაცვლე პირი**“) იქნება „ემიტენტი“, ან, ასეთი „უფლებამონაცვლე პირი“, თუ ის არ არის „ემიტენტი“, სრულად და გაცხადებულად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ უფლებებსა და ვალდებულებებს; და

(ბ) ზემოთ (x), (y) ან (z) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე „უფლებამონაცვლე პირი“ (თუ არა - „ემიტენტი“) შეინარჩუნებს ან მიიღებს „ემიტენტის“ ყველა უფლებასა და ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს ყველა სამთავრობო ნებართვიდან, ლიცენზიიდან, თანხმობიდან და ავტორიზაციიდან, და დაიცავს ყველა შესაბამის მარეგულირებელ მოთხოვნას თითოეულ იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს; და

(გ) ასეთი ტრანზაქციის შედეგად არ უნდა დამდგარიყო და არ უნდა გრძელდებოდეს ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“; და

(დ) ზემოთ (x), (y) ან (z) ქვეპუნქტში მითითებულ შესაბამის ტრანზაქციას არ უნდა ჰქონდეს არსებითად უარყოფითი გავლენა „ემიტენტის“ ან „უფლებამონაცვლე პირის“ უნარზე დროულად შეასრულოს „ობლიგაციების“ ან ნებისმიერი სხვა „ფინანსური ვალდებულების“ ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებები, ან „კომპანიის“ ბიზნესის, ოპერირების, საკუთრების ან/და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ii) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ „ობლიგაციების მფლობელთა“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არცერთმა „შვილობილმა კომპანიამ“ არ უნდა:

(x) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით); ან

(y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შერწყას რამდენიმე კომპანია; ან

(z) ერთ ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ტრანზაქციაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გაყიდოს, გაასხვისოს, გადასცეს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს „შვილობილი კომპანიის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(ა) ზემოთ (x), (y) ან (z) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე წარმოქმნილი ან დარჩენილი პირი ან მიმღები/ქონების მიმღები („უფლებამონაცვლე პირი“) იქნება „შვილობილი კომპანია“; და

(ბ) ზემოთ (x), (y) ან (z) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე „უფლებამონაცვლე პირი“ (თუ ის არ არის „შვილობილი კომპანია“) შეინარჩუნებს ან მიიღებს „შვილობილი კომპანიის“ ყველა უფლებასა და ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს ყველა არსებითი სამთავრობო ნებართვიდან, ლიცენზიიდან, თანხმობიდან და ავტორიზაციიდან, და დაიცავს ყველა შესაბამის მარეგულირებელ მოთხოვნას თითოეულ იმ იურისდიქციაში, სადაც ოპერირებს; და

(გ) აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დამდგარიყო და არ უნდა გრძელდებოდეს ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“; და

(დ) ზემოთ (x), (y) ან (z) ქვეპუნქტში მითითებულ შესაბამის ტრანზაქციას არ ექნება არსებითად უარყოფითი გავლენა „ემიტენტის“ ან „უფლებამონაცვლე პირის“ უნარზე დროულად შეასრულოს ამ „ობლიგაციების“ ან ნებისმიერი სხვა „ფინანსური ვალდებულების“ ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებები, ან „კომპანიის“ ბიზნესის, ოპერირების, საკუთრების ან ფინანსურ მდგომარეობაზე; და

(iii) (ე)ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი „შვილობილი კომპანია“ ამავდროულად წარმოადგენს „გარანტორს“, „უფლებამონაცვლე პირი“ იკისრებს მათ შორის „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებებს.განურჩევლად ზემოთქმულისა, „ემიტენტი“ უფლებამოსილია შეერწყას ნებისმიერ „შვილობილ კომპანიას“ ან განახორციელოს ნებისმიერი სახის რეორგანიზაცია საკუთარი ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მონაწილეობით, მათ შორის კონსოლიდირება ან შერწყმა, გაყოფა ან დაყოფა, ან ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ,,ემიტენტის“ ან „შვილობილი კომპანიის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა, თუ უფლების მიმღები/ქონების მიმღები არის შვილობილი კომპანია“ ან „ემიტენტი“ იმ პირობით, რომ ნებისმიერი გადარჩენილი ან შემძენი პირი/ქონების მიმღები, მიუხედავად იმისა არის თუ არ არის „ემიტენტი“ ან მოქმედი „გარანტორი“, პირდაპირ იკისრებს ყველა ვალდებულებას „ობლიგაციებთან“ და/ან „თავდებობის ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით.

(დ) განკარგვები:

(i) თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „წესებითა და პირობებით“ და „პირობების“ 1.2(გ) პუნქტის („შერწყმა“) დებულებების შეუზღუდავად, არც „ემიტენტმა“ თავად და უნდა უზრუნველყოს, რომ არც მისმა „შვილობილმა კომპანიებმა“, ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში, თავიანთ შემოსავლებს ან აქტივებს მთლიანად ან ნაწილობრივ არ უნდა გაყიდონ, არ გადასცენ, არ გასცენ იჯარით ან სხვაგვარად არ განკარგონ ნებისმიერ „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“ ან „ემიტენტის“ ნებისმიერი „შვილობილი კომპანიისა“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

(ა) თითოეული ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება საბაზრო პირობებით და „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“;
(ბ) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან დაკავშირებით, სადაც ღირებულება წარმოადგენს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების [25]%-ს ან/და ნებისმიერ ტრანზაქციას „აფილირებულ პირთან“ დაკავშირებით, „ემიტენტი“ განხორციელებამდე უზრუნველყოფს „ობლიგაციონერების“ „დამოუკიდებელი შემფასებლის“ მიერ გაცემული წერილობითი მოსაზრებით, რომლის თანახმადაც ტრანზაქცია არის „სამართლიან საბაზრო ღირებულებით“ და ფინანსური თვალსაზრისით სამართლიანია „ემიტენტისა“ და/ან შესაბამისი „შვილობილი კომპანიისთვის“ (შესაბამისად); და

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტში მოხსენიებული ტერმინი „განკარგვა“/„განკარგვები“ თავის თავში არ მოიცავს ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალებად“ გამოყენების შემთხვევას, რაც რეგულირდება შესაბამისი განსაკუთრებული დათქმებით, რომელიც მოცემულია წინამდებარე „წესებსა და პირობებში“.

(ii) იმ შემთხვევაში, თუ „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“, რომლის დამტკიცებაც „ემიტენტმა” მოითხოვა ისეთი განკარგვისათვის, რომელიც არ შეესაბამება ზემოთ აღწერილ პრინციპებს, არ იქნება მიღებული, „ემიტენტს“ უფლება აქვს გამოისყიდოს იმ „ობლიგაციონერთა” მფლობელობაში არსებული „ობლიგაციები”, რომლებმაც აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ მისცეს ხმა. ასეთი „ობლიგაციები” „ემიტენტის მიერ იქნება შეძენილი მათი ნომინალური ღირებულების 100.5 პროცენტად, დაგროვებულ გადაუხდელ პროცენტთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და „ემიტენტმა“ დამატებით უნდა აუნაზღაუროს თითოეულ ასეთ „ობლიგაციონერს” ნებისმიერი დანაკარგი, ჰეჯირების

გაუქმების ხარჯი, ზარალი, პრემიები ან სხვა გონივრული ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა "ობლიგაციებთან" დაკავშირებული დაფინანსების ან ჰეჯირების შეთანხმებების შეწყვეტის, ცვლილების ან შენარჩუნების შედეგად.

(iii) წინამდებარე 1.2.(დ) პუნქტი არ გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

(ა) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, რომელიც ხორციელდება „ემიტენტსა" და მის ნებისმიერ „შვილობილ კომპანიას" შორის ან „ემიტენტის შვილობილ" კომპანიებს შორის, თუ „ემიტენტი" წარმოადგენს ამგვარი „შვილობილი კომპანიის" „მაჟორიტარ პარტნიორს";
(ბ) აქტივების ან ქონების (ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) ნებისმიერ გაყიდვასთან, იჯარით გაცემასთან, გადაცემასთან ან სხვაგვარ განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფას";
(გ) აქტივების იჯარით გაცემასთან, გაყიდვასთან, შექმნასთან, ყიდვასთან ან განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში; ან
(დ) ნებისმიერი ისეთი აქტივის ან შემოსავლის გაყიდვაზე, იჯარით გაცემაზე, გადაცემაზე ან სხვა ფორმით განკარგვაზე, რომელიც წარმოადგენს ბალანსზე აღირებული აქტივებით უზრუნველყოფილი დაფინანსების, სეკურიტიზაციის ან მსგავსი გარიგების საფუძველს, იმ პირობით, რომ აღნიშნული აქტივებისა ან შემოსავლების ღირებულება, „ნებადართული უზრუნველყოფას" (მაგ. ბალანსზე აღიარებული აქტივებით უზრუნველყოფილი დაფინანსება) დაქვემდებარებულ აქტივებთან ერთად, ნებისმიერ დროს არ უნდა აღემატებოდეს „ჯგუფის" კონსოლიდირებული აქტივების 25 პროცენტს, რაც განისაზღვრება ჯგუფის უახლესი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" („IFRS"-ის) მიხედვით შედგენილი კონსოლიდირებული ბალანსის საფუძველზე.

(ე) გადასახადების დაფარვა: „ემიტენტი" თავად და უზრუნველყოფს, რომ მისი „შვილობილი კომპანიები" დადგენილ ვადაში გადაიხდიან ნებისმიერ „გადასახადს", რომელიც დარიცხულია „ემიტენტის" ან მისი „შვილობილი კომპანიის" შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით. „ემიტენტს" ან მის „შვილობილ კომპანიებს" წინამდებარე „პროსპექტის" მიზნებისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა „გადასახადების" გადაუხდელობაზე, თუ:

(i) მათი ოდენობა, გამოყენებადობა ან ნამდვილობა კეთილსინდისიერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და რომლის დასაფარად შექმნილია შესაბამისი რეზერვები „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" („IFRS"-ის) შესაბამისად; ან

(ii) რომლის ოდენობა, ყველა სხვა ამგვარ გადაუხდელ „გადასახადთან" ან მსგავს მოთხოვნასთან ერთად, საერთო ჯამში არ აღემატება ჯგუფის მთლიანი აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (დაანგარიშებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" („IFRS"-ის) შესაბამისად).

(ვ.1) ფინანსური ვალდებულებები:

(i) „ემიტენტს" ეკრძალება, რომ მან („ემიტენტმა") ან/და „ემიტენტის" „შვილობილმა კომპანიებმა" აიღონ პასუხისმგებლობა ან სხვა სახით გახდნენ ვალდებულნი ნებისმიერი სახის „ფინანსურ ვალდებულებაზე", თუ:

a. ასეთი „ფინანსური ვალდებულება" გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის" ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის" დადგომას; ან

b. „გამოსყიდვის თარიღამდე", ნებისმიერი „ანგარიშგების თარიღზე", ასევე ახალი „ფინანსური ვალდებულების" აღების მომენტისათვის, „ჯგუფის" „წმინდა ფინანსური ვალდებულებების" ოდენობა (ახალი „ფინანსური ვალდებულების" გათვალისწინებით) აღემატება 6-ჯერ „EBITDA"-ს, რომელიც დათვლილია ბოლო კალენდარული წლის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" („IFRS"-ის) მიხედვით კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

*EBITDA *(Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization)* – კომპანიის საოპერაციო მოგებას *(„Operating Profit")* დამატებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი.

(ii) ზემოხსენებული ვალდებულების („ფინანსური ვალდებულებები") მიზნებისთვის, შემდეგი ვალდებულებები ნებისმიერ დროს გამოირიცხება მისი გამოთვლის ან განსაზღვრისას:

(ა) „ფინანსური ვალდებულებები” „ემიტენტსა“ და მის ნებისმიერ „შვილობილ კომპანიას” შორის, ან „ემიტენტის” „შვილობილ კომპანიებს” შორის; და

(ბ) ნებისმიერი გარანტია/თავდებობა ან ნებისმიერი მსგავსი ვალდებულება, რომელიც გაცემულია „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ მიერ „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ სასარგებლოდ;

(გ) ნებისმიერი გარანტია/თავდებობა ან ნებისმიერი მსგავსი ვალდებულება, რომელიც გაცემულია „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიერ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში;

(დ) ნებისმიერი გარანტია/თავდებობა ან ნებისმიერი მსგავსი ვალდებულება, რომელიც არ წარმოადგენს „ემიტენტის“ ჩვეულებრივ საქმიანობას, და რომლის ნომინალური ვალდებულებების ჯამი, ფაქტობრივი ან პირობითი, „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 15%-ს ქვემოთაა.

(ვ.2) მნიშვნელოვან სესხებზე დაწესებული შეზღუდვა

(i) „ემიტენტმა“ არ უნდა გასცეს და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი არცერთი „შვილობილი კომპანია“ არ გასცემს, არ მიანიჭებს ან სხვა ფორმით გასცემს სესხს ან საკრედიტო ხაზს (გარდაჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობისა) ნებისმიერ პირზე, თუ ამ გაცემის, მინიჭების ან გახანგრძლივების მომენტში (pro forma ეფექტის შემდეგ) „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილი კომპანიების“ ლევერიჯის კოეფიციენტი, როგორც ეს განსაზღვრულია ამ დოკუმენტის პირობების (ვ.1) პუნქტით („ფინანსური ვალდებულებები“), იქნება იმ დასაშვები კოეფიციენტის ზემოთ, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნულ (ვ.1) პუნქტში.

(ii) ამ მიზნებისთვის, სესხი ჩაითვლება „მნიშვნელოვნად“, თუ ერთ გარიგებაში ან ურთიერთდაკავშირებული გარიგებების სერიაში, ჯამურად იქამდე, სანამ „ობლიგაციები“ იქნება „გადასახდელი“ მისი ძირი თანხა აღემატება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული საერთო აქტივების ხუთ პროცენტს (5%), რაც განისაზღვრება „ჯგუფის“ უახლესი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც მომზადებულია და საჯაროდ გამოქვეყნებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად.

(iii) „ემიტენტმა“ უნდა ჩაატაროს და დააფიქსიროს ლევერიჯის კოეფიციენტის ტესტი ყოველ ჯერზე, როდესაც განიხილავს ნებისმიერი „მნიშვნელოვანი სესხის“ გაცემას, რისთვისაც გამოიყენებს უახლეს გამოქვეყნებულ წლიურ ან ნახევარწლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და გამოთვლას განახორციელებს *pro forma* საფუძვლით, რათა ასახოს შემოთავაზებული სესხისა და მასთან დაკავშირებული გარიგების შედეგები.

(iv) ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება: (i) სესხებზე, ავანსზე ან საკრედიტო ხაზებზე, რომლებიც გაცემულია ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში; ან (ii) „ემიტენტსა“ და მის „შვილობილ კომპანიებს“ შორის ან „ემიტენტის“ „შვილობილ კომპანიებს“ შორის შიდა „ჯგუფის“ სესხებზე.

(ზ) ფინანსური ინფორმაცია:

(i) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 მაისისა, „ობლიგაციონერებს“ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული წესით მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებს და აღნიშნული ფინანსური წლის შემოწმებული ფინანსური უწყისების ასლებს აუდიტორების შესაბამის დასკვნასთან ერთად.

(ii) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 აგვისტოს, „ობლიგაციონერებს“ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული წესით მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ კონსოლიდირებულ და შეუმოწმებელ ფინანსურ უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლებს ექვსი თვისათვის.

(iii) ყოველ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, ასევე სხვა დროსაც, როცა „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ სულ მცირე 30%-ის მფლობელი „ობლიგაციონერები“ გონივრულად მოითხოვენ ამას, „ემიტენტმა“ უნდა გადასცეს „ობლიგაციონერებს“ და „ანგარიშის მწარმოებლებს“ „ემიტენტის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი სერტიფიკატი, სადაც აღნიშნული იქნება, რომ „ემიტენტის“ ცოდნისა და რწმენის შესაბამისად, არ მომხდარა და ამჟამად არ გრძელდება არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ (ან, თუ

ასეთი შემთხვევა მოხდა, აღწერილი იქნება მისი ხასიათი და ის ნაბიჯები, რომლებიც მიღებულია პრობლემის გამოსასწორებლად) და ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს გონივრული დეტალებით და იმ ხარისხით, რამდენადაც ეს შესაძლებელია მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებებსა ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადასტურება იმისა, რომ „ემიტენტი“ სრულად იცავს ამ „პირობებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

(iv) თუ „ობლიგაციონერები“, რომლებიც ინდივიდუალურად ან ერთობლივად ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 20%-ს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „დეფოლტის პოტენციური შემთხვევა“, „ობლიგაციების მფლობელებს“ უფლება აქვთ მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ნავარაუდევ „დეფოლტის შემთხვევასთან“ ან „დეფოლტის პოტენციურ შემთხვევასთან“. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად მიაწოდოს იმ „ობლიგაციების მფლობელებსა“ და „ანგარიშის მწარმოებლებს“. ასეთი წერილობითი მოთხოვნა შეიძლება მოცემული იყოს ერთი და იმავე ფორმის ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელის“ და/ან „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ ან მათი სახელით. ასეთი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ გადაწყვეტილების ფორმით.

(თ) დაზღვევის შენარჩუნება: „ემიტენტმა“ თავად და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილმა კომპანიებმა“ უზრუნველყონ იმ დამზღვევებთან, რომელთაც, „ემიტენტის“ გონივრული შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია, ასეთი დაზღვევა, მინიმუმ, უნდა ფარავდეს ზარალის ან დაზიანების რისკებს, რომლებიც საქართველოში ჩვეულებრივ დაზღვეულია მსგავს საქმიანობაში ჩართული და მსგავსი აქტივების მფლობელი კომპანიებისთვის, და შენარჩუნებული უნდა იქნეს ისეთი მოცულობით, რისკებითა და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, რაც შეესაბამება ინდუსტრიის კეთილსინდისიერ პრაქტიკას.

(ი) კონტროლის ცვლილება: „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ „კონტროლის ცვლილება“ არ მოხდეს. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, „კონტროლის ცვლილება“ დადგება იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორები, რომლებიც წინამდებარე „პროსპექტის“ თარიღისათვის ფლობენ წილებს „კომპანიის“ კაპიტალში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის ფლობას ან სხვაგვარად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ „კონტროლს“. წინამდებარე „პირობის“ მიზნებისათვის, ჩაითვლება, რომ არსებული პარტნიორები „აკონტროლებენ“ „ემიტენტს“, თუ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კაპიტალის ფლობის, ხმის უფლების, ხელშეკრულების, ტრასტის ან სხვაგვარი მექანიზმის მეშვეობით) „არსებულ პარტნიორებს“ აქვთ უფლებამოსილება დანიშნონ და/ან გაათავისუფლონ „ემიტენტის“ დირექტორთა საბჭოს ან სხვა მმართველი ორგანოს წევრთა უმრავლესობა, ან სხვაგვარად „აკონტროლებენ“ ან უფლება აქვთ „აკონტროლონ“ „ემიტენტის“ საქმიანობა და პოლიტიკა.

(კ) გამოსაყენებელი კანონმდებლობის დაცვა: „ემიტენტი“ და მისი „შვილობილი კომპანიები“ ვალდებული არიან ნებისმიერ დროს და ყველა არსებითი ასპექტით, სრულად დაიცვან გამოსაყენებელი კანონმდებლობის ყველა დებულება, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი აქტები და რეგულაციები, რომელთა დარღვევამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე, საქმიანობაზე, ქონებაზე ან/და ფინანსურ მდგომარეობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციონერთა“ ინტერესებს.

(ლ) საქმიანობის ცვლილება: „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვალოს „ჯგუფის“ (ერთობლივად აღებული) საქმიანობის ძირითადი ხასიათი, რომელსაც იგი ახორციელებს „გამოშვების თარიღისათვის“.

(მ) რეიტინგის შენარჩუნება: „ობლიგაციების“ არსებობის განმავლობაში „ემიტენტი“ შეინარჩუნებს საკრედიტო რეიტინგს და განაახლებს მას ყოველწლიურად, მინიმუმ ერთი საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს მეშვეობით, რომელიც აღიარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევაში თუ „ემიტენტს“ მინიჭებული ექნება საკრედიტო რეიტინგი რამდენიმე სააგენტოსაგან, „კუპონის“ განაკვეთის დადგენის მიზნებისათვის უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს რეიტინგს.

(ნ) აკრძალული გადახდები:

„ემიტენტი“ არ განახორციელებს და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი თითოეული „შვილობილი კომპანია“ ასევე არ განახორციელებს: (ა) ნებისმიერი დივიდენდის ნაღდი ფულით ან სხვა ფორმით განაწილებას ან გადახდას, ან/და რაიმე სხვა სახით განაწილებას (კაპიტალის გამოსყიდვის, აქციათა შეძენის ან სხვა გზით) საკუთარი სააქციო კაპიტალის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დივიდენდები ან განაწილება გადაიხდება თავად „ემიტენტზე“ ან/და სრულად მის საკუთრებაში არსებულ რომელიმე „შვილობილ კომპანიაზე“; ან (ბ) ნებისმიერი გადახდას ან „ობლიგაციების“ შესყიდვას, გამოსყიდვას, დაფარვას ან სხვაგვარად შეიძენს ან ჩამოწერს ნებისმიერ დავალიანებას, რომელიც სახელშეკრულებო წესით სუბორდინირებულია „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადახდის უფლებაში (გარდა „ემიტენტისა“ და მის ნებისმიერ „შვილობილ კომპანიას“ შორის ან მათ შორის არსებული შიდა დავალიანებებისა) (ნებისმიერი ასეთი გადახდა და სხვა ქმედება განიხილება როგორც „**აკრძალული გადახდა**“), თუ:

(ა) ასეთი გადახდის დროს უკვე დამდგარია და გრძელდება, ან გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევას“ ან „დეფოლტის პოტენციური შემთხვევას“;
(ბ) ასეთი გადახდის დროს „DSCR“ არის 1.15-ზე ნაკლები; ან

(ო) გარიგებები „აფილირებულ პირებთან“

(i) „ემიტენტმა“ თავად და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილმა კომპანიებმა“ არ განახორციელონ და არ უნდა დაუშვან პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით რაიმე სახის საქმიანობა ან გარიგება (მათ შორის, ნებისმიერი ქონების შეძენა, გაყიდვა, განკარგვა, გადაცემა, იჯარით გაცემა, მინიჭება ან გაცვლა, ასევე მომსახურების გაწევა) რომელიმე „აფილირებულ პირთან“ ან მისი სარგებლისთვის („აფილირებულ პირთან გარიგება“), მათ შორის სესხის გაცემის ან მიღების, ინვესტიციის განხორციელების ან მსგავსი ოპერაციების ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული გარიგების პირობები (მათ შორის შესაბამისი აფილირებული პირის პოზიციის გათვალისწინებით) არის გაშლილი მკლავის პრინციპის (arm's-length) საფუძველზე და არანაკლებ ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“ ან მისი შესაბამისი „შვილობილი კომპანიისთვის“, ვიდრე ეს იქნებოდა სამართლიანი საბაზრო ღირებულებით განხორციელებულ გარიგებაში პიროვნებასთან, რომელიც არ არის „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ „აფილირებული პირი“.

(ii)ნებისმიერ ისეთ „აფილირებულ პირთან“ გარიგების შემთხვევაში, რომლის ჯამური ღირებულება ერთი გარიგების ან ურთიერთდაკავშირებული გარიგებების სერიით მოძრავი 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში აღემატება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული საერთო აქტივების 5% (ხუთ პროცენტს), როგორც ეს განისაზღვრება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS-ის) შესაბამისად მომზადებული უახლესი ფინანსური პერიოდის კონსოლიდირებული ბალანსის საფუძველზე, „ემიტენტმა“, ასეთ „აფილირებულ პირთან გარიგებაში“ შესვლამდე, უნდა მიაწოდოს „ობლიგაციონერებს“ დამოუკიდებელი შემფასებლის წერილობითი დასკვნა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული გარიგება (ან გარიგებათა სერია) განხორციელებულია „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და ფინანსური თვალსაზრისით სამართლიანია „ემიტენტის“ ან შესაბამისი „შვილობილი კომპანიის“ მიმართ.

(iii) შემდეგი მოქმედებები არ ჩაითვლება „აფილირებულ პირთან გარიგებებად” და შესაბამისად, არ ექვემდებარება ზემოთ მოცემული ქვეპუნქტების (i) და (ii) დებულებებს:

ა) ნებისმიერი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც „ჯგუფის“ წევრმა გააფორმა ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში და „ჯგუფის“ ამავე წევრის წარსულ პრაქტიკასთან თანხვედრაში;
ბ) გარიგებები „ემიტენტსა“ და მის „შვილობილ კომპანიებს“ შორის ან „ემიტენტის“ „შვილობილ კომპანიებს“ შორის;
გ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისთვის, რომლებიც არ არიან „ემიტენტის“ სხვაგვარად „აფილირებული პირები“;
დ) ნებისმიერი სუბორდინირებული სესხი ან სუბორდინირებული დაფინანსების სხვა ფორმა, რომელიც მოწოდებულია „ემიტენტის“ პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/წილის მფლობელის მიერ „ემიტენტის“ საქმიანობის დასაფინანსებლად;
ე) გარიგებები კლიენტებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებთან, მყიდველებთან ან გამყიდველებთან, ან სხვა საქონლისა თუ მომსახურების მომწოდებლებთან, აგრეთვე ქონების გამქირავებლებთან ან მოიჯარეებთან, თითოეულ შემთხვევაში საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის ფარგლებში და ისეთ პირობებზე, რომლებიც სამართლიანია ემიტენტის ან მისი შვილობილი კომპანიისთვის, ან არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე პირობები, რომლებიც გონივრულად შეიძლებოდა მიღებულიყო იმავე დროს არაფილირებულ მესამე პირთან (თითოეულ შემთხვევაში „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრული ან ფინანსური ოფიცრის კეთილსინდისიერად მიღებული შეფასების საფუძველზე).

(iv) სესხის, საკრედიტო ხაზის ან სხვა ტიპის დაფინანსების ფორმით განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქცია, რომელიც ხორციელდება „ემიტენტსა“ (ან მის რომელიმე „შვილობილ“ საწარმოს) და მის „აფილირებულ პირს“ შორის, არ საჭიროებს მესამე პირის მიერ განხორციელებულ ვერიფიკაციას ან გარე სამართლიანობის დასკვნას იმის დასადგენად, არის თუ არა აღნიშნული ტრანზაქცია გონივრულ (arm's length) პირობებზე, იმ პირობით, რომ შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი (და, საჭიროების შემთხვევაში, საკომისიოები) უდრის ან იმყოფება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პერიოდულად გამოქვეყნებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონში, რომელიც ვრცელდება ანალოგიური ვადიანობისა და ვალუტის სესხებზე

(პ) თავდებობის დაფარვის პირობა

„ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ "ჯგუფმა" ყოველთვის დაიცვას ამ "პირობების" 1.1(გ) პუნქტით გათვალისწინებული თავდებობის დაფარვის პირობა.

1.3. ობლიგაციების ვადამდელი დაფარვისა და გამოსყიდვის ვარიანტები

(ა) „ემიტენტს“ არ აქვს უფლება დაფაროს „ობლიგაციები“ „ობლიგაციების“„გამოშვების თარიღიდან“ 1 (ერთი) წლის განმავლობაში, „გამოშვების თარიღიდან“ 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ, ნებისმიერ დროს „ემიტენტი“ უფლებამოსილია დაფაროს „ობლიგაციები“ პროპორციის დაცვით, სრულად ან ნაწილობრივ იმ ფასად (Call Price), რაც უდრის „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 100%-ს, დამატებული დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (არსებობის შემთხვევაში) ვადამდელი გამოსყიდვის თარიღამდე (აღნიშნული თარიღის გამოკლებით). ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ვადამდელი დაფარვისა და გამოსყიდვის უფლება „ემიტენტს“ ექნება მხოლოდ იმ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელთა ვადიანობაც განისაზღვრება 1 (ერთი) წელზე მეტი პერიოდით.

(ბ) „კომპანიის“ მიერ აღებული „ძირითადი სესხების“ რეფინანსირების (ვადამდე დაფარვის) შემთხვევაში (გარდა იმ რეფინანსირებისა, რომელიც გამოწვეულია „ობლიგაციების“ გამოშვებით), იმ „ობლიგაციონერ(ებ)ს“, რომლის საკუთრებაში ინდივიდუალურად ან ერთობლივად არის ჯამური ძირითადი თანხის არანაკლებ 30%, ექნება უფლება (მაგრამ არა ვალდებულება) (შემდგომში „**სავალდებულო გამოსყიდვა**“) მოითხოვოს „ემიტენტისგან“ საკუთარი „ობლიგაციების“ გამოსყიდვა სრულად ან ნაწილობრივ, ხოლო „ემიტენტი“ ვალდებული იქნება გამოისყიდოს ასეთი „ობლიგაციები“ მისი ძირითადი თანხის 100%-ად, რომელსაც დაემატება შესაბამის დროს დარიცხული პროცენტი („**კუპონი**“) [სავალდებულო გამოსყიდვის] თარიღამდე. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის „ძირითადი სესხები“ ნიშნავს: (i) „კომპანიის“ ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მთლიანი დავალიანების 50%-ს ან მეტს.

1.4. საპროცენტი სარგებელი

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

თუ არ იქნა ვადამდე გამოსყიდული/გაუქმებული/დაფარული წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, თითოეულ „ობლიგაციას“ ერიცხება 6 (ექვს) ან 3 (სამ) ან 1 (ერთ) თვეში ერთხელ („საბოლოო შეთავაზების პირობების“ შესაბამისად) (პერიოდის ბოლოს) გადასახდელი საპროცენტო სარგებელი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად განსაზღვრულ კონკრეტულ თარიღებში. ამ „პირობებში“ გათვალისწინებული თითოეული პროცენტის გადახდის თარიღი შემდგომში მოიხსენიება, როგორც „**პროცენტის გადახდის თარიღი**“.

"ობლიგაციებზე“ შეწყდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა „დაფარვის თარიღის“ დადგომისას (ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, საპროცენტო სარგებელი აღარ დაირიცხება „დაფარვის თარიღზე“), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება, რომ არასამართლიანად ხდება „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის დაბრუნების ხელის შეშლა ან უარყოფა. ამ შემთხვევაში, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა არ შეწყდება, არამედ გაგრძელდება მანამ, სანამ (i) ფაქტობრივად მოხდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვა ან (ii) შეტყობინება გაიგზავნება „ობლიგაციონერებთან“ იმის შესახებ, რომ გამოსყიდვისთვის საჭირო თანხები გადაეცა „გადახდის და კალკულაციის აგენტს“ ან „დეპოზიტარს“, რომელიც ამ ორი პირობიდან უფრო ადრე მოხდება"

თუ პროცენტის დათვლა ხდება „საპროცენტო პერიოდზე“ (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მოხდება წელიწადში 360 დღის საფუძველზე (აშშ დოლარში ან ევროში ან ლარში დენომინირებული ობლიგაციების შემთხვევაში).

პერიოდი „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად), და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად) მიიჩნევა „**საპროცენტო პერიოდად**“.

(ბ) ანგარიშსწორება და პროცენტის გადახდა:

„ობლიგაციის“ „ძირითადი თანხა“ და მასზე დარიცხული პროცენტი გადახდილი უნდა იყოს იმ „ობლიგაციონერებისთვის“, რომელთაც აქვთ შესაბამისი საკრედიტო ნაშთი ინვესტორის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე, რომელიც გახსნილია „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გადახდის ვადამდე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე, შესაბამისი დღის 18:00 საათის მდგომარეობით („სააღრიცხვო თარიღი“).

ქართულ ლარში გამოშვებული ფასიანი ქაღალდისთვის გადახდები განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში საბანკო გადარიცხვით იმ „ობლიგაციონერების“ საბანკო ანგარიშებზე, რომელთაც აქვთ შესაბამისი საკრედიტო ნაშთი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე, რომელიც გახსნილია „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ „სააღრიცხვო თარიღის“ მდგომარეობით.

უცხო ვალუტაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდისთვის გადახდები განხორციელდება შესაბამის ვალუტაში პროცენტის გადახდის თარიღზე „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მიერ, „ობლიგაციონერებისა“ და „ანგარიშის მწარმოებლის“ სასარგებლოდ, მათ საბროკერო ან საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადახდების განხორციელება „დეპოზიტარის“ მეშვეობით განხორციელდება.

იმ „ობლიგაციონერებს“, რომელთაც აქვთ შესაბამისი საკრედიტო ნაშთი „ინვესტორის“ ანგარიშზე, რომელიც გახსნილია „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“, უნდა უზრუნველყონ, რომ „ანგარიშის მწარმოებელს“ და/ან „დეპოზიტარს“ ჰქონდეს განახლებული, სრული და სწორი ინფორმაცია მათი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების შესახებ, რომელზეც უნდა განხორციელდეს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადახდა. არც „ემიტენტი“, არც „დეპოზიტარი“, არც „ანგარიშის მწარმოებელი“ და არც „გადახდის და კალკულაციის აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი ვადამოსული თანხის გადაუხდელობაზე, თუ „ობლიგაციონერმა“ ვერ შეძლო მისი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების მიწოდება „ანგარიშის მწარმოებლისთვის“ ან „დეპოზიტარისთვის“, ან მისი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების განახლება „სააღრიცხვო თარიღის“ მდგომარეობით, როგორც ეს მოთხოვნილია „ემიტენტის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „დეპოზიტარის“ მიერ.

თუ „ობლიგაციონერის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი “განთავსების აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს მომსახურების საკომისიოები.

ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „პირობებით“ გათვალისწინებული „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი არსებული თანხა გადაანაწილოს თითოეულ „ობლიგაციონერს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და კალკულაციისა და გადახდის აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს ჯარიმის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“, დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც დაკორექტირდება გადახდის გადავადების დღეების რაოდენობის მიხედვით.

(გ) აგენტების დანიშვნა

„გადახდის და კალკულაციის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „დეპოზიტარი“ და მათი შესაბამისი ოფისები ჩამოთვლილია „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში“, ასევე „პროსპექტის“ ბოლოს. „გადახდის და კალკულაციის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „დეპოზიტარი“ მოქმედებენ მხოლოდ როგორც „ემიტენტის“ აგენტები და ამ „პროსპექტისა“ და შეთავაზების მიზნებისთვის არ იღებენ ვალდებულებას ან არ ამყარებენ სააგენტო ან სანდო ურთიერთობას რომელიმე „ობლიგაციონერთან“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს შეცვალოს ან შეწყვიტოს „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ და/ან „განთავსების აგენტების“ დანიშვნა და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „გადახდის და კალკულაციის აგენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ყოველთვის ეყოლება „გადახდის და კალკულაციის აგენტი“ და „დეპოზიტარი“. ნებისმიერი ასეთი ცვლილების ან საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს „ობლიგაციონერებს“ „პირობა“ 1.7-ში მოცემული პროცედურის შესაბამისად.

(დ) გამოთვლა და გადახდა

ნებისმიერი გადახდა, რომელიც უნდა განხორციელდეს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით (პროცენტის ჩათვლით), უნდა გამოითვალოს და გადაიხადოს ამ „პროსპექტისა“ და საქართველოს კანონმდებლობის პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მიერ გამოთვლილი ვადამოსული თანხ(ებ)ი, აშკარა შეცდომის გარდა, სავალდებულოა „ემიტენტისთვის“. „გადახდის და კალკულაციის აგენტმა“ უნდა გამოთვალოს თანხები შესაბამის გადახდის თარიღამდე სულ მცირე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე და აცნობოს „ემიტენტს“. შესაბამის გადახდის თარიღამდე სულ მცირე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „ემიტენტმა“ უნდა განათავსოს შესაბამისი თანხები ქართულ ლარში „დეპოზიტართან“ არსებულ თავის საბანკო ანგარიშზე და დაავალოს მას ამ თანხების გადარიცხვა, ხოლო უცხო ვალუტაში დენომინირებული „ობლიგაციების“ შემთხვევაში „ემიტენტი“, მოცემული ვადების დაცვით, შესაბამის თანხებს განათავსებს „გადახდის და კალკულაციის აგენტთან“, რომელიც განახორციელებს გადახდებს წინამდებარე „პროსპექტით“ დადგენილი წესით. თუ „ემიტენტის“ ანგარიშზე საკმარისი თანხაა, „დეპოზიტარს“ უფლება აქვს, თუმცა არ არის ვალდებული, გადარიცხოს „ობლიგაციებზე“ ვადამოსული გადასახადები „ემიტენტის“ შესაბამისი მითითების გარეშე „ობლიგაციონერების“ ანგარიშებზე, მათი ანგარიშებზე ჩარიცხული „ობლიგაციების“ პროპორციულად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტის ანგარიშზე“ თანხები არასაკმარისია - შესაბამისად აცნობოს „ემიტენტს“ და/ან „ანგარიშის მფლობელებს“/„ანგარიშის მწარმოებლებს“.

(ე) გადახდები საგადასახადო კანონების შესაბამისად

ყველა გადახდა ყოველთვის ექვემდებარება ნებისმიერ შესაბამის საგადასახადო ან სხვა კანონს და საქართველოს რეგულაციებს.

(ვ) პროცენტის დარიცხვა

„ობლიგაციებზე“ პროცენტის გაანგარიშება მოხდება „საპროცენტო პერიოდში“ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების რაოდენობის საფუძველზე, 365-დღიანი წლის გამოყენებით, შემდეგი ფორმულის მიხედვით:

OD * (RR * N / 365) სადაც:

OD ნიშნავს „ობლიგაციების“ ძირითადი თანხას;

RR ნიშნავს წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრულ “საპროცენტო განაკვეთს“;

N ნიშნავს ფაქტობრივი კალენდარული დღეების რაოდენობას შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა პროცენტის გადახდის თარიღიდან ან ანგარიშსწორების თარიღიდან (წინამდებარე პირობების მიზნებისათვის „**ანგარიშსწორების დღე**“ ნიშნავს თარიღს, როცა ობლიგაციის თითოეული მფლობელი ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას ობლიგაციების მიღების სანაცვლოდ) შემდგომი პროცენტის გადახდის თარიღამდე ან გამოსყიდვის თარიღამდე (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ პროცენტის გადახდის თარიღი გადაიწევს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით). რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული) პროცენტის გადახდის თარიღიდან შემდგომი პროცენტის გადახდის თარიღამდე (ამ თარიღის გამოკლებით).

თუ ობლიგაციებთან დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე პირობების შესაბამისად, არ იქნება 0.01 ერთეულის ჯერადი შესაბამის ვალუტაში, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ერთეულის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ერთეულის დამრგვალება შესაბამის ვალუტაში მოხდება ზემოთ).

1.5. საკუთრების უფლება და დაბეგვრა

(ა) საკუთრების უფლება

ვინაიდან „ობლიგაციებზე“ უფლება გადადის დემატერიალიზებული ობლიგაციების შესაბამისი „ინვესტორის“ ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩარიცხვის მომენტში „დეპოზიტართან“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“, „კომპანია“ და „გადახდის და კალკულაციის აგენტი“, გადახდებისა და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ყველა სხვა უფლების მიზნებისთვის, აღიარებენ მხოლოდ ასეთ „ობლიგაციონერს“, როგორც ასეთ ანგარიშზე ჩარიცხული „ობლიგაციების“ ბენეფიციარ მფლობელს. ეს გამოიყენება მიუხედავად იმისა, „კომპანიის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მიერ მიღებული იქნება თუ არა ცნობა უფლების ან ინტერესის შესახებ. შესაბამისად, „კომპანიის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მიერ ასეთი „ობლიგაციონერისთვის“ ძირითადი თანხის, პროცენტის ან სხვა თანხების ყველა გადახდა ჩაითვლება „კომპანიისა“ და „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ ვალდებულებების სათანადო და საკმარის შესრულებად „ობლიგაციებთან“ მიმართებით, გადახდილი თანხების ფარგლებში. „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილნი არიან განახორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა, თუ ამის შესახებ სათანადო წესით შეატყობინებენ „დეპოზიტარს“ ან „ანგარიშის მწარმოებელს“. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ გადამცემ მხარეს, „ემიტენტისა“ ან „ანგარიშის მწარმოებლისთვის“ რეგრესის წესით მიმართვის გარეშე.

„ობლიგაციების“ სხვა პირზე გასხვისების (ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნის დათმობის) შემთხვევაში, და ასევე „ობლიგაციების“ შემდგომი გასხვისებისას, ყველა უფლება, რომელიც გამომდინარეობს „თავდებობის ხელშეკრულებიდან“, სრულად გადადის ახალ მფლობელზე/ობლიგაციონერზე (შემდგომში, წინამდებარე 1.5 პუნქტის მიზნებისთვის - „ახალი ობლიგაციონერი“). შესაბამისად, „ობლიგაციების“ შეძენისას ყოველი „ახალი ობლიგაციონერი“ სრულად იძენს „პროსპექტიდან“ (წინამდებარე „პირობების“ ჩათვლით) და „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ყველა უფლებას, ხოლო „გარანტორები“ ვალდებულნი არიან სრულად შეასრულონ „პროსპექტითა“ და „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები „ახალი ობლიგაციონერის“ მიმართ.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „პროსპექტისა“ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „ობლიგაციების“ „ახალ ობლიგაციონერზე“ გადაცემის, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე და მათთან დაკავშირებული მოთხოვნების დათმობისა და „ახალი ობლიგაციონერის“ მიერ შესაბამისი ფასიანი ქაღალდების სრულად შეძენის დასადასტურებლად საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ გაცემული ამონაწერი, რომელიც ადასტურებს „ახალი ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლებას „ობლიგაციებზე“. ამ მიზნით დამატებითი დოკუმენტების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „თავდებობის ხელშეკრულების“ რაიმე ცვლილების ან დანართის) გაფორმება ან წარმოდგენა საჭირო არ არის.

(ბ) დაბეგვრა

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგვრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავათით და მიიღოს თანხა სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

1.6. დეფოლტის შემთხვევა

თუ დადგება და გაგრძელდება ქვემოთ მითითებული რომელიმე შემთხვევა (თითოეული „**დეფოლტის შემთხვევა**“) „ობლიგაციონერებს“, რომლებიც ფლობენ „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ მთლიანი ძირი თანხის მინიმუმ [30%-ს], უფლება აქვთ გადასცენ წერილობითი შეტყობინება „ემიტენტის” სახელზე, მასზედ რომ „ობლიგაციები“ არის და დაუყოვნებლივ გახდება ვადამოსული და გადასახდელი მისი ძირითადი თანხის 100%-ის ოდენობით, ნებისმიერ დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტთან ერთად, რა შემთხვევაშიც „ემიტენტს“ წარმოეშობა ძირითადი თანხის 100%-ის ოდენობთ გადახდის ვალდებულება, ნებისმიერ დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტთან ერთად

(ა) გადახდის ვალდებულების დარღვევა: „ემიტენტი“ არ განახორციელებს ძირითადი თანხის, პროცენტის ან სხვა ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით გადახდის შესაბამის თარიღზე და აღნიშნული გადაუხდელობა არ იქნება გამოსწორებული გადახდის ვალდებულების დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა: „ემიტენტი“ ან „გარანტორი“ არ ასრულებს ან არღვევს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ სხვა ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას, მათ შორის წინამდებარე „პროსპექტით“ ან/და „თავდებობის ხელშეკრულებით“ (საკითხის შესაბამისად) განსაზღვრულ ფინანსურ შეზღუდვებსა და პირობებს, და ეს დარღვევა „ობლიგაციონერთა“ დასაბუთებული და გონივრული მოსაზრებით:

(i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და არსებით ან განმეორებად ხასიათს ატარებს; ან

(ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ „ობლიგაციონერთა“ მიერ „ემიტენტისთვის“ აღნიშნული დარღვევის თაობაზე შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნა აღმოფხვრილი; ან

(გ) ჯვარედინი დეფოლტი *(Cross-Default)*:

ა) თუ „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ არსებული ან სამომავლო „დავალიანება“ (სესხად აღებული ან მოძიებული ფულადი სახსრების საფუძველზე) ხდება ან შეიძლება გამოცხადდეს ვადამოსულად განსაზღვრულ ვადამდე, ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის (როგორც არ უნდა იყოს აღწერილი) დადგომის შედეგად; ან

ბ) თუ აღნიშნული „დავალიანების“ გადახდა არ მოხდება დადგენილ ვადაში ან, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, თავდაპირველად დადგენილი საშეღავათო *(grace)* პერიოდის განმავლობაში;

ამასთან, წინამდებარე (გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით „დეფოლტის შემთხვევა“ არ ჩაითვლება დამდგარად, თუ შესრულებულია რომელიმე (ერთ-ერთი მაინც) ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

i) შესაბამისი „ფინანსური ვალდებულების“ ჯამური ოდენობა, რომელიც შეესაბამება წინამდებარე 1.6(გ) პირობით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე შემთხვევას, უდრის ან არ აღემატება ბოლო ფინანსური წლის შედეგების საფუძველზე დათვლილ „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 5%-ს (ხუთი პროცენტი) („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად გამოთვლილი); ან

ii) „ემიტენტი“ და/ან „შვილობილი კომპანია“, კეთილსინდისიერი და გონივრული საფუძვლებით, შესაბამისი სამართალწარმოების გზით ასაჩივრებს ვალდებულების არსებობაზე ან „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას.

(დ) გადახდისუუნაროობა:

(i) ნებისმიერი შემდეგი ვითარების დადგომა:

a. „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანია“ იწყებს ლიკვიდაციის ან გადახდისუუნაროობის (გაკოტრების) პროცედურას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „მნიშვნელოვანი შვილობილი

კომპანიის“ ლიკვიდაცია ხორციელდება „ემიტენტთან“ ან სხვა „მნიშვნელოვანი შვილობილ კომპანიასთან“ შერწყმის შედეგად; ან

b. ნებისმიერი „პირის“ მიერ „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ მიმართ სარჩელის შეტანა გადახდისუუნარობის (გაკოტრების) პროცედურის დასაწყებად, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სარჩელი არ იქნება უარყოფილი მოთხოვნის წარდგენიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში; ან

c. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიების“ და მათი კრედიტორების შორის მოლაპარაკებების დაწყება „ემიტენტის“ ან შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან

d. „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცედურის დაწყება, რომელიც ეფუძნება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას; ან

(ii) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანია“ ვერ ახერხებს ან ვერ უზრუნველყოფს თავისი ვადამოსული ვალდებულებების დროულად დაფარვას; ან

(iii) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ან შესაბამისი „შვილობილი კომპანიის“ ლიკვიდაციის ან გაუქმების გეგმას.

(ე) დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან სასამართლო წარმოებები: „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული და დაუკმაყოფილებელი საბოლოო გადაწყვეტილებები, განჩინებები, განაჩენები და განკარგულებები,

(i) რომელთა საერთო ოდენობა აღემატება „ჯგუფის“ საერთო აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად დათვლილი); ან

(ii) ნებისმიერი ასეთი საბოლოო გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება, რომლის შედეგადაც მოხდა:

a. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მმართველობის სრული ან ნაწილობრივი დათხოვნა, ან „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვა; ან

b. „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ შემოსავლების ან აქტივების სრული ან ნაწილობრივი დაყადაღება, კონფისკაცია, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება, თუ მათი საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება „ჯგუფის“ მთლიანი აქტივების 20%-ს („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად დათვლილი).

(ვ) აღსრულება: „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების მთლიანი ან არსებითი ნაწილის წინააღმდეგ დაიწყება ნებისმიერი სახის სააღსრულებო წარმოება, ან მათზე საკუთრების მიღება ან გასხვისება უზრუნველყოფის მფლობელი პირის (კრედიტორის) მიერ; ან

(ზ) ნებართვები და თანხმობები: „ემიტენტმა“ ან/და „გარანტორმა“ არ განახორციელა რაიმე ქმედება ან დაარღვია რაიმე პირობა (მათ შორის, ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, სერტიფიკატის, უფლებამოსილების, განაცხადის, ლიცენზიის, ბრძანების, აღრიცხვის, რეგისტრაციის ან სხვა ავტორიზაციის მიღება ან განხორციელება), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა იმისათვის, რომ „ემიტენტს“ ან/და „გარანტორს“::

(i) შეეძლოს კანონიერად დადოს ხელშეკრულებები, განახორციელოს თავისი არსებითი უფლებები და შეასრულოს გადახდის ვალდებულებები „ობლიგაციების“ ან/და „თავდებობის ხელშეკრულებები“ შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები წინამდებარე „პირობების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ შესაბამისად;

(ii) უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მბოჭავი და აღსრულებადი; და

(iii) უზრუნველყოს, რომ „პროსპექტი“, „ობლიგაციები“ და/ან „თავდებობის ხელშეკრულება“ წარდგენადი იყოს საქართველოს სასამართლოში მტკიცებულებად.

(თ) ნამდვილობა და უკანონობა: „ემიტენტი“ ან/და „გარანტორები“ სადავოდ ხდის „ობლიგაციების“, „პროსპექტის“ ან „თავდებობის ხელშეკრულების“ ნამდვილობას, ან „ემიტენტი“ ან/და „გარანტორი“ უარყოფს „ობლიგაციებით“, „პროსპექტით“ ან „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების არსებობას და მის შესრულებას, ან „ემიტენტის“ ან/და „გარანტორების“ მიერ „ობლიგაციებით“, „პროსპექტით“ ან „თავდებობის

ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი ერთი ან რამდენიმე ვალდებულების შესრულება არის ან გახდება უკანონო ან აღუსრულებადი, ან აღარ იქნება ნამდვილი და სამართლებრივად მბოჭავი.

„ემიტენტი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, კერძოდ, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს „ობლიგაციების მფლობელებს“ ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ წარმოშობის შესახებ ან ან ისეთი შემთხვევის ან გარემოების შესახებ, რომელიც „შეტყობინების გაცემის“, დროის გასვლის და/ან სერტიფიკატის გამოშვების შემდეგ გახდება დეფოლტის მოვლენა („**პოტენციური დეფოლტის შემთხვევა**“).

თუ არსებობს ვარაუდი, რომ დადგა და გრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, ერთ ან რამდენიმე „ობლიგაციონერს“, რომელთა მფლობელობა ინდივიდუალურად ან ჯამურად შეადგენს „ობლიგაციების“ მთლიანი ძირი თანხის არანაკლებ 20%-ს, უფლება აქვთ „ემიტენტისგან“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით გამოითხოვონ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია.

1.7. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციონერების“ მიმართ უნდა გაეგზავნოს „ცენტრალურ დეპოზიტარს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, აცნობოს ყველა შესაბამის „ანგარიშის მწარმოებლებს“ ან/და „ობლიგაციონერებს“ (საკითხის შესაბამისად).

„ობლიგაციონერებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ანგარიშის მწარმოებელს“ წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ანგარიშის მწარმოებელი“ „ობლიგაციონერს“ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებს.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მატერიალური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ანგარიშის მწარმოებელს“ ინფორმაციას „ობლიგაციონერთა კრების“ მოწვევის შესახებ შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

რეგულირებადი ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება ვებგვერდი www.tegeta.ge. და www.reportal.ge აღნიშნულ ვებგვერდზე მოხდება რეგულირებადი ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, გამჭვირვალობის წესის მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

- ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.
- ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ.

1.8. ობლიგაციონერთა კრება

(ა) ობლიგაციონერთა კრება

(i) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც გავლენა აქვთ „ობლიგაციონერთა“ ინტერესებზე, მათ შორის წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი სახის ცვლილების, გადაწყვეტილება მიიღება სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე დამსწრე ხმათა არანაკლებ 75%-ის უმრავლესობით („განსაკუთრებული გადაწყვეტილება“).

(ii) „ობლიგაციონერთა“ მიერ გამოტანილი ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“, მიიღება მიცემულ ხმათა არანაკლებ 51%-ის უმრავლესობით („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“).

(iii) „ობლიგაციონერთა კრებაზე“ განიხილება მხოლოდ ის საკითხები, რომელიც მითითებულია დღის წესრიგში, ისე, როგორც მოცემულია წინამდებარე „პირობების“ 1.8.გ.(i) პუნქტში.

(ბ) ობლიგაციების მფლობელთა კრების მოწვევის უფლებამოსილება: „ობლიგაციონერთა კრების“ მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ როგორც „ემიტენტს“, ასევე იმ „ობლიგაციონერებს“ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, რომლებიც ფლობენ „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ ჯამური ძირი თანხის არანაკლებ 30%-ს, იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება, მათ შორის „ობლიგაციების“ გადახდის ვალდებულებაზე „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის გამო.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით: (1) სააღსრულებო პროცესი „ემიტენტის“ წინააღმდეგ, ისევე როგორც „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე უფლებების განხორციელება, შესაძლებელია მხოლოდ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის გამო „ობლიგაციების“ გადახდის ვალდებულების გამოცხადების შემდეგ; (2) თითოეული „ობლიგაციონერი“ აღიარებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამო „ობლიგაციების“ გადახდის ვალდებულების გამოცხადება წარმოადგენს ექსკლუზიურად „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ უფლებამოსილებას და ისინი ინდივიდუალურად არ არიან უფლებამოსილნი განახორციელონ ამ „პროსპექტით“ ან „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული რაიმე სააღსრულებო მოქმედება; და (3) ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც „ობლიგაციონერები“ მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის გამო „ობლიგაციების“ გადახდის ვალდებულების გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დასაწყებად, მიიღება წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით და უნდა მოიცავდეს: (ა) გადაწყვეტილებას, თუ რომელი სააღსრულებო პროცედურების განხორციელებას მიმართავენ „ობლიგაციონერები“ და რა თანმიმდევრობით; (ბ) მითითებას იმ პირზე, რომელიც იქნება უფლებამოსილი და/ან პასუხისმგებელი შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირებას, რომელსაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის გამო „ობლიგაციების“ გადახდის ვალდებულების გამოცხადებასთან დაკავშირებული თემების ადმინისტრირებისთვის.

სააღსრულებო პროცესის წამოწყება არ უნდა მოხდეს „ობლიგაციონერების“ კრების მიერ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის გამო „ობლიგაციების“ გადახდის ვალდებულების წარმოშობიდან და შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ დავების განმხილველ წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრულ ორგანოში.

(გ) ობლიგაციონერთა კრების მოწვევა:

(i) „ობლიგაციონერს“ ან „ემიტენტს“ (საკითხის შესაბამისად) კრების მოწვევის თაობაზე უნდა ეცნობოთ სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე (შეტყობინების გაგზავნის დღისა და კრების ჩატარების დღის გამოკლებით) წინამდებარე „პირობების“ 1.8. პუნქტის შესაბამისად. ამგვარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციონერთა კრების“ თარიღი, დრო, ადგილი და მისაღები გადაწყვეტილებების დღის წესრიგი. შეტყობინება ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას შესაბამისი ვადების შესახებ და ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დანიშნონ „ობლიგაციების მფლობელებმა“ წარმომადგენლები.

(ii) წინამდებარე „პირობების“ 1.8. პუნქტის შესაბამისად, „ემიტენტმა“ ან „ობლიგაციონერებმა“ (საკითხის შესაბამისად) დამატებით უნდა შეატყობინონ „ობლიგაციონერთა კრების“ დადასტურებული დრო და ადგილი, ასეთი კრების გამართვამდე არაუმეტეს 3 (სამი) დღით ადრე.

(iii) კრების ჩატარება შესაძლებელია როგორც ფიზიკურად ასევე დისტანციურად (ელექტრონული საშუალებით). „ემიტენტს“ უფლება აქვს გამოიყენოს კრების დისტანციური (ელექტრონული საშუალებით) ჩატარების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:

a. ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ არის დამოკიდებული „ობლიგაციონერის“ ან მისი „წარმომადგენლის“ მოქალაქეობაზე ან ბინადრობის ადგილზე;

b. „ობლიგაციონერების“ ან ხმის უფლების გამოყენებაზე/განკარგვაზე „წარმომადგენლისთვის“ ინფორმაციის დროულად და ეფექტიანად მიწოდებისთვის დანერგილია იდენტიფიცირების შესაბამისი ზომები; და

(iv) „ემიტენტთან“ შესაბამისი კომუნიკაციის საფუძველზე, „ობლიგაციების მფლობელებს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ ინფორმაციის წერილობით მიწოდება.

(დ) ობლიგაციონერის მიერ წარმომადგენლის დანიშვნა:

(i) „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია შესაბამის კრებამდე სულ მცირე 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე „ემიტენტს“ მიაწოდოს ქართულენოვანი წერილობითი დოკუმენტი (ან, სხვა ენაზე შედგენის შემთხვევაში, ორენოვანი დოკუმენტი, საიდანაც ერთ-ერთი ენა უნდა იყოს ქართული) („მინდობილობა“), რომელიც ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერილია „ობლიგაციონერის“ მიერ და დამოწმებულია ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, დასმულია ასეთი იურიდიული პირის ბეჭედი და ხელმოწერილია მისი უფლებამოსილი დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, და ამ დოკუმენტის საფუძველზე დანიშნოს წარმომადგენელი („წარმომადგენელი“), რომელიც იმოქმედებს „ობლიგაციონერის“ სახელით „ობლიგაციონერის“ ნებისმიერ კრებასთან დაკავშირებით („განმეორებითი კრების“ ჩათვლით).

(ii) ზედა პუნქტის შესაბამისად დანიშნული ნებისმიერი „წარმომადგენელი“, მათი დანიშვნის მოქმედების ვადის განმავლობაში, „ობლიგაციონერთა კრების“ ან „განმეორებითი კრების“ მიზნებისთვის, ჩაითვლება იმ „ობლიგაციონერად“, რომელთა მიმართაც მისი დანიშვნა განხორციელდა.

(iii) ნებისმიერი ხმა, რომელიც მიცემულია „წარმომადგენლის“ მიერ შესაბამისი „მინდობილობის“ პირობების შესაბამისად, ითვლება ნამდვილად, იმ პირობით, რომ შესაბამისი კრების ჩატარების დრომდე სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე არ მომხდარა „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა „მინდობილობის“ გამოხმობის, გაუქმების ან/და ცვლილების თაობაზე.

(ე) ობლიგაციონერთა კრების თავმჯდომარე

(i) „ობლიგაციონერთა კრების“ თავმჯდომარე არჩეულ უნდა იქნას „ობლიგაციონერთა“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლის“ (საკითხის შესაბამისად) ან/და მათი „წარმომადგენლების“ მიერ, რომლებიც ესწრებიან კრებას და უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთს ჩამოთვლილთაგან. იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელი იქნება, თავმჯდომარეს დანიშნავს „ემიტენტი“. თავმჯდომარე შეიძლება, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ იყოს „ობლიგაციონერი“ ან/და „ანგარიშის მწარმოებელი“ (საკითხის შესაბამისად) ან მათი „წარმომადგენელი“. იმ შემთხვევაში, თუ თავჯდომარის თანამდებობაზე ინიშნება მესამე მხარე, ასეთი მესამე მხარე უნდა იყოს დამოუკიდებელი პირი.

(ii) სავალდებულო არ არის, რომ „განმეორებითი კრების“ თავმჯდომარე იყოს ის პირი, რომელიც თავმჯდომარეობდა თავდაპირველ კრებას.

(ვ) ობლიგაციონერთა კრებაზე დასწრება:

(i) კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება აქვთ:

a. „ობლიგაციონერებს“, „ანგარიშის მწარმოებლებს“ და მათ „წარმომადგენლებს“;

b. „თავმჯდომარეს“; და

c. „ემიტენტს“, ისევე როგორც მის ფინანსურ, სამართლებრივ ან სხვა მრჩევლებს;

(ii) სხვა პირებს არ აქვთ „კრებაზე“ დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება.

(ზ) ობლიგაციონერთა კრების კვორუმი:

(i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების კვორუმს წარმოადგენს (i) ორი ან მეტი პირი, რომლებიც „ობლიგაციონერთა კრების“ განხილვის დროს ფლობენ „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან (ii) ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ დროს, პირ(ებ)ი რომლებიც არიან ან წარმოადგენენ „ობლიაციონერ(ებ)ს“ მიუხედავად „ობლიგაციების“ იმ ძირი ოდენობისა, რომელსაც ისინი ფლობდნენ ან წარმოადგენდნენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი კრების საქმიანობა მოიცავს შემდეგი შეთავაზებების შესახებ მისაღები „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ განხილვას:

ა. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღის ცვლილებას;

ბ. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას;

გ. „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას (გარდა საპროცენტო განაკვეთის მომატებისა ისე, როგორც მოცემულია 1.4(ბ) პირობაში);

დ. „ობლიგაციების“ „ემიტენტის“ აქციებში ან სხვა ფასიან ქაღალდებში კონვერტაციას;

ე. „ობლიგაციების“ შესაბამისი გადახდის ვალუტის ცვლილებას (გარდა მარეგულირებელი კანონმდებლობით გამოწვეული ცვლილებისა);

ვ. „ობლიგაციონერთა კრებებთან“ მიმართებით კვორუმის მოთხოვნების ან „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის ოდენობის ცვლილებას;

ზ. წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას; ან

თ. წინამდებარე „პირობების“, „თავდებობის ხელშეკრულების“ ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტის, რომელიც დაკავშირებულია „ობლიგაციებთან“ მოდიფიცირებას, ცვლილებას ან უარის თქმას და ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც დაკავშირებულია „ობლიგაციებთან“ მიმართებით „ობლიგაციონერების“ უფლებებთან.

ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, მსგავსი „განსაკუთრებული გადაწვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმის აუცილებელი ოდენობა იქნება ორი ან მეტი პირი, რომელიც განსახილველ დროს ფლობს ან წარმოადგენს განხილვის მომენტისათვის „გადასახდელი“ „ობლიგაციების“, ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან განმეორებით კრებაზე - განხილვის მომენტისათვის „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ერთ მესამედს.

(ii) **ჩვეულებრივი გადაწვეტილება:** „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც „ობლიგაციონერთა კრების“ განხილვის დროს ფლობს ან წარმოადგენს განხილვის მომენტისთვის „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის მინიმუმ [ერთ მესამედს], ან ნებისმიერი ასეთი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - პირ(ებ)ს რომლებიც არიან ან წარმოადგენენ „ობლიგაციონერ(ებ)ს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხის ოდენობისა.

(თ) ობლიგაციონერთა კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა და გადადება:

(i) არცერთი საკითხი (გარდა „თავმჯდომარის“ არჩევისა) არ უნდა იყოს განხილული იმ შემთხვევაში თუ კრებაზე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი კვორუმი. თუ კვორუმი არ შედგა კრების დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, ამგვარი კრება უნდა გადაიდოს და განმეორებით ჩატარდეს თავდაპირველი კრების თარიღიდან არა უადრეს მე-7 და არა უგვიანეს 30-ე კალენდარული დღისა. თუ ამგვარ „განმეორებით კრებაზე“ კვორუმი არ შედგება კრების დაწყების დროიდან 30 (ოცდაათი) წუთის განმავლობაში, კრება დათხოვილ უნდა იქნას.

(ii) „განმეორებითი კრების“ დროსა და ადგილს განსაზღვრავენ „ემიტენტი“ ან „ობლიგაციონერები“ (საკითხის შესაბამისად). განმეორებით კრებაზე დასაშვებია მხოლოდ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა გადაწყვეტა დასაშვები იყო თავდაპირველ კრებაზე.

(iii) „განმეორებითი კრების“ შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს იმ ფორმით, რომლითაც გაკეთდა თავდაპირველი კრების შესახებ შეტყობინება.

(ი) ხმის მიცემა:

(i) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქვემოთ მოცემული (ii) პუნქტის შესაბამისად, სათანადოდ იქნება მოთხოვნილი კენჭისყრა (საიდუმლო წესით), „ობლიგაციონერთა კრებაზე“ (მიუხედავად იმისა, ტარდება ის ფიზიკურად, ელექტრონულად თუ ჰიბრიდული ფორმით) ყველა საკითხი გადაწყდება ხელის აწევით, მათ შორის ელექტრონული ხელის აწევის ან ელექტრონულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომი ექვივალენტური ფუნქციონალის გამოყენებით.

(ii) კენჭისყრა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს „თავმჯდომარის“, „ემიტენტის“ ან ერთი ან მეტი პირის მიერ, რომელთაც ჯამურად გააჩნიათ ან წარმოადგენენ განხილვის მომენტისთვის „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ ძირითადი

თანხის არანაკლებ ათი პროცენტის (10%), ხელის აწევით ხმის მიცემის შედეგების გამოცხადებამდე ან გამოცხადების მომენტში.

(iii) იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრა არ იქნება მოთხოვნილი, „თავმჯდომარის“ განცხადება იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ან არ არის მიღებული (და ამის შესახებ შეხვედრის ოქმში გაკეთებული ჩანაწერი), იქნება გადამწყვეტი მტკიცებულება ფაქტის დასადასტურებლად, რეზოლუციის სასარგებლოდ ან მის წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობის ან პროპორციის დამტკიცების გარეშე.

(iv) იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრა სათანადოდ იქნება მოთხოვნილი, ის დაუყოვნებლივ ჩატარდება, ან კრებისთვის გამოყენებულ პლატფორმაზე არსებული ხმის მიცემის ელექტრონული ხელსაწყოების გამოყენებით, ან „თავმჯდომარის“ მიერ მითითებული სხვა მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „თავმჯდომარე“ გადაწყვეტს, რომ ის ჩატარდეს გადადებულ („განმეორებით“) „კრებაზე“. კენჭისყრის შედეგი ჩაითვლება იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც კენჭისყრა მოითხოვეს და დათარიღდება შესაბამისად. კენჭისყრის მოთხოვნა არ შეაფერხებს კრების გაგრძელებას სხვა საკითხების გადასაწყვეტად, გარდა იმ საკითხისა, რომელზეც კენჭისყრა იყო მოთხოვნილი.

(v) „თავმჯდომარის” არჩევის ან გადადების შესახებ მოთხოვნილი კენჭისყრა დაუყოვნებლივ ჩატარდება იმავე ხმის მიცემის მექანიზმებით (ფიზიკური ან ელექტრონული), რომლითაც მიმდინარეობს კრება.

(vi) კრებაზე, თითოეული „ობლიგაციონერი“, რომელიც ესწრება კრებას პირადად, „წარმომადგენლის“ ან ელექტრონული მონაწილეობის საშუალებით, აქვს ერთი ხმა იმ „ობლიგაციების“ ძირი თანხის ყოველი 1,000 (ათასი) ერთეულისათვის, რომელსაც იგი ფლობს ან რომლის მიმართაც იგი არის დანიშნული „წარმომადგენლად“. პირს, რომელსაც აქვს ერთზე მეტი ხმის უფლება, არ არის ვალდებული გამოიყენოს ყველა ასეთი ხმა ან გამოიყენოს ყველა მათგანი ერთნაირად.

(კ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწვეტილება:

(i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** განსახილველი დროისთვის „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციონერის“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ ან მისი სახელით.

(ii) **ჩვეულებრივი გადაწყევტილება:** განსახილველი დროისთვის „გადასახდელი“ „ობლიგაციების“ 51%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების” მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის” მიერ ან მისი სახელით.

(ლ) ობლიგაციონერთა კრების გადაწვეტილების ძალაში შესვლა:

(i) „ობლიგაციონერთა კრებაზე“ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის „განსაკუთრებულ გადაწყვეტილებას“, აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა ყველა „ობლიგაციონერისთვის“, მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას.

(ii) „ობლიგაციონერების კრებაზე“ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება „ემიტენტის“ ვებგვერდზე და ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ.

(მ) „კრების ოქმები“: ოქმები უნდა შედგეს თითოეულ კრებაზე, ყველა გადაწყვეტილებასა და პროცედურასთან დაკავშირებით, და ხელმოწერილი უნდა იქნას იმავე კრების თავმჯდომარის მიერ. ამგვარი ოქმი წარმოადგენს მასში განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტის საკმარის მტკიცებულებას. სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ყველა კრება, რომლისთვისაც შედგა და ხელი მოეწერა ოქმს, ითვლება სათანადო წესით მოწვეულად და ჩატარებულად, და ყველა მასზე მიღებული გადაწყვეტილება და განხორციელებული პროცედურა მიიჩნევა სათანადო წესით მიღებულად და განხორციელებულად.

(ნ) „ემისიის ტრანშები“: მოცემული 1.8. პუნქტის („ობლიგაციონერთა კრება“) (ა)-(მ) (ჩათვლით) ქვეპუნქტებით დადგენილი დებულებები გავრცელდება „პროსპექტის“ ფარგლებში განხორციელებულ თითოეულ ემისიაზე ინდივიდუალურად.

1.9. შემდგომი ემისიები

„კომპანია“ უფლებამოსილია „ობლიგაციების მფლობელებთან“ შეთანხმების გარეშე და იმ პირობით, რომ დაცული იქნება წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები, დათქმები და ვალდებულებები, დროდადრო გამოუშვას სხვა ფასიანი ქაღალდები იმავე ან განსხვავებული პირობებით, როგორც ამას „კომპანია“ დამოუკიდებლად განსაზღვრავს, გამოშვების მომენტისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

1.10. გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) გამოსაყენებელი სამართალი: წინამდებარე „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია: საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია „პროსპექტთან“, „წინასწარი პირობების დოკუმენტთან“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტთან“ ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის, ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე „პროსპექტის“, „წინასწარი პირობების დოკუმენტის“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ ან/და „ობლიგაციების“ გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით) ან/და „პროსპექტიდან“, „წინასწარი პირობების დოკუმენტიდან“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტიდან“ ან/და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე.

1.11. ბათილობა

წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას სხვა დებულებებზე. თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე დებულება იმდენად ფართოა, რომ მისი აღსრულება დაუშვებელია, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონით.

1.12. განმარტებები

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„ანგარიშის მწარმოებელი“ ნიშნავს ფინანსურ ინსტიტუტს (მათ შორის ცენტრალურ დეპოზიტარს), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია გახსნას და მართოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში კლიენტისთვის;

„აფილირებული პირი“ ნებისმიერ მითითებულ „პირთან“ მიმართებაში ნიშნავს (ა) ნებისმიერ სხვა „პირს“, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ „აკონტროლებს“ აღნიშნულ მითითებულ „პირს“, ან რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს აღნიშნული მითითებული პირი, ან რომელიც იმყოფება მასთან პირდაპირი ან არაპირდაპირი საერთო კონტროლის ქვეშ; ან (ბ) ნებისმიერ სხვა „პირს“, რომელიც არის აღნიშნული მითითებული „პირის“, მისი ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ ან (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორი ან ოფიცერი.

„საწყისი შეუზღუდავი ფულადი ნაშთი“ ნიშნავს „ჯგუფის“ ნაღდი ფულისა და „ნაღდი ფულის ექვივალენტების“ ერთობლიობას, რომლებიც არ ექვემდებარება რაიმე დატვირთვას და თავისუფლად არის ხელმისაწვდომი გამოყენებისთვის, როგორც ეს ასახულია „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ბალანსში შესაბამისი პერიოდის დასაწყისისთვის, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად.

„გადავადებული განთავსების ფასი“ ნიშნავს „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულებას დამატებული „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ „ობლიგაციების“ „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ დარიცხულ საპროცენტო სარგებელს.**"გადავადებული განთავსების თარიღი“** ნიშნავს ნებისმიერ თარიღს „ობლიგაციების” „გამოშვების თარიღიდან“

„შეთავაზების პერიოდის" დასრულებამდე, როდესაც ხდება „ობლიგაციის" განთავსება „გადავადებულიგანთავსების ფასით".

„განთავსების თარიღი" ნიშნავს იმ თარიღს, რომელზეც „ობლიგაციები" წარმატებით გაიყიდება „ინვესტორებზე" ამ „პროსპექტში" დადგენილი პროცედურების შესაბამისად და რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც შესაბამის „ობლიგაციებზე" საკუთრების უფლება გადაეცემა „ინვესტორებს" შესაბამისი ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით.

„**ობლიგაციონერი**" ან „**ინვესტორი**" ნიშნავს ანგარიშის მფლობელს, რომელიც მოქმედებს მხოლოდ საკუთარი სარგებლობისთვის დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიმართ;

„**სამუშაო დღე**" ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის, კვირის ან კანონით დადგენილი დასვენების დღის გარდა), როდესაც თბილისში, საქართველოში კომერციული ბანკები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები ასრულებენ ტრანზაქციებს და მუშაობენ ზოგადი საქმიანობისთვის (მათ შორის უცხოურ ვალუტასა და უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებთან დაკავშირებით);

„**სამუშაო დღის კონვენცია"** ნიშნავს იმ კონვენციას, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი გადახდის ან შესრულების თარიღის დაფიქსირებისათვის, თუ ის ემთხვევა დღეს, რომელიც არ არის „სამუშაო დღე", როგორც ეს „პირობებშია" მითითებული. თუ სხვაგვარად არ არის მოცემული, გამოიყენება შემდეგი კონვენციები, ქვემოთ განსაზღვრული იერარქიით:

- *პირველ რიგში,* „შემდეგი სამუშაო დღის კონვენცია": თუ გადახდის თარიღი ემთხვევა დღეს, რომელიც არ არის სამუშაო დღე, ის გადაიდება მომდევნო სამუშაო დღემდე.
- *შემდეგში,* „მოდიფიცირებული მომდევნო სამუშაო დღის კონვენცია": თუ მომდევნო „სამუშაო დღე" მოდის შემდეგ კალენდარულ თვეში, გადახდის თარიღი გადმოიწევს უშუალოდ წინა „სამუშაო დღეზე".

„**ფულადი სახსრების გამოთვლის თარიღი**" ნიშნავს თითოეული წლის 30 ივნისსა და 31 დეკემბერს იქამდე, სანამ „ობლიგაციები" რჩება „გადასახდელი"

„**ფულადი სახსრების ეკვივალენტები**" ნიშნავს მოკლევადიან, მაღალ ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად დაკონვერტირდება ფულად სახსრების ცნობილ ოდენობად და რომელთა ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა.

„**კონტროლი**" მათ შორის, შესაბამისი მნიშვნელობებით ტერმინები „აკონტროლებს", „კონტროლის ქვეშაა" და „ერთობლივი კონტროლის ქვეშ", როგორც გამოყენებულია ნებისმიერი პირის მიმართ, ნიშნავს უშუალოდ ან ირიბად მართვის ან ასეთი პირის პოლიტიკის მიმართულების განსაზღვრის ან განსაზღვრის გამოწვევის უფლებამოსილების ქონას, იქნება ეს სააქციო კაპიტალის, ხმის მიმცემ ფასიან ქაღალდების, ხელშეკრულების ან სხვა საშუალებით;

„**დეპოზიტარი**" ან **„ცენტრალური დეპოზიტარი"** ნიშნავს სს „საქართველოს ცენტრალურ დეპოზიტარს" (ს/ნ: 204935400) ან მის ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს;

„**დივიდენდი**" ნიშნავს მოგების ან სხვა რეზერვების ნებისმიერ განაწილებას იურიდიული პირის მესაკუთრეებზე (აქციონერებზე), ფულადი სახსრებით ან ნატურით.

„**ვალის მომსახურების კოეფიციენტი**" ან „**DSCR**" ნიშნავს, ნებისმიერი შესაბამისი საანგარიშო პერიოდის მიმართ, თანაფარდობას:

(ა) (i) უახლესი 12-თვიანი ანგარიშგების პერიოდის დასაწყისში არსებული „საწყისი შეუზღუდავი ფულადი ნაშთის" და (ii) ბოლო ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დათვლილი ბოლო თორმეტი თვის EBITDA-ს ჯამს, მინუს (iii) „მოვლის კაპიტალური დანახარჯები" (Maintenance Capex) და (iv) აღნიშნული პერიოდის განმავლობაში (მაგ. უახლესი

ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე გამოთვლილი 12-თვიანი პერიოდში) და ასევე შემოთავაზებული რელევანტური „აკრძალული გადახდის“ გამოთვლის შემოწმების თარიღამდე გადახდილი „დივიდენდები“ („**მრიცხველი**“);

და

(ბ) აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დაფარვადი პროცენტის, კუპონის და ძირითადი თანხის გადახდების საერთო ოდენობას (გარდა ნებისმიერი ნაწილისა, რომელიც რეფინანსირებულია ან გადახდილია „ნებადართულ უზრუნველყოფად” კლასიფიცირებულ გარანტიასთან (გარანტიებთან)/ თავდებობასთან ან ნებისმიერ მსგავს ვალდებულებებთან დაკავშირებით.) („**მნიშვნელი**“).

ამ განსაზღვრების მიზნებისათვის, „DSCR“ გამოისახება რიცხვითი თანაფარდობის სახით, ხოლო ნებისმიერ ტერმინს (მათ შორის „*EBITDA*“, „*მოვლის კაპიტალური დანახარჯები*“ და „*დივიდენდები*“), რომელიც აქ არის გამოყენებული, ექნება ამ „პირობებში“ სხვაგან მათთვის მინიჭებული მნიშვნელობა.

„**არსებული პარტნიორ(ებ)ი**“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც ამ „პროსპექტის“ გამოშვების თარიღისათვის არის „ემიტენტის“ სათანადოდ რეგისტრირებული პარტნიორი და ფლობს მასში მოქმედ საკუთრების წილს, ასევე ნებისმიერ მათ მემკვიდრეს ან უფლებამონაცვლეს ამ პირობების შესაბამისად.

„**გარე დამმოწმებელი**“ ნიშნავს საერთაშორისოდ აღიარებული რეპუტაციის მქონე ნებისმიერ დამოუკიდებელ საბუღალტრო ან შემფასებელ ფირმას ან სხვა დამოუკიდებელ ექსპერტს, რომელიც დანიშნულია „ემიტენტის“ მიერ, თითოეულ შემთხვევაში იმ კომპეტენციით, რომელიც საჭიროა ამ პირობების მიხედვით „გარე დამმოწმებლის“ მიერ შესასრულებელი ფუნქციების განსახორციელებლად, როგორც ეს განსაზღვრულია „ემიტენტის“ მიერ.

„**სამართლიანი საბაზრო ღირებულება**“ გარიგებისათვის ნიშნავს ღირებულებას, რომელიც მიღებული იქნება დამოუკიდებელ კომერციულ გარიგებაში ინფორმირებულ და თანახმა გამყიდველს (რომელზეც არ არის არასათანადო ზეწოლა ან იძულება გაყიდოს) და ინფორმირებულ და თანახმა მყიდველს (რომელზეც არ არის არასათანადო ზეწოლა ან იძულება შეიძინოს) შორის.

„**ფინანსური ვალდებულებები**“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით, ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე): (i) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად არსებულ ყველა დავალიანებას, გარდა ფულით უზრუნველყოფილი დავალიანებებისა; (ii) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც დასტურდება „ობლიგაციებით“, სავალო ხელწერილებით და სხვა მსგავსი დოკუმენტებით; (iii) „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად აღიარებულ იჯარის ვალდებულებას; (iv) „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად აღიარებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებას; ან/და (v) გარანტიებს/თავდებობებს ან ნებისმიერ მსგავს ვალდებულებებს, რომლებიც გაცემულია „ემიტენტის“ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ და რომელთა საერთო ნომინალური მოცულობა, იქნება იგი ფაქტობრივი თუ პირობითი, აღემატება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 10%-ს. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ჩაითვლება მხოლოდ ის ზედმეტი თანხა, რომელიც 10%-იან ზღვარს აღემატება.

„**ფისკალური პერიოდი**“ ნიშნავს ნებისმიერ საანგარიშგებო პერიოდს, რომლისთვისაც „ემიტენტმა“ მოამზადა კონსოლიდირებული ან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS-ის) შესაბამისად. ეჭვის თავიდან არიდების მიზნით, აღნიშნული განმარტება მოიცავს როგორც წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, ასევე ნახევარწლიან ან მოძრავ 12-თვიან ფინანსურ ანგარიშგებებს.

„**ჯგუფი**“ გულისხმობს ემიტენტსა და მის პირდაპირ და არაპირდაპირ შვილობილ საწარმოებს, დროდადრო ერთობლივად განხილულებს;

„**გარანტორ(ებ)ი**“ ნიშნავს „ემიტენტის“ შემდეგ „შვილობილ კომპანიებს“:

(1) შპს თეგეტა რითეილი (ს/ნ: 405408811); (2) შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას (ს/ნ: 206239729); (3) შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ (ს/ნ: 206316645); (4) შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია (ს/ნ: 406338011); (5) შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს (ს/ნ: 405464929); (6) შპს თეგეტა ინდასტრი (ს/ნ: 405391446); (7) შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი (ს/ნ: 405390553); (8) შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს (ს/ნ: 405391437); (9) შპს თეგეტა დისტრიბუცია (ს/ნ: 405391080); (10) შპს თეგეტა თაიარ იმპორტს (ს/ნ: 405505500); (11) შპს სკანდინავიან ავტო თეგეტა (ს/ნ: 405335766); (12) შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს (ს/ნ: 401950938); (13) შპს კავკასუს ავტომოტივი (ს/ნ: 405302836); (14) შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა (ს/ნ: 405006461); (15) შპს თი-ბი-ეი თეგეტა (ს/ნ: 445580773); (16) შპს თეგეტა ინთერნეიშენალ (ს/ნ: 206211936); = (17) შპს თეგეტა აკადემია (ს/ნ: 405237122); (18) შპს თეგეტა ლიზინგი (ს/ნ: 201948544); (19) შპს თეგეტა ლოჯისტიკი (ს/ნ: 202372182); (20) შპს თეგეტა კაპიტალი (ს/ნ: 405498509); (21) შპს თეგეტა რეალ ისთეით (ს/ნ: 405505467); (22) შპს ავტო გალერი (ს/ნ: 405232957); (23) შპს თეგეტა ფლიტ სოლუშენს (ს/ნ: 454412305); (24) შპს კავკასუს მეშინერი (ს/ნ: 405601825); (25) შპს თეგეტა ენერჯი (ს/ნ: 405660342);

„**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) ფინანსური პერიოდი**" ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც „ემიტენტმა" მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები" (IFRS)-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს ან გადახედეს „აუდიტორებმა";

„**დავალიანება**" ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან" მიმართებით, ნებისმიერ დროს:

ა) ყველა დავალიანება, რომელიც წარმოიშობა ამგვარი „პირის" მიერ ფულადი თანხის სესხად აღების შედეგად;

ბ) ამგვარი „პირის" ყველა ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს ობლიგაციების, სავალო ხელწერილების ან სხვა მსგავსი დოკუმენტების საფუძველზე;

გ) ამგვარი „პირის" ყველა ვალდებულება, რომელიც უკავშირდება აკრედიტივს ან სხვა მსგავს დოკუმენტს (მათ შორის, ანაზღაურების ვალდებულებებს), გარდა იმ აკრედიტივებისა, გარანტიებისა ან სხვა დოკუმენტებისა, რომლებიც გაცემულია „ემიტენტის" ან მისი „შვილობილი კომპანიის" მიერ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ;

დ) ყველა საგადახდო ვალდებულება გადავადებული ან გადაუხდელი ნასყიდობის ფასისა, რომელიც უკავშირდება ამგვარი „პირის" მიერ აქტივების, ქონების ან მომსახურების შეძენას;

ე) მხარის ნებისმიერი სხვა მიმდინარე დავალიანება, რომელიც უზრუნველყოფილია ამ მხარის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი აქტივზე დაწესებული უზრუნველყოფით (რომლის ღირებულებაც განისაზღვრება შესაბამისი აქტივის საბალანსო ღირებულებით „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" („IFRS"-ის) შესაბამისად შედგენილი უახლესი წლიური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე), მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა ეს დავალიანება შესაბამისი მხარის მიერ;

ვ) სხვა „პირების" ყველა ის დავალიანება, რომელსაც უზრუნველყოფს ან ანაზღაურებს „ემიტენტი" ან „შვილობილი კომპანია", იმ ოდენობით, რამდენითაც ისინი უზრუნველყოფენ ან ანაზღაურებენ აღნიშნულ დავალიანებას;

ზ) ნებისმიერი თანხა, რომელიც მიღებულია „ფასიანი ქაღალდების" გამოშვების შედეგად და რომელიც პირდაპირ ექვემდებარება დაბრუნებას;

თ) ნებისმიერი წმინდა ვალდებულება სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერი ვალუტის ან საპროცენტო განაკვეთის მიმართ; ან

ი) ნებისმიერი თანხა (მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ, დაქირავება-ნასყიდობის ხელშეკრულებით ან ნასყიდობის ხელშეკრულებით), რომელიც მიღებულია ისეთი სხვა ტრანზაქციის ფარგლებში, რომელსაც აქვს სესხის ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი.

და ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნაკისრი დავალიანების ოდენობა ნებისმიერ თარიღზე წარმოადგენს ბალანსს, რომელიც გადასახდელია ამ თარიღზე გამომდინარე ყველა იმ ჩვეულებრივი ვალდებულებებიდან, რომელიც ზემოთაა აღწერილი ხოლო ზემოთ აღწერილი ყველა პირობითი ვალდებულების შემთხვევაში, წარმოადგენს იმ მაქსიმალურ პასუხისმგებლობას, რომელიც წარმოიშვება იმ გარემოების დადგომით, რომელიც აღნიშნული ვალდებულების საფუძვლადაა მითითებული.

„**დამოუკიდებელი შემფასებელი**“ ნიშნავს საინვესტიციო საბანკო ფირმას ან შესაფასებელ საკითხში მესამე მხარის ექსპერტს, საერთაშორისო რეპუტაციით, რომელიც არჩეულია „ემიტენტის“ მიერ და დამტკიცებულია ობლიგაციონერების მიერ, იმ პირობით, რომ „ემიტენტმა“ წერილობით დაუდასტურა „ობლიგაციონერებს“, რომ ასეთი ფირმა ან მესამე მხარის შემფასებელი არ არის „ემიტენტის“ „აფილირებული“ პირი.

„**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები**“ **(IFRS)** ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოშვებულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და IASB-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოშვებულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოშვებული ცვლილებებით);

„**პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი**“ ან „**ICR**” ნებისმიერი შესაბამისი პერიოდისთვის ნიშნავს თანაფარდობას:

(ა) „ჯგუფის“ **EBITDA**-ს აღნიშნული პერიოდისთვის;

და

(ბ) აღნიშნული პერიოდის განმავლობაში „**გადახდილი პროცენტის**“ ჯამურ ოდენობას (ყველა „ფინანსურ ვალდებულებასთან“ დაკავშირებით გადახდილი პროცენტისა და კუპონის ჩათვლით),

თითოეულ შემთხვევაში განსაზღვრული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად და „ჯგუფისთვის“ კონსოლიდირებულ საფუძველზე, თანმიმდევრულად გამოყენებით.

ამ განსაზღვრების მიზნებისათვის, „**გადახდილი პროცენტი**“ უნდა მოიცავდეს ყველა ფულად პროცენტს, კუპონს, საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გადახდილია რეფინანსირებული ვალის და მოთხოვნილი გარანტიის შემთხვევაში და ასევე ანალოგიურ პერიოდულ გადახდებს (მაგრამ უნდა გამორიცხავდეს კაპიტალიზებულ პროცენტს და არაფულად ნაზარდს);

„**საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღი**“ ნიშნავს თარიღს, როდესაც უნდა განხორციელდეს „ობლიგაციებზე” პროცენტის გადახდა, როგორც ეს მითითებულია „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში“. „პროსპექტის” მოქმედების პერიოდში, საპროცენტო გადახდის თარიღები შესაძლოა ემიტენტმა დამატებით დააზუსტოს საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაბამისი ცვლილების შეტანის განაცხადის საფუძველზე;

„**საპროცენტო პერიოდი**“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღზე“ (მისი ჩათვლით) და სრულდება მომდევნო „საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღის“ წინა დღეს (მისი ჩათვლით), გარდა პირველი პერიოდის შემთხვევისა, როდესაც ის ნიშნავს პერიოდს „გამოშვების თარიღიდან“ (მისი ჩათვლით) მომდევნო „საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღის“ წინა დღემდე (მისი ჩათვლით), და გარდა ბოლო პერიოდისა, როდესაც ის ნიშნავს პერიოდს წინასწარ არსებულ „საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღიდან“ (მისი ჩათვლით) „დაფარვის თარიღამდე“ არსებულ წინა დღემდე („დაფარვის თარიღის“ გამოკლებით) ან, იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ გადახდის თარიღი მოსულია, იმ თარიღამდე, როდესაც „ობლიგაციები“ გადასახდელი ხდება, ე.წ „სამუშაო დღის კონვენციის“ გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ „საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღმა” გადაიწია მომდევნო სამუშაო დღემდე, პროცენტი დარიცხული იქნება აღნიშნულ გადატანილ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით). ასევე, იმ შემთხვევაში, თუ „საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღმა”

გადაიწია წინა „სამუშაო დღემდე“ (იმის გამო, რომ თავდაპირველად გადატანილი „პირველი გადახდის თარიღი“ გადადის მომდევნო კალენდარულ თვეში), პროცენტი დარიცხული იქნება აღნიშნულ ადრეულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით).

„**ემიტენტი**“ ან „**კომპანია**“ ნიშნავს შპს თეგეტა მოტორსს;

„**ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა**" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, მათ შორის და არა მხოლოდ, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონსა და „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ 2023 წლის 16 ნოემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცვლილებებით;

„**მაჟორიტარი პარტნიორი**“ ნიშნავს ნებისმიერ პარტნიორს, რომელიც შესაბამის კომპანიაში ფლობს წილის, აქციების ან ხმის უფლების 50%-ზე მეტს.

„**მოვლის კაპიტალური დანახარჯები**“ ნიშნავს კაპიტალურ დანახარჯებს, რომელიც „ჯგუფმა“ გაწია ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის განმავლობაში იმისათვის, რომ მოუაროს, შეინარჩუნოს, ან აღადგინოს არსებული ქონების, ქარხანისა და აღჭურვილობის საოპერაციო შესაძლებლობა, ეფექტურობა, გამოყენებადობა ან სარგებლიანობა (მათ შორის მათი შეცვლა, შეკეთება ან ან არსებული აქტივების კაპიტალური რემონტი). ყოველგვარი ეჭვის თავიდან არიდების მიზნით, „მოვლის კაპიტალური დანახარჯების“ ოდენობა კონკრეტულად უნდა იყოს გამჟღავნებული წლიურ აუდიტირებულ და ნახევარწლიურ არაუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

„**მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანია**“ ნიშნავს ნებისმიერ დროს „ჯგუფის“ ისეთ „შვილობილ კომპანიას“ (გარდა იმ დროისთვის „გარანტორისა“), რომლის დამოუკიდებელი (არაკონსოლიდირებული) აქტივები, EBITDA ან შემოსავალი, შესაბამისად, წარმოადგენს „ჯგუფის“ საერთო კონსოლიდირებული აქტივების, კონსოლიდირებული EBITDA-ს ან კონსოლიდირებული შემოსავლის ხუთ პროცენტს (5%) ან მეტს, როგორც ეს ნაჩვენებია „ჯგუფის“ უახლეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. იმის განსაზღვრა, წარმოადგენს თუ არა „შვილობილი კომპანია“ „მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიას“, ხორციელდება ყოველწლიურად „ჯგუფის“ უახლესი აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

„**დაფარვის თარიღი**“ ნიშნავს „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ მითითებულ თარიღს, როდესაც „ემიტენტი“ დაფარავს „ობლიგაციებს“ მათი ძირითადი ნომინალური ღირებულებით, ასევე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხასთან ერთად;

„**წმინდა ფინანსური ვალდებულება**“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს, „ფინანსურ ვალდებულებას“ გამოკლებული ნაღდი ფული და „ნაღდი ფულის ექვივალენტები“, გარდა შეზღუდული ფულისა.

„**წმინდა შემოსავალი**“ ნიშნავს ნებისმიერ აქტივთან ან ქონებასთან დაკავშირებული გაყიდვის, გადაცემის, იჯარით გაცემის ან სხვა ფორმით განკარგვის შედეგად მიღებულ მთლიანი ნაღდი ანაზღაურების თანხას (და, საჭიროების შემთხვევაში, არანაღდი ანაზღაურების „სამართლიან საბაზრო ღირებულებას“), რომელიც ფაქტობრივად მიღებულია „ემიტენტის” ან შესაბამისი „შვილობილი კომპანიის” მიერ ასეთი განკარგვის დროს, გარდა: (ა) ნებისმიერი პირდაპირი გადასახადებისა, რომლებიც გადასახდელია აღნიშნული განკარგვასთან დაკავშირებით; (ბ) ნებისმიერი გონივრული და ჩვეულებრივი მოსაკრებლებისა, საკომისიოს, ხარჯებისა და დანახარჯებისა, რომლებიც წარმოიშვა ასეთი განკარგვის შედეგად, მათ შორის იურიდიული, საბუღალტრო, საკონსულტაციო და საბროკერო მომსახურების ხარჯების ჩათვლით; (გ) ნებისმიერი თანხისა, რომლის გამოყენებაც აუცილებელია „ფინანსური ვალდებულებების” (ან სხვა ვალდებულებების) გასასტუმრებლად, რომლებიც უზრუნველყოფილია იმ აქტივებზე არსებული გირავნებით ან სხვა უზრუნველყოფის ფორმით, რომლებიც გაყიდვის საგანს წარმოადგენდა; და (დ) ნებისმიერი გონივრული რეზერვისა, რომელიც შექმნილია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“-ის) შესაბამისად ანაზღაურების, გარანტიის ან მსგავსი

გარიგების შემდგომი ვალდებულებების დასაფინანსებლად, იმ პირობით, რომ აღნიშნული რეზერვიდან ის ნაწილი, რომელიც არ იქნა გამოყენებული აღნიშნული ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად განკარგვის თარიღიდან 365 დღის განმავლობაში, ჩაითვლება „წმინდა შემოსავლად" ამ ვადის ამოწურვის დღიდან.

„**ნებადართული უზრუნველყოფა**" განიმარტება, როგორც ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილი:

(ა) იმ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება", რომელიც წარმოშობილია „გამოშვების თარიღამდე" ან ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება", რომლის გაცემის ან წარმოშობის განზრახვა გამჟღავნებულია წინამდებარე „პროსპექტში" (მიუხედავად იმისა, ხელმოწერილია თუ არა ასეთი „უზრუნველყოფის საშუალება" „გამოშვების თარიღზე"), და ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება", რომელიც ანაცვლებს, აახლებს, აგრძელებს, რეფინანსირებას უწევს ან ხელახლა ტვირთავს იმავე აქტივებს ნებისმიერი ასეთი „გამოშვების თარიღამდე" არსებული ან გამჟღავნებული „უზრუნველყოფის საშუალების" გათავისუფლების, გაუქმების ან შეწყვეტის შედეგად იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ჩანაცვლება, განახლება, გაგრძელება, რეფინანსირება ან ხელახლა დატვირთვა არ გაზრდის უზრუნველყოფილი ძირ თანხას და არ აფართოებს იმ აქტივების მოცულობას, რომლებიც ასეთ „უზრუნველყოფის საშუალებას" ექვემდებარებიან;

(ბ) „ემიტენტის" ან მისი ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის" მიერ „ემიტენტის" ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის" სასარგებლოდ მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალება";

(გ) „უზრუნველყოფის საშუალება", რომელიც უზრუნველყოფს „პირის" „ფინანსურ დავალიანებას" და არსებობს იმ პერიოდისთვის, როდესაც ამგვარი „პირი" შეერწყმება ან გაერთიანდება „ემიტენტთან" ან მის „შვილობილ კომპანიასთან" ან გახდება „ემიტენტის" „შვილობილი კომპანია", იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება" (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის, გაერთიანების ან შემთხვევის მიზნებისთვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის" ან მისი „შვილობილი კომპანიის" ნებისმიერ აქტივზე ან ქონებაზე (გარდა იმისა, რომელიც ეკუთვნის შეძენილ „პირს" და მის „შვილობილ კომპანიებს" (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

(დ) შემდგომში „ჯგუფის" ნებისმიერი წევრის მიერ შესყიდული/შესასყიდი ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ქონების მიმართ ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის უზრუნველსაყოფად ან მხოლოდ ამგვარი ქონების შესყიდვის ფასის და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯების დაფინანსების მიზნებისთვის აღებული დავალიანების უზრუნველსაყოფად მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალება";

(ე) ნებისმიერი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის ან ურთიერთგაქვითვის შესახებ შეთანხმება, რომელიც „ჯგუფის" ნებისმიერმა წევრმა დადო საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შემოსავლის და გასავლის ბალანსის ურთიერთკომპენსაციის მიზნებისთვის;

(ვ) „უზრუნველყოფის საშუალებები", რომელიც შექმნილია ბალანსზე აღიარებული აქტივებით უზრუნველყოფილი დაფინანსების, სეკიურიტიზაციის ან მსგავს გარიგებაზე დაყრდნობით, იმ პირობით, რომ ასეთი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, 1.2(iii)(დ) პუნქტით გათვალისწინებულ „უზრუნველყოფის საშუალებებთან" ერთად (მაგ. ბალანსზე აღიარებული აქტივებით უზრუნველყოფილი დაფინანსება) დროის არცერთ მონაკვეთში არ გადააჭარბებს „ჯგუფის" კონსოლიდირებული აქტივების 25 პროცენტს, რომელიც განსაზღვრულია „ჯგუფის" უახლესი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე" ("IFRS"-ზე) დაფუძნებულ კონსოლიდირებულ საბალანსე უწყისზე მითითებით

(ზ) ნებისმიერი ხელშეკრულების (ან სხვა მარეგულირებელი პირობების) შესაბამისად წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება", რომელიც სტანდარტული ან ჩვეულებითია საპროცენტო განაკვეთის და უცხო ვალუტის კურსის ჰეჯირების ოპერაციების შესაბამის ბაზარზე იმ პირობით, რომ ისინი: (ა) მიმართულია „ემიტენტის" ან მისი რომელიმე „შვილობილი კომპანიის" არსებული ან მოსალოდნელი ვალდებულებებიდან, ინვესტიციებიდან, ოპერაციებიდან ან გარიგებებიდან წარმოშობილი იდენტიფიცირებადი რისკების შესამცირებლად; (ბ) არ არის დადებული სპეკულაციური ან საინვესტიციო მიზნებით (მათ შორის ბერკეტული ან ღია პოზიციებით ვაჭრობის

ჩათვლით); და (გ) დადებულია გაშლილი მკლავის პრინციპით (arm's-length terms) სანდო საფინანსო ინსტიტუტებთან, ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში;

(თ) კანონის მოქმედების საფუძველზე და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება", საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალების" ჩათვლით; და

(ი) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება", რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა)-დან (თ)-ს ჩათვლით პუნქტებით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალების" მიერ უზრუნველყოფილი „ფინანსური ვალდებულების" საერთო ოდენობის ძირი თანხა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება „ჯგუფის" კონსოლიდირებული აქტივების 5 (ხუთ) პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" („IFRS"-ის) ფინანსური პერიოდის" დასასრულს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" („IFRS"-ის) შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის" კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

„**პირი**" ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან ნებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

„**გამოსყიდვის თარიღი**" ნიშნავს, ნებისმიერი „ობლიგაციის" მიმართ, ასეთი „ობლიგაციების" გამოსყიდვისთვის დადგენილ თარიღს „პირობების" შესაბამისად, იქნება ეს დაფარვის, ვადაზე ადრე გამოსყიდვის თუ სხვა რომელიმე შემთხვევა ამ „პირობების" შესაბამისად.

„**უზრუნველყოფის საშუალება**" ნიშნავს ნებისმიერ იპოთეკას, დატვირთვას, გირავნობას, შეზღუდვას, უზრუნველყოფის სახით გადაცემას, უფლების შენარჩუნების მექანიზმს ან ნებისმიერ სხვა შეთანხმებას ან მექანიზმს, რომელსაც აქვს აქტივების უზრუნველყოფის ეფექტი, მიუხედავად იმისა, იქნება ის ფიქსირებული თუ ცვლადი და მიუხედავად იმისა, გამომდინარეობს ის ხელშეკრულებიდან, კანონის მოქმედებიდან ან სხვაგვარად, მათ შორის ნებისმიერი ექვივალენტ ან მსგავს უფლებას ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობიდან გამომდინარე და ნებისმიერ შეთანხმებას მასზედ, რომ შეიქმნას რომელიმე ზემოთაღნიშნული;

„**შვილობილი კომპანია**" ნებისმიერ „პირთან" („პირველი პირი") მიმართებით ნიშნავს მოცემულ დროს, ნებისმიერ სხვა „პირს" („მეორე პირი") (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი" ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50 პროცენტზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი";

„**გადასახდელი**" ნიშნავს, „ობლიგაციებთან" მიმართებით, ყველა გამოშვებულ „ობლიგაციას", *გარდა*:

- იმ „ობლიგაციებისა", რომლებიც „დაფარვის თარიღზე" გამოსყიდულია პირობა 1.3-ის შესაბამისად,
- იმ „ობლიგაციებისა", რომლებიც გამოსყიდულია „დაფარვის თარიღამდე" პირობა 1.3-ის შესაბამისად და გამოსყიდვის თანხები (ასეთ „ობლიგაციებზე" დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის ჩათვლით არაჩვეულებრივი გამოსყიდვის თარიღამდე, და ნებისმიერი პროცენტი, რომელიც გადასახდელია „პირობების" შესაბამისად ასეთი თარიღის შემდეგ, და შესაბამისი პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) სათანადოდ არის გადახდილი „ობლიგაციონერებისთვის" ან/და „ანგარიშის მწარმოებლებისთვის" (შესაბამის შემთხვევებში) ან ასეთი თანხები ხელმისაწვდომია გადასახდელად პირობების „შესაბამისად",
- იმ „ობლიგაციებისა", რომლებიც ბათილად იქცა,
- იმ „ობლიგაციებისა", რომლებიც შეძენილია „პირობა" 1.3-ის შესაბამისად, და
- იმ „ობლიგაციებისა", რომელთა ბენეფიციარი მფლობელი არის ან რომელთაც „ემიტენტის" და/ან მისი ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის" სახელით ფლობს „ემიტენტი" და/ან მისი ნებისმიერი „შვილობილი კომპანია" (და რომლებიც არ არის გაუქმებული) (i) ნებისმიერ „ობლიგაციონერთა კრებაზე" დასწრებისა და

ხმის მიცემის უფლების დადგენის, (ii) იმის განსაზღვრის მიზნებისათვის, თუ რამდენი „ობლიგაციაა“ მიმოქცევაში პირობა 1.6-ის მიზნებისათვის, და (iii) ნებისმიერი უფლებამოსილების, უფლების ან მოვალეობის განხორციელების მიზნით, მიუხედავად იმისა, ეს მოცემულია „პირობებში“, „საგარანტიო ხელშეკრულებაში“, თუ გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

„**პროსპექტი**“ თუ ემისიის პროსპექტის ტექსტი სხვაგვარად არ მიუთითებს, მითითება „წინამდებარე პროსპექტზე“ გულისხმობს მითითებას სებ-ის მიერ სათანადო წესით დამტკიცებულ ემისიის პროსპექტზე.

„**ანგარიშგების თარიღი**“ ნიშნავს ნებისმიერ იმ თარიღს, რა მდგომარეობითაც „ემიტენტს“ აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება ამ პროსპექტის 1.2(ზ.1) პუნქტის საფუძველზე;

„**განმეორებითი კრება**“ ნიშნავს „ობლიგაციონერთა კრებას“, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, სადაც საქმიანობისათვის აუცილებელი კვორუმი ვერ შედგა.

„**გადასახადი**“ ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადს, მოსაკრებელს, ბაჟს, დაკისრებულ გადასახადს ან სხვა ანალოგიური ხასიათის მოსაკრებელს, განურჩევლად იმისა, სად წარმოიშობა (მათზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული დამატებების ჩათვლით) და განურჩევლად დაწესების ან განსაზღვრის წესისა;

„**წესები და პირობები**“ ან „**პირობები**“ ნიშნავს წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების წესებსა და პირობებს“.

„**გამჭვირვალობის წესი**“ გულისხმობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 07 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დადგენილი „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესს“.

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. „ობლიგაციების“ პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩევლებთან „ობლიგაციების“ შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე – „ობლიგაციებიდან“ პროცენტის, ძირითადი თანხის ან/და სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.]

საპროცენტო სარგებლის დაბეგვრა

„ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით იმ დაშვებით, რომ პირი არ არის რეგისტრირებული შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე ქვეყანაში. ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ პირი არარეზიდენტია, გადახდილ პროცენტზე გადასახადის წყაროსთან დაბეგვრის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოსა და ხსენებული პირის საგადასახადო რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულთან ერთად, „ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაცია“ იქნება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2028 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი გახდება, რაც შესაძლებელი იქნება „თბილისის საფონდო ბირჟის“ საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში. კომპანია აპირებს მიმართოს სს „თბილისის საფონდო ბირჟას“, რათა ობლიგაციები დაშვებული იქნეს სავაჭროდ აღნიშნულ ბაზარზე. წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ ითვლება ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზრად მხოლოდ ბირჟის A და B კატეგორიის სალისტინგო სეგმენტში. ამასთანავე, გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და მიმღების ერთობლივ შემოსავალში არ ჩაერთვება „ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი იმ დაშვებით, რომ „ობლიგაცია“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში.

ვინაიდან რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადახდილი პროცენტი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება, „ობლიგაციებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტისა) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) იბეგრება ფიზიკური პირის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით. იმ შემთხვევაში თუ პირი არარეზიდენტია, გადახდილ პროცენტზე გადასახადის წყაროსთან დაბეგვრის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოსა და ხსენებული პირის საგადასახადო რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთანავე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის „ობლიგაციების“ რეალიზაციის შემთხვევაში, მიღებული შემოსავლის გაცემისას საბროკერო კომპანიაა ვალდებული გადახდის წყაროსთან დააკავოს გადასახადი. აგრეთვე, ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ ორ წელზე მეტი ვადით ფლობის შემთხვევაში შესაძლებელია გავრცელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულთან ერთად, „ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული შემოსავალი განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ იქნება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და, „თბილისის საფონდო ბირჟის“ საბჭოს

დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გახდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა საბანკო დაწესებულებისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტისა) ვალდებულია „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებაზე გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც გაანაწილებს მოგებას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ გამოსყიდვისას „ობლიგაციონერების“ მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, რომ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

„ობლიგაციების“ რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.